

კობა თოჭაშაძე

შაფსულების  
სარწმუნოება  
და სამართალი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კოზა ოკუჯავა

**შაფსულაზის სარწმუნოება  
და სამართალი**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2023

ნაშრომში გადმოცემულია ისტორიულ ჩერქეზულ კუთხეში, შაფსულეთში გვიანობამდის შემორჩენილი ძველი რელიგიური წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და მითოლოგია. აღწერილია ჩერქეზული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო – შაფსულური ჩვეულებითი სამართალი და თვით შაფსულების მოკლე ეთნიური ისტორია.

მონოგრაფია განკუთვნილია ჩერქეზეთის, საქართველოს და საერთოდ კავკასიის ხალხთა ისტორიული ეთნოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
**ელდარ ნადირაძე**

რეცენზენტი: ისტორიის დოქტორი  
**ბეჟან ხორავა**

© ჯ. ოჯუჯავა, 2023

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2023

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-571-6

## შესავალი

„ჯვართან ჩერქეზებმა ქუდები მოიხადეს. კითხვაზე, თუ რატომ მოიქცნენ ასე, მხრები აიჩეჩეს და მოგვიგეს, რომ ამგვარად იქცეოდნენ მათი წინაპრები.“

ჯეიმს ლონგვორთი  
1839 წელი.

ბიზანტიის იმპერიის განადგურების, საქართველოს სამეფოს დაშლის და შავ ზღვაზე ოსმალეთის გაბატონების შემდეგ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის ნაცვლად მაჰმადიანობა ვრცელდება, თუმცა ჩერქეზეთის მთიანეთში ისლამმა ფესვები ღრმად ვერ გაიდგა. ამასთან, გამოცოცხლდა ძველი, წარმართული სარწმუნოება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები.

ძველ, წარმართულ რელიგიაში ძირითადად ქრისტიანული, ნაწილობრივ მაჰმადიანური ელემენტების შერწყმის შედეგად შაფსულებში ჩამოყალიბდა ერთგვარი სინკრეტული რელიგია, თავისებური წარმართობა, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ჩერქეზებში XX საუკუნის I ნახევარშიც კარგად იყო შემორჩენილი.

მონოგრაფიის ყველაზე დიდი ნაწილი სწორედ შაფსულთა სარწმუნოებას ეხება, იმ რელიგიას, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მათი სულიერი კულტურის განვითარებაში და რომლის წყალობით შაფსულები ძველ, ნამდვილ ჩერქეზულ წეს-ჩვეულებებს ინარჩუნებდნენ.

ყუბანისპირეთში მაჰმადიანობის გავრცელების შედეგად ადგილობრივ სამართალზე – ადილე ხაზზეზე დიდი გავლენა იქონია ისლამურმა სასულიერო სამართალმა – შარიათმა. ხოლო კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მცხოვრებ შაფსულებში, რომლებშიც უფრო წარმართობა იყო შემორჩენილი, კვლავინდებურად ძველი, ჩვეულებითი სამართალი მოქმედებდა. ნაშრომის შესაბამის თავში ძირითადად

განხილულია მკვლევლობასთან, დაჭრასთან და ქურდობასთან დაკავშირებული შაფსულური სამართლებრივი ნორმები და წეს-ჩვეულებები.

დღეისათვის ისტორიული შაფსულეთის ტერიტორია ჩერქეზეთს არ წარმოადგენს. ეს მხარე XIX საუკუნის 60-იანი წლების მუჰაჯირობის შედეგად მკვიდრი მოსახლეობისგან არსებითად დაიცალა. სამშობლოში შაფსულების მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა. მათი შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ მდინარეებს; სოჩასა და ნიგეფსუხოს შორის, აგრეთვე ადიღეს ავტონომიური რესპუბლიკის ოთხ სოფელში. აქედან გამომდინარე, შაფსულების ჩვეულებითი სამართლის, ძველი რელიგიური წეს-ჩვეულებების, რწმენა-წარმოდგენების, მითოლოგიის და საერთოდ მათი ისტორიული კულტურის შესწავლა ეთნოლოგიური თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ შაფსულეთის და საქართველოს სხვადასხვა კუთხის (აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის...) ისტორიულ ეთნოლოგიაში უამრავი საერთო საკითხის წარმოჩენა არის შესაძლებელი.

მონოგრაფია ქრონოლოგიურად მოიცავს შაფსულთა ეთნოლოგიურ ისტორიას XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან, ანუ იმ დროიდან როდესაც მკვეთრად იკვეთება მათი საზოგადოებრივი და კულტურული მდგომარეობა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, XX საუკუნის დასასრულამდის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის მომდევნო წლების ჩათვლით. თუმცა, თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, შაფსულთა ეთნიურ ისტორიასთან და მათ სარწმუნოებასთან დაკავშირებით დასავლეთ ჩერქეზეთის წინა საუკუნეების ეთნოლოგიური ისტორიის საკითხებსაც ვეხებით. რაც შეეხება შაფსულურ სამართალს, მასში ძირითადად XIX საუკუნის 20-50-იანი წლების სამართლებრივი ვითარებაა გადმოცემული.

# თავი I. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები შაფსულეხის სარწმუნოების და სამართლის შესახებ

წინამდებარე ნაშრომი ძირითადად XIX-XX საუკუნის I ნახევრის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობა.

შაფსულეხის სარწმუნოების შესახებ არსებული წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ლეონტი ლიულეს ნაშრომი „ჩერქეზების რწმენა-წარმოდგენები, რელიგიური ჩვეულებები და ცრუმორწმუნეობა“.<sup>1</sup>

ავტორი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წამდელი წევრი იყო. მთავრობის დავალებით ლიულემ ათ წელზე მეტი დაჰყო ჩერქეზეთში (XIX ს. 20-30-იანი წ.წ.) და ამ ხნის განმავლობაში უძვირფასეს მასალებს აგროვებდა შაფსულეხისა და მათი მეზობელი ადიღური კუთხეების ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებებისა და სარწმუნოების შესახებ.

ლიულეს დაკვირვებით, ყუბანისპირეთისგან განსხვავებით, ზღვისპირეთში მცხოვრებ ჩერქეზებში ძირითადად ძველი, წარმართული წეს-ჩვეულებები იყო შემორჩენილი.<sup>2</sup> მრავალი რიტუალი მას სწორედ აქა აქვს უშუალოდ აღწერილი, ან ჩანერილი იმ უხუცესებისგან, რომლებიც რელიგიურ დღესასწაულზე ქურუმის როლს ასრულებდნენ.<sup>3</sup> მაგ., მდინარე დუაბის ველზე ლიულე თავად შეესწრო წესს, რომელსაც შაფსულეხი მეხით მოკლული სამი თხის გარშემო, ჭეკა-ქუხილის ღმერთის პატივსაცემად ასრულებდნენ.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь.

<sup>2</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 121

<sup>3</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 123

<sup>4</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 132

ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხები, შავიზღვისპირა ჩერქეზებიც ეთაყვანებოდნენ წმინდა ხეს, განსაკუთრებით კი მას, რომელიც მეხნაკრავი იყო. მათი წარმოდგენით, ამგვარ ხეს შეეძლო ციებ-ციხელებისგან განეკურნა ავადმყოფი და ამ მიზნით მას მსხვერპლს სწირავდნენ, ხოლო მის ნაფოტს, ჭინჭში გახვეულს, ავადმყოფს კისერზე ჩამოჰკიდებდნენ. ერთ-ერთი ასეთი მეხნაკრავი წმინდა ხე ზღვისპირეთში, მდინარე ფშადის ველზე, ლიულეს სახლიდან ოდნავ მოშორებით იდგა,<sup>1</sup> რაც საშუალებას აძლევდა მკვლევარს ზუსტად აღენერა წმინდა ხესთან შესრულებული წეს-ჩვეულებები.

ჩერქეზებს სწამდათ, რომ არსებობდნენ სახლის მფარველი სულები, მოჩვენებები და ჯადოქრები. მრავალ უბედურებას და სიავეს ისინი სწორედ ჯადოქრებს მიაწერდნენ და ჯადოქრობაში ეჭვმიტანილს სასტიკად სდევნიდნენ. მათ ჰყავდათ ექიმბაშები, რომელთაც თითქოს ხელენიფებოდათ ჯადოქართა და ავსულებთან დაკავშირებული პირების ამოცნობა. 1836 წელს, როდესაც ლიულე ეკატერინოდარში იმყოფებოდა, სხვადასხვა ავადმყოფობით აფორიაქებულმა ადილებმა, კერძოდ ხამიმებმა, ექიმბაშები გამოიძახეს, რათა მზაკვრებისთვის მიეკვლიათ. ავტორი თავადაც იცნობდა შავიზღვისპირეთში, ბზიდის ველზე მცხოვრები ერთ-ერთი ამგვარი ექიმბაშის ოჯახს.<sup>2</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მიუთითებს, თუ როდენ კარგად იცნობდა ლიულე ჩერქეზების და კერძოდ შაფსულების ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას, მათ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს.

ამავე ნაშრომში ავტორს ცალკე აქვს აღწერილი შაფსულთა მრავალი რელიგიური დღესასწაული, რომლებშიც აშკარად ჩანდა ქრისტიანობის კვალი.

ლიულეს მუშაობაში ისიც უწყობდა ხელს, რომ მან ადიღური ენა შეისწავლა, რაც მის ნაშრომებს სხვა ავტორთა ცნობებ-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 133

<sup>2</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 136

თან შედარებით დიდ უპირატესობას ანიჭებს. 1846 წელს ოდესაში გამოიცა კიდეც მის მიერ შედგენილი „რუსულ-ჩერქეზული ანუ ადიღური ლექსიკონი მოკლე გრამატიკითურთ“.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ლიულეს რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონი სწორედ შაფსულური დიალექტის საფუძველზეა შექმნილი.<sup>2</sup>

შაფსულების რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლის თვალსაზრისით, ლიულეს ნაშრომებთან ერთად ფრიად მნიშვნელოვანია ინგლისელი ემისრის ჯეიმს ბელის „ჩერქეზეთში 1837, 1838, 1839 წლებში ყოფნის დღიური“.<sup>3</sup>

ჯეიმს ბელი 1837-1839 წლებში შავიზღვისპირა ჩერქეზეთში – შაფსულეთში, აგრეთვე მეზობელ უბიხეთში ცხოვრობდა. გადადიოდა ყუბანისპირეთშიც. მან დანვრილებით აღწერა ამ კუთხეების საზოგადოებრივი წყობა, სამართალი, მეურნეობა და მატერიალური კულტურა. თავის დღიურში დიდი ადგილი დაუთმო ჩერქეზთა სარწმუნოებას და საერთოდ სულიერ კულტურას.

ნიშანდობლივია, რომ ჩერქეზეთში თითქმის თანადროულად მყოფი ბელი და ლიულე სხვადასხვა წარმართულ დღესასწაულს შავიზღვისპირეთის ერთსადაიმავე ადგილას, ან მეზობელ ხეობებში აფიქსირებენ, რაც კიდეც უფრო სრულყოფილ სურათს გვიქმნის ამათუიმ წარმართული ჩვეულების შესახებ. ასე მაგ., თუ ლიულემ ფშადის ველზე მეხნაკრავ ხესთან შესრულებული რიტუალები აღწერა, ბელს თავის დღიურში, ამავე ფშადის ველზე წმინდა მუხნარში, ჯვრის წინ ჭეკა-ქუხილის სულის პატივსაცემად გამართული დღესასწაული აქვს ჩანერილი.<sup>4</sup> ლიულეს ჩერქეზთა ერთ-ერთი უდიდესი წარმართული წეს-ჩვე-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Словарь Русско-Черкесский...

<sup>2</sup> З. Керашева. Особенности Шапсугского диалекта..., გვ. 14

<sup>3</sup> Дж. Белл. дневник пребывания в Черкесии...

<sup>4</sup> Дж. Белл. дневник пребывания в Черкесии..., გვ. 508



ულემა – შიბლასხა, რომელიც ჭექა-ქუხილის ღმერთის პატივსაცემად სრულდებოდა, აღწერილი აქვს დუაბის ველზე. იგივე რიტუალს შეესწრო ბელიც ნემეზის ხეობაში,<sup>1</sup> რომელიც დუაბის ველს დასავლეთიდან ეკვრის.

წარმართული წეს-ჩვეულებების გარდა, ბელს აღწერილი აქვს მრავალი დღესასწაული, რომლებიც თვით ჩერქეზთა რწმენით, ქრისტიანობიდან მომდინარეობდნენ. მაგ., ოქტომბერში ორი კვირის განმავლობაში და შემდეგ ნოემბრის დამდეგს ისინი თავისებურად აღნიშნავდნენ მარიამობას, ან კიდევ, შემორჩენილი ჩვეულებისამებრ, ჯვრის წინ ასრულებდნენ ქრისტიანული ნათლობის მსგავს რელიგიურ რიტუალს.

1839 წელს შავიზღვისპირა ჩერქეზებში ბელთან ერთად ცხოვრობდა ლონდონის გაზეთ „თაიმს“-ის კორესპოდენტი ჯეიმს ლონგვორთი. მას წიგნში „წელიწადი ჩერქეზთა შორის“,<sup>2</sup> დაცული აქვს საინტერესო ცნობა, თუ როგორ ატარებდნენ შაფსულები მინათმოქმედების ღმერთის, სოზერიშის პატივსაცემად რიტუალს ზღვის სანაპიროსთან ახლოს, ერთ-ერთ წმინდა ტყეში. ის თავად შეესწრო სოზერიშობას და პირადად ნახული აქვს გადმოცემული.

რუსეთის არმიის სამხედრო მოსამსახურე, წარმოშობით ფრანგი ჟან ვიქტორ ედუარდ ტეზუ დე მარინი ისტორიისა და სიძველეთმცოდნეობის რუსეთის საიმპერატორო ოდესის საზოგადოების აქტიური წევრი იყო. მან XIX საუკუნის 10-20-იან წლებში მრავალგზის მოიარა ზღვისპირა ჩერქეზეთი. მისი ნაშრომი „მოგზაურობანი ჩერქეზეთში“<sup>3</sup> უამრავ ძვირფას ეთნოგრაფიულ მასალას შეიცავს, რომლებიც ავტორს უშუალოდ ადგილზე აქვს ჩანერილი.

ტეზუ დე მარინის კარგად აქვს აღწერილი ჩერქეზთა დიდი რელიგიური დღესასწაულები, რომლებიც იმართებოდა თჰამ-

---

<sup>1</sup> Дж. Белл. дневник пребывания в Черкесии..., გვ. 506

<sup>2</sup> Дж. Лонгворт. Год среди Черкесов.

<sup>3</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию.

ხოს, შიბლეს, სოზერიშის და სხვა წარმართული ღმერთების პატივსაცემად. გარდა ამისა, აღწერილი აქვს მრავალი წეს-ჩვეულება, რომელიც ჯვრის წინ სრულდებოდა და შესაბამისად ქრისტიანობის გადმონაშთი იყო. ავტორის მიხედვით, ჯვარი ჩერქეზებში წინაპრებისგან იყო შემორჩენილი და თავად მისი მნიშვნელობა არ იცოდნენ.

რუსეთის არმიის გენერალი გიორგი ნოვიცკი თავის ნაშრომში „ადეხე ხალხით დასახლებული მიწა-წყლის გეოგრაფიულ-სტატისტიკური მიმოხილვა“<sup>1</sup> საგანგებოდ ეხება მათ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, როგორც წმინდა წარმართულს, ასევე ყოფილ ქრისტიანულს და იმ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მათში ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ზარის, სანთლისა და ჯვრის პატივისცემა.

ჩერქეზული წარმართული წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები ერთობ საფუძვლიანადაა გადმოცემული ადიღე (ბჟედული) ავტორის ხან-გირეის ნიგნში „ჩანაწერები ჩერქეზეთის შესახებ“<sup>2</sup>, რომელშიც ჩერქეზთა რელიგიასა და მითოლოგიას ცალკე თავი აქვს დათმობილი.

ბუნებრივია, ხან-გირეი უკეთ იცნობდა მშობლიური ხალხის სარწმუნოებას, წარმართულ წეს-ჩვეულებებსა და ძველისძველ ხალხურ გადმოცემებს, ვიდრე უცხოელი მკვლევარები, მოგზაურები თუ ჩერქეზეთში სხვადასხვა მისიით ჩამოსული ავტორები, ამიტომ მის ყოველ ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ხან-გირეი გავლენიანი ბჟედული ფეოდალის შვილი იყო. მას ერთ-ერთი შაფსული უხუცესი ზრდიდა. მამის ანდერძის თანახმად, ის განათლების მისაღებად თბილისში ჩამოიყვანეს, აქედან გაგზავნილ იქნა პეტერბურგში, სადაც კადეტთა კორპუსი დაასრულა და 1829 წლიდან სამუშაოდ კვლავ კავკასიაში გად-

---

<sup>1</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., №22, 23

<sup>2</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. Нальчик, 1978

მოიყვანეს. სწორედ აქ, 1831-1836 წლებში დაწერა მან ზემოთ აღნიშნული ნაშრომი.

რუსი სამხედრო მოხელეებისგან განსხვავებით, ხან-გირეი ჩერქეზეთის საკითხის მოგვარების საქმეში, მეტი სისხლისღვრის თავიდან აცილების მიზნით, პრიორიტეტს ანიჭებდა სხვადასხვა საშუალებებს, მაგრამ არა ძალისმიერ მეთოდებს. სწორედ ეს აზრი ჰქონდა მას წიგნში გატარებული, რის გამოც მისი ნაშრომი არა თუ დაიბეჭდა, არამედ არც დაუბრუნდა ავტორს. ხელნაწერი მთელი საუკუნის შემდეგ, 1958 წელს იქნა აღმოჩენილი საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო ისტორიულ არქივში.<sup>1</sup>

ადილურ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს და გადმოცემებს ეხება აგრეთვე ხან-გირეის სტატია „ჩერქეზი ხალხების მითოლოგია“,<sup>2</sup> რომელიც მისი გარდაცვალების (1842 წ.) შემდეგ, 1846 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კავკაზ“-ში. მასში ქართველი მკითხველის ყურადღებას უპირველეს ყოვლისა მიიპყრობს გადმოცემა იალბუზის თოვლიან მწვერვალზე მიჯაჭვული ბუმბერაზის შესახებ, რომელიც ამირანის ეპოსის ერთ-ერთი დასავლურ-ჩერქეზული ვარიანტია.

ჩერქეზულ წარმართულ პანთეონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობის ღმერთს, რომელსაც ახინი ეწოდებოდა. მას თავყვანს სცემდნენ შაფსულთა მეზობელი და მონათესავე უბიხებიც. უბიხურ მითოლოგიაში ახინი ადამიანის მფარველიცაა. გარდა ამისა, იგივე ახინი უბიხებს თავიანთ ეთნარქად მიაჩნდათ. ყოველივე ამის გამო, მის პატივსაცემად ყველაზე დიდი დღესასწაული სწორედ უბიხეთში სრულდებოდა, რაც დანვრილებით აქვს აღწერილი ხან-გირეის თავის მორიგ ნაშრომში „ჩერქეზული გადმოცემები“.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> კ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადილების წარმართობა. გვ. 8

<sup>2</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов.

<sup>3</sup> Хан-Гирей. Черкесские предания.

შვეიცარიელმა ფრანგმა, სპეციალობით გეოლოგმა, ნატურალისტიმა და არქეოლოგმა დიუბუა დე მონპერემ 1833 წელს ყირიმსა და კავკასიაში იმოგზაურა, მათ შორის მოიარა ზღვისპირა ჩერქეზეთიც. აქ დაგროვილი მასალების საფუძველზე, 1839-1843 წლებში პარიზში გამოსცა ექვსტომიანი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზებში, აფხაზებში, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთში და ყირიმში“, რომელშიც ცალკე თავი ჩერქეზთა რელიგიას ეხება.<sup>1</sup>

1846 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში გამოქვეყნდა იოანე ხაზროვის სტატია „ქრისტიანობის ნაშთი ყუბანსგალმელ ტომებში, მათი ძველი და თანამედროვე წეს-ჩვეულებები“.<sup>2</sup> ავტორი გრიგორიანელი მღვდელი იყო ეკატერინოდარში. აქ ქრისტიანობას ქადაგებდა და ამ მხარის აღწერასაც ეწეოდა. მან სამჯერ შემოიარა ჩერქეზეთის ის ნაწილი, რომელიც ანაფასა და იალბუზს შორის მდებარეობდა. მისი ცნობები შეკრებილია სხვათა ნაამბობის და რაც მთავარია, ადგილზე უშუალო დაკვირვების შედეგად მიღებული მასალების საფუძველზე. ხაზროვს აღწერილი აქვს მრავალი დღესასწაული და მათ შორის ისეთები, რომლებიც ქრისტიანობის კვალს ატარებდნენ.

გერმანელი მეცნიერი კარლ კოხი თავის ნაშრომში „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში“ ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ჩერქეზთა შორის წარმართობა ძირითადად ზღვისპირეთში მცხოვრებლებში იყო შენარჩუნებული.<sup>3</sup> მისი წიგნი, რომელიც ევროპაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, 1836-1838 და 1843-1844 წლებში რუსეთსა და კავკასიაში მოგზაურობის დროს მის მიერ უშუალოდ შეგროვილი მასალებისა და სხვა ავტორთა ცნობების საფუძველზეა დაწერილი. სხვადასხვა საკითხებთან ერთად აღწერილია, თუ როგორ სრულდებოდა დღესასწაულები ჭექა-ქუხილის, მჭედლობის, მი-

---

<sup>1</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа.

<sup>2</sup> И. Хазровъ. Остатки Христианства...

<sup>3</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. гл. 626

ნათმოქმედების და სხვა ქრისტიანობამდელი ღმერთების პატივსაცემად.

ასევე მნიშვნელოვანია რუსი ოფიცრის, ბარონ სტალის ცნობები ჩერქეზთა სარწმუნოების შესახებ. ის სამი წელი (1846-1848წ.წ.) სწავლობდა მათ ყოფა-ცხოვრებასა და წეს-ჩვეულებებს. მისი ნაშრომი „ჩერქეზი ხალხის ეთნოგრაფიული ნარკვევი“<sup>1</sup> 1852 წელს არის დანერილი. სტალს „ნარკვევის“ შედგენაში ჩერქეზი (ნარმოშობით აბაზეხი) პოდპორუჩიკი ბერსეევი უწევდა დახმარებას.<sup>2</sup>

XIX საუკუნის შუა ხანების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებში ამკარად ჩანს, რომ მრავალი ადიღური რელიგიური რიტუალი ქრისტიანული სიმბოლოს, ჯვრის წინ სრულდებოდა. ერთ-ერთი ავტორი, რომელსაც სანდო ცნობები გააჩნია ჩერქეზეთის და უბიხეთის წმინდა ტყეებში აღმართულ ჯვრებთან შესრულებული დღესასწაულების და საერთოდ აქაური სარწმუნოების შესახებ, არის შავიზღვისპირა სამხედრო ხაზის მეთაური, ვიცე-ადმირალი ლაზარ სერებრიაკოვი.<sup>3</sup>

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აგრეთვე პოლონელი პოლკოვნიკის თეოფილ ლაპინსკის ნაშრომი „კავკასიის მთიელები და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსების წინააღმდეგ“.<sup>4</sup>

ნაშრომი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ავტორი 1857-1859 წლებში ჩერქეზეთის სხვადასხვა მხარეში: შაფსულეთში, აბაზეხეთში, აგრეთვე უბიხეთში ცხოვრობდა და უშუალოდ ნახული აქვს აღწერილი. გარდა იმისა, რომ ლაპინსკი საკუთარი რაზმითურთ თავად იბრძოდა მთიელთა მხარეს, ჩერქეზეთში სამი წლის ცხოვრებამ მას საშუალება მისცა დაწვრილებით აღე-

---

<sup>1</sup> К. Сталь. Этнографический очерк Черкесского народа.

<sup>2</sup> ვ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადიღების ნარმართობა. გვ. 12

<sup>3</sup> Л. Серебряков. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235

<sup>4</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ...

ნერა ეს ქვეყანა, შეესწავლა ადიღური ენა და ახლოს გაცნობოდა მათ კულტურას.

ლაპინსკის ორტომიანი წიგნი ჯერ კიდევ კავკასიის ომის დასრულებამდე გერმანულ ენაზე გამოიცა ქალაქ ჰამბურგში 1863 წელს. ეთნოგრაფიული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია მისი პირველი ნაწილი, რომელშიც აღწერილია დასავლეთ ჩერქეზეთის მთიელების ყოფა-ცხოვრება, წეს-ჩვეულებები, რელიგია, სამართალი და ხალხური გადმოცემები. ამ უკანასკნელთა შორის ინტერესს იწვევს გადმოცემა იალბუზზე მიჯაჭვული მოხუცის შესახებ, რომელიც ამირანის ეპოსის ერთ-ერთ დასავლურ-ჩერქეზულ ვარიანტს წარმოადგენს.

ლაპინსკის ცნობებში კარგად ჩანს აგრეთვე, რომ ჩერქეზთა რელიგიურ წეს-ჩვეულებებში ქრისტიანობის მრავალი ელემენტი იყო შემორჩენილი.

1893 წელს ბოტანიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების მიზნით დასავლეთ ამიერკავკასიაში იმოგზაურა ნიკოლოზ ალბოვმა. მან მუჰაჯირობას გადარჩენილ ჩერქეზთა სოფლებიც მოიარა და ხუთთვიანი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვანი მასალები შეაგროვა მათი რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და გადმოცემების შესახებ.

ალბოვისთვის ცნობილი იყო ლიულეს სტატია „ჩერქეზეზის რწმენა-წარმოდგენები, რელიგიური ჩვეულებები და ცრუმორწმუნეობა“, რომელიც მის მოგზაურობამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე დაიწერა. ჩერქეზები მასაც ზუსტად ისევე აღუწერდნენ წარმართულ რიტუალებს, როგორც თავის დროზე ლიულეს, რაც ნათლად მეტყველებს იმ გარემოებაზე, თუ რა მყარად იცავდნენ ძველ რწმენას ზღვისპირეთში მცხოვრები შაფსულები.

ალბოვმა თავის ნაშრომში „ბოტანიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები დასავლეთ ამიერ კავკასიაში 1893 წელს“,<sup>1</sup> იმ

---

<sup>1</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования...

ნარმართულ რიტუალებსა და გადმოცემებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც ლიულეს აღწერილი არა აქვს.

**XX** საუკუნის ისტორიულ-ეთნოლოგიური ნაშრომებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ლეონიდ ლავროვის – „შავიზღვისპირა შაფსულეთში 1930 წლის ზაფხულში მოგზაურობიდან“,<sup>1</sup> „ადილებისა და ყაბარდოელების მაჰმადიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები“,<sup>2</sup> და „კავკასიის ეთნოგრაფია“,<sup>3</sup> რომლებიც ძირითადად 1930 და აგრეთვე 1956 წლებში ზღვისპირა შაფსულეთში შეკრებილი მასალების საფუძველზეა დაწერილი. **XIX** საუკუნის ავტორთა მსგავსად, ლეონიდ ლავროვი იმ დასკვნამდის მივიდა, რომ ჩერქეზთა შორის მაჰმადიანობამდელი წეს-ჩვეულებები ძირითადად სწორედ შავიზღვისპირეთში მცხოვრებ შაფსულეებში იყო შემორჩენილი, ვიდრე ყუბანისპირა ადილებში, ან ყაბარდოელებში.

ლეონიდ ლავროვის მიერ შაფსულეთში ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად მიღებულმა მასალებმა **XIX** საუკუნის ავტორთა ცნობები მნიშვნელოვნად შეავსო, რითაც შაფსულეების სარწმუნოების შესახებ კიდევ უფრო მკაფიო სურათი ჩამოყალიბდა.

შაფსულეების (აგრეთვე აფხაზების) რელიგიური წეს-ჩვეულებების შესახებ ასეთივე მნიშვნელობა გააჩნია ევგენი შილინგის ნაშრომებს: „ჩერქეზები“<sup>4</sup> და „აფხაზები“.<sup>5</sup> ამ სტატიებში არსებული მდიდარი ეთნოგრაფიული მასალები ავტორმა **XX** საუკუნის 20-იან წლებში ძირითადად შავიზღვისპირა შაფსულეთსა და აფხაზეთში დააგროვა.

1929 წელს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მიზნით შავიზღვისპირა და ყუბანისპირა ჩერქეზებში იმოგზაურა დიდმა

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Из поездки в Черноморскую Шапсутию летом 1930 г.

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев...

<sup>3</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. Ленинград, 1982

<sup>4</sup> **Е. Шиллинг.** Черкесы.

<sup>5</sup> **Е. Шиллинг.** Абхазы.

ქართველმა მეცნიერმა სიმონ ჯანაშიამ. მის ნაშრომში – „ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში“<sup>1</sup> – დაცული მეტად ძვირფასი მასალები კიდევ უფრო ამდიდრებს წინა საუკუნეების, თუ მისივე თანამედროვე ავტორთა ცნობებს შაფსულების სარწმუნოების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისი ჩანაწერებით საშუალება გვეძლევა სწორად და გამართულად გავიგოთ, გავერკვეთ ადიღურ ლექსიკაში და ეს სრულიად ბუნებრივიცაა, ვინაიდან ჩერქეზული თეონიმია და საერთოდ სიტყვები უფრო ზუსტად ქართული ენით გადმოიცემა, ვიდრე უცხოელ ავტორთა მიერ რუსული, ან სხვა რომელიმე ევროპული ტრანსკრიფციით.

\* \* \* \* \*

შაფსულური სამართლის შესახებ არსებული წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ლეონტი ლიულეს ნაშრომები. ჩერქეზთა ჩვეულებით სამართალს უშუალოდ ეხება მისი სტატია „შაფსულებისა და ნათუხაების დაწესებულებანი და ხალხური ჩვეულებები“,<sup>2</sup> რომელშიც დაცულია უძვირფასესი ცნობები მათი სასამართლოებისა და სამართალწარმოების შესახებ.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან, ისევე როგორც მეზობელ ჩერქეზულ კუთხეებში, შაფსულეთშიც, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც იკიდებს ფეხს შარიათის სასამართლო. სადავო საკითხები ძირითადად განიხილებოდა ჩვეულებითი სამართლით (ადათით), იშვიათად მეხქემეთი, შარიათის საფუძველზე. ამ მხრივ ლიულეს ზემოთ აღნიშნული სტატია იმით არის საინტერესო, რომ მასში გადმოცემულია შაფსულთა ძველი, მაჰმადიანობამდელი ჩვეულებითი სამართლის ნორმები. ავტორი აღწერს და ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რო-

---

<sup>1</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. შრომები, IV

<sup>2</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и ...



გორიცაა: მსაჯულთა არჩევის წესი, მათ მიერ სასამართლოს წარმოება, დანაშაულთა სახეები და სასჯელთა ფორმები შაფსულეთში, დაფიცება სასამართლოზე, მესისხლეობა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, გვარის, ან საძმოს წევრთა ურთიერთვალდებულება შურისძიებისას, ან სასამართლოს მიერ დაწესებული საზღაურის გადახდისას და ა.შ.

ლიულეს მორიგ ნაშრომში „ნათუხაების, შაფსულეებისა და აბაზეხების შესახებ“, <sup>1</sup> გადმოცემულია, თუ როგორ ჩამოყალიბდნენ ჩერქეზეთის ახალი ეთნოგრაფიული მხარეები: შაფსულეთი და აბაზეხეთი. გარდა ამისა, ავტორი საუბრობს მათში არსებული თვითმმართველობისა და სამართლებრივი ნორმების შესახებ.

შაფსულურ ჩვეულებით სამართალს ეხება აგრეთვე ლიულეს კიდევ ერთი სტატია „ჩერქეზთა სტუმართმოყვარეობის შესახებ“.<sup>2</sup>

შაფსულურ ადათებთან დაკავშირებით ტებუ დე მარინის წიგნში „მოგზაურობანი ჩერქეზეთში“<sup>3</sup> მრავალი ცნობა მოიპოვება კომპოზიციის სისტემის და სხვა მთელი რიგი სამართლებრივი საკითხების შესახებ. ამ ნაშრომის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასში არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებს ხშირად ეყრდნობოდნენ დიუბუა დე მონპერე, კარლ კოხი და მომდევნო ხანის სხვა ცნობილი მკვლევარები.

გიორგი ნოვიცკი „ადეხე ხალხით დასახლებული მიწა-წყლის გეოგრაფიულ-სტატისტიკურ მიმოხილვა“-ში,<sup>4</sup> ჩერქეზების სარწმუნოების გარდა ასევე აღწერს მათ საზოგადოებრივ წყობას, სახალხო მმართველობის სისტემას, სასამართლოებს და საზღაურთა ფორმებს.

---

<sup>1</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ.

<sup>2</sup> Л. Люлье. О гостеприимстве у Черкесь. – „Кавказъ“, 1859, 22-I, №7

<sup>3</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию.

<sup>4</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., № 24, 25.

ნოვიცკის ცნობების მნიშვნელობა იმ გარემოებით არის განპირობებული, რომ მას ეთნოგრაფიული მასალები ჩერქეზეთში აქვს მოპოვებული (XIX საუკუნის 20-იანი წ.წ.) რომელთა შეკრებაში შაფსული ზემდეგი მოგუჟაროვი ეხმარებოდა.<sup>1</sup>

შაფსულური ჩვეულებითი სამართლის შესწავლისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯეიმს ბელის ნაშრომს – „ჩერქეზეთში 1837, 1838, 1839 წლებში ყოფნის დღიური“.<sup>2</sup>

ბელის ცნობები რელაციური ხასიათისაა. მის სხვადასხვა წერილებში დაცული უძვირფასესი მასალები ავტორმა პირადად ნახულისა და უშუალოდ დაკვირვებების შედეგად ჩაიწერა. ავტორი თავად დასწრებია შაფსულთა არაერთ სასამართლო პროცესს.

ბელი თავის დღიურში განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: სახალხო მმართველობის სისტემა შაფსულეთში, მესისხლეობის გადმონაშთები და სასჯელთა ფორმები. აღწერს შაფსულურ სასამართლოს, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს, მათი არჩევის წესს. აღნიშნავს, რომ სასამართლოს ფუნქციებით ძირითადად აღჭურვილნი იყვნენ მოდავე თემებისგან არჩეული უხუცესები. მათ გარდა რთულ სადავო საკითხებს განიხილავდა სასამართლო „კონგრესი“, რომელიც შაფსულეთის რვავე თემის მოსამართლეებისგან შედგებოდა და უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა.

ბელის ცნობებს კიდევ უფრო ავსებს ლონგვორთის ჩანაწერები. თავის ნაშრომში „წელიწადი ჩერქეზეთა შორის“<sup>3</sup> რომელიც, შეიძლება ითქვას, ბელის „დღიურის“ ერთგვარი გაგრძელებაა, აღწერილია შაფსულური ჩვეულებითი (ადა-

---

<sup>1</sup> კ. ოკუჯავა. შაფსულური ჩვეულებითი სამართალი. გვ. 9

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии ...

<sup>3</sup> Дж. Лонгворт. Год среди Черкесов.

თობრივი) სასამართლო და სასამართლოს მსვლელობა, ქონებრივი საზღაურები და საერთოდ სასჯელთა სახეები.

ჩერქეზულ და კერძოდ შაფსულურ სამართალთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადილე ავტორის, ხან-გირეის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებს. მის ნაშრომში „ჩანანერები ჩერქეზეთის შესახებ“,<sup>1</sup> ჩვეულებითი სამართლის საკითხებს ცალკე თავი აქვს დათმობილი.

1847 წელს გაზეთ „კავკაზ“-ში გამოქვეყნდა ხან-გირეის სტატია „ბესლნი აბატი“,<sup>2</sup> რომელშიც საუბარია XVIII საუკუნის 90-იან წლებში დასავლეთ ჩერქეზეთში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე და ახალი ეთნოგრაფიული კუთხის – შაფსულეთის ჩამოყალიბების თაობაზე. ყურადღება გამახვილებულია იმ ცვლილებებზე, რაც განიცადა შაფსულურმა სამართალმა XVIII საუკუნის დასასრულიდან.

საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია რუსი ოფიცრის ბარონ სტალის ნაშრომი „ჩერქეზი ხალხის ეთნოგრაფიული ნარკვევი“,<sup>3</sup> რომელშიც მთელ რიგ საკითხებთან ერთად აღწერილია მთიელ ჩერქეზთა მმართველობის სისტემა და შუამავალთა მიერ წარმოებული სასამართლო პროცესი.

შაფსულთა საზოგადოებრივი სტრუქტურა, მმართველობის სისტემა და ადათები სათანადოდ აქვს აღწერილი პოლონელ ოფიცერს თეოფილ ლაპინსკის ნაშრომში „კავკასიის მთიელები და მათი განმათავისუფლებელი ბრძოლა რუსების წინააღმდეგ“,<sup>4</sup> სადაც ჩვეულებით სამართალს, ანუ ადილე ხაბზეს დიდი ადგილი აქვს დათმობილი, კერძოდ მეოთხე თავში. ყოველივე ეს და სხვა მნიშვნელოვანი ცნობები მისი

---

<sup>1</sup> Хань-Гирей. Записки о Черкесии. Нальчик, 1978.

<sup>2</sup> Хань-Гирей. Бесльный Абатъ. – Газ. „Кавказ“, 18.Х.1847, №42.

<sup>3</sup> К. Сталь. Этнографический очеркъ Черкесского народа.

<sup>4</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ...

ნიგნის გარდა გადმოცემულია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების მე-12-ე ტომში.<sup>1</sup>

რუსეთის არმიის გენერალი ნიკოლოზ კარლგოფი თექვსმეტი წელი (1845-1861) მსახურობდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. ჩერქეზეთის ისტორიასა და კულტურასთან დაკავშირებით უშუალოდ ადგილზე მოპოვებული მასალების საფუძველზე, 1860 წელს გამოსცა მან ნაშრომი „ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზი ტომების პოლიტიკური წყობის შესახებ“.<sup>2</sup>

კარლგოფი ყურადღებას ამახვილებს XVIII საუკუნის მიწურულს ადიღეში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე და მის შედეგებზე. აღწერს სახალხო კრების მოწვევის წესს, მუშაობის მსვლელობას და საერთოდ მის შემადგენლობას. განიხილავს დანაშაულთა სახეებს და სასჯელთა ფორმებს, რომლებიც ცნობილი იყო შაფსულურ ჩვეულებით სამართალში.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული წყაროებია სწორედ ის ძირითადი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ხდება შაფსულეების სარწმუნოების და სამართლის მეცნიერულ დონეზე შესწავლა. მათი ავტორები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ შაფსულეთსა და მის მეზობელ მხარეებში, ან სხვადასხვა წყაროთა მეშვეობით ბრწყინვალედ იცნობდნენ ჩერქეზეთს, რის გამოც ამ წყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ.

\* \* \* \* \*

გამოყენებული საისტორიო წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის სია სრული სახით მოცემულია ნაშრომის ბოლო გვერდებზე. (იხ. ბიბლიოგრაფია)

---

<sup>1</sup> Записка Лапинского. Акты..., Т. XII, ч. I. გვ. 846

<sup>2</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень...

## თავი II. შაფსულაზი (მოკლე ეთნიური ისტორია)

შაფსულაზი – ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლენი – ეთნო-ლინგვისტური თვალსაზრისით, ისევე როგორც დანარჩენი ჩერქეზები, გაერთიანებულნი არიან იბერიულ-კავკასიური ოჯახის ადიღურ-აბაზური ჯგუფის ადიღურ ქვეჯგუფში.

შაფსულაზი მეტყველებენ შაფსულურ დიალექტზე, რომელიც აბაზეხურის, ბჟედულურის და თემირგოულის გვერდით ადიღური ენის ერთ-ერთი მთავარი დიალექტია.<sup>1</sup>

შაფსულეთის, როგორც დიდი ჩერქეზული კუთხის ჩამოყალიბება XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. მანამდის, XVIII საუკუნის 50-70-იან წლებში, პეისონელის<sup>2</sup> და გიულდენშტედტის<sup>3</sup> ცნობების თანახმად, შაფსულაზი პატარა ტომს წარმოადგენდნენ, ხოლო კიდევ უფრო ადრე, მაგ., ქსავერიო გლავანის<sup>4</sup> 1724 წლით დათარიღებულ „ჩერქეზეთის აღწერა“-ში ისინი საერთოდ არ ფიგურირებენ.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში შაფსულეთში თავად-აზნაურთა წინააღმდეგ აჯანყება მიმდინარეობდა. 1795 თუ 1796 წელს მათ მეზობელი აბაზეხი და სხვა მთიელი თემების დახმარებით თავად-აზნაურთა ხელისუფლება მოიშორეს, რის შემდეგაც მმართველობის სადავეები სახალხო კრების ხელში გადავიდა.<sup>5</sup>

ამიერიდან მოყოლებული შაფსულაზს და აბაზეხებს სა-

---

<sup>1</sup> **З. Керашева.** Особенности Шапсугского диалекта..., გვ. 9

<sup>2</sup> **М. Пейсонель.** Исследование торговли на Черкесско-Абхазском берегу..., გვ. 21

<sup>3</sup> **გიულდენშტედტის** მოგზაურობა საქართველოში. გვ. 211-213

<sup>4</sup> **Ксаверио Главани.** Описание Черкессии ..., გვ. 151-155

<sup>5</sup> **Г. Новицкий.** Географическо-статистическое обозрение..., № 24

ისტორიო წყაროები ჩერქეზთა დემოკრატიულ ტომებს უნოდებდნენ, ვინაიდან მათ სახალხო კრება მართავდა,<sup>1</sup> ხოლო თემირგოებს, ბჟედულებს, ბესლენებსა და სხვებს, რომელთაც ძველებურად თავად-აზნაურობა ედგათ სათავეში, ჩერქეზთა არისტოკრატიულ ტომებში აერთიანებდნენ.

ჩერქეზთა „არისტოკრატიულ“ ტომებში გამწვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობების, მტრის თარეშის, მესისხლეობის და სხვა მიზეზთა გამო, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მთიან, „დემოკრატიულ“ შაფსულეთში და აბაზეხეთში პოულობდა თავშესაფარს.

შაფსულეთ-აბაზეხეთში შემოხიზნული აქ დარჩენის და ცხოვრების უფლებას ითხოვდა, რისთვისაც უნდა დაეფიცა და აელო ვალდებულება, რომ ადგილობრივით მოიქცეოდა. მხოლოდ ამის შემდეგ ის უფლებრივი მდგომარეობით ადგილობრივს უთანაბრდებოდა და თემის მკვიდრი ხდებოდა.<sup>2</sup>

განსაკუთრებით საიმედო თავშესაფარი იყო სამხრეთ შაფსულეთის მაღალმთიანეთი; მდინარე ფსეზუაფეს ზემო წელი და მიმდებარე ხეობები, სადაც თავს აფარებდნენ არა თუ ჩერქეზეთის სხვადასხვა კუთხეებიდან გადმოსულები, არამედ თვით რუსებიც კი.<sup>3</sup>

მოსახლეობის შაფსულეთში გადასვლამ იმხელა მასშტაბი მიიღო, რომ 1827 წელს ადიღე თავად-აზნაურთა კრებამ ანაფაში ჩამოსულ ოსმალო სერასკირს ხიზნების დაბრუნების თაობაზე თხოვნით მიმართა, მაგრამ შაფსულეთთან ურთიერთობის გამწვავების შიშით სერასკირმა მათ დახმარებაზე უარი განუცხადა.<sup>4</sup>

შაფსულეთ-აბაზეხეთის მოსახლეობის ზრდის შესაბამისად იზრდებოდა ამ კუთხეების საზღვრებიც. ყოველივე

---

<sup>1</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абдзехахъ. გვ. 235

<sup>2</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., № 25

<sup>3</sup> П. Невский. Закубанский край в 1864 г. – Кавказъ, 1868, № 97

<sup>4</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абдзехахъ. გვ. 230

ამის შედეგად შაფსულები და აბაზეხები თანდათანობით დიდ ადიღურ ეთნოგრაფიულ ერთეულებად ყალიბდებიან,<sup>1</sup> მით უფრო შაფსულები, რომლებიც უკვე XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ჩერქეზთა შორის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერები იყვნენ.<sup>2</sup>

XIX საუკუნის შუა ხანებში შაფსულები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საკმაოდ ფართო ტერიტორიას მოიცავდა და სამი ნაწილისგან შედგებოდა: ჩრდილო შაფსულები, სამხრეთ შაფსულები და დასავლეთ შაფსულები, ანუ ნათუხაი. ჩრდილო შაფსულები ყუბანისპირეთში მდებარეობდა, ხოლო შავიზღვისპირეთში – სამხრეთ შაფსულები, რომელიც ჩრდილო შაფსულებისგან კავკასიონის ქედით იყო გამოყოფილი. ზღვისპირა შაფსულებს აღმოსავლეთით, მდინარე შახეს გადმოღმა, უბიხეთი ესაზღვრებოდა, ხოლო დასავლეთით, მდინარე ჯუბლას გადაღმა – ნათუხაი. დასავლეთ შაფსულები ზღვისპირეთში მოიცავდა ტერიტორიას მდინარე ჯუბლადან მდინარე ანაფის აუზის ჩათვლით, ხოლო ჩრდილო კავკასიაში ანაფის აუზიდან მოყოლებული მდინარე შებსსამდის. ჩრდილო შაფსულები მოსახლეობდნენ მდინარეებს შებსს, ყუბანსა და ფსეყუფსეს შორის. აღმოსავლეთით მათ აბაზეხები ესაზღვრებოდნენ, დასავლეთით – ნათუხაები.<sup>3</sup>

ამრიგად, ისტორიული შაფსულები მუჰაჯირობის წინა ხანებში ჩერქეზეთის ერთ-ერთ უდიდეს მხარეს წარმოადგენდა მდინარე ანაფის აუზიდან მოყოლებული შავიზღვისპირეთში მდინარე შახემდე, ხოლო ყუბანისპირეთში მდინარე ფსეყუფსემდე.

შაფსულები და ნათუხაები, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ისინი სხვადასხვა ეთნონიმებით მოიხსენიებოდნენ, არსებითად ერთიან ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფს წარმო-

---

<sup>1</sup> В. Гарданов. Общественный строй Адыгских народов..., გვ. 49

<sup>2</sup> Хан-Гирей. Бесльный Абатъ. – Газ. „Кавказ“, 18.Х.1847, №42

<sup>3</sup> К. Сталь. Этнографический очеркъ Черкесского народа. გვ. 94-95

ადგენდნენ, რაც კარგად ჩანს საისტორიო წყაროებში, მაგ., ტორნაუ ანაფასა და მდინარე შახეს შორის მცხოვრებ ჩერქეზებს შაფსულებს უწოდებდა და დასძენდა, რომ ანაფასა და სუჯუკის ყურესთან მცხოვრები ნათუხაები იგივე შაფსულები იყვნენ, რომლებიც ცალკე კავშირს შეადგენდნენ.<sup>1</sup>

ლიულეს სიტყვებით – „სხვადასხვა სახელწოდებებიდან გამომდინარე, ნათუხაი და შაფსული სხვადასხვა ხალხად ითვლება, მაგრამ არსებითად ისინი ერთი ტომია, მეტყველებენ ერთ ენაზე და საკუთარ თავს ალუჭიფსს უწოდებენ“.<sup>2</sup>

ხან-გირეის „ჩანაწერებშიც“ აღნიშნულია, რომ ახლუჭიფსე ნათუხაების და შაფსულების საერთო სახელწოდება იყო.<sup>3</sup>

1929 წელს ს. ჯანაშიას მიერ ადიღებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, რომ შაფსულები და ნათუხაები თავის თავს ალუჭიფსეს უწოდებდნენ.<sup>4</sup>

შაფსულები და ნათუხაები რომ არსებითად ერთი ეთნოგრაფიული ერთეული იყო, ლაპინსკის იმ ცნობითაც მტკიცდება, რომელიც „აქტებშია“ მოცემული. ავტორი უბიხებისა და აბაზეხების დასავლეთით ადიღურ ტომთაგან მხოლოდ შაფსულებს აფიქსირებს, რომლებიც სამ ნაწილად იყოფოდნენ: 1. ნათუხაები – ყუბანის შესართავიდან მდინარე ადაგუმამდე, 2. ყუბანისპირა შაფსულები – ნათუხაებსა და აბაზეხებს შორის, 3. მთიელი შაფსულები – შავიზღვისპირეთში, წემეზსა და უბიხეთს შორის.<sup>5</sup>

ამგვარი ცნობაა დაცული ლაპინსკის ნიგნშიც, რომელშიც ჩერქეზეთის დასავლეთ ნაწილში მხოლოდ სამი მხარეა ფიქსირებული: შაფსულეთი, აბაზეხეთი და უბიხეთი.

---

<sup>1</sup> **Ф. Торнау.** Воспоминания кавказского офицера. Ч. I, გვ. 115

<sup>2</sup> **Л. Люлье.** О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 228

<sup>3</sup> **Хань-Гирей.** Записки о Черкесии. გვ. 203

<sup>4</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 57

<sup>5</sup> **Записка Лапинского.** Акты..., Т. XII, ч. I. გვ. 847



შაფსუღეთს ჩრდილოეთიდან მდინარე ყუბანი საზღვრავს, აღმოსავლეთიდან – აბაზეხეთი, სამხრეთიდან – უბიხეთი, ხოლო დასავლეთიდან შავი ზღვა ეკვრის.<sup>1</sup>

ლაპინსკის ცნობა მასზეც მიუთითებს, რომ შაფსუღეთი მდინარე ანაფის დასავლეთით მდებარე ტერიტორიასაც მოიცავდა ტამანის ნახევარ-კუნძულის ჩათვლით, თუმცა ამ მხარეში ჩერქეზებთან ერთად თათრებიც მოსახლეობდნენ.<sup>2</sup>

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ შაფსუღებსა და ნათუხაებს ერთიანი სახალხო კრება და ერთი საბჭო განაგებდა. ის იყო სწორედ შაფსუღეთის მმართველობის უმაღლესი ორგანო.

შაფსუღეთის სახალხო კრება საჭიროების ჟამს მოიწვეოდა.<sup>3</sup> კრებაზე გასაგზავნად თემი გარკვეული რაოდენობის უფლებამოსილ უხუცესს ირჩევდა, რისთვისაც წინასწარ იკრიბებოდა.<sup>4</sup>

ერთი ხეობა (ან ველი) რამდენიმე გვარის წარმომადგენლით იყო დასახლებული. შესაბამისად, ესა თუ ის გვარი რამდენიმე ხეობაში (ან ველზე) ცხოვრობდა. მთელი კუთხის სახალხო კრებაზე ხეობის (ან ველის) ინტერესები გვარის ინტერესებზე მაღლა იდგა და ამიტომაც თემიდან წარმომადგენლები იგზავნებოდნენ არა გვარების, არამედ ხეობების (ან ველების) მიხედვით.<sup>5</sup>

სახალხო კრება მიმდინარეობდა წმინდა ადგილას, სადაც განიხილებოდა შაფსუღურ თემთა შორის ურთიერთობები, მეზობლებთან ომისა და დაზავების საკითხები, სასამართლო საქმეები და ა.შ.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ., 78

<sup>2</sup> Л. Люлье. Общий взгляд..., გვ. 174

<sup>3</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве..., გვ. 532

<sup>4</sup> Л. Люлье. О Натухажцах, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 236

<sup>5</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве..., გვ. 531

<sup>6</sup> К. Сталь. Этнографический очеркъ Черкесского народа. გვ. 156

კრების დასასრულს, ერთ-ერთი უხუცესთაგანი, ყველაზე უფრო ასაკოვანი და ღირსეული, გადანყვეტილებას ხალხს გააცნობდა. თუ ხალხი გადანყვეტილების მომხრე იყო, თემების მიხედვით ფიცულობდნენ, რომ მას უსიტყვოდ აღასრულებდნენ.<sup>1</sup>

სახალხო კრებებს შორის შაფსულეთს საბჭო განაგებდა, რომელიც მთელი შაფსულეთის სახალხო კრებაზე იქმნებოდა.

ბელის დღიურის მიხედვით შაფსულეთის საბჭოში 16 უხუცესი შედიოდა, ვინაიდან შაფსულეთი რვა თემად იყო დაყოფილი და საბჭოში ყოველი თემიდან ორ-ორი უხუცესი იყო წარმოდგენილი.<sup>2</sup>

ოდნავ განსხვავებულ ცნობას იძლევა ლაპინსკი, რომლის თანახმად შაფსულეთის დიდი საბჭო შედგებოდა 18 პირისგან. შაფსულეები იყოფოდნენ რვა თემად. ყოველი თემი დიდ საბჭოში ორ-ორი უხუცესით, ანუ თჰამადით იყო წარმოდგენილი, ე. ი. სულ 16 პირი, რომელთაც ემატებოდათ ორი ყადი.

ხალხთან შეთანხმების გარეშე შაფსულეთის დიდი საბჭოს გადანყვეტილებებს ძალა აღარ ჰქონდათ. ყოველი თემის ორივე თჰამადა თავიანთი თემების დანარჩენ უხუცესებთან ბჭობდა, ეს უკანასკნელნი კი ხალხთან და მხოლოდ ამის შემდეგ, მიღებული თანხმობის საფუძველზე, დიდი საბჭოს გადანყვეტილებებს კანონის ძალა ენიჭებოდათ.<sup>3</sup>

ცალკეულ შაფსულურ თემს მისივე სახალხო კრება მართავდა. მასში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყოველ წევრს, მხოლოდ თავისუფალი ფენის წარმომადგენელს.<sup>4</sup> ქალი საერთო შეკრებებზე არ დაიშვებოდა. მხოლოდ გაუთხო-

---

<sup>1</sup> К. Сталь. Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 157

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 523

<sup>3</sup> Записка Лапинского. Акты..., Т. XII, ч. I. გვ. 847

<sup>4</sup> К. Сталь. Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 95

ვარს შეეძლო რელიგიურ დღესასწაულში მიეღო მონაწილეობა.<sup>1</sup> თუმცა, დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე, მაგალითად აღდგომას, რომელსაც ისინი თავისებურად ასრულებდნენ, ქალები მამაკაცებთან ერთად ლოცულობდნენ.<sup>2</sup>

სახალხო კრებებს შორის თემს საბჭო განაგებდა. ვინაიდან თემში მრავალი გვარი ერთიანდებოდა, რამდენი გვარიც იყო, თემის საბჭოში იმდენივე უხუცესი შედიოდა. ესე იგი თემის საბჭოში ყოველი გვარი თითო უხუცესით იყო წარმოდგენილი. ეს საბჭო იყო თემის როგორც უმაღლესი მმართველი ორგანო, ასევე უმაღლესი სასამართლო ინსტანცია.<sup>3</sup>

თემში ერთ-ერთი გვარი მთავარი იყო, ხოლო სხვები – მასზე დამოკიდებული.<sup>4</sup>

თემის სათავეში ერთ-ერთი გამოცდილი, ღირსეული და პატიოსანი უხუცესი იდგა, რომელსაც ადიღურად თჰამადა ეწოდებოდა. მას არ გააჩნდა არავითარი განსაზღვრული ხელისუფლება, ის არ ბრძანებდა. მისი მოვალეობა უფრო რჩევა-დარიგების მიცემა იყო.<sup>5</sup> იგივე უხუცესი, ანუ თჰამადა ხელმძღვანელობდა ყოველ დიდ რელიგიურ დღესასწაულს. თვით სიტყვა თჰამადა მომდინარეობს „თჰა“-დან და ნიშნავს ღმერთის ნების აღმსრულებელს, ღმერთის წარმომადგენელს.<sup>6</sup>

შაფსუღეთის მსგავსი მმართველობის სისტემა არსებობდა საქართველოს მთიანეთშიც. მაგალითად, სახალხო კრება განაგებდა ზემო სვანეთს. კრებაზე ენგურის ხეობის ყოველი თემიდან იგზავნებოდა მახვი, ანუ თემის მმართველი, რამდენიმე წარმომადგენელი და განსაკუთრებულ შემთხვევაში კომლზე კაცი. სახალხო კრება არავის წინაშე არ იყო პასუხისმგებელი და კუთხის მმარ-

---

<sup>1</sup> **Л. Серебряковъ.** Записка..., Акты..., т. X, გვ. 234

<sup>2</sup> **Г. Новицкий.** Географическо-статистическое обозрение..., № 23

<sup>3</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа..., გვ., 79

<sup>4</sup> **Н. Карлгофъ.** О политическом устройстве..., გვ. 526

<sup>5</sup> **Л. Люлье.** О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 236

<sup>6</sup> **Б. Бгажноков.** Черкесы (Адыги). გვ. 75

თველობის სისტემაში, აგრეთვე იურიდიულ წეს-წყობილებაში უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენდა.<sup>1</sup>

შაფსუღეთის, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის ჩამოყალიბება ხანგრძლივ და რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ლიუღეს თანახმად, თავდაპირველად მათ წინაპრებს მდინარე ფსეზუაფეს ველი ეკავათ და ხუთი გვარისგან შედგებოდნენ. ესენი იყო: ნადხო, ნეთახო, ქობლე, სხაფეთე, სოთოხ. შემდეგში პირველმა ორმა ნათუხაების, ხოლო დანარჩენმა სამმა გვარმა შაფსუღების ფორმირების პროცესს დაუდო სათავე.<sup>2</sup>

„მოსახლეობის ზრდამ ისინი იძულებული გახადა, მოეძებნათ ახალი მიწები. ნათუხაებმა თანდათანობით ზღვისპირა ველები დაიკავეს, ხოლო შაფსუღები კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე გადავიდნენ“ – აღნიშნავს ლიუღე.<sup>3</sup>

შაფსუღების მიერ მეზობელი მიწების შემოერთების შემდეგ აქ მცხოვრები წვრილ-წვრილი ადიღური ეთნოგრაფიული ჯგუფები მათ შემადგენლობაში შევიდნენ, რის შედეგადაც, როგორც ცალკეული ტომობრივი ერთეულები, ამიერიდან აღარ არსებობენ. შესაბამისად, მათი სახელწოდებები ნათუხაებისა და შაფსუღების ეთნონიმებმა გადაფარეს.

ერთ-ერთი ასეთი ტომი იყო წოფსინი, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარის ნაპირებზე ცხოვრობდა.<sup>4</sup> ისინი სრულიად შეერწყნენ შაფსუღებს.<sup>5</sup>

ტამანში მოსახლეობდა ადიღური ტომი ხეტუკი. იმის გამო, რომ ისინი ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ, თათრებმა ადალე, ე. ი. კუნძულები უწოდეს. გარეშე თავდასხმებისა და შინაომებისგან დასუსტებული ხეტუკები თანდათა-

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე. ჩვეულებრივი უფლება სვანეთში..., გვ. 85

<sup>2</sup> Л. Люлье. О Натухажцах, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 228

<sup>3</sup> Л. Люлье. О Натухажцах, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 230

<sup>4</sup> მდ. წოფსინი შავ ზღვას ჩაერთვის ჯუბლადან დასავლეთით — კ.ო.

<sup>5</sup> Л. Люлье. Общий взглядъ..., გვ. 174, 185

ნობით შაფსულთა შემადგენლობაში მოექცნენ.

შაფსულებს შეერწყნენ აგრეთვე ანაფის მიდამოებში მცხოვრები ხეგაკებიც.<sup>1</sup>

ლოულე შაფსულთა შემადგენლობაში შესულ ტომთა შორის იხსენიებს ფსეზუაფეს<sup>2</sup> ველზე მცხოვრებ ლუაიესაც.<sup>3</sup>

ადილურ ტომებთან (თუ თემებთან) ერთად შაფსულების ჩამოყალიბების პროცესში აბაზებიც იღებდნენ მონაწილეობას.

XIX საუკუნის შუა ხანებისთვის ეთნოგრაფიული საზღვარი აბაზებსა და ჩერქეზებს შორის ზღვისპირეთში მდინარე შახესთან ახლოს, აღმოსავლეთით ჩამავალ მდინარე ბუუზე, იგივე ბუაფეზე გადიოდა, მაშინ როდესაც ამგვარი მიჯნაწინა ასწლეულებში გაცილებით უფრო ჩრდილო-დასავლეთით, მაგალითად, XVII საუკუნის I ნახევარში დაახლოებით ტუაფსესთან იყო.

აბაზეთის საზღვრების ამგვარი შემცირება გამომწვეული იყო ადილური ტომების მონოლით, რის შედეგადაც ადგილობრივი თემების მნიშვნელოვანი ნაწილი მათი გავლენის ქვეშ ექცევა, თანდათანობით კარგავს მშობლიურ ენას და ჩერქეზებში ითქვიფება.

ამდენად, სრულიად საფუძვლიანია ლ. ლავროვის მოსაზრება, რომ ჩერქეზთა მნიშვნელოვანი ნაწილი აბაზების შთამომავლებად უნდა იქნეს აღიარებული.<sup>4</sup>

XVII საუკუნის 40-იან წლებში ოსმალთა მოგზაური ევლია ჩელები მდინარე შახედან დაახლოებით კოდომის კონცხამდე ასახელებს აბაზურ თემებს: უსუფიში, აშლილი, სოუკსუ, ქუთასი. სწორედ ესენი იყვნენ ის აბაზური თემები, რომლებიც გადაადილდნენ და ამდენად, მონაწილეობა მიიღეს

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Общий взглядъ..., გვ. 174

<sup>2</sup> მდ. ფსეზუაფეს შესართავთან მდებარეობს ქალაქი ლაზარევსკოე — კ.ლ.

<sup>3</sup> Л. Люлье. Общий взглядъ..., გვ. 185

<sup>4</sup> Л. Лавров. „Обезы“ русских летописей. გვ. 167

შაფსუღების ფორმირებაში. XIX საუკუნეში აღნიშნული ტერიტორია ზღვისპირა შაფსუღეთის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენდა. ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, ქუთასის თემის ადიღიზაციის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს ევლიას ცნობა, რომ ქუთასებმა ჩერქეზული ენაც იცოდნენ.<sup>1</sup>

სწორედ აბაზური წარმომავლობა იყო იმის მიზეზი, რომ XIX საუკუნეში ჩერქეზულ ტომთა ერთი ნაწილი, კერძოდ თემირგოები, ბესლენები, ყაბარდოელები და სხვანი, თავიანთ თავს ადიღეს უწოდებდნენ, ხოლო დანარჩენებს – შაფსუღებს, აბაზეხებს და ბჟედულებს მოიხსენიებდნენ სახელწოდებით აბაძე-ჩილ, ე. ი. აბაზა-ხალხი.<sup>2</sup>

XIX საუკუნის ავტორთა ნაშრომებში კარგად ჩანს, რომ ადიღური ტომების სახელები მომდინარეობენ ან მათი მამამთავრის, საერთო წინაპრის სახელიდან, ან ისინი იწოდებოდნენ იმ მდინარის სახელის მიხედვით, რომლის ნაპირებზეც (ან ხეობაში) ცხოვრობდნენ.

ხან-გირეის მიხედვით, თავდაპირველად, როდესაც შაფსუღების წინაპრები მთებში ცხოვრობდნენ, შედგებოდნენ ხუთი მოკავშირე გვარისგან. ეს გვარები იყო: ქობლი, სხოფთე, სევოთოხ, ნათხო და ნეთდახო. შემდეგში ქობლის, სხოფთეს და სევოთოხის გვარები დამკვიდრდნენ მდინარე შაფსხოზე. სწორედ მათ დაუდეს სათავე შაფსუღთა ტომს, რომელსაც იმ მდინარის სახელი ეწოდა, სადაც ცხოვრობდნენ. აქედან შაფსუღები თანდათანობით იკავებენ მეზობლად მდებარე ხეობებს, შემდეგ კი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე გადადიან.<sup>3</sup>

ლაპინსკის თანახმად შაფსუღეთი რვა თემისგან შედგებოდა და მათგან ყველაზე დიდს წარმოადგენდა ქობლე.<sup>4</sup>

<sup>1</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნ. I, გვ. 105

<sup>2</sup> Л. Люлье. Общий взгляд..., გვ. 183, 185

<sup>3</sup> Хань-Гирей. Бесльный Абатъ. – *Кавказ*, 18.X.1847, №42

<sup>4</sup> Записка Лапинского. *Акты...*, Т. XII, ч. I. გვ. 847

შაფსულეთში რომ ყველაზე დიდი თემი ქობლე იყო, დასტურდება ლიულეს ცნობითაც.<sup>1</sup>

თუ გავითვალისწინებთ ლიულეს, ხან-გირეის და ლაპინსკის ზემოთ აღნიშნულ ცნობებს, ნათელი ხდება, რომ შაფსულებს სახელი ეწოდათ იმ მდინარის, ე. ი. შაფსხოს სახელის მიხედვით, რომლის ველზეც მოსახლეობდა შაფსულეთა ყველაზე დიდი თემი ქობლე.

აღსანიშნავია, რომ ქობლე ისტორიული შაფსულეთის ტერიტორიაზე XX საუკუნის დასასრულისთვისაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული გვარი იყო.<sup>2</sup>

ამრიგად, ეთნონიმი შაფსული მდინარის სახელწოდებიდან მომდინარეობს. იგივე მდინარე ლიულეს ერთ-ერთ ნაშრომში მოხსენიებულია ფორმით შაფსუხო<sup>3</sup> და აღნიშნულია მდინარე ნიგეფსუხოსგან, ქართული საისტორიო წყაროების ნიკოფსიისგან დასავლეთით.

თვით მდინარის სახელწოდება შაფსხუა, როგორც აქვს ეს ფიქსირებული სიმონ ჯანაშიას შავიზღვისპირა შაფსულეთში მოგზაურობისას, სამ მდინარეს ნიშნავს, ვინაიდან ის სამი მდინარის შერწყმის შედეგად არის წარმოქმნილი.<sup>4</sup>

ლიულეს და ხან-გირეის მიხედვით, თუ თავდაპირველად შაფსულები ხუთი თემისგან შედგებოდნენ, შემდეგში მათ კიდევ სამი თემი დაემატათ: ლუაია, გოაგო და ემისი. ამათგან ლუაია და გოაგო ლიულეს ნაშრომშიც არიან ფიქსირებულნი,<sup>5</sup> ხოლო ემისის თემს იხსენიებს ლაპინსკი.<sup>6</sup>

აღსანიშნავია, რომ ლიულე შაფსულურ თემებს ლუაიას და გოაგოს წარმომავლობის თვალსაზრისით განასხვავებს ერთმანეთისგან. თუ ლუაია შაფსულეთის მკვიდრი თემი იყო,

---

<sup>1</sup> **Л. Люлье.** О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 232

<sup>2</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 53

<sup>3</sup> **Л. Люлье.** Общий взглядъ..., გვ. 179

<sup>4</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 124

<sup>5</sup> **Л. Люлье.** О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 232

<sup>6</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа..., გვ. 79

მისგან განსხვავებით გოაგოს გვარი წარმოშობით ადიღურ ტომს, ხატუკაის ეკუთვნოდა და იქ გამწვავებული საზოგადოებრივი ურთიერთობების შედეგად თავს შაფსულეთს აფარებს, სადაც შემდეგში ცალკე თემად ჩამოყალიბდა.<sup>1</sup>

ჩერქეზეთის ახალი ეთნოგრაფიული ერთეულის – შაფსულეთის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს სტალის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი ხალხური გადმოცემა, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: ჩერქეზ თავადთა ლეგენდარულ წინაპარს, ინალს ოთხი შვილი ჰყავდა: თემრიუკი, ბესლან, ზანოყო და ყაპარტ. მათგან წარმოიშვა ხალხის სახელები: თემირგოი, ბესლენი, ყაბარდო. მხოლოდ შაფსულეთში არ მიიღეს მათი გამგებლის, ზანოყოს სახელი. თემრიუკის მემკვიდრე თავადები თემირგოის მართავენ, ყაპარტასი – ყაბარდოს, ბესლანისა – ბესლენებს. ზანოყოს შთამომავალთა ხელისუფლება შაფსულეთში შეწყდა, მაგრამ ეს გვარი ახლაც არსებობს მათში და დიდ პატივს სცემენ.<sup>2</sup>

სტალის მიერ ჩაწერილი გადმოცემა კარგად ასახავს, XVIII საუკუნის 90-იანი წლების მოვლენებს, როდესაც ზანოყოებმა და სხვა ძლიერმა თავადებმა დაკარგეს ძველი მნიშვნელობა. ამიერიდან ეს ხალხი, რომელიც მანამდის მმართველი თავადური გვარის, ზანოყოების მიხედვით, ჟანას ჩერქეზებად ან ჟანებად მოიხსენიებოდნენ, ადიღთა და მათ მეზობელთა შორის იწოდება იმ მდინარის (ე. ი. შაფსულოს) სახელის მიხედვით, რომლის ველზეც მოსახლეობდა მათი ყველაზე დიდი თემი ქობლე.

საისტორიო წყაროებში შაფსულეთის რაოდენობის შესახებ რამდენიმე ცნობა მოგვეპოვება.

ნოვიცკის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, XIX საუკუნის 20-იან წლებში ზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზები შეადგენდნენ 62400 სულს. კერძოდ, ავტორი ზღვისპირა

<sup>1</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 229

<sup>2</sup> К. Сталь. Этнографический очеркъ Черкесского народа, გვ. 67



ადილთაგან აღნიშნავს ნათუხაებსა და გუაიეს. ამათგან, ნათუხაებში 7500 ოჯახი, 60000 სული ცხოვრობდა, ხოლო გუაიეში – 300 ოჯახი, 2400 სული. შაფსულები მას მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ჰყავს ფიქსირებული, რომელთა რაოდენობა 7000 ოჯახს, 56000 სულს შეადგენდა.<sup>1</sup> ე. ი. სულ შაფსულები ამ მონაცემებით XIX საუკუნის 20-იან წლებში 118400 სულს შეადგენდნენ.

ტორნაუს თანახმად, 1835 წლისთვის შაფსულები ნათუხაებთან ერთად 300000 სულამდე უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

სტალის მიხედვით, XIX საუკუნის შუახანებში ზღვისპირა შაფსულებში 15000 ოჯახი, 60000-მდე სული ცხოვრობდა, ხოლო ჩრდილო შაფსულებში – 25000 ოჯახი, 100000 სული. ნათუხაები კი 5000 ოჯახს, 20000 სულს შეადგენდნენ.<sup>3</sup> ე. ი. სულ 180000 სული.

ლაპინსკის ჩანაწერით, 1859 წლისთვის შაფსულები 24000 კომლს შეადგენდნენ. ამათგან ზღვისპირეთში, გელენჯიკსა და უბიხეთს შორის, 8900 კომლი ცხოვრობდა.<sup>4</sup> ამავე ავტორის ცნობით, სულ შაფსულთა რაოდენობა 469200 სულს შეადგენდა.<sup>5</sup>

ბუნებრივია, საისტორიო წყაროების სიმწირის გამო შაფსულების ზუსტი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. თუმცა აშკარაა ის, რომ XIX საუკუნეში ისინი ადილთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი და ძლიერები იყვნენ, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შავიზღვისპირეთში ცხოვრობდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შაფსულები უბიხეთშიც მოსახლეობდნენ. სწორედ ამის გამო ზოგიერთ საისტორიო წყაროში ჩერქეზეთის და უბიხეთის საზ-

---

<sup>1</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение ..., №22

<sup>2</sup> Ф. Торнау. Воспоминания кавказского офицера, ч. I, გვ. 115

<sup>3</sup> К. Сталь. Этнографический очеркъ Черкесского народа, გვ. 94-95

<sup>4</sup> Записка Лапинского. Акты..., Т. XII, ч. I. გვ. 849.

<sup>5</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ..., გვ. 80

ღვრად აღნიშნულია არა მდინარე შახე, არამედ მისგან აღმოსავლეთით ჩამავალი მდინარე ბუაფე,<sup>1</sup> ან კიდევ მდინარე ვარდანე.<sup>2</sup>

XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები ხდება. ოსმალეთის ვასალის, ყირიმის სახანოს დაპყრობის (1783 წ.) შემდეგ რუსეთი ჩერქეზეთს დასავლეთიდანაც გაუმეზობლდა. ამიერიდან ოსმალეთი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ისლამის და თავისი გავლენის გავრცელებას ანაფიდან ცდილობს. ამ მიზნით ანაფის ფაშამ 1826 წელს, თუ მის ახლო ხანებში ორჯერ ილაშქრა შაფსულეთში, მაგრამ ორივეჯერ, ჯერ მდინარე მესკაგეს, ხოლო შემდეგ მდინარე ფსეზეფსის ნაპირებთან სასტიკად დამარცხდა.<sup>3</sup>

1829 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის ადრიანოპოლში დადებული საზავო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლის თანახმად, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი იურიდიულად რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა. სწორედ ამის შემდეგ რუსეთი იწყებს ბრძოლას უშუალოდ დასავლეთ კავკასიის დასაპყრობად.<sup>4</sup>

რუსეთის მიერ დასავლეთ ჩერქეზეთის დასაპყრობად წარმოებული ბრძოლების ისტორიაში მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 1837-1839 წლებიდან, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შეიქმნა სამხედრო ხაზის ერთიანი სისტემა გენერალ ნ. რაევსკის მეთაურობით. 1837 წელს აგებულ იქნა ციხე-სიმაგრეები: ნოვოტროიცკოე (მდინარე ფშადზე) მიხაილოვსკოე (მდინარე ვულანზე) სვიატოი დუხ (მზიმთის შესართავთან) 1838 წელს: ნოვოროსიისკი (მდინარე ნემეზზე) ველიამინოვსკოე (მდინარე ტუაფსეს შესარ-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Общий взглядъ..., გვ. 179

<sup>2</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 82

<sup>3</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 234

<sup>4</sup> Г. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 60

თავთან) ნავაგინსკოე (მდინარე სოჩზე) 1839წელს: ლაზარევსკი (მდინარე ფსეზუაფეს შესართავთან) და გოლოვინსკი (მდინარე შახეს შესართავთან)<sup>1</sup> მათი შექმნით რუსეთმა დასავლეთ კავკასიის მთიელებს ერთი მხრივ ოსმალეთთან დაკავშირების, მეორე მხრივ ზამთრის საძოვრების გამოყენების საშუალება მოუხსპო.<sup>2</sup>

ამიერიდან იწყება ჩერქეზთა მცირე თუ დიდი ლაშქრობები სანაპიროზე არსებულ რუსულ გარნიზონებზე. 1840 წლის თებერვალში შაფსულებმა და უბიხებმა დაიკავეს გოლოვინსკის, ლაზარევსკოეს, ველიამინოვსკოეს და მიხაილოვსკოეს ციხე-სიმაგრეები. შაფსუღეთის სანაპიროს დიდი ნაწილი რუსეთმა არსებითად დაკარგა. მისი უკან დაბრუნება იმპერიამ მხოლოდ სამი თვის შემდეგ, მაისში მოახერხა.<sup>3</sup>

დამარცხების მიუხედავად შაფსულები და უბიხები კვლავ განაგრძობდნენ ბრძოლას, რომელიც კიდევ უფრო აქტიური გახდა 40-იანი წლების შუახანებიდან. მათ კარგად გამოიყენეს აღმოსავლეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება, კერძოდ რუსეთის გართულებული მდგომარეობა ჩეჩნეთსა და ლეკეთში შამილის გამარჯვებების გამო და გააძლიერეს თავდასხმები რუსულ გარნიზონებზე. რუსეთი იძულებული გახდა სანაპირო ხაზის დაცვით დაკმაყოფილებულიყო.<sup>4</sup>

ამგვარ ვითარებაში, 1848 წლის დასასრულს, შამილმა ჩერქეზეთის ნაიბად დანიშნა მუჰამედ ემინი, რომელმაც თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა ყუბანისპირეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამის შემდეგ, 1850 წელს ის იწყებს შავიზღვისპირა შაფსუღეთის და უბიხეთის შემოერთებას, მაგრამ მისივე სრულიად უგუნური პოლიტიკის წყალობით ეს მან ვერ მოახერხა. შაფსულებთან საერთო ენის გამონახ-

---

<sup>1</sup> **А. Фадеев.** Убыхи в освободительном движении на западном Кавказе. გვ. 144

<sup>2</sup> **Г. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 63

<sup>3</sup> **А. Фадеев.** Убыхи в освободительном движении на западном Кавказе. გვ. 150

<sup>4</sup> **А. Фадеев.** Убыхи в освободительном движении на западном Кавказе. გვ. 166

ვის ნაცვლად ნაიბმა მათი სალოცავების, ანუ წმინდა ტყეებში არსებული ჯვრების განადგურება და მეჩეთების აგება დაიწყო, რასაც აჯანყება მოყვა. აჯანყებულებმა შაფსულეთსა და უბიხეთში მეჩეთები დაანგრიეს და წმინდა ტყეებში კვლავ ჯვრები აღმართეს.<sup>1</sup>

შაფსულეებში XX საუკუნის შუახანებამდის იყო შემორჩენილი გადმოცემა, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ აპირებდნენ მუხამედ ემინის მოკვლას, მაგრამ ნაიბს მოუხერხებია თავის დაძვრენა.<sup>2</sup>

მუჰამედ ემინმა ვერც ყუბანისპირეთში შეძლო მტკიცედ დამკვიდრება. მისი სამხედრო-თეოკრატიული რეჟიმით უკმაყოფილო ადიღური ტომები მას განუდგნენ და 1852 წელს ნაიბი იძულებული გახდა თავი უბიხეთისთვის შეეფარებინა.<sup>3</sup>

ამგვარად დაქსაქსულნი შეხვდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელები ყირიმის ომს (1853-1856 წ.წ.) მუჰამედ ემინის გაუაზრებელი პოლიტიკის წყალობით მათ სრულებით ვერ გამოიყენეს ხელსაყრელი საგარეო სიტუაცია. ერთადერთი, რასაც შაფსულეებმა და უბიხებმა თავიანთი ბრძოლით მიაღწიეს იყო ის, რომ ყირიმის ომის დაწყების შემდეგ რუსეთი იძულებული გახდა ორმაგი დარტყმის (ხმელეთიდან მთიელები, ხოლო ზღვიდან ინგლისურ-ფრანგული ფლოტი) საშიშროების ქვეშ მყოფი ჯარები ჩერქეზეთის სანაპიროს დიდი ნაწილიდან დროებით გაეყვანა.<sup>4</sup>

მუჰამედ ემინი, რომელმაც არსებითად ჩერქეზეთში ხელისუფლება დაკარგა, მოგვიანებით, 1856 წელს დახმარების სათხოვნელად ოსმალეთში გაემგზავრა. უკან დაბრუნებული ნაიბი 1857 წლის იანვარში კვლავ დამარცხდა შაფსულ-

---

<sup>1</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235, 236, 237

<sup>2</sup> Л. Лавров. Этнография Кавказа. გვ. 171

<sup>3</sup> Г. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 91

<sup>4</sup> В. Ворошилов. История Убыхов. გვ. 290

ლეთში, ამჯერად საფარ ბეის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ასევე ოსმალეთის მხარდაჭერით დასავლეთ კავკასიის გაერთიანებაზე აცხადებდა პრეტენზიას.<sup>1</sup>

ყირიმის ომის დასრულების (1856 წ.) შემდეგ რუსეთს საშუალება მიეცა დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებები უფრო აქტიურად ეწარმოებინა. 1857 წლის ივნისში გელენჯიკთან, ხოლო იმავე წლის სექტემბერში ტუაფსესთან რუსეთის ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს საფარ ბეის და მისი მოკავშირე თურქულ-ევროპული რაზმები.<sup>2</sup>

ვინაიდან პარიზის ხელშეკრულებით რუსეთს აეკრძალა შავ ზღვაზე ფლოტის, ხოლო მის სანაპიროზე ციხე-სიმაგრეთა აგება, მას არ შეეძლო ჩერქეზეთზე სამხრეთიდან ფართო მასშტაბიანი შეტევა განეხორციელებინა, ამიტომ ზღვისპირეთში ჯერ გამაგრებულ იქნა ანაფის, ნოვოროსიისკის, გაგრის და სოხუმის ციხეები, შემდეგ კი დაიწყო დასავლეთ კავკასიის მთიელებზე მასიური შეტევა ყუბანისპირეთის მხრიდან. თანადროულად მიმდინარეობდა წვრილ-წვრილი სადესანტო იერიშები ზღვიდანაც.<sup>3</sup>

1859 წელს რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები შეწყვიტეს ყველაზე უფრო მსხვილმა ჩერქეზულმა „არისტოკრატიულმა“ ტომებმა: ბჟედულებმა მაისში, ხოლო თემირგოებმა და ბესლენებმა ივლისში.

თავისუფალი ჩერქეზული ტომების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა 1859 წლის აგვისტოში შამილის დამარცხების და მუჰამედ ემინის ტყვედ ჩაბარების შემდეგ, როდესაც რუსეთმა სამხედრო ძალების დიდი ნაწილი ჩრნეთ-ინგუშეთიდან და ლეკეთიდან დასავლეთ კავკასიაში გადაიყვანა. 1860 წლის იანვარში რუსეთის ჯარებმა დასავლეთ

---

<sup>1</sup> В. Ворошилов. История Убыхов. გვ. 292

<sup>2</sup> В. Ворошилов. История Убыхов. გვ. 294

<sup>3</sup> А. Берже. Выселение горцев с Кавказа. გვ. 340

შაფსუღეთის (ნათუხაის) მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა.<sup>1</sup>

1863 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარებმა აბაზეხეთი და შაფსუღეთის ძირითადი ნაწილი დაიპყრეს, კერძოდ ჩრდილო შაფსუღეთი, ნათუხაი და ზღვისპირა შაფსუღეთი ვიდრე მდინარე ტუაფსემდე.<sup>2</sup>

1864 წლის 16 მარტს რუსეთის ჯარებმა ლაზარევსკოეს და გოლოვინსკის ფორტები დაიკავეს, რითაც შაფსუღეთში საომარი მოქმედებები დასრულდა.<sup>3</sup>

1864 წლის 18 მარტს გოიდლკიხის ბრძოლაში უბიხებიც დამარცხდნენ. 24 მარტს მათაც შეწყვიტეს წინააღმდეგობა. მომდევნო დღეს რუსები უბრძოლველად გადავიდნენ სოჩის ველზე და მთელი უბიხეთი დაიკავეს.<sup>4</sup>

შაფსუღეთის და უბიხეთის დამორჩილების შემდეგ რუსეთის იმპერიამ ზღვისპირა აბაზეთის (საძეთის) დაპყრობას იწყებს. 1864 წლის 21 მაისს, წარმატებით განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ, რუსეთის ჯარებმა ზედა საძეთის სოფელ გუბაადეში, კავკასიის მეფისნაცვლის თანდასწრებით კავკასიის ომის დასრულების აღსანიშნავად დღესასწაული გამართეს.<sup>5</sup>

ომში გამარჯვების შემდეგ რუსეთის იმპერიამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელთა ძირითადი ნაწილი ოსმალეთში გადაასახლა. ბუნებრივია, რთულია გაირკვეს გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობა. ერთ-ერთი ცნობით, მარტო 1864 წლის გაზაფხულზე შაფსუღეთის ნავსადგურებიდან 80 ათასამდე ჩერქეზი გადასახლდა.<sup>6</sup> ფაქტია მხოლოდ

---

<sup>1</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 295-296

<sup>2</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 301-302

<sup>3</sup> **А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. გვ. 351

<sup>4</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 319

<sup>5</sup> **Г. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии..., გვ. 194

<sup>6</sup> **К. Подозерский.** По Чёрноморской губернии. გვ. 193

ის, რომ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ტამანის ნახევარკუნძულიდან იალბუზის მთამდის (იმიერ კავკასიაში) და გაგრის ქედამდის (ზღვისპირეთში) მკვიდრი მოსახლეობისგან არსებითად დაიცალა, ხოლო ჯიქეთ-ჩერქეზეთის მხარეები: შაფსულეთი, უბიხეთი და საძეთი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოგრაფიული რუკიდან საერთოდ გაქრნენ.

მუჰაჯირობით რუსეთის იმპერია დიდად იყო დაინტერესებული. მან თავიდან მოიშორა თუმცა დამარცხებული, მაგრამ მაინც არასასურველი მოსახლეობა და სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი რეგიონი საკოლონიზაციოდ მოამზადა.

მუჰაჯირობით დაინტერესებული იყო ოსმალეთიც, ვინაიდან რუსეთთან მომავალი ომისთვის მზადების პირობებში გადასახლებულ მთიელებში მნიშვნელოვან სამხედრო ძალას ხედავდა.

გადასახლების პროცესი 1857 წლის შემდეგ დაიწყო, როდესაც რუსეთის ჯარები გადამწყვეტ ბრძოლებს იწყებენ დასავლეთ კავკასიის დასაპყრობად. 1862 წლის 10 მაისს რუსეთის მთავრობამ მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება მთიელთა სამშობლოდან აყრის<sup>1</sup> და ყუბანისპირეთში ჩასახლების,<sup>2</sup> ან ოსმალეთში გადასახლების შესახებ, რის თაობაზეც ოტომანთა იმპერიისგან თანხმობა მიიღო. 1864 წელს მუჰაჯირობის პროცესმა პიკს მიაღწია.<sup>3</sup>

მოსახლეობის რუსეთის იმპერიის საზღვრებიდან ოსმალეთში გადაყვანა ზღვიით იყო დაგეგმილი, მაგრამ ამ ორმა სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მუჰაჯირთა ნორმალური ტრანსპორტირება. შიმშილობის და ავადმყოფობის შედეგად მათი დიდი ნაწილი ან კავკასიის ზღვისპირეთში დაიხოცა, ან

---

<sup>1</sup> **А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. გვ. 346

<sup>2</sup> **А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. გვ. 349

<sup>3</sup> **А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. გვ. 344

ზღვაზე მგზავრობისას, ან კიდევ თურქეთის სანაპიროზე, სანამ მათი დაბინავება მოხდებოდა.<sup>1</sup>

„7 წელიწადი ეყარა ადამიანის ძვლები ზღვის ნაპირას. მამაკაცის წვერისა და ქალების თმისგან ყვავები ბუდეს იკეთებდნენ. 7 წელი ზღვა ადამიანის თავის ქალას საზამთროსავით ისროდა ნაპირზე“.<sup>2</sup> – ამგვარად იხსენებდა 91 წლის ტუაფსელი შაფსული მუჰაჯირობის ამბებს 1929 წელს ს. ჯანაშიასთან შეხვედრისას, ხოლო ყუბანისპირა მოხუცი შაფსულის ნაამბობით, ზღვაზე დაღუპული მუჰაჯირების გამო სოჩის ჩერქეზები თევზს არ ჭამდნენ და ჭურჭელსაც არ ათხოვებდნენ თევზის მოსახარშად.<sup>3</sup>

კავკასიის ომის დასრულებიდან სამი თვის შემდეგ, 1864 წლის ავისტოში რუსეთის ჯარებს კვლავ მოუხდათ ლაშქრობა სამხრეთ შაფსულეთში, ჰაკუცების წინააღმდეგ. ჰაკუცები უბიხების მეზობლად ცხოვრობდნენ, მდინარეების ფსეზუაფეს და აშეს ზემო წელებზე და მიმდებარე ხეობებში. ისინი კარგად იყენებდნენ ბუნებრივ პირობებს და მაღალმთიან, მიუვალ ადგილებში მტერს წვრილ-წვრილ ჯგუფებად ჩასაფრებულები ებრძოდნენ. გამარჯვების მიუხედავად რუსებმა აქ ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს, ჰაკუცები განაგრძობდნენ ბრძოლებს.<sup>4</sup>

მომდევნო წელს რუსეთის ჯარებმა კვლავ განახლეს საომარი მოქმედებები, რომელიც 1865 წლის 10 აპრილს დაიწყო<sup>5</sup> და იმავე წლის 21 ივლისამდე გრძელდებოდა. მისი მიზანი იყო მკვიდრი მოსახლეობის სრულიად აყრა და ოსმალეთში, ან ყუბანის ველზე გადასახლება. სამთვიანი ლაშ-

---

<sup>1</sup> **А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. გვ. 352-363

<sup>2</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 124

<sup>3</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 72

<sup>4</sup> **П. Невский.** Закубанский край в 1864 г. – Кавказь, 1868, № 97

<sup>5</sup> **А. Ржондковский.** Экспедиция в Хакучи 1865 г. - Кавказь, 1867, № 89



ქრობის შედეგად ჩერქეზეთის ეს მხარეც დაცარიელდა. 22 ივლისს კიდევ სამასამდე შაფსული (ჰაკუცი) გადაასახლეს ოსმალეთში,<sup>1</sup> თუმცა მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა მაინც მოახერხა თავის გადარჩენა. ურთულესი ბუნებრივი პირობების გამო რუსეთის ჯარებმა ვერ შეძლო კავკასიონის მაღალ ქედებს შეფარებული შაფსულების სრულიად გადასახლება.<sup>2</sup>

ომის დასრულების შემდეგ ზღვისპირა ჩერქეზეთი გაუკაცრიელდა. სანაპიროზე და ზოგიერთი მდინარის ველზე რამდენიმე რუსული სამხედრო საგუშაგო მოქმედებდა. მხოლოდ მთებში იმალებოდა ჩერქეზთა უმნიშვნელო ნაწილი, რომლებმაც არც ოსმალეთში და არც ყუბანის ველზე გადასახლება არ ისურვეს.

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია რუსეთის მთავრობამ ომის დასრულებისთანავე დაიწყო. 1865 წელს სოფელ კაბარდინკაში ანატოლიიდან გადმოსახლებული ბერძნების 57 ოჯახი ჩაასახლეს, ხოლო მომდევნო წელს ოსმალეთიდან გადმოსული სომხების 100 ოჯახი ტენგინსკოეში დასახლდა.<sup>3</sup> 1869 წლიდან აქ გადამდგარი ჯარისკაცების, მატროსების და კაზაკების ჩასახლება იწყება.<sup>4</sup>

რუსეთის მთავრობა ოსმალთა მესაზღვრეებთან ერთად ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ არ დაეშვა გაუსაძლის პირობებში მყოფი მუჰაჯირების უკან დაბრუნება. ამისდა მიუხედავად, მთიელთა ნაწილმა ოსმალთა მეხოხალდენი მოისყიდა და სანაპიროზე არსებული კაზაკთა საგუშაგოების გვერდის ავლით მთის ხეობებს შეაფარა თავი. შაფსულთა ერთ-ერთი ასეთი ჯგუფი, ოცამდე ოჯახი, როგორც მათივე შთამომავ-

---

<sup>1</sup> **А. Ржондковский.** Экспедиция в Хакучи 1865 г. - Кавказь, 1867, № 99

<sup>2</sup> **А. Ржондковский.** Экспедиция в Хакучи 1865 г. - Кавказь, 1867, № 98

<sup>3</sup> **К. Подозерский.** По Чёрноморской губернии. გვ. 190-191

<sup>4</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 344

ლების ნაამბობიდან ირკვევა, სოხუმთან გადმოსხდა, ზღვის სანაპიროს გაყოლებით მშობლიურ ადგილამდე, შახეს ხეობამდე მიაღწია და დასახლდა კიჩმაიში, სადაც მანამდის ცხოვრობდნენ.<sup>1</sup>

1872 წელს ზღვისპირეთში დასახლების უფლება მშობლიური მიწებიდან აყრილ შაფსულების მცირე ნაწილსაც მისცეს.<sup>2</sup> აქვე სახლდებიან კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან გადმოსული შაფსულებიც.<sup>3</sup>

უკან დაბრუნებულ შაფსულებს თავიანთ მიწა-წყალზე თანამემამულენიც დახვდნენ. ესენი ძირითადად სწორედ ის ჰაკუცები იყვნენ, რომელთა მცირე ნაწილმა 1865 წელს რუსეთის ჯარის ლაშქრობის მიუხედავად, მთებში უძველეს ქვაბულებს შეაფარეს თავი და აქედან ესხმოდნენ მიმდებარე მხარეებში დაბანაკებულ მტერს.<sup>4</sup> განსაკუთრებით საიმედო იყო მდინარე შახეს ზემო წელის და მისი შენაკადის, ბზიჩის ერთობ ვიწრო და ტყით დაფარული ხეობები, სადაც ჩერქეზები XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულამდის იმალებოდნენ და იმდენად უშიშრად გრძნობდნენ თავს, რომ დროდადრო სოჩაში დაბანაკებულ კაზაკებს ცხენებს პარავდნენ.<sup>5</sup>

XIX საუკუნის 70-80-იან წლებში რუსეთის იმპერია სამხრეთ შაფსულებში კვლავ ასახლებს ოსმალეთიდან დევნილ ქრისტიან ბერძნებსა და სომხებს. ამ პროცესმა ინტენსიური ხასიათი პირველი მსოფლიო ომის წლებში მიიღო.<sup>6</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ორ იმპერიას შორის მოხდა მოსახლეობის ერთგვარი გადაცვლა. მაჰმადიანი კავკასიელი

---

<sup>1</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 338

<sup>2</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 111

<sup>3</sup> **А. Верещагин.** Путевые заметки по Чёрноморскому округу. გვ. 78

<sup>4</sup> **Ф. Байернъ.** О древних сооружениях на Кавказе. გვ. 317

<sup>5</sup> **А. Верещагин.** Путевые заметки по Чёрноморскому округу. გვ. 96

<sup>6</sup> **В. Ворошилов.** История Убыхов. გვ. 346

მთიელები ოსმალეთში გადაასახლეს, ხოლო იქიდან ქრისტიანი ბერძნები და სომხები ჩამოსახლეს, რომელთა გარკვეული ნაწილი შაფსულეთში ჩაასახლეს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ზღვისპირეთში მცხოვრები შაფსულები არსებითად არც კი იყვნენ მაჰმადიანები. ისინი უფრო წარმართები იყვნენ, რომლებშიც ქრისტიანობის ელემენტები საკმაოდ იყო შემორჩენილი.

1893 წელს, ამიერ კავკასიის დასავლეთ ნაწილში ბოტანიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევების მიზნით მოგზაურობისას ნ. ალბოვმა ზღვისპირა შაფსულეთიც მოიარა. „ჩერქეზები, ვისთანაც მე ვიყავი – წერს მკვლევარი – მიეკუთვნებიან შაფსულებს, კერძოდ ხაკუჩებს. თავდაპირველად ცხოვრობდნენ მდინარე ხაკუჩის სანაპიროს ზემო ნელზე. ეს მცირერიცხოვანი ხალხი ყველაზე მეტად ერთგული აღმოჩნდა თავისი სამშობლოსი. დამპყრობელს დიდი ძალისხმევა მოუხდა, სანამ ხაკუჩებს აყრიდნენ მათი ბუდიდან, შავი ზღვის პირას მდებარე მთების მიუვალი ხეობებიდან. ისინი უკანასკნელნი წავიდნენ თურქეთში. ის ხაკუჩები, რომელთაც მე მოვუსწარი მდინარე შახეს ხეობაში, ამ ხალხის უკანასკნელი მოჰიკანებია. ისინი დარჩნენ სულ რაღაც 110 კომლი. ამათგან 40 კომლი ამჟამად ცხოვრობს მდინარე შახეს ნაპირას მდებარე სოფელ კიჩმაიში. დანარჩენი 70 კომლი მოსახლეობს მდინარე აშეს ზემო ნელზე, სოფელ ალექსანდროვსკოეში. მანამდე ისინი ადღერთანაც ცხოვრობდნენ და არც თუ ისე დიდი ხნის წინათ აქეთ გადმოსახლდნენ.<sup>1</sup> ეს ხალხი საკმაოდ სიმპატიურია: თბილი, ალერსიანი, თუმცა ამასთან ერთად ხელმოჭერილი და ეშმაკი. აფხაზთა საპირისპიროდ ხაკუჩები ძალიან ჩუმი და თავშეკავებულნი არიან. ყოველი შემთვევისათ-

---

<sup>1</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования..., გვ. 138

ვის ისინი აფხაზებზე უფრო ჭკვიანი, პრაქტიკული და კულტურულნი არიან“.<sup>1</sup>

XIX საუკუნის მიწურულს შავიზღვისპირეთში, კერძოდ მდინარეებს სოჩასა და ტუაფსეს შორის მდებარე ტერიტორიაზე 1938 სული შაფსული ცხოვრობდა,<sup>2</sup> ხოლო 1900 წლის მონაცემებით, სულ ზღვისპირა ჩერქეზეთში მკვიდრი მოსახლეობა ოდნავ აღემატებოდა 2 ათას სულს, მაშინ როცა ჩამოსახლებულთა რაოდენობა, რომელთა შორის უმრავლესობა რუსები იყვნენ, ოცდაათი ათასს აჭარბებდა.<sup>3</sup>

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიის შავიზღვისპირა გუბერნიაში, კერძოდ სამხრეთ შაფსულეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ჩერქეზული სოფელი არსებობდა. ესენია: ფსებე, კარპოვკა, პატარა ფსეუშხო, დიდი ფსეუშხო და მისი ნაწილი ნაჯიხუ, კრასნო-ალექსანდროვსკი და თჰალაფში, რომლებშიც 1300-მდე ჩერქეზი მოსახლეობდა. ეს სოფლები XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულს შეიქმნა.<sup>4</sup>

საინტერესოა თვით ამ სოფლების შექმნის ისტორია. მუჰაჯირობის შემდეგ მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა აქ რუსების ჩამოსახლებას და მათი მიწაზე დამკვიდრებას, რაც სხვადასხვა მიზეზთა გამო თავდაპირველად ვერ მოხერხდა. რუსებმა ვერ შეძლეს მეურნეობის გამართვა, ამიტომ მთავრობის გადაწყვეტილებით, ჩამოსახლებულ რუსებს გვერდით მიუსახლეს ომის დროს დატყვევებული მთიელი შაფსულები (ჰაკუცები) და ოსმალეთიდან გადმოსული ბერძნები. შედეგად, რუსების ნაწილი მტკიცედ დამკვიდრდა ახალ მიწებზე, ნაწილმა კი მაინც მიატოვა აქაურობა, ხოლო

---

<sup>1</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования..., გვ. 139

<sup>2</sup> В. Ворошилов. История Убыхов. გვ. 345

<sup>3</sup> В. Ворошилов. История Убыхов. გვ. 348

<sup>4</sup> К. Подозерский. По Чёрноморской губернии. გვ. 190

შაფსულები დარჩნენ, რითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ ჩერქეზულ სოფლებს.<sup>1</sup>

XX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს ისტორიული ჩერქეზეთის ტერიტორიაზე რამდენიმე ავტონომიური პოლიტიკური ერთეული ჩამოყალიბდა, კერძოდ: ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაი-ჩერქეზეთი და ადიღე.

თანადროულად შაფსუღეთის პოლიტიკურ ნრეებში ქვეყნის მონყობის სხვადასხვა გეგმა წარმოიშვა.

შაფსუღთა ნაწილი ემხრობოდა იდეას, რომ უნდა შექმნილიყო შაფსუღეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში.

მეორე ნაწილი ფიქრობდა ერთიანი ადიღეს (ჩერქეზეთის) საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩამოყალიბებას, რომელშიც გაერთიანდებოდა დღევანდელი ჩერქეზეთის, ადიღეს და ისტორიული შაფსუღეთის ტერიტორია.

შაფსუღთა შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც მოიაზრებდა ისტორიული შაფსუღეთის მიწა-წყლის უშუალოდ ადიღეს ავტონომიურ ოლქთან გაერთიანებას.<sup>2</sup>

საბჭოთა ხელისუფლებისთვის შაფსუღეთის პოლიტიკური მონყობის არც ერთი ზემოთ აღნიშნული გეგმა მისაღები არ აღმოჩნდა და 1924 წლის 23 სექტემბერს კიდეც ერთი ჩერქეზული ავტონომიური ერთეული ჩამოყალიბდა სახელწოდებით – შაფსუღეთის ეროვნული რაიონი. მასში ზღვისპირა შაფსუღეთის ოთხი სასოფლო საბჭოს რვა სოფელი გაერთიანდა, კერძოდ: კარპოვკა, ფსებე, ბოლშოე ფსეუშხო, მალოე ფსეუშხო, კრასნოალექსანდროვსკი, ბოჟი ვოდი, ბოლშოი კიჩმაი და მალი კიჩმაი. შაფსუღეთის ეროვნული რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადდა ქა-

---

<sup>1</sup> К. Подозерский. По Чёрноморской губернии. გვ. 190

<sup>2</sup> А. Сивер. Шапсуги. გვ. 129

ლაქი ტუაფსე, რომელიც ტერიტორიულად ავტონომიის საზღვრებში არც შედიოდა.

ავტონომიურ რაიონში შაფსულები მოსახლეობის 68 პროცენტს შეადგენდნენ. საქმის წარმოება და განათლება შაფსულურად მიმდინარეობდა. რაიონის მმართველი აპარატი ასევე ეროვნული კადრებისგან შედგებოდა. გამოდიოდა ორენოვანი გაზეთი „შაფსუგსკი ბოლშევიკ“. საერთოდ ოფიციალური კულტურა ორენოვანი იყო.<sup>1</sup>

1929 წელს ადიღეს ავტონომიურ ოლქში (ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი კრასნოდარი) და შაფსულეთის ეროვნულ რაიონში (ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი ტუაფსე) იმოგზაურა ს. ჯანაშიამ. მკვლევარმა შავიზღვისპირა ჩერქეზისგან ჩაინერა შაფსულეთის ეროვნულ რაიონში შემავალი შემდეგი სოფლების სახელები:

ფსებე – (პსებე)

აგვი – (კარპოვკა) ყველაზე დიდი სოფელი.

ნაფსი – (ციპკა)

ქვადაშაჰაფი – (მალოე პსეუშხო)

შხაიაყვი – (ბოლშოე პსეუშხო)

ნაზაგვე – (ნადჟუხვუ)

ლულუათხ – (კრასნოალექსანდროვსკი)

ჰაჯახუ და სიაჯახუ – ლულუათხის უბნები.

თჰალაფს – (ბოჟი ვოდი)

შახაკე – (კიჩმაი)

მაგრა

შახაფე – კიჩმაის მახლობლად.

აშაფე – ლულუათხის მახლობლად.

ფსესუაფე – (ლაზარეკა)<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 131

<sup>2</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 130-131

XX საუკუნის 20-იან წლებში მუჰაჯირობას გადარჩენილ შაფსულთა შთამომავლები შავიზღვისპირეთის გარდა ცხოვრობდნენ კავკასიონის ქედისგან დაშორებულ ყუბანისპირეთის ოთხ სოფელში, ესენია: აფიფსიფი, ფანახასი, ჰაშმთექუ და ფსეითექუ, აგრეთვე ტამანის ნახევარ-კუნძულის სოფელ ჰატრამტუკში, (რუს. სუვოროვო-ჩერკესსკი) რომელიც 1862 წელს დასავლელ-შაფსულთა ანუ ნათუხაელთა მიერ იყო დაარსებული.<sup>1</sup> XX საუკუნის შუა ხანებში ამ სოფელს ოფიციალურად ნათუხაი ეწოდებოდა.<sup>2</sup>

ყუბანისპირა შაფსულური სოფლები აფიფსიფი და ჰაშმთექუ დაარსდა 1864 წელს, ფანახასი – 1883 წელს,<sup>3</sup> ფსეითუქი – 1891 წელს. დღეისათვის ეს სოფლები გაერთიანებულნი არიან ადიღეს ავტონომიური რესპუბლიკის ოქტიაბრსკის რაიონში.<sup>4</sup>

1930 წლის ივნისში შაფსულეთის ეროვნული რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი ტუაფსედან გადატანილ იქნა ავტონომიის საზღვრებს შიგნით მყოფ სოფელ კელეუში, ხოლო მომდევნო წლის მარტის თვეში სოფელ სოვეტქუაჯში (ამჟამინდელი გოლუბაია დაჩა)<sup>5</sup>

1930 წლის ივლისსა და აგვისტოში შავიზღვისპირა შაფსულეთში იმოგზაურა ლ. ლავროვმა. მის მიერ მოპოვებული ცნობების მიხედვით, შაფსულეთის ეროვნულ რაიონში ჩერქეზთა რაოდენობა 4000 სულს შეადგენდა.<sup>6</sup> ისინი განსახლებულნი იყვნენ მდინარეებს, ფსებეს და შახეს შორის მდებარე 14 სოფელში. ოფიციალურად ამ სოფლებს რუსული სა-

---

<sup>1</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 57, 65

<sup>2</sup> З. Керашева. Особенности Шапсугского диалекта..., გვ. 9

<sup>3</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 65

<sup>4</sup> К. Меретуков. Адыгейский топонимический словарь. გვ.305-307

<sup>5</sup> А. Сивер. Шапсуги. გვ. 132

<sup>6</sup> Л. Лавров. Из поездки в Черноморскую Шапсугию..., გვ. 122-123

ხელები ჰქონდათ, თუმცა შაფსულებმა მათი ძველი სახელ-  
წოდებებიც იცოდნენ. ეს სოფლები იყო:

ფსებე – მდინარე ფსებეს ნაპირას, რომელიც თავის  
მხრივ მდინარე ნიგეფსუხოს, ქართული საისტორიო წყაროე-  
ბის ნიკოფსიის შენაკადია. ფსებელი შაფსულების ნაწილი მე-  
ორე მსოფლიო ომის შემდეგ მდინარე ნიგეფსუხოს შესართავ-  
თან მდებარე სოფელ ნოვომიხაილოვსკოეში გადასახლდა.<sup>1</sup>

აგუი – (რუს. კუიბიშევკა) მდინარე აგუის ნაპირას, სო-  
ფელ ფსებესგან აღმოსავლეთით. სოფლის მკვიდრთა ნაამ-  
ბობით, მათი წინაპრები ჩრდილო შაფსულეთიდან იყვნენ.

წეფსე – (რუს. ციპკა) მდინარე წეფსეს ნაპირას. სოფე-  
ლი მუჰაჯირობის შემდეგ შოიყუდან გადმოსახლებულებმა  
დააარსეს.

შოიყუ – (რუს. ბოლშოე პსეუშხო) მდინარე შოიყუს ნა-  
პირას. აქაურ მცხოვრებთა ნაამბობით, მათი წინაპრები ნაუ-  
ყის ხეობიდან იყვნენ, საიდანაც 1864 წელს გადასახლეს  
მდინარე ლაბას ველზე. XIX საუკუნის 60-იანი წლების ბო-  
ლოს მათ შავი ზღვის პირას დასახლების ნება დართეს და  
ისინიც შოიყუში დამკვიდრდნენ.

ქუადაშაჰაფი – (რუს. მალოე პსეუშხო) მდინარე ქუა-  
დაშაჰაფის ნაპირას, შოიყუდან 5 კ/მ-ის მანძილზე. ადგი-  
ლობრივთა გადმოცემით, მათი წინაპრები მუჰაჯირობამდის  
ჩრდილო შაფსულეთის მთებში ცხოვრობდნენ, საიდანაც  
1863 წელს მდინარე ლაბას ველზე ჩაასახლეს და შემდეგში  
აქედან გადმოვიდნენ ქუადაშაჰაფში.

ნაზაგვე – (რუს. ნედჟიგო) მდინარე მოყუფსეს (რუს.  
მაკოპსე) ხეობაში. სოფელი XIX საუკუნის ბოლოს შოიყუდან  
გადმოსახლებულებმა დააარსეს.

ჰაჯეხუ – (რუს. I კრასნოალექსანდროვსკ) მდინარე ჰა-  
ჯეხუს ნაპირას.

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 20-29, 167



კელეჟ – (რუს. II კრასნოალექსანდროვსკ) მდინარე აშეს ხეობაში, ჰაჯეხუდან ვერსის, ხოლო ზღვის სანაპიროდან 7 კ/მ-ის დაშორებით.

შოჯეიყუ – (რუს. III კრასნოალექსანდროვსკ) კელეჟის მეზობლად.

მოხორტოვია პოლიანა – მდინარე აშეს ველზე, ზღვის სანაპიროდან 1 კ/მ-ის მოშორებით.

თჰალაფსე – (რუს. კიროვსკ) ხეობაში, სადაც ფსეზუაფეს ერთვის მდინარე ნეგუში.

შახეკეი – მდინარე შახეს ორივე ნაპირზე, ზღვიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით. საისტორიო წყაროებში ამ სოფელს ხშირად ეწოდება კიჩმაი, აქ ჩამავალი ამავე სახელწოდების მდინარის გამო.<sup>1</sup>

შახაფე – (რუს. გოლოვინკა) ზღვის სანაპიროზე, მდინარე შახეს შესართავთან. აქ შაფსულები კიჩმაიდან და შოიყუდან გადმოსახლდნენ.<sup>2</sup>

1934 წლის 14 იანვარს ტუაფსეს რაიონში შემავალი ლაზარევსკოე სასოფლო საბჭოთურთ შაფსუღეთის ეროვნულ რაიონს გადაეცა, თანაც ლაზარევსკოე გახდა ეროვნული რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი. ყოველივე ამის შედეგად, შაფსუღეთის ეროვნული რაიონი ტერიტორიულად ერთიანი გახდა. გარდა ამისა, მის საზღვრებში მოექცა ზღვისპირას მდებარე ლაზარევსკოეს რკინიგზის სადგური და საავტომობილო ტრასის მნიშვნელოვანი მონაკვეთი.<sup>3</sup>

ლინგვისტური თვლსაზრისით XX საუკუნის 20-30-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსუღების ენა პირობითად ორ კილო-კავად იყოფოდა: ჩრდილოური და სამხრეთული ანუ ჰაკუცური. ამ უკანასკნელში გაერთიანებული იყო სოფლების:

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Из поездки в Черноморскую Шапсутию..., გვ. 123

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 20-29, 170

<sup>3</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 132

ჰაჯეხუს, კელეჟის, შოჯეიყუს, მოხორტოვანა პოლიანას, თჰალაფსის, შახეკეის და შახაფეს შაფსულური. ჩრდილოურ-ში რამდენადმე განსხვავებული იყო აგუის კილო-კავი, რაც იმ გარემოებით იხსნება, რომ ისინი წარმოშობით ჩრდილო შაფსულეთიდან იყვნენ.<sup>1</sup> რაც შეეხება დანარჩენი ზღვისპირა შაფსულური სოფლების კილო-კავების ერთგვარ სხვაობას ერთი მხრივ აგუის, მეორე მხრივ ჰაკუცურ კილო-კავებთან. ეს ფაქტი გამონვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ ზღვისპირა შაფსულეთის დასავლეთ ნაწილში, კერძოდ მდინარეების შოიყუს, ქუადაშაჰაფის და მოყუფსეს ხეობებში, მუჰაჯირობის შემდეგ მკვიდრ შაფსულებთან ერთად ყუბანისპირეთიდან გადმოსული შაფსულელებიც დასახლდნენ.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსულეების მნიშვნელოვანი ნაწილი ჰაკუცების შთამომავლები იყვნენ. სწორედ ამ გარემოებით იხსნება ის ფაქტი, რომ ყუბანისპირა ადიღები შავიზღვისპირეთში მცხოვრებ შაფსულეებს ჰაკუცებსაც უწოდებდნენ.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ ლ. ლავროვის დაკვირვებით, შაფსულურ გვარსახელებს არ გააჩნდათ დაბოლოება ყუ//ყო (შვილი) რომელიც ერთობ დამახასიათებელი იყო ბჟედუღებისთვის, ჭემგუებისთვის (თემირგოებისთვის) და ყაბარდოელებისთვის.<sup>3</sup>

შაფსულეთის ეროვნულმა რაიონმა 20 წელზე ცოტა მეტ ხანს იარსება. 1945 წლის 24 მაისს რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით შაფსულეთის ეროვნულ რაიონს ლაზარესკოეს რაიონი ეწოდა. შაფსულეებმა ავ-

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Из поездки в Черноморскую Шапсугию... , გვ. 123

<sup>2</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 96

<sup>3</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 30

ტონომია დაკარგეს და მხარეში ერთ-ერთ ეროვნულ უმცირესობად გადაიქცნენ.<sup>1</sup>

1952 წელს სამეცნიერო კვლევა-ძიების მიზნით შაფსულურ სოფლებში იმოგზაურა ცნობილმა ადიღე ენათმეცნიერმა ზ. კერაშევამ, რომლის თანახმად, XX საუკუნის შუა ხანებისთვის შაფსულური დიალექტი იყოფოდა ყუბანისპირა და შავიზღვისპირა შაფსულურ კილო-კავებად, ხოლო ამ უკანასკნელში გაერთიანებული იყო ჰაკუტური კილო-კავიც. მას ჩამოთვლილი აქვს ის სოფლები, სადაც შაფსულურ კილო-კავზე მეტყველებდნენ: დიდი კიჩმაი, პატარა კიჩმაი, თჰალაფში და კრასნოალექსანდროვსკის სასოფლო საბჭოში შემავალი კელეჟი, ჰაჯეყუ და შოჯეყუ (ლაზარევსკოეს რაიონი) აგუი, ფსიბე (ტუაფსეს რაიონი) აფიფსიფი, ფსეითუყი, ჰაშთუყი, ფანახასი (ყუბანისპირეთში) და ნათუხაი (ყოფილი სუვოროვო-ჩერკესსკი)<sup>2</sup>

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზების გამო საბჭოთა კავშირი დაშლის გზას დაადგა. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები სსრკ-ში შემავალ ეროვნულ უმცირესობებს ოფიციალურად გამოეხატათ კანონიერი მოთხოვნები საკუთარი ნაციონალური უფლებების დასაცავად.

ამგვარ ვითარებაში, 1990 წლის 1 დეკემბერს დაბა ლაზარევსკოეში შედგა შავიზღვისპირა ადიღების ყრილობა, რომელმაც მოითხოვა შაფსულეთის ეროვნული ავტონომიის, როგორც რსფსრ სუბიექტის აღდგენა დაბა გოლოვინკადან დაბა ნოვომიხაილოვსკოემდე, ანუ მდინარეებს შახეს და ნიგეფსუხოს შორის მდებარე ტერიტორიაზე.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 133

<sup>2</sup> **З. Керашева.** Особенности Шапсугского диалекта..., გვ. 9

<sup>3</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 135

კიდევ უფრო ადრე შაფსულმა საზოგადოებამ უკმაყოფილება გამოხატა მთავრობის გეგმის მიმართ, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქების ნოვოროსიისკის, ტუაფსეს და სოჩის 150 წლისთავის აღნიშვნას, ვინაიდან ამ ქალაქების დაარსება დაკავშირებულია რუსეთის იმპერიის მიერ 1838 წელს შავიზღვისპირა სამხედრო ხაზის შექმნასთან, რასაც შედეგად მოყვა ამ მხარის სრული დაპყრობა.

1990 წლის აგვისტოში, შაფსულების მოთხოვნის შედეგად მთავრობა იძულებული გახდა აელო რუსეთის იმპერიის ადმირალის, იმავე შავიზღვისპირა სამხედრო ხაზის ერთ-ერთი აქტიური შემქმნელის, ლაზარევსკის ბიუსტი, რომელიც დაბა ლაზარევსკოეს რკინიგზის სადგურთან იდგა და შაფსულთა განცხადებით - „ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი იყო“.<sup>1</sup>

XX საუკუნის დასასრულისთვის შავიზღვისპირა შაფსულების რაოდენობა დაახლოებით 10000 სულს შეადგენდა და მოსახლეობდნენ მდინარეებს; ნიგეფსუხოსა და სოჩას შორის მდებარე სოფლებსა და დაბა-ქალაქებში, ესენია: ტუაფსე, ფსებე, ციფკა, აგუი-შაფსული, ფსეუშხო, ნაჯიგო, ლილოთხი, კელეჟი, ხაჯიკო, თჰალაფში, კიჩმაი, აშე, ახინთამი, გოლოვინკა, ჩსმიტოყუაჯე, ლაზარევსკოე, შხაფეთე და სოჩი.<sup>2</sup>

1998 წელს სოფელ აგუი-შაფსულში მასწავლებლისგან (გვარად ნათხო) მიღებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ზღვისპირა შაფსულები პირობითად იყოფოდნენ ტუაფსეს და ლაზარევსკოეს რაიონების შაფსულებად. ლაზარევსკოეს რაიონის შაფსულებს, სოჩასა და მის მიმდებარე

---

<sup>1</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 134

<sup>2</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 6

სოფლებში მცხოვრებ შაფსულებთან ერთად, ხაკუჩებსაც უწოდებდნენ.<sup>1</sup>

XX საუკუნის დასასრულისთვის შაფსულებს სრულიად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ისინი ერთიანი ადიღე (ჩერქეზი) ხალხის ნაწილს წარმოადგენდნენ, რომ მათი კულტურა საერთო ადიღური (ჩერქეზული) კულტურის ნაწილია და უფრო მეტიც, მიაჩნდათ, რომ ნამდვილი, ძველი ადიღური (ჩერქეზული) კულტურა და წეს-ჩვეულებები სწორედ შაფსულებში იყო შემორჩენილი. შავიზღვისპირა შაფსულების სკოლებში ისწავლებოდა ადიღეს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგანი „ადიღე ხალხის კულტურა და ეთიკა“, რომლის მიზანი იყო ძველი ადიღური კულტურის შენარჩუნება და მისი ცოცხალ ყოფაში გამოყენება.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 111

<sup>2</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 141

### თავი III. შავსულჯის სარწმუნოება

XV საუკუნის II ნახევრიდან, უფრო ზუსტად მას შემდეგ, როდესაც დაეცა ბიზანტიის იმპერია, საბოლოოდ დაიშალა ერთიანი ქართული სამეფო და ყირიმის სახანო ოსმალეთის ვასალი გახდა, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიის ნაცვლად თანდათანობით მაჰმადიანობა იწყებს გავრცელებას, მაგრამ ჩერქეზებში, განსაკუთრებით მაღალ მთიანეთში მცხოვრებ თემებში, მაჰმადიანობამ ფესვები ღრმად ვერ გაიდგა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი არსებითად კვლავ წარმართი რჩებოდა. თუმცა მათ სულიერ კულტურაში მაჰმადიანური და განსაკუთრებით ქრისტიანული ელემენტები მნიშვნელოვნად იყო წარმოდგენილი.

XVI-XX საუკუნეების ავტორები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის სარწმუნოებრივ მდგომარეობას შემდეგნაირად გადმოგვცემენ.

გიორგი ინტერიანო (1551 წ.): „ზიხები თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებენ. ჰყავთ ბერძენი მღვდლები. ბავშვებს რვა წლის შემდეგ ნათლავენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მღვდელი ბავშვს წმინდა წყალს შეასხურებს და მოკლე ლოცვას წარმოთქვამს. ახნაურები ყაჩაღობით ცხოვრობენ და ეკლესიაში არ შედიან, რადგან ფიქრობენ, რომ ტაძარს იქ ყოფნით შებღალავენ. სამოც წელს რომ გადააბიჯებენ, ყაჩაღობას თავს ანებებენ და ღმრთისმსახურებასაც ესწრებიან. ახალგაზრდობაში ლოცვას ეკლესიის გარედან, ამხედრებულნი ისმენდნენ. საკუთარი დამწერლობა არ გააჩნიათ. მღვდლები ღმრთისმსახურებისას ბერძნულ წერილებს იყენებენ, რაც ზიხებისთვის გაუგებარია“.<sup>1</sup>

ჯოვანი და ლუკა (1625 წ.): აბაზების „ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზების, არა აქვთ დანერგილი კანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით

---

<sup>1</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 25

ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შესრულების გარეშე“.<sup>1</sup>

ევლია ჩელები (XVII საუკუნის 40-იანი წლები): აბაზებს მუსლიმი რომ უწოდონ – გაეხარდებათ. „ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ“.<sup>2</sup>

არქანჯელო ლამბერტი (XVII საუკუნის 30-40-იანი წლები): - „კავკასიის მაღალ მთებში სხვადასხვა ველური ხალხი ცხოვრობს. კოლხეთთან ახლოს არიან: სვანები, აფხაზები, ალანები, ჩერქეზები, ჯიქები, ყარაჩაელები. ყველანი ესენი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები, თორემ, არც სარწმუნოებით და არც მოქმედებით ქრისტიანობა მათ სრულეობით არ ეტყობოდათ. მათ შორის ყველაზე მშვიდობიანი არიან სვანები, რომელნიც ღმრთისა და კეთილი ცხოვრების შესახებ ქადაგებას გულმოდგინედ ისმენენ“.<sup>3</sup>

ვახუშტი ბატონიშვილი: ჯიქები „ყოფილან პირველად ქრისტიანენი, არამედ ან უცნობელნი მისნი“.<sup>4</sup>

ტებუ დე მარინი (1818 წ.): „ჩერქეზთა სარწმუნოება წარმართული და ქრისტიანული წეს-ჩვეულებების შერწყმის შედეგად არის ჩამოყალიბებული.“<sup>5</sup>

დიუბუა დე მონპერე (1833 წ.): „მხოლოდ ჩერქეზი დიდებულები იცავენ მაჰმადიანურ წესებს, თანაც სრული გულგრილობით. ჩერქეზი ხალხი არსებითად კვლავ წარმართია“.<sup>6</sup>

ლეონტი ლიულე (XIX საუკუნის 20-30-იანი წლები): „ჩერქეზები სუნიტი მაჰმადიანები არიან, მაგრამ მათგან უნდა გამოვრიცხოთ ზღვისპირეთში, გელენჯიქსა და ხიზეს შორის მცხოვრებნი, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს მუჰამედის კანონებს, დანარჩენები კი ცხოველთა

<sup>1</sup> ი. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და... , ტ. III, გვ. 170

<sup>2</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნ. I, გვ. 106

<sup>3</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 166

<sup>4</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 786

<sup>5</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. გვ. 303

<sup>6</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 53

მსხვერპლად შეწირვის ჩვეულებებს ასრულებენ. მათ არ გააჩნიათ სალოცავად განკუთვნილი ნაგებობა და ეკლესიის მაგივრად ღია ცის ქვეშ, წმინდა ტყეში ლოცულობენ“.<sup>1</sup>

ნიკოლოზ კარლგოფი (XIX საუკუნის 50-იანი წლები): „ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზები და უბიხები მაჰმადიანებად ითვლებიან, მაგრამ ნამდვილი მაჰმადიანი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. აქაური რელიგია ქრისტიანობისა და წარმართობის შერწყმის შედეგად არის ჩამოყალიბებული, რომელსაც მცირედი ერთვის მაჰმადიანობა“.<sup>2</sup>

ლაზარ სერებრიაკოვი (1852 წ.): „შავიზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზები და უბიხები თავს მაჰმადიანებად თვლიან, მაგრამ ამ რელიგიის დოგმებში სუსტად ერკვევიან და მეტნაკლებად მანამდელი რელიგიების ერთგულნი რჩებიან, მითუმეტეს აქაური მთიელები, რომლებიც წარმართები არიან“.<sup>3</sup>

ნიკოლოზ ალბოვი (1893 წ.): „ჰაკურებში მაჰმადიანობა ძალიან სუსტია. მიუხედავად იმისა, რომ აქვთ მეჩეთები და ყავთ მოლა, მაჰმადიანურ წესებს არ ასრულებენ. მოლებს ჩუმად დასცინიან კიდევ. წარმართული ღმერთების დასახელება ახალგაზრდებსაც კი შეეძლოთ. ერთადერთი, რაშიც მათი მაჰმადიანობა ჩანს, არის ის, რომ არ სვამენ ღვინოს და არ ჭამენ ღორის ხორცს“.<sup>4</sup>

ლეონიდ ლავროვი (1930 წ.): „შაფსულეთში წარმართული სარწმუნოება გაცილებით უკეთ იყო შენარჩუნებული, ვიდრე ადიღეში, ჩერქეზეთში და ყაბარდოში, სადაც ისლამი წარმატებით ებრძოდა ძველ რელიგიურ გადმონაშთებს“.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 121-122

<sup>2</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских ..., გვ. 533

<sup>3</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 234

<sup>4</sup> Н. Альбов. Ботанико-географическая исследования..., გვ. 138

<sup>5</sup> Л. Лавров. Этнография Кавказа. გვ. 30



## 1. შაფსულური წარმართული წეს-ჩვეულებები და მითოლოგია

შაფსულების რელიგიაში მკაფიოდ იყო წარმოჩენილი წარმართული ღმერთების პანთეონი, რომელსაც სათავეში დიდი ღმერთი ედგა. ჩერქეზულად მას თჰაშხუო (თჰაშხუა // თჰაშხო) ეწოდებოდა. ლიულეს რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონის მიხედვით „თჰა“ არის ღმერთი, ხოლო „შხუო“ – დიდი.<sup>1</sup>

ჩერქეზთა წარმოდგენით თჰა ყოველივეს შემოქმედი. მან შექმნა შვიდი დღის განმავლობაში სამყარო და ადამიანი. მას არ გააჩნია არც დასაბამი, არც დასასრული, არც სქესი. თჰა, რომლის სამყოფელი ზეცაშია, არის ყველგან და ყოველივეში. ის განაგებს არა მარტო ადამიანს, არამედ სხვა ღმერთებსაც. ამასთან, ის ღმერთებისა და ადამიანის ქმედებაში უშუალოდ კი არ მონაწილეობს, არამედ არის მხოლოდ უმაღლესი მსაჯული ღმერთებსა და ადამიანს შორის იშვიათად წარმოქმნილი უთანხმოებისას.<sup>2</sup> მის პატივსაცემად ჩერქეზები ყოველწლიურად აწყობდნენ დღესასწაულს, საგალობლებისა და სარიტუალო ცეკვების თანხლებით. გარდა ამისა, ყოველი წარმართული რიტუალი თჰას სახელით იწყებოდა და მისივე სახელით სრულდებოდა.<sup>3</sup>

შაფსულებში ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა თჰა XX საუკუნის მიწურულსაც ცოცხალი იყო. 1997 წლის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მდინარე შახეს ნაპირას მდებარე სოფელ კიჩმაის მკვიდრნი ლოცვისას ალაჰის ნაცვლად ადილური „თჰა“-ს წარმოთქმას ამჯობინებდნენ.<sup>4</sup>

ჩერქეზთა სარწმუნოებაში თჰა დიდი ღმერთია და შემოქმედი, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ის ამგვარი სახით ქრისტიანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა. ქრისტიანობის გავრცელებამდის

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Словарь Русско-Черкесский..., გვ. 8-9

<sup>2</sup> А. Шортанов. Адыгская мифология. გვ. 21, 24

<sup>3</sup> А. Шортанов. Адыгская мифология. გვ. 25, 74

<sup>4</sup> А. Сивер. Шапсуги. გვ. 115

თქა ჩერქეზთა წინაპრებში მზე ღმერთის სახელწოდება უნდა ყოფილიყო, რაზედაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ანალიზი მიუთითებს. ადიღური „თქა“ (ღმერთი) ამავე ადიღური „თლა“ (მზე) სიტყვის ფონეტიკურად და სემანტიკურად შეცვლილ სახეობას წარმოადგენს. თქა (ღმერთი) თლა (მზე) ფუძის ვარიანტია.<sup>1</sup> შესაბამისად, კვირადლის აღმნიშვნელი ადიღური სიტყვა თჰაუმაფ, რაც ღმერთის დღეს ნიშნავს, პირვანდელი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო მზის, უფრო ზუსტად მზე ღმერთის დღე, მეგრულ-ლაზური ჟაშხა-ბჟაჩხას მსგავსად, რაც ასევე მზის ღვთაების დღეს ნიშნავს.<sup>2</sup>

მზის კულტის არსებობა განვითარებული კულტურის მიმანიშნებელია. ჩერქეზთა და საერთოდ კავკასიელი ხალხების წინაპრებში ქვეყნიერების ოთხი კუთხის მანათობელი მზე, როგორც ნაყოფიერების და სიუხვის მფარველი ქალღმერთი, უძველესი ხანიდან არის ცნობილი. კავკასიელთა წინაპრებში უძველესი ხანიდან არის ცნობილი აგრეთვე მზე ქალღმერთის სიმბოლო – ტოლმკლავა ჯვარი.

ქართულ წარმართულ პანთეონშიც მზის ღვთაებას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ყოველგვარი სახმელეთო საქმე: სამართალი, ჩამომავლობის მიცემა და ა. შ. მთავარ ღმერთს, მთვარეს მისთვის ჰქონდა ჩაბარებული.<sup>3</sup> იგივე ღვთაება ითვლებოდა სიუხვის და ნაყოფიერების მფარველად.<sup>4</sup>

მზის კულტი ქართული ტომების კულტურული განვითარების მაღალ საფეხურზეა დამოწმებული, რამდენადაც ის მესაქონლეობასთან და მიწათმოქმედებასთან არის დაკავშირებული.<sup>5</sup>

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში რომ მზის კულტი უძველესი ხანიდან არსებობდა, მიუთითებენ დოლმენებზე გამო-

---

<sup>1</sup> გ. როგავა. ადიღური თქა სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. გვ., 45

<sup>2</sup> გ. როგავა. ადიღური თქა სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. გვ., 46  
<sup>3</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 63

<sup>4</sup> ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების..., გვ. 73

<sup>5</sup> ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების..., გვ. 58

სახული სოლარული ნიშნები, მათ შორის ჯვარი წრეში.<sup>1</sup> ამ მეგალითურ ძეგლებს მკვლევარები ძველი წელთა აღრიცხვით XXIII-XX საუკუნეებს მიაკუთვნებენ.<sup>2</sup>

სინკრეტული სარწმუნოების აღმსარებელ ჩერქეზებს სალოცავად განკუთვნილი ნაგებობა არ გააჩნდათ. ყოველი დიდი რელიგიური რიტუალი სრულდებოდა წმინდა ტყეში: ეკლესიის ნანგრევებთან, ან წმინდა ხის ქვეშ აღმართულ ჯვართან, ან მეხნაკრავ ხესთან, ან კიდევე დოლმენტან.

1865 წელს, კავკასიის ომის დასრულებისთანავე, ამ მხარეში მოგზაურობისას ფ. ბაიერნმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მრავალი ქრისტიანული სალოცავის მსგავსად, ფშადის, ჯუბის და წუინუხის ხეობებში მდებარე დოლმენტებს გარს წმინდა ტყეები (მუხნარი, ან თხმელნარი) ერტყათ.<sup>3</sup>

უძველესი ხანის ეს მეგალითური ნაგებობანი მზის კულტთან იყო დაკავშირებული, რაზედაც აშკარად მეტყველებენ: I. მისი პორტალური ნაწილის მიმართულება მზის მხარეს. II. სოლარული ნიშნები ზოგიერთი დოლმენტის ფასზე. III. იშვიათად, მაგრამ მაინც, დოლმენი შემოსაზღვრულია კრომლესით, რაც იგივე მზის სიმბოლოა, მიწაზე გამოსახული.<sup>4</sup>

დოლმენი მიცვალებულის განსასვენებელია. ამ მხარის უძველესი მოსახლეობის რწმენით, მასში ჩასვენებულ წინაპარს მისი შთამომავლობის გამრავლებაზე და ქონების სიუხვეზე მაგიური ზემოქმედების ძალა გააჩნდა.<sup>5</sup>

რთულია იმის გარკვევა, თუ რამდენად იყო ცნობილი ჩერქეზებისთვის გვიან შუა საუკუნეებში დოლმენტის უძვე-

---

<sup>1</sup> В. Марковин. Дольмены западного Кавказа. გვ. 217

<sup>2</sup> В. Марковин. Дольмены западного Кавказа. გვ. 279

<sup>3</sup> Ф. Байернъ. О древних сооружениях на Кавказе. გვ. 318

<sup>4</sup> В. Марковин. Дольмены западного Кавказа. გვ. 210, 217, 222

<sup>5</sup> В. Марковин. Дольмены западного Кавказа. გვ. 215, 221

ლესი მნიშვნელობა, მაგრამ ცხადია, რომ შაფსულები მათ ერთი მხრივ „ოდესლაც ბუმბერაზთა მიერ აგებულ სახლებად“ მიჩნევდნენ,<sup>1</sup> მეორე მხრივ, მათი წარმოდგენით დოლმენები წინაპართა კულტთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან ისინი ძველ საძვალეებს წარმოადგენდნენ.<sup>2</sup>

სწორედ ამგვარი წარმოდგენის გამო შაფსულები ამ უძველეს ნაგებობებს დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ და იცავდნენ მათ, განსხვავებით აქ მუჰაჯირობის შემდეგ დამკვიდრებული რუსული მოსახლეობისგან, რომლისთვისაც დოლმენს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნდა და მათ მასიურად ანადგურებდნენ.<sup>3</sup>

დოლმენის ხელყოფა მკრეხელობად ითვლებოდა არა მარტო შაფსულებში, არამედ მეზობელ ჩერქეზულ მაჰმადიანურ კუთხეებშიც. ერთ-ერთი აბაზეხური გადმოცემის თანახმად, XIX საუკუნის შუახანებში, მუჰამედ ემინის მმართველობისას, იქ მყოფმა უცხოელმა ნაიბი დაიყოლია და მისგან დოლმენის გათხრის ნებართვა მიიღო, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მასში აურაცხელი განძი ინახებოდა. დოლმენის გათხრა დასრულებული არც იყო, რომ უეცრად მოიღრუბლა და იქვე ახლოს მეხი დაეცა. მთხრელებიც და სხვა იქ მყოფნიც დაფრთხნენ და გაიქცნენ. ამის შემდეგ დოლმენის გათხრა არც არასოდეს უცდიათ. ის ხელუხლებელი დარჩა.<sup>4</sup>

1930 წელს ლ. ლავროვის მიერ შავიზღვისპირა ჩერქეზეთში მოპოვებული ეთნოლოგიური მასალების მიხედვით, შაფსულები რელიგიურ რიტუალს დოლმენთანაც ასრულებდნენ. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში დოლმენებს ფასადის მხრიდან აუცილებლად ეკვროდათ გრძელი ქვებით, ან უხეშად გამოთლილი ლოდებით შემოსაზღვრული მცირე მოედა-

---

<sup>1</sup> **Е. Фелицын.** Западно-Кавказские дольмены. გვ. 13

<sup>2</sup> **В. Марковин.** Дольмены западного Кавказа. გვ. 3

<sup>3</sup> **Е. Фелицын.** Западно-Кавказские дольмены. გვ. 7

<sup>4</sup> **Е. Фелицын.** Западно-Кавказские дольмены. გვ. 16

ნი, რომელიც დოლმენტან ერთად ერთგვარი ტაძრის ფუნქციას ასრულებდა. როგორც ჩანს, მას შემდეგ, რაც აქაურმა მოსახლეობამ დოლმენტის სამარხად გამოყენება შეწყვიტა, ამ ადგილს წარმართული რიტუალის ჩასატარებლად იყენებდნენ. ცნობილია, რომ ერთ-ერთი ამგვარი დოლმენი, სადაც XIX საუკუნეში წარმართული რიტუალი სრულდებოდა, ზღვისპირა შაფსუღეთში სოფელ კელეჟთან ახლოს, ცირგოთხის მთაზე მდებარეობდა.<sup>1</sup>

ადრეულ შუა საუკუნეებში ჩერქეზეთი ბიზანტიის მეოხებით ქრისტიანდება, მაგრამ ქრისტეს რჯული კავკასიის ამ მხარეში ძირითადად მაინც საქართველოდან გავრცელდა, რაზედაც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ქრისტიანობის მთავარ სიმბოლოს ჩერქეზები ქართულ სიტყვას – „ჯვარი“ (ჯორ) უწოდებდნენ.

ჯვართან (შესაბამისად მზესთან) დაკავშირებული უძველესი წეს-ჩვეულებები თანდათანობით ქრისტიანულს შეერწყა და გვიანობამდის შემორჩა. ამგვარი სინკრეტიზმი უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ ქრისტიანთათვის უმთავრესი ნიშანხატი ჯვარი წარმართებისთვისაც სათაყვანო იყო, როგორც მზის ქალღმერთის მთავარი იპოსტასი.<sup>2</sup> თავის მხრივ, ადრეული ქრისტიანობის ხანაშიც მზეს დიდ პატივს მიაგებდნენ, როგორც ღმრთის სიმბოლოს. წმინდა ნიგნში მითითებულია კიდეც – „მზე და ფარია უფალი ღმერთი,“ (ფსალმ. 83, 12) ხოლო იესო – „მზე სიმართლისა“ (მალაქ. 4, 2) – ფერიცვალებისას „იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.“ (მათე. 17, 2)

ყოველივე ეს კარგად აისახა რელიგიურ სიმბოლიკაშიც. კერძოდ, უძველეს ქართულ ქრისტიანულ სალოცავებ-

---

<sup>1</sup> Л. Лавров. Дольмены северо-западного Кавказа. გვ. 103-104

<sup>2</sup> В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования..., გვ. 171

ზე, ქვაჯვარებზე ხშირად სოლარული ნიშნებია გამოსახული. მაგალითად, თავფარავნის ქვაჯვარაზე ჯვრის ცენტრში მოთავსებულია ამოზურცული დისკო, ნაყოფიერების მფარველი მზე ქალ-ღმერთის სიმბოლო.<sup>1</sup> ასევეა გაფორმებული მანგლისთან ახლოს, მარიამჯვრის სალოცავის სამი ქვაჯვარა.<sup>2</sup> მათგან ყველაზე მთავარზე მზე გამოსახულია დისკოზე შემოვლებული ორი წრის სახით.<sup>3</sup> ხოლო ბარაღეთის (ჯავახეთში) ქვაჯვარაზე ამოჭრილი ჯვარი მოქცეულია წრეში და ორთავ ერთად კვადრატში.<sup>4</sup>

ამგვარი სინკრეტიზმია აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენში ხშირად ქრისტიანული ეკლესია იმ ადგილას შენდებოდა, სადაც უნინ წარმართული, უმთავრესად მზე ქალ-ღმერთის სალოცავი მდებარეობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მნათობთა კულტთან არის დაკავშირებული ხეთა თაყვანისცემა,<sup>5</sup> აღნიშნულის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ჭყონდიდის სახელგანთქმული ტაძრის აგება იქ, სადაც თავდაპირველად, უეჭველია მუხის დიდი სალოცავი უნდა ყოფილიყო, რასაც პირდაპირ ეხმიანება მეგრული გადმოცემა ანდრია მოციქულის მიერ ძველი მუხის მოჭრის და „დიდი ჭყონის“ ადგილას მარტვილის ეკლესიის აგების შესახებ.<sup>6</sup>

XV საუკუნის შემდეგ, როდესაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობა დაკნინდა, ჯვარმა თავისი ძველი მნიშვნელობა დაკარგა და არსებითად წარმართულ კერპად

---

<sup>1</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში. გვ. 110

<sup>2</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში. გვ. 112

<sup>3</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი. მეგალითური კულტურა საქართველოში. გვ. 113

<sup>4</sup> ვ. თოფურია. ქვაჯვარანი საქართველოში. გვ. 55

<sup>5</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 300

<sup>6</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 348

გადაიქცა, თუმცა მას ჩერქეზები კვლავინდებურად ძველი ქართული სიტყვა „ჯორ“-ით აღნიშნავდნენ.<sup>1</sup>

შავიზღვისპირა ჩერქეზეთში ყოველი ჯვრის პატივსაცემად ცალკე, საკუთარი დღე ჰქონდათ მიჩენილი. წმინდა მუხნარში აღმართულ ჯვართან მლოცველები ღმერთს სთხოვდნენ, აეცილებინა მათთვის ომი, ჭირი და სხვა უბედურებანი, ეწყალობებინა უხვი მოსავალი და ბედნიერება.<sup>2</sup>

ჯვრის დღესასწაული წელიწადში ექვსჯერ – თებერვლის, აპრილის, ივნისის, აგვისტოს, ოქტომბრის და დეკემბრის პირველ კვირა დღეს უნდა შესრულებულიყო.<sup>3</sup>

კვირა დღეს იმიტომ, რომ ჩერქეზეთშიც ეს დღე მზე ქალღმერთის დღედ უნდა ყოფილიყო მიჩნეული, ისევე როგორც წარმართულ საქართველოში.<sup>4</sup>

ქრისტიანობიდან შემორჩენილი წესისამებრ, ხშირად წმინდა ტყეში აღმართული ჯვრის წინ მლოცველები მოსავლის სიუხვეს, საქონლის სიმრავლეს და ყოველგვარი უბედურებისგან დაცვას მარიამ ღმრთისმშობელს, მაცხოვარს და წმინდანებს ევედრებოდნენ.<sup>5</sup> ან კიდევ, წმინდა მუხის ქვეშ აღმართულ ხის ჯვართან ლოცვებს დაჩოქილნი და ქუდმოხდილნი დიდი ღმერთის, ღმრთისმშობლის და სხვადასხვა წარმართული ღვთაების სადიდებლად აღავლენდნენ.<sup>6</sup>

შაფსულეთის ტოპონიმიკაში არც თუ იშვიათად ფიგურირებს სიტყვა „ჯვარი“. მაგ., ტუაფსეს რაიონში, სოფელ აგუის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ქედს ეწოდება ჯორეყოთხირ, რაც ჯვრის ქედს ნიშნავს. აქაური უხუცესების გადმოცემებით, წარსულში ამ ქედზე წმინდა მუხნარი

---

<sup>1</sup> კ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. გვ. 82

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 469, 506, 509

<sup>3</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 626

<sup>4</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 125

<sup>5</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235

<sup>6</sup> Е. Шиллинг. Черкесы. გვ. 45

ყოფილა და აქ აღმართული ჯვრების წინ მახლობელი სოფლებიდან ამოსულნი ლოცვებს აღავლენდნენ.

„ჯვარი“ ფიგურირებს აგრეთვე ტუაფსეს რაიონში, მდინარე აგუის მარჯვენა შენაკადის, ჯორეყოფსის სახელწოდებაში, რაც ითარგმნება როგორც ჯვრის ველის მდინარე. ადგილობრივების გადმოცემებით, ჯორეყოფსის ველზე მრავალი წმინდა მუხა მდგარა. ყოველი მუხის ქვეშ აღმართული იყო ხის ჯვარი და აქ რელიგიური რიტუალები სრულდებოდა.

ჯორე ჭილ – ამგვარად ეწოდებოდა სამხრეთ შაფსულეთში დიდ მუხას, შესაბამისად მიმდებარე წმინდა ადგილსაც მდინარე ტუს ზემო წელზე. მუხის ქვეშ ჯვარი იყო აღმართული და აქ ლოცვები აღევლინებოდა.<sup>1</sup>

ლიულეს ერთ-ერთ ნაშრომში კიდევ ერთი სოფლის, თუ ადგილის სახელია ფიქსირებული – „ჯურე-ზაყუ“,<sup>2</sup> სადაც თავისუფალი შაფსულეთის პირველი სახალხო კრება ჩატარდა, თუმცა, სად მდებარეობდა ის, ავტორს მითითებული არა აქვს.

ესე იგი, ჯვარი ეწოდებოდა არა მარტო რელიგიის მთავარ სიმბოლოს, არამედ იმ წმინდა ადგილსაც, სადაც ეს ჯვარი იყო აღმართული და ამგვარი წმინდა ადგილი აუცილებლად მუხნარი უნდა ყოფილიყო. თვით ჯვარი, მზის სიმბოლო, სწორედ ამ წმინდა ხისგან უნდა გამოთლილიყო.<sup>3</sup>

საერთოდ ჩერქეზეთში წმინდა ხედ სხვადასხვას მიიჩნევდნენ: კაკალს, აღვას, სოჭს და ა. შ., მაგრამ განსაკუთრებულ პატივს მაინც მუხას მიაგებდნენ.<sup>4</sup>

„ჯორ“//„ჯვარ“ ხშირად გვხვდება ქართულ ტოპონიმიკაშიც (ჯორმუხა, კოჯორი, ჯორისუბანი..) და ყოველი ამგვა-

---

<sup>1</sup> К. Меретуков. Адыгейский топонимический словарь. გვ. 62

<sup>2</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 235

<sup>3</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 129

<sup>4</sup> Е. Шиллинг. Черкесы. გვ.46



რი ადგილი ძველ სალოცავთან არის დაკავშირებული,<sup>1</sup> სადაც წმინდა მუხა იდგა და მასთან ჯვარი იყო აღმართული.<sup>2</sup> აქ სალოცავად ამოსულთა სავედრებელი იყო ღმრთისგან შენვენა გაჭირვების დროს, განვიმება უხვი მოსავლისთვის, შვილიერების მინიჭება და სხვა.<sup>3</sup>

მუხა და საერთოდ მუხნარი წარმართულ საქართველოში მზე ქალღმერთის სავანე<sup>4</sup> და ასევე უნდა ყოფილიყო ეს მეზობელ ჩერქეზეთში. მათი წინაპრები ამ წმინდა ხის მეშვეობით თაყვანს სცემდნენ ქალღმერთს, რომელსაც პანთეონში უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა.

შაფსულურ ჯვართან დაკავშირებული რიტუალები ორი სახისაა: I. – წეს-ჩვეულებები, რომლებიც აშკარად ქრისტიანობის კვალს ატარებენ. მაგ., ლოცვა ჯვრის წინ ეკლესიის ნანგრევებთან, ან კიდევ, ლოცვა წმინდა ხის ქვეშ აღმართული ჯვრის წინ დიდი ღმერთის და მარიამ ღმრთისმშობლის სადიდებლად და II. – ის რიტუალები, რომლებიც უშუალოდ წარმართობიდან მომდინარეობენ, თუმცა გარკვეული დროის განმავლობაში ქრისტიანობაში იყვნენ შერწყმულნი. ამათ რიგს განეკუთვნება ჩერქეზეთის სხვადასხვა კუთხეში გვიანობამდის შემორჩენილი თამაშობა ჯორ, რომელშიც ქრისტიანობიდან მხოლოდ სახელწოდებაა შემორჩენილი.

ადილე მკვლევარი კ. მერეთუყოვი თავის ცნობილ ნაშრომში – „ადილური ტოპონიმური ლექსიკონი“, – განმარტავს რა შაფსულეთში არსებულ ჯვართან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, (ჯორეყოთხირ, ჯორეყოფს, ჯორეჭილ) დასძენს, რომ ჩერქეზეთში ცნობილი იყო მინათმოქმედებასთან დაკავშირებული თამაშობა, რომელიც გაზაფხულზე, თესვის წინ იმართებოდა და ჯვარი (ჯორ) ეწოდებო-

---

<sup>1</sup> მ. გეგეშიძე. კოჯორი. გვ. 191

<sup>2</sup> მ. გეგეშიძე. კოჯორი. გვ. 201

<sup>3</sup> მ. გეგეშიძე. კოჯორი. გვ. 208

<sup>4</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 300

და. თამაშის მონაწილენი ორ ჯგუფად იყოფოდნენ. თითოეული მათგანი ანთებული ჩირაღდნებით ღამით სხვის ყანაში უნდა შეჭრილიყო, რათა ბევრი ტყვე ჩაეგდო ხელთ. ტყვედ ჩავარდნილები თამაშს ეთიშებოდნენ. თამაშის მსვლელობისას სრულდებოდა სიმღერა, რომლითაც ჯვარს უხვ მოსავალს ევედრებოდნენ.<sup>1</sup>

ეს ჩვეულება XIX საუკუნის 30-იან წლებში ხან-გირეის შემდეგნაირად აქვს აღწერილი – „თითქმის მივიწყებულ სახალხო თამაშობათა შორის ყველაზე უფრო აღსანიშნავია „დიორ“, რომელიც უეჭველია, იმ დროიდან არის შემორჩენილი, როდესაც ჩერქეზთა სარწმუნოებაში წარმართობა და ქრისტიანობა ურთიერთში იყო შერწყმული.

გაზაფხულის დამდეგს, საღამო ჟამს სოფლის მცხოვრებნი (მამაკაცები) ორ ნაწილად იყოფოდნენ. ყოველ მათგანს ეჭირა ჭოკა, რომელზეც ხმელი ჩალით სავსე ტომარა იყო ჩამოკიდებული. ამგვარად შეიარაღებულნი ჩალას ცეცხლს უკიდებდნენ და ვეებერთელა ჩირაღდნებით თავს ესხმოდნენ ერთმანეთს, თან მთელი ძალით გაჰყვიროდნენ: „დიორა!“ „დიორა!“

თავდასხმისას ტყვედ აყვანილები ხელებშეკრულნი მიჰყავდათ უხუცესის სახლში, სადაც თამაშის ბოლოს ორივე ჯგუფი ცალ-ცალკე იკრიბებოდა და იწყებდნენ ტყვეთა გამოსყიდვას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ტყვეობიდან გამოსხნილს გარკვეული ოდენობის ხორაგი უნდა მოეტანა.

წესისამებრ თამაშობას ახალგაზრდობა იწყებდა, რომელთაც შემდეგ უფროსებიც და უხუცესებიც კი უერთდებოდნენ.

დიორა ტყვეთა მიერ მოტანილი ხორაგისგან განწყობილი ლხინით სრულდებოდა, რომელიც მთელი ღამე, ან მთელი დღე გრძელდებოდა.”<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 62

<sup>2</sup> **Хан-Гирей.** Записки о Черкесии. გვ. 281

ბუნებრივია, ამგვარი თამაშობა აუცილებლად იქნებოდა ცნობილი შაფსულებში, სადაც ჯვრის კულტი განსაკუთრებულად იყო შემორჩენილი. მითუფრო, რომ ამ ჩვეულებას გვიანობამდის ასრულებდნენ შაფსუღეთის მეზობელ მაჰმადიანურ მხარეებშიც. მაგალითად, ბჟედულებში ის მარტის დასასრულიდან მთელი აპრილის განმავლობაში საღამოობით, ყანაში იმართებოდა, სადაც აგროვებდნენ ჩალის ნარჩენებს, უკიდებდნენ ცეცხლს, ახტებოდნენ მას და ასრულებდნენ სიმღერას, რომლითაც ჯორს ნათელ მომავალს, უხვ მოსავალს და ბედნიერებას ევედრებოდნენ და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, რიტუალის აუცილებელი ელემენტი იყო არა ჩირაღდანი, არამედ აღმოდებული ჯვრისებრი ჯოხი, რომელიც თამაშობის ყოველ მონაწილეს ეკავა.<sup>1</sup>

უეჭველია, ეს აღმოდებული ჯვრისებრი ჯოხი, როგორც თვით რიტუალის სახელწოდებაც მიუთითებს, იგივე ჯვარია, მზის განსახიერება, რომლის შემვეობით მლოცველები ქალღმერთს უხვ მოსავალს ევედრებოდნენ.

ამ რიტუალში არსებული ბრძოლის მნიშვნელობა ადვილად აიხსნება, თუ მას ქართულ ბერიკაობას შევადარებთ, რომელიც დაახლოებით ჯორის თანადროულად, ასევე მზე ქალღმერთის პატივსაცემად სრულდებოდა. დღესასწაულის მონაწილეთა წარმოდგენით, რომელი მხარეც ბრძოლაში გაიმარჯვებდა, იქითკენ კარგი მოსავალი და ნაყოფიერება უნდა ყოფილიყო.<sup>2</sup>

მზის კულტი აშკარად შეინიშნება ჩერქეზთა სინკრეტულ რელიგიაში სიუხვის და ნაყოფიერების მფარველი ღმერთის, სოზერიშის პატივსაცემად შესრულებულ რიტუალში, რომელსაც მთელი თემი, ან მხოლოდ ოჯახი ატარებდა.

საერთო სათემო დღესასწაული აღწერილი აქვს ლონ-

---

<sup>1</sup> **М. Азаматова.** Материалы к земледельческой культуре..., გვ., 257

<sup>2</sup> **ივანე ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. 1, თბ., 1951, გვ. 71

გვორთს მდინარე წემეზის მახლობლად – „ჩვენი ყურადღება ზღვის სანაპიროსთან ახლოს, წმინდა ტყეში შეკრებილმა ხალხმა მიიქცია, რომელიც სეოზერესის დღესასწაულს ატარებდა. მთელი დღის განმავლობაში საკრავისა და ლხინის ხმა მოისმოდა. სეოზერესის კერპს გასუფთავებული ძელი წარმოადგენდა, რომელსაც ზემოთ ჯვრისებურად ჰქონდა ტოტები მიმაგრებული. კერპი წმინდა ტყეში, შუა ალაგას იყო ჩარჭობილი და მის გარშემო ქალები და ბავშვები ცეკვავდნენ. ღმრთისმსახურმა უხუცესმა კერპთან უხვმოსავლიანობის თაობაზე ილოცა, მას პური, თაფლი, სამკუთხა ფორმის ყველი, ბუზათი<sup>1</sup> სავსე კათხა შესწირა და ყოველივე ეს იქ დამსწრეთ დაუნანილა. დასასრულს მსხვერპლად ხარი შესწირეს. მისი ხორცი კი აქვე მოხარშეს, რათა ელხინათ და ემხიარულათ“.<sup>2</sup>

შაფსულური გადმოცემების თანახმად, სოზერიში წყლისა და ქარის ღმერთი და მესაქონლეობის მფარველიც ყოფილა. კოხის მიხედვით, ჩერქეზებს სწამდათ, რომ ის წარსულში ცნობილი ადამიანი იყო, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და სიბრძნითა და ქველმოქმედებით გამოირჩეოდა. მან გააერთიანა დაქსაქსული ტომები და მათ მესაქონლეობა ასწავლა. ამიტომ მას განსაკუთრებით მწყემსები ეთაყვანებოდნენ. მოგზაურობის დროს ბევრი რამ შეისწავლა და სწორედ ამ ცოდნის საფუძველზე გახდა ქარისა და წყლის მბრძანებელი. სოზერიშის დღესასწაულზე, რომელიც გაზაფხულში იმართებოდა, კოცონს ანთებდნენ და რიტუალს კერპთან, მიწაში ჩარჭობილ ხმელი მსხლის ძელთან ასრულებდნენ. მსხვერპლად რამდენიმე თხას სწირავდნენ და სოზერიშს ევედრებოდნენ, რომ სამი დღის განმავლობაში არც ეწვიმა

---

<sup>1</sup> ბუზა, ანუ შუათი თაფლის და ფეტვის, ან სიმინდის ფქვილისგან დამზადებული სასმელი იყო. - **კ.ო.**

<sup>2</sup> **Дж. Лонгворт.** Год среди Черкесов. გვ. 583

და არც ქარი ყოფილიყო. ამის შემდეგ ყველანი გართობას იწყებდნენ.<sup>1</sup>

შაფსულეთის დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეში მრავალგზის მყოფ ხაზროვს სოზერიშის დღესასწაული შემდეგნაირად აქვს აღწერილი. საღამო ჟამს სალოცავად განკუთვნილ სახლში მდიდრულად ჩაცმული ახალდაქორწინებული ქალი შედიოდა. მას ხელში ანთებული სანთელი ეკავა, რომელიც წინა წლის დღესასწაულიდან უნდა ყოფილიყო მორჩენილი. ამ სანთლით ის სხვა სანთლებსაც უკიდებდა და სახლს გაანათებდა. ამასობაში სახლთან ხალხი გროვდებოდა. მათგან უხუცესი, სანთლებმიმაგრებული ძელით ხელში კარს უახლოვდებოდა და შესძახებდა: „ოი სოზერიშ, გაგვიღე კარები“. ხალხი ერთხმად იმეორებდა ამ სიტყვებს და როდესაც შიგ მყოფი ქალი კარს გააღებდა, ყველანი სახლში შედიოდნენ. უხუცესი ძელზე მიმაგრებულ სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა. მთელი რიტუალის განმავლობაში ახალდაქორწინებული ქალი სახით აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა მდგარიყო. შემდეგ, სალოცავად განკუთვნილ სახლში და მის გარეთ კოცონებს ანთებდნენ. დასასრულს, ანთებული სანთლებითურთ საკუთარ სახლებში ბრუნდებოდნენ და ამავე სანთლებით იქ ანთებდნენ კოცონს.<sup>2</sup>

სოზერიშის ის რიტუალები, რომლებიც ოჯახს შიგნით ტარდებოდა, XIX საუკუნის ავტორებს ამგვარად აქვთ აღწერილი:

ტებუ დე მარინის ცნობით, სოზერიშს ქარი და წყალი ემორჩილებოდა. ხალხის წარმოდგენით ის დიდი მოგზაური იყო. ჩერქეზთაგან მას განსაკუთრებით ზღვისპირას მცხოვრებნი ეთაყვანებოდნენ. ამ ღმერთს ხმელი მსხლის ხის გოტებშემოჭრილი ძელი განასახიერებდა, რომელიც ყოველ ოჯახში იდგა. მის პატივსაცემად რიტუალი გაზაფხულობით

---

<sup>1</sup> **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 628

<sup>2</sup> **И. Хазровь.** Остатки христианства...,- Кавказь, 1846, №40

იმართებოდა და ამ დღის გარდა კერპის ხელის ხლებას ვერასდროს ბედავდნენ. დღესასწაულზე მას წყალში ჩაუშვებდნენ, განზანდნენ, წვეროზე ყველს მიუმაგრებდნენ და იმდენივე სანთლით მორთავდნენ, რამდენიც სტუმარი იყო ოჯახში. შემდეგ ის სახლში შეჰქონდათ, რათა რიტუალი იქ გაეგრძელებინათ. ზღურბლზე მას ბედნიერ მობრძანებას ულოცავდნენ.

სოზერიშის დღესასწაული მსხვერპლის შეწირვით იწყებოდა და სამ დღეს გრძელდებოდა. მას ქარისგან და წყალდიდობისგან დაცვას სთხოვდნენ. დასასრულს, კერპის წვეროზე მიმაგრებულ ყველს და სხვა საკვებს სტუმრებს უნაწილებდნენ, თვით კერპი სახლიდან გაჰქონდათ და მას ბედნიერ მოგზაურობას უსურვებდნენ. მორიგი დღესასწაული ერთი წლის შემდეგ იმართებოდა.

ამავე ავტორის ცნობით სოზერიში ჯოგის მფარველადაც ითვლებოდა.<sup>1</sup>

დიუბუა დე მონპერესაც აღნიშნული აქვს, რომ სოზერიშს, რომელსაც ქარი და წყალი ემორჩილებოდა, განსაკუთრებულ პატივს შავიზღვისპირა ჩერქეზები – შაფსულები და ნათუხაები მიაგებდნენ. მას ეთაყვანებოდნენ როგორც ჯოგის მფარველს. მხოლოდ, განსხვავებით ტებუ დე მარინისგან, რომელიც სოზერიშის კერპად ხმელი მსხლის ხის ტოტემშემოჭრილ ძელს აღწერს, დიუბუა დე მონპერე მიუთითებს, რომ სოზერიშის კერპი იყო ტყეში მოჭრილი, ტოტემშემოცლილი ახალი მსხლის ხე. გარდა ამისა, ამავე ავტორის მიხედვით სოზერიშობა გაზაფხულობით კი არა, შემოდგომაში იმართებოდა.

რიტუალის შესასრულებლად კერპი დიდი სიხარულით შეჰქონდათ სახლში და მას მშვიდობით მობრძანებას ულოცავდნენ. ის პატარა სანთლებით იყო მორთული და თავზე ყველი ჰქონდა მიმაგრებული. დღესასწაულზე სვამდნენ ბუზას, მიირთმევდნენ საჭმელს და მღეროდნენ. რიტუალის და-

---

<sup>1</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. гв. 304

სასრულს მას ყოველივეს შემოაცლიდნენ და უკანვე გააბრუნებდნენ. ასე იდგა ის მთელი წლის განმავლობაში.<sup>1</sup>

ლიულეს თანახმად, სოზერიში მკის მფარველი ღმერთი იყო. მთიელი ჩერქეზების წარმოდგენით ის დეკემბერში გამოჩნდებოდა და მის პატივსაცემად დღესასწაულს ამავე თვეს აწყობდნენ. ქრისტეშობის დღეს მათ სახლში შეჰქონდათ შვიდტოტშემოჭრილი კუნელის ძელი. ნატოტარებზე სანთლებს, ღვეზელს და ყველის ნაჭერს ამაგრებდნენ. სოზერიშის შემობრძანებას ქუდმოხდილი მამაკაცები ლოცვით ეგებებოდნენ. ყოველ ოჯახში დაკიდებული იყო თარო, რომელშიაც ამ დღესასწაულისთვის საჭირო ცვილის ნაჭერი ინახებოდა. თაროს ქვევით ხის ჭურჭელი ეკიდა, რომელიც მხოლოდ მსხვერპლის შეწირვისას გამოიყენებოდა.

შაფსულებს სოზერიში მეზღვაურადაც მიაჩნდათ და მის მობრძანებას ზღვიდან ელოდნენ. ზოგიერთი გადმოცემით, მას ზღვის ტალღებზე სიარულიც კი შეეძლო. ის ზღვაზე სამოგზაუროდ ფეხით გაემართა და უკანვე ასევე ზღვაზე ფეხით მთარული ბრუნდება.<sup>2</sup>

ჩერქეზ ავტორს, ხან-გირეის სოზერიშის შესახებ ცნობები დაცული აქვს თავის ნაშრომებში: „ჩანანერები ჩერქეზეთის შესახებ“ და „ჩერქეზ ხალხთა მითოლოგია“. პირველში – მოკლედ, მეორეში – შედარებით ვრცლად.

ხან-გირეის „ჩანანერებში“ აღნიშნულია, რომ სოზერიში მეხორბლეობის მფარველი ღმერთი იყო. მის კერპს წარმოადგენდა შვიდტოტშემოჭრილი კუნელის ძელი, რომელსაც პურის ბელელში ინახავდნენ. მკის დასრულების შემდეგ, სოზერიშობის ღამეს ოჯახი კერპს შუა სახლში დგამდა, შემოჭრილ ტოტებზე ცვილის სანთლებს ანთებდა და მის წინ ქუდმოხდილი ლოცულობდა.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 55

<sup>2</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 123

<sup>3</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 98

„ჩერქეზ ხალხთა მითოლოგიის“ მიხედვით, სოზერიში სიუხვისა და ოჯახური ბედნიერების ღმერთი იყო. დღესასწაულზე, რომელიც ღამით იმართებოდა, მთელი ოჯახი ბელელში იკრიბებოდა, იქ, სადაც სოზერიშის კერპს ინახავდნენ. მას შვიდტოტემოჭრილი ხის ძელი განასახიერებდა.

ბელლიდან კერპი ქუდმოხდილ ოჯახის უფროსს გამოჰქონდა და შინაურების თანხლებით შუა სახლში დგამდა. ნატოტარებზე ცვილის სანთლებს უნთებდნენ და მის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებულნი წრეს კრავდნენ. ამ დროს დიასახლისი ხმამაღლა წარმოთქვამდა ლოცვას: „სოზერიშ! მაღლობას გიხდით მოსავლისთვის და გთხოვთ, მომავალშიც უხვი მოსავალი მოგვცეთ, გთხოვთ შენ, სოზერიშ, დაიცვა ჩვენი პური მპარავისგან და ბელელი – ხანძრისგან“.

როდესაც დიასახლისი ლოცვისას შეყოვნებოდა, ხელიხელჩაკიდებული ოჯახის წევრები კერპის გარშემო წრეს დაუვლიდნენ და ერთხმად წარმოთქვამდნენ – ამინ! ლოცვის დასასრულს, ყოველგვარი წესის შესრულების გარეშე, კერპს კვლავ ბელელში ინახავდნენ, მომავალი წლის დღესასწაულამდე. რიტუალის დასრულების შემდეგ სოზერიშის პატივსაცემად ღვინო იწყებოდა.<sup>1</sup>

ამრიგად, სოზერიშის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულზე მას, როგორც წყლისა და ქარის მბრძანებელსაც, ევედრებოდნენ უხვ მოსავალს, ყანების ქარისგან და წყალდიდობისგან, ხოლო უკვე მოწეული მოსავლის ხანძრისგან და მპარავისგან დაცვასა და მფარველობას. მას ავედრებდნენ თავიანთ ჯოგსაც. სოზერიშის პატივსაცემად გამართულ დღესასწაულს განსაკუთრებული ხასიათი ზღვისპირეთში მცხოვრებ შაფსულებში ჰქონდა.

თუ როდის ასრულებდნენ რიტუალს სოზერიშის პატივსაცემად, ამის თაობაზე მრავალი ცნობა არსებობს. მაგ., ბესის სიტყვებით „სოზერეშს განსაკუთრებით ეთაყვანებიან

---

<sup>1</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. гв. 170



ზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზები და მის დღესასწაულს გაზაფხულობით ატარებენ“.<sup>1</sup> იგივეს გადმოგვცემს ტებუ დე მარინი.<sup>2</sup> ღიუბუა დე მონპერეს მიხედვით სოზერიშობას შემოდგომაში დღესასწაულობდნენ.<sup>3</sup>

ლიულეს მიხედვით, სოზერიშის დღესასწაული დეკემბერში, ქრისტეშობის თანადროულად ტარდებოდა.<sup>4</sup> მის ცნობას ლავროვის მიერ 1930 წელს ზღვისპირა შაფსულეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებენ. მოხუცი შაფსულეების ნაამბობით, სოზერიშის პატივსაცემად ლოცვა შუა ზამთარში იმართებოდა.<sup>5</sup>

იგივე შაფსულეები ყვებოდნენ, რომ სოზერიშის კერპი შეიძლებოდა სხვადასხვა ზომის ყოფილიყო და მას ჭადრისგან, ან მუხისგან ამზადებდნენ. სოზერიშის დღესასწაულებს შორის კერპი ყოველგვარი პატივის გარეშე იდგა ეზოში, ბაღში, ან ბელელში.<sup>6</sup>

სოზერიშის დღესასწაული, რომელიც ჩერქეზულ კუთხეთაგან განსაკუთრებულად სწორედ შაფსულეთში სრულდებოდა, მზის კულტთან იყო დაკავშირებული. სიუხვის და ნაყოფიერების მფარველი ღმერთის პატივსაცემ რიტუალთაგან ერთ-ერთი, შესაძლოა მთავარი, იმართებოდა შუა ზამთარში (ლავროვის ცნობით) თუ შობა-ახალი წლის დღეებში (ლიულეს ცნობით) ე. ი. მაშინ, როდესაც მზე მატებას იწყებს.

ამრიგად, სოზერიშის კერპზე ჯვრისებურად მიმაგრებული ტოტები, ანუ იგივე ჯვარი, თვით ძელის ნატოტარებზე ანთებული სანთლები და მის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებული

---

<sup>1</sup> Ж.-Ш. Де Бесс. Путешествие в Крым, на Кавказ..., გვ. 340

<sup>2</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. გვ. 304

<sup>3</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 55

<sup>4</sup> Л. Люлье. Веравания.... у черкесь. გვ. 123

<sup>5</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 214

<sup>6</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 197

წრიული ცეკვა სწორედ მზეს და მზის სხივებს განასახიერებდა.

შაფსულური სოზერიშის კერპის ანალოგიური დასავლურ-ქართული ჩიჩილაკია, რომელიც თავისი კალპით, ჯვრით და ბურბუშელას მსგავსად ჩათლილი ღეროთი მზეს განასახიერებს.<sup>1</sup>

ჩიჩილაკი სიუხვის მფარველი მზის ღვთაების გამომხატველია და ზამთრის მზის მობრუნების დღეობასთან არის დაკავშირებული.<sup>2</sup>

ისევე როგორც სოზერიშის კერპს ბელელში, ჩიჩილაკსაც დღესასწაულის შემდეგ მარანში ინახავდნენ.<sup>3</sup>

სოზერიშის დღესასწაულზე ერთ-ერთი მთავარი მლოცველთაგანი ანთებული სანთლით ხელში სახით აღმოსავლეთით უნდა მდგარიყო.<sup>4</sup> ესე იგი იმ მიმართულებით, საიდანაც ასტრალური ღვთაება დედამიწას ევლინებოდა.

მსგავსი წესი არსებობდა სვანეთშიც, კერძოდ მზე ქალღმერთის სადიდებელი საგალობელი კვირია ქუდმოხდილ მლოცველებს პირჯვრის წერით სახით აღმოსავლეთით უნდა შეესრულებინათ.<sup>5</sup>

სახით აღმოსავლეთის მიმართულებით ქრისტიანებიც ვლოცულობთ, მაგრამ მას სულ სხვა მნიშვნელობა გააჩნია და დაკავშირებულია მეორედ მოსვლის ბიბლიურ (სახარებისეულ) წყაროსთან: „ვითარცა ელვაი რაი გამობრწყინდის მზისა აღმოსავლით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრე იყოს მოსვლაი ძისა კაცისა.“ (მათე. 24, 27)

მზის კულტი აშკარად იყო შემორჩენილი წარმართული კერპის, ჰაცეგუაშეს პატივსაცემად შესრულებულ რელიგი-

---

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების..., გვ. 71, 72

<sup>2</sup> ვ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების..., გვ. 73, 74

<sup>3</sup> В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования..., გვ. 78

<sup>4</sup> И. Хазров. Остатки христианства..., - Кавказь, 1846, №40

<sup>5</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 1, თბ., 1951, გვ. 65

ურ რიტუალებში, რომელსაც ჩერქეზეთის სხვადასხვა კუთხეში გვალვისას, წვიმის მოსავლენად ასრულებდნენ.

ჰაცეგუაშე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ჰაცე – ხის ნიჩაბი, გუაშე – დედოფალი. კერპს ხის ნიჩბისგან ამზადებდნენ. სახელურზე ჯოხს გარდი-გარდმო იმდაგვარად ამაგრებდნენ, რომ ის ხელეგაშლილ ადამიანს დამსგავსებოდა. მას ქალის სამოსს აცმევდნენ, თავზე თეთრ ხელსაცოხს ახურავდნენ და წელზე ქამარს უკეთებდნენ.

ორი ახალგაზრდა გოგო ჰაცეგუაშეს ხელში იკავებდა და ფეხშიშველნი, ქალებისა და ბავშვების თანხლებით სიმღერ-სიმღერით ეზოდან ეზოში გადადიოდნენ. დამხვდური დიასახლისები მათ და კერპსაც წყალს ასხამდნენ და ჰაცეგუაშეს წვიმას ევედრებოდნენ. ამის შემდეგ დიასახლისს სახლიდან საჭმელი გამოჰქონდა და მლოცველებს ურიგებდა.

სახლიდან სახლში გადასვლის შედეგად მლოცველთა რიცხვი უფრო და უფრო იზრდებოდა. საღამოს ყველანი მდინარესთან იკრიბებოდნენ. მოლხენის შემდეგ ჰაცეგუაშეს წყლით დაასველებდნენ, თავად კი ცურვას იწყებდნენ.

შაფსულეთში ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გარდა, კერპს სამი დღის განმავლობაში მდინარეში დებდნენ.<sup>1</sup>

შავიზღვისპირა შაფსულეთში ჰაცეგუაშესთან დაკავშირებული რიტუალი XX საუკუნის 20-იან წლებშიც კარგად იყო შემორჩენილი. ქალები და ბავშვები მდინარესთან მიდიოდნენ და კერპს წყალში აგდებდნენ. გზადაგზა ყოველ სახლთან მასპინძლები ჰაცეგუაშესა და მის ამაღლას ასველებდნენ. თავის მხრივ მლოცველებიც შეცვივდებოდნენ ეზოში, დაიჭერდნენ ვინმეს, დამხვდურთაგანს, მიათრევდნენ მდინარისკენ და მასაც წყალში აგდებდნენ. რიტუალის დასასრულს კერპს მდინარიდან ამოიტანდნენ, სამოსს აშორებდნენ, ხეს კი ამტვრევდნენ და გადააგდებდნენ.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> С. Мафедзев. Обряды и обрядовые игри Адыгов..., გვ. 57

<sup>2</sup> Е. Шиллинг. Черкесы. გვ. 50

ასევე იყო აფხაზებშიც. უწვიმობის დროს გროვდებოდნენ მდინარესთან და წყალში აგდებდნენ ერთმანეთსაც და დედოფალსაც, რომელსაც ძივოუს უწოდებდნენ.<sup>1</sup>

ძივოუ ქალის სამოსში გამოწყობილ, ნიჩბისგან, ან გადაჯვარედინებული ჯოხებისგან გაკეთებულ, დაახლოებით ადამიანის სიმაღლის თოჯინას ერქვა.<sup>2</sup>

წვიმის გამოწვევის მიზნით წყალში დედოფალს ჩაგდება იმ დროის გადმონაშთია, როდესაც მსხვერპლად ადამიანს სწირავდნენ. მდინარეში ჩაგდებული თოჯინა განასახიერებს ღმერთისთვის ზვარაკად შეწირულ ადამიანს, რომელიც ამ ღვთაებისთვის დამახასიათებელ ატრიბუტებს იძენს.<sup>3</sup>

გვალვისას ღმრთის სადიდებელი რიტუალი შაფსულთა მეზობელ ბჟედულებშიც იყო შემორჩენილი. მათში ჰაცეგუაშე განასახიერებდა მეზითჰას, იგივე მეზგუაშეს, ტყის და წყლის მფარველ ქალღმერთს. ბჟედულები ჰაცეგუაშეს ეზო-ეზო დაატარებდნენ და შემდეგი შინაარსის სიმღერას ასრულებდნენ: „ჰაცეგუაშე, თხოვე მეზგუაშეს, რომ დიდი წვიმა წამოვიდეს, რომ უხვი მოსავალი მოვიდეს, რომ შენც და ჩვენც კმაყოფილნი ვიყოთ.“<sup>4</sup>

სოფლის შემოვლის შემდეგ დღესასწაულის მორიგი ნაწილი, ფსიხაძე იმართებოდა. იკრიბებოდნენ მდინარესთან და ერთმანეთს წყალში აგდებდნენ. იყო შემთხვევები, როდესაც მდინარეში ჩაგდებული მომლოცველი დამხრჩვალა, მაგრამ მისი დატირება არ შეიძლებოდა. მიაჩნდათ, რომ ის წმინდა იყო, რადგან მეზგუაშემ თავისთან წაიყვანა.<sup>5</sup>

ჩერქეზეთის მსგავსად ლეკეთშიც, კერძოდ დარღუებში წვიმის გამოწვევის მიზნით ნიჩბისგან, ან გადაჯვარედინებული ჯოხებისგან თოჯინას აკეთებდნენ, რომელსაც ქალის სა-

<sup>1</sup> **ბ. ჯანაშია.** აფხაზები. გვ. 76

<sup>2</sup> **Г. Чурсин.** Материалы по этнографии Абхазии. გვ. 114

<sup>3</sup> **Г. Чурсин.** Материалы по этнографии Абхазии. გვ. 117

<sup>4</sup> **М. Азаматова.** Материалы к земледельческой культуре..., გვ. 256

<sup>5</sup> **М. Азаматова.** Материалы к земледельческой культуре..., გვ. 256

მოსს აცმევდნენ, სოფელ-სოფელ დაატარებდნენ და უხვ მოსავალსა და საქონლის სიმრავლეს ევედრებოდნენ. რიტუალის მსვლელობისას თოჯინას და მლოცველებს გზადაგზა ასველებდნენ, ან მდინარესთან ჩადიოდნენ და იქ ჭყუმპალაობდნენ.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი ძველი წარმართული ჩვეულებისამებრ, წვიმის გამოწვევის მიზნით რელიგიურ რიტუალს მდინარესთან XVII საუკუნის სამეგრელოშიც ასრულებდნენ, მხოლოდ აქ მდინარეში არა წარმართულ კერპს, არამედ რომელიმე სასწაულმოქმედ ხატს ამოავლებდნენ.<sup>2</sup>

საერთოდ საქართველოში წვიმის, ან პირიქით, მზის თვალის თხოვნის მრავალი რიტუალი არსებობდა. ზოგი მათგანი კონკრეტულ სალოცავთან სრულდებოდა, ნაწილს კიდევ მსვლელობის ფორმა ჰქონდა.

სალოცავთან ჩატარებული ერთ-ერთი რიტუალი აღწერილი აქვს ვახუშტი ბატონიშვილს, ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში – „პატივანს ქუეით, ვაკეს არს ლოდი, რომელი, გუალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმრობა.“<sup>3</sup>

მსგავსი სალოცავები საქართველოში (ბოდბეში, კოჯორში, შილდასთან და სხვაგან) ცნობილნი იყვნენ „ქალქვა“-ს სახელწოდებით.<sup>4</sup>

ხალხური გადმოცემებით ესენი გაქვავებული ქალებია, მოსახლეობა მათ ქალებს ამსგავსებდა. არსებითად კი ეს სალოცავები ლოდებს, ან მათ ნატეხებს წარმოადგენდნენ.

ქალქვა სხვადასხვა ზომის შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგ., კახეთში, „ყველანმინდის“ სალოცავთან მდებარე ლოდი

---

<sup>1</sup> ნ. ანთელავა. კავკასიის ხალხთა მითები..., გვ. 67

<sup>2</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 154

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 326

<sup>4</sup> Г. Чурсин. Народные обычаи и верования Кахетии. გვ. 19, 47

სიგრძით ორ არშინზე მეტი, ხოლო სიგანით დაახლოებით ერთნახევარი არშინი იყო.<sup>1</sup>

ერთ-ერთ ასეთ ქალქვას (გურიაში, აჭისწყლის ხეობაში) რომელსაც თითქოს ასევე ქალის ფორმა ჰქონდა, გაცხოველება-გაცოცხლების ძალა გააჩნდა.<sup>2</sup>

სალოცავი მონოლითი ცნობილი იყო მანგლისთანაც, თუმცა რიტუალი აქ ლოდის ნაცვლად ქვის ჯვართან სრულდებოდა, რომელსაც მარიამჯვარს უწოდებდნენ. გვალვისას, თუ ქვებზე წამოყირავებულ ამ ჯვარს გადააბრუნებდნენ, წვიმა წამოვიდოდა, ხოლო ხშირი წვიმიანობის დროს, მის შესანყვეტად ქვის ჯვარს კვლავ მეორე გვერდზე გადმოაბრუნებდნენ.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ მანგლისის ქვაჯვარას, ანუ მარიამჯვარს, ცენტრში სოლარული ნიშანი ჰქონდა გამოსახული – ამობურცული დისკო ორი წრით.<sup>4</sup>

ამრიგად, სალოცავი ლოდი, რომელთანაც სრულდებოდა რიტუალი წვიმისთვის, ან დარისთვის, მლოცველებს მდებდრობითი სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მას სიცოცხლის მინიჭების ძალა გააჩნდა. ანალოგიურ წეს-ჩვეულებას ატარებდნენ მარიამჯვართან. მას ისევე მიმართავდნენ, როგორც ქალქვებს. მარიამჯვარის ცენტრში მოთავსებული იყო სოლარული ნიშანი. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს, რომ წვიმის, ან დარის თხოვნით ქალქვასთან და ქვაჯვარასთან ლოცვებს მზე ქალღმერთის სადიდებლად ასრულებდნენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჭოროფისას, ან გვალვისას აგრეთვე ლაზარობას, ან გონჯაობას მართავდნენ. დადიოდნენ ეზო-ეზო და ლაზარეს, ან გონჯას პატივსაცემად სიმღერებს ასრულებდნენ, რასაც დარი (ჭოროფი-

---

<sup>1</sup> **Г. Чурсин.** Народные обычаи и верования Кахетии. გვ. 46

<sup>2</sup> **ლ. მელიქსეთ-ბეგი.** მეგალითური კულტურა საქართველოში. გვ. 110

<sup>3</sup> **ვ. თოფურია.** ქვაჯვარანი საქართველოში. გვ. 33

<sup>4</sup> **ლ. მელიქსეთ-ბეგი.** მეგალითური კულტურა საქართველოში. გვ. 112

სას) ან კიდევ წვიმა (გვალვისას) უნდა მოჰყოლოდა. ლაზარეს ზოგან ბიჭი განასახიერებდა, ან გოგო, ან კიდევ თიხის ანთროპომორფული ფიგურა, ხოლო გონჯას – ტოლმკლავა ჯვარი. ჯვარს ქალის სამოსს აცმევდნენ, ისე რომ მისი მდედრობითობა გამოკვეთილიყო.<sup>1</sup>

ამრიგად, საქართველოში რიტუალების ნაწილი წვიმის, ან პირიქით, მზის თვალის თხოვნის მიზნით ჯვართან სრულდებოდა; ქვაჯვარასთან, ან ტოლმკლავა ჯვართან, რომელსაც დედოფალასავით მორთავდნენ.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტოლმკლავა ჯვართან, ან ქვაჯვარასთან შესრულებული მრავალი ძველი ქართული რიტუალი მზის კულტთან არის დაკავშირებული, ცხადი ხდება – ქართული, აფხაზური, თუ ლეკური წვიმის დედოფალების მსგავსად მორთული ჩერქეზული ჰაცეგუაშე, ანუ მეზგუაშეს კერპი (ჯვარი, დედოფალასავით მორთული) გამოსახულებაა მზე ქალღმერთის, რომელიც ქართულ და საერთოდ კავკასიურ წარმართულ პანთეონებში სიუხვისა და ნაყოფიერების მფარველია და ამასთანავე წვიმის მომვლენელი.<sup>2</sup>

ჩერქეზულ წარმართულ პანთეონში მეზგუაშეს სხვანაირად მეზითჰა ეწოდება და როგორც ამას სტალი გადმოგვცემს, ის ნადირობის ქალღმერთია.<sup>3</sup>

ლიულეს მიხედვით მეზითჰა ტყეთა ღვთაება იყო. ის ოქროს ჯაგრიან ტახზე ამხედრებული ჰყავდათ წარმოდგენილი და სწამდათ, რომ მის ნიშანზე შველ-ირმები ტყეში იკრიბებოდნენ, სადაც მათ ქალიშვილები წველავდნენ. სწორედ მეზითჰას ევედრებოდნენ შაფსულები ნადირობის წარმატებით დასრულებას.<sup>4</sup>

ხან გირეის ცნობებითაც, ოქროს ტყავიან ტახზე ამხედ-

---

<sup>1</sup> **В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования..., გვ. 154

<sup>2</sup> **В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования..., გვ. 105

<sup>3</sup> **К. Сталь.** Этнографический очерк Черкесского народа. გვ.111

<sup>4</sup> **Л. Люлье.** Верования.... у черкесь. გვ. 125

რებული მეზითჰა ტყეთა ღმერთი იყო. ის განაგებდა ნადირთა ბედს და მათ დასაჭერად ჩერქეზები მეზითჰას ევედრებოდნენ. მისი ბრძანებით ირმები მდელოზე გროვდებოდნენ, სადაც მათ ღვთიური ქალწულები წველავდნენ.<sup>1</sup>

ჩერქეზულ გადმოცემებში არ ჩანს, თუ ვინ არიან მეზითჰასთან დაკავშირებული ეს ქალიშვილები, თუ ღვთიური ქალწულები. სამაგიეროდ, მსგავს აფხაზურ მითებშია ცნობილი, რომ ნადირთა ღმერთს ულამაზესი ქალიშვილები ჰყავდა.<sup>2</sup>

ტყის, ნადირთა და ნადირობის ღმერთის სახელი მეზითჰა სიტყვა-სიტყვით ტყის ღმერთს ნიშნავს. XX საუკუნის შუა ხანებამდის შაფსული მონადირე სანადიროდ წასვლის წინ წმინდა ხესთან მიდიოდა და მეზითჰას ევედრებოდა, გამოეყო მისთვის ესა თუ ის ნადირი. ყოველი ნანადირევი მეზითჰას წყალობად, საჩუქრად ითვლებოდა. ვისაც ტყეში გზა აებნეოდა, მეზითჰას ყველის ნაჭერს, ან სხვა რაიმე საჭმელს შესწირავდა, მხოლოდ აუცილებლად უმარილოს.

ნადირობაში ხელის მომართვის მიზნით, მონადირე ამა თუ იმ საგანს საკუთარ სახელს კი არ ეძახდა, არამედ სულ სხვას. გარდა ამისა, მონადირენი საუბრობდნენ განსაკუთრებულ, სამონადირეო ენაზე, რომელსაც ტყის ენა უწოდებდნენ. მაგ., შავიზღვისპირა შაფსულების ტყის ენა შედგებოდა ისეთი სიტყვებისგან, რომლებშიაც ყოველი ხმოვნის შემდეგ ჩასმული იყო უცხო თანხმოვანი. ამ ჩასმული თანხმოვნების გარეშე ისინი ჩვეულებრივ ჩერქეზულ (ადიღურ) სიტყვებს წარმოადგენდნენ.<sup>3</sup>

სამონადირეო ენა გააჩნდათ აფხაზებსაც და მისი გამოყენების ძირითადი მიზანი ნადირთა ღმერთის გულის მოგება და ნადირობის წარმატებით დასრულება იყო.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 97

<sup>2</sup> Г. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии. გვ. 77

<sup>3</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 210

<sup>4</sup> Г. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии. გვ. 89



შაფსულეთში (კერძოდ სოფელ თჰალაფსეში) გვიანობამდის შემორჩა სანადიროდ წასვლის წინ ტყეთა ღმერთის სახელზე ლოცვის აღვლინების ჩვეულება. ლოცვა დაახლოებით შემდეგი შინაარსის იყო: „მეზითჰა, გთხოვთ ბედნიერი გზა მოგვეცი და ნადირი, რისთვისაც ჩვენ მივდივართ, უხვად გვინყალობე.“<sup>1</sup>

ამრიგად, ტყის და წყლის ქალღმერთი მეზგუაშე, რომელსაც გვალვისას წვიმას და უხვ მოსავალს ჰაცეგუაშეს, ანუ დედოფალასავით მორთული ჯვრის მეშვეობით ევედრებიან, ნადირთა მფარველიცაა. მასზეა დამოკიდებული მონადირის ბედ-იღბალიც. მას მეზითჰასაც უწოდებენ და ოქროს ჯაგრიან, თუ ოქროს ტყავიან ტახზე დაბრძანებული ყავთ წარმოდგენილი, რომლის ნიშანზეც ტყეში შველ-ირმები იკრიბებიან.

ტყის ქალღმერთთან დაკავშირებულ ჩერქეზულ გადმოცემებში შველ-ირმებსა და ტახს განსაკუთრებული მნიშვნელობა უკავია და ასევე იყო ეს საქართველოშიც. ნადირობაში ხელის მომართვის მიზნით ოდიშში ჩვეულებად იყო ეკლესიის მორთვა ირმის რქებით, ტახის ეშვებით და ხოხბის ფრთებით.<sup>2</sup>

ხესავით დატოტვილი რქების და მისი განახლების უნარის წყალობით ირემი წარმართი ქართველის ცნობიერებაში სიცოცხლის მიმნიჭებელი ქალღმერთის, მზის წმინდა ცხოველია, რომლის კულტი ქრისტიანობის შემდეგაც შემორჩა. მაგ., იმერეთის სამეფოს ღერბზე სწორედ ირემია გამოსახული, რქებს შუა ჯვრით.<sup>3</sup>

ასტრალური ღვთაების თაყვანისცემასთან არის აგრეთვე დაკავშირებული ცხოველი ტახი. ვინაიდან ის მზის წმინდა მცენარის, მუხის ნაყოფით იკვებება, მზე ქალღმერთის წმინდა ცხოველად ითვლება. მის დღესასწაულზე სწო-

---

<sup>1</sup> **Б. Бгажноков.** Черкесы (Адыги). გვ. 281

<sup>2</sup> **არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა. გვ. 149

<sup>3</sup> **ვახუშტი ბაგრატიონი.** საქართველოს ატლასი.

რედ ტახს სწირავდნენ მსხვერპლად.<sup>1</sup> მისი კულტი შუა საუკუნეებშიც იყო შემორჩენილი. ოდიშის სამთავროს ღერბზე ჯვართან და ხოხობთან ერთად სწორედ ტახია გამოსახული.<sup>2</sup>

იმერეთის და ოდიშის ღერბებზე ირმის და ტახის ზემოთ ჯვრის გამოსახვა აშკარად ძველი სარწმუნოების კვალია, ასტრალურ კულტთან დაკავშირებული, რაზედაც ნათლად მიუთითებს გურიის სამთავროს ღერბი: შველი, რქებს ზემოთ ბრწყინვალე მზით.<sup>3</sup>

ქართულ ხალხურ გადმოცემებში მზესთან არის დაკავშირებული ოქროს ფერი და თვით ოქრო, რომელსაც მზე აფრქევს.<sup>4</sup> მზის საგალობელ ლილეოში ქალღმერთს ოქროს გალავნიანი ოქროს სასახლე უდგას. გარდა ამისა, მეზგუაშეს ქართული ორეული, გასაოცარი სილამაზის ნადირობის ქალღმერთი დალი ოქროს ნაწნავიანია.<sup>5</sup> ტყაში მაფაც (ტყის დედოფალი) ასევე ოქროსფერ ნაწნავიანია და ნადირთა პატრონია. მასზეა დამოკიდებული მონადირის ბედ-იღბალი და მასვე ძალუძს მისთვის სასურველ ადამიანს ბედნიერება და უხვი მოსავალი უწყალობოს.<sup>6</sup>

აქედან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ ჩერქეზული მითოლოგიის შველ-ირმები და ოქროს ჯაგრიანი, თუ ოქროს ტყავიანი ტახი მზე ქალღმერთის წმინდა ცხოველებია და თვით გადმოცემები მეზითჰა || მეზგუაშეს შესახებ თავისი ფესვებით მზის უძველეს კულტთან არის დაკავშირებული.

ამასვე მიაწინებს მთიელ აბაზებში გაზაფხულის დამდეგს პირველი ყვავილობის დღესასწაული, რა დროსაც წესად იყო ტყის ღმერთის, მიზითჰუსთვის მსხვერპლად ირმის

---

<sup>1</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 301

<sup>2</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი.

<sup>3</sup> ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი.

<sup>4</sup> ბ. ნიჟარაძე. სვანური ლეგენდები..., გვ. 146

<sup>5</sup> ბ. ნიჟარაძე. სვანური ლეგენდები..., გვ. 150

<sup>6</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 336

შენიშნავ. რიტუალს ერთ-ერთი უხუცესი ხელმძღვანელობდა, მუხის ფოთლების გვირგვინით დამშვენებული.<sup>1</sup>

წარმართობის და ქრისტიანობის შერწყმის შედეგად ჩერქეზთა სინკრეტულ სარწმუნოებაში ნაყოფიერების მფარველი ქალღმერთის, მარიამ ღმრთისმშობლის კულტი ჩამოყალიბდა. ლოცვისას მას მიმართავდნენ როგორც ცის მეუფეს,<sup>2</sup> ოქროთი მოსილს, მზითა და მთვარით დამშვენებულს და ა.შ.<sup>3</sup>

XX საუკუნის 20-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსულეთში მარიამის პატივსაცემად საყოველთაო რიტუალი გაზაფხულობით სრულდებოდა. ყოველ სახლს ლოცვით შემოუვლიდნენ და ღმრთისმშობელს უხვ მოსავალს და საქონლის სიმრავლეს ევედრებოდნენ. შაფსულურ სოფელ ფსეუმხოში ერთ-ერთი წმინდა ხე ღმრთისმშობლისად ითვლებოდა, სადაც მარიამს მიაგებდნენ პატივს.<sup>4</sup>

შაფსულეთში ღმრთისმშობელს გვალვის დროსაც ევედრებოდნენ. სოფელ კელეჟში ამ რიტუალში ოთხი მამაკაცი მონაწილეობდა. წმინდა ხის გვერდით ხელისხელჩაკიდებულნი, ერთმანეთის მიმართ ზურგით მდგარნი, ისე რომ ქვეყნის ოთხივე მხრისკენ იყვნენ მიქცეულნი, ფერხულის თანხლებით მარიამის სადიდებელ საგალობელს ასრულებდნენ.<sup>5</sup>

ის, რომ მარიამ ღმრთისმშობელს ევედრებიან ბედნიერებას, ჯანმრთელობას, უხვ მოსავალს და საქონლის სიმრავლეს, მას მიმართავენ როგორც ცის მეუფეს, ოქროთი მოსილს და მის პატივსაცემად წმინდა ხესთან სრულდება ქვეყნიერების ოთხივე მხარის მანათობელი ასტრალური ღვთაების გამომსახველი სარიტუალო ცეკვა, პირდაპირ მიუთითებს ამ წეს-ჩვეულებების კავშირს მზე ქალღმერთის უძველეს კულტთან.

---

<sup>1</sup> **Н. Дубровин.** История войны..., Т. I, кн. 2, გვ. 19

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 512

<sup>3</sup> **И. Хазровь.** Остатки христианства..., - Кавказь, 1846, №40

<sup>4</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 219

<sup>5</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 218

ამრიგად, ჩერქეზთა სინკრეტულ სარწმუნოებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნაყოფიერების, სიუხვის და ოჯახური ბედნიერების მფარველი მზე ქალღმერთის უძველეს კულტს, რომელიც ნათლად შეიმჩნეოდა სხვადასხვა წარმართული ღმერთის სადიდებლად მუხნარის წმინდა კორომში მუხისგან გამოთლილ ჯვართან, ან სახლის შიგნით, თუ საერთოდ მთელ თემში მზის სიმბოლოს წინ ჩატარებულ რელიგიურ რიტუალებში.

ჩერქეზებში, კერძოდ ყაბარდოელებში წარმართული რიტუალი თჰას პატივსაცემად ქედის მზისპირა მხარეს, ხისგან გამოკვეთილი კერპის წინ ტარდებოდა. ეს წეს-ჩვეულება არსებითად მზის, როგორც ღმერთის თაყვანისცემის გამოხატულება იყო.<sup>1</sup>

ასე იყო საქართველოშიც. მაგ., სვანეთში ნაყოფიერების და გამრავლების მფარველი მზე ქალღმერთის სადიდებელი რიტუალი სახლის მზისპირა მხარეს, ან აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარკმელთან სრულდებოდა.<sup>2</sup>

ჩერქეზები ოდითგანვე თაყვანს სცემდნენ მეხის, ელვის და ჭექა-ქუხილის ღმერთს, ცეცხლის და წვიმის მფლობელს, შესაბამისად მინათმოქმედების ერთ-ერთ მფარველს, რომელსაც შიბლე ეწოდებოდა.<sup>3</sup> თჰაშხოს შემდეგ ჩერქეზები განსაკუთრებულ პატივს სწორედ მას მიაგებდნენ. უფრო მეტიც, ზოგ გადმოცემაში შიბლე დიდ ღმერთზე ძლიერ არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი, რაც გამოიხატებოდა გამოთქმით: „თუ შიბლე განრისხდა, საეჭვოა თჰაშხომ დასამალი მოქებნოს“.<sup>4</sup>

სიტყვა-სიტყვით „შიბლე“ ჩერქეზულად ქუხილსაც ნიშნავს.<sup>5</sup>

ჩერქეზულ ტომებში ჭექა-ქუხილის ღმერთის თაყვანისცემისა და მის პატივსაცემად ჩატარებული რიტუალების შესახებ მრავალი ცნობა მოგვეპოვება.

---

<sup>1</sup> **А. Шортанов.** Адыгская мифология. გვ. 26, 27

<sup>2</sup> **ვ. ბარდაველიძე.** ქართველთა უძველესი სარწმუნოების..., გვ. 7

<sup>3</sup> **Е. Завакин.** Культура и быт Адыгов..., გვ. 270

<sup>4</sup> **К. Сталь.** Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 111

<sup>5</sup> **Л. Люлье.** Славарь русско-черкесский..., გვ. 48

ტავერნიეს მიხედვით (XVII საუკუნის შუახანები) ქეჩა-ქუხილის დროს ჩერქეზები გარეთ გამოდიოდნენ, ახალგაზრდობა ცეკვა-სიმღერას იწყებდა, ხოლო მოხუცები მათ გარშემო ჩამოსხდებოდნენ.

თუ მეხი ადამიანს მოკლავდა, ჩერქეზებს ის წმინდად მიაჩნდათ და დიდი პატივით კრძალავდნენ. ამგვარი სიკვდილი ღმრთის ნყალობად მიიჩნეოდა.

თუ მეხი სახლს დაეცემოდა, რომც არ დალუპულიყო ადამიანი, ან საქონელი, ოჯახი მთელი წლის განმავლობაში ცეკვა-სიმღერის გარდა, არაფერს აკეთებდა. მეხის დაცემისთანავე თეთრი, რაც შეიძლება ძლიერი თხის ძებნას იწყებდნენ და მას მთელი სოფელი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მანამ, სანამ მეხი სხვა ადგილს არ დაეცემოდა.

გაზაფხულის ერთ-ერთ დღეს მთელი ოჯახი, რომლის სახლსაც მეხი დაეცა, კისერზე ყველჩამოკიდებულ თხას ცეკვა-სიმღერით ამ კუთხის მმართველის სახლისკენ მირეკავდა. მმართველი ამალითურთ მათ სოფლის ზღვარზე ეგებებოდა, სადაც თხას თაყვანს სცემდნენ და რამდენიმე ლოცვას წარმოთქვამდნენ. ლოცვის დასრულების შემდეგ თხას კისრიდან ყველს მოუხსნიდნენ და ახალს ჩამოკიდებდნენ. ძველს წვრილ-წვრილად დაჭრიდნენ და იქვე მყოფთ ურიგებდნენ. მოსულებს კარგად უმასპინძლებოდნენ და ასაჩუქრებდნენ. შემდეგ ოჯახი ამგვარივე წესით სხვა სოფელში გადადიოდა.<sup>1</sup>

შიბლეს კულტის და მასთან დაკავშირებული ჩვეულებების შესახებ გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XIX საუკუნის ავტორთა შრომებში.

ნოვიცკის აღწერით, მეხით სიკვდილი ზეციურ მაღლად ითვლებოდა და ამას შვიდი დღის განმავლობაში აღნიშნავდნენ. მოკლულს ოთხ ბოძიან ფიცარნაგზე ჩამოასვენებდნენ და შიბლეს მაღლიერების გრძნობით ხარს, ცხვარს ან თხას სწირავდნენ, ხოლო მათ თავებს ჯოხებზე წამოაცმევდნენ და ეგრე ეკა-

---

<sup>1</sup> Ж.Б. Тавернье. Шест путешествий ..., გვ. 79

ვით. მეხნაკრავის ხსოვნის პატივსაცემად ამგვარი დღესასწაული ყოველ წელს იმართებოდა.<sup>1</sup>

ტებუ დე მარინის სიტყვებით „ჩერქეზები დიდ თავყანს სცემენ ელვას და ქუხილს. მათი წარმოდგენით ეს არის ანგელოზი, რომელიც მეხს დაჰკრავს მას, ვისაც შემოქმედი ირჩევს. ჭირისუფლები ერთმანეთს ულოცავენ ამ დიდ პატივს. ჭექა-ქუხილის დროს ხალხი ეზოში გამოდის და მის მომავალშიც სტუმრობას ნატრულობს. სწორედ ამ ანგელოზის წყალობად მიაჩნიათ წვიმა და სიგრილე ზაფხულის სიცხეებში“.<sup>2</sup>

ჭექა-ქუხილის კულტთან დაკავშირებით იგივე ცნობას გვანვდის ბლარამბერგიც, მაგრამ ის ტებუ დე მარინისგან განსხვავებით იხსენიებს ამ ღმერთის სახელსაც – შიბლე. გარდა ამისა, ბლარამბერგის ცნობით, მეხნაკრავს დაასვენებდნენ ერთგვარ ფიცარნაგზე და ამ მოვლენას მთელი კვირა აღნიშნავდნენ. ფიცარნაგის ქვეშ შიბლეს პატივსაცემად დაკლული ხარების, თხებისა და ცხვრების თავები ეწყო. როდესაც მეხნაკრავს მინას მიაბარებდნენ, მის საფლავზე შავი თხის ტყავს აფენდნენ. მეხით დაღუპულის პატივსაცემად რიტუალი ყოველწლიურად იმართებოდა, რომლის დროსაც შიბლეს კვლავ სწირავდნენ მხვერპლს.<sup>3</sup>

კოხის მიხედვით, შიბლეს პატივსაცემად დღესასწაული წელიწადში რამდენჯერმე ტარდებოდა. ამ დღეს წმინდა ტყეში უამრავი ხალხი იკრიბებოდა. წინასწარ აგებდნენ ქოხს, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ. ღმერთისმსახური ლოცვას აღავლენდა და შიბლეს მისი რისხვის არიდებას თხოვდა. ლოცულობდა მთელი ხალხი, რის შემდეგაც შეწირული საქონლის თავს მაღალ ძელზე ჩამოჰკიდებდნენ. დღესასწაული სხვადასვა სახის გატობით სრულდებოდა.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., №23

<sup>2</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. გვ. 305

<sup>3</sup> И. Бларамберг. Историческое....Описание Кавказа. გვ. 374

<sup>4</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 627

შიბლეს კულტთან დაკავშირებით ბელის დღიურში ვკითხულობთ: – „ყვადის ველზე დავინახე ხალხი, რომელიც უკვე იშლებოდა. მივუახლოვდი მინაში მაგრად ჩარჭობილ საკმაოდ მაღალ ძელს, რომლის წვეროზე თხის თავი და ტყავი იყო ჩამოკიდებული. იქვე, ძელის მახლობლად პატარა ქოხით იდგა, რომელიც ოთხი ბოძისგან შედგებოდა და ბრტყლად, მჭიდროდ დანწული მწვანე ტოტებით იყო გადახურული. თხის დანარჩენი ნაწილები (თავისა და ტყავის გარდა) სწორედ ამ ქოხში იყო დალაგებული. ყოველივე ეს მრგვალი ღობით იყო შემოსაზღვრული. როგორც შევიტყვე, ეს იყო წმინდა ადგილი, სადაც თხა წმინდა სიკვდილით დაიღუპა – მას მეხი დაეცა. მახლობლად მდებარე მინდორში ამ მხარის მოსახლეობა სამი დღის განმავლობაში დღესასწაულობდა ჭეჭა-ქუხილის სულის – შიბლეს გამოჩენას“.<sup>1</sup>

მსგავს რიტუალს შეესწრო ბელი წემეზის ველზე, სადაც მეხმა მოკლა სამი ცხენი და დანვა ხე.<sup>2</sup> გარდა ამისა, ის თავად მონაწილეობდა ასევე ზღვისპირეთში, ფშადის ველზე გამართულ ერთ-ერთ ნარმართულ დღესასწაულში, სადაც შაფსულები ჯვრის წინ ქუდმობდილნი ევედრებოდნენ ჭეჭა-ქუხილის სულს, რომ აერიდებინა მათთვის და მათი ოჯახებისთვის მეხი და დაეცვა ისინი ყოველგვარი უბედურებისგან.<sup>3</sup>

ლიულეს ცნობით, ჩერქეზებს ჭეჭა-ქუხილის დიდი შიში და პატივისცემა ჰქონდათ. მეხით სიკვდილი ღმრთის წყალობად აღიქმებოდა და მიცვალებულს იქვე ასაფლავებდნენ, სადაც მეხი დაეცემოდა. რიტუალის დროს შესრულებულ საგალობლებში ხშირად ისმოდა შიბლეს და ილიას სახელები.<sup>4</sup>

ლიულე თავადაც დასწრებია ერთ-ერთ ამგვარ რიტუალს, რომელიც შაფსულებმა დუაბის ველზე მეხნაკრავი სამი თხის

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 505

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 506

<sup>3</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 508

<sup>4</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 128

გარშემო შეასრულეს. თავდაპირველად დახოცილი თხების ირ-გვლივ წრე შეკრეს და ფერხულთან ერთად შიბლეს საგალობელი დაიწყეს. ამასობაში რამდენიმე პირმა ოთხბოძიანი მაღალი ფიცარნაგი აღმართა. მეხნაკრავი თხები ზედ ჩამოასვენეს და ფოთლებით დაფარეს.<sup>1</sup>

რიტუალის მონაწილეთა ნაწილმა სახლებიდან ხორაგი მოიტანა. ჩვეულებისამებრ შესწირეს მსხვერპლიც – თხები, რომლებიც მახლობელი სოფლებიდან მოიყვანეს. მსხვერპლად შეწირული თხების თავები ფიცარნაგთან ახლოს, მაღალ ქანდარას წამოაცვეს.

შიბლეს სადიდებელი საგალობელი და ფერხული მაგიდის გაშლამდის გაგრძელდა, რის შემდეგაც სამდღიანი ლხინი დაიწყო.

თუ ამ რიტუალს და ლხინს ვინმე შემთხვევით შეესწრებოდა, მას აუცილებლად უნდა მიეღო მასში მონაწილეობა, თუ არადა, ეს დღესასწაულის მონაწილეთა შეურაცხყოფად ჩაითვლებოდა.

ფიცარნაგის და ქანდარის ხელის ხლება არ შეიძლებოდა. მეხნაკრავი თხები აქ იდვა მანამ, სანამ სრულიად არ დაღუპებოდნენ და გაიხრწნებოდნენ.

თუ მეხი ადამიანს დაეცემოდა, რიტუალი უფრო მეტხანს, შვიდი დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ჭეჭა-ქუხილის ღმერთთან დაკავშირებულ ზემოთ აღნიშნულ წეს-ჩვეულებებს „შიბლასხა“ ეწოდებოდა.<sup>2</sup>

ლიულეს ცნობით მეხნაკრავს მაღალ ფიცარნაგზე მიტომ ჩამოასვენებდნენ, რომ ის მტაცებელს არ შეეჭამა,<sup>3</sup> მაგრამ ამ წესს სხვა მიზეზიც ჰქონდა. კერძოდ: წარმართი ჩერქეზის წარმოდგენით, მეხნაკრავი ადამიანი ღმრთის რჩეული, წმინდა იყო. ამიტომ მისი გვამის მიწაში დაფლვა მკრეხელობად ითვლებოდა

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ., 133

<sup>2</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ., 133

<sup>3</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ., 133



და მას რაც შეიძლება მალა, ცასთან „ახლოს“ ჩამოსვენებდნენ. მათი რწმენით, გვამის მალალ ფიცარნაგზე ჩამოსვენებით და მთელი რიგი სხვა რიტუალების შესრულებით შესაძლებელი იყო მეხნაკრავის დაკავშირება, დაახლოება თვით ელვის, მეხის და ჭექა-ქუხილის ღმერთთან.<sup>1</sup>

შიბლეს სადიდებელი რიტუალის შესრულებისას მეხნაკრავი გვამის ჩამოსადებად აუცილებლად გამოიყენებოდა ერთგვარი ნაგებობა, რომელსაც სხვადასხვა წყაროში ქოხი, ან ფიცარნაგი ეწოდება. მას იმდაგვარად აგებდნენ, რომ მისი ოთხი კუთხე მიმართული ყოფილიყო ჩრდილოეთისკენ, აღმოსავლეთისკენ, სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ.<sup>2</sup> ბრტყელი სახურავი, რომელზედაც მეხნაკრავს ჩამოსვენებდნენ, კეთდებოდა ფიცრებისგან, ან მჭიდროდ მოწნული ტოტებისგან. ქოხს კედლები არ გააჩნდა, მაგრამ ის მრგვალი ღობით იყო შემოსაზღვრული.<sup>3</sup>

ამჟამად ჩანს, მეხნაკრავის ჩამოსასვენებელი, წრეში მოქცეული ოთხკუთხა ფიცარნაგი არა მხოლოდ შიბლეს თაყვანისცემასთან, არამედ მნიშვნელოვანწილად ოთხივე კუთხის მანათობელი და ნაყოფიერების მფარველი მზე ქალღმერთის კულტთან არის დაკავშირებული. ამგვარ ფიცარნაგზე დასვენებულ მეხნაკრავის სულს (კრომლებით შემოსაზღვრულ დოლმენში ჩასვენებულის მსგავსად) შთამომავლობის და საერთოდ ნათესაობის გამრავლების და ქონების სიუხვეზე მაგიური ზემოქმედების საკრალური ძალა მიენერებოდა.

ლიულეს თანახმად, ჩერქეზთა წარმოდგენით ხეს, რომელსაც შიბლე მესხ დაჰკრავდა, ციებ-ციხელებისგან განკურნვა შეეძლო. შეწირვის ნიშნად ავადმყოფებს ამ ხესთან მოჰქონდათ ღვეხელი, რომელსაც იქვე მიირთმევდნენ, წა-

---

<sup>1</sup> **А. Шорганов.** Адыгская мифология. გვ., 70

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 217

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 505

მოსვლისას ამავე ხის ნაფოტს ნაჭერში ახვევდნენ და ავად-  
მყოფს კისერზე ჰკიდებდნენ.

მეხნაკრავი ხის ნაფოტს კისერზე იმ მიზნითაც იკიდებ-  
დნენ, რომ თავი დაეცვათ ავი თვალისგან.<sup>1</sup>

ერთ-ერთი ასეთი მეხნაკრავი ხე ზღვისპირა შაფსულეთში  
მდინარე ფშადის ველზე იდგა, იმ ადგილიდან ოდნავ მოშორე-  
ბით, სადაც ლიუღე ცხოვრობდა და მას ჰქონდა საშუალება  
ზუსტად აღენერა მეხნაკრავ ხესთან შესრულებული რელიგიუ-  
რი რიტუალები.<sup>2</sup>

1893 წელს ჰაკუჩებში შიბლეს პატივსაცემად გამართუ-  
ლი დღესასწაული აღწერა ნ. ალბოვმა, თუმცა გაკვრით,  
რადგან, ის მისი სიტყვებით – „ლიუღეს ბრწყინვალედ აქვს  
აღწერილი. ჰაკუჩებს ახლაც კარგად ახსოვთ ეს ჩვეულება.  
ერთმა ახალგაზრდა ჩერქეზმა უმაღლეს დონეზე ამინერა  
რიტუალი და შეასრულა კიდეც სიმღერა, რომელსაც ამ წე-  
სის ჩატარებისას მღერიან“.<sup>3</sup>

ალბოვს შიბლასხასთან დაკავშირებით ასევე აღნიშნული  
აქვს, რომ ჰაკუჩები იმ ფიცარნაგის გარშემო რომელზეც მეხ-  
ნაკრავი იყო ჩამოსვენებული, ხელიხელჩაკიდებულნი ცეკვა-  
დნენ და საგალობელს ასრულებდნენ. მგალობელთა ერთი ჯგუ-  
ფის მიერ წარმოთქმულ რეფრენს „ო-ელლია“, მეორე ნაწილი  
პასუხობდა – „ე-ლლე“. ბოლოს ყველანი ერთად – „ო-ელლია-  
ლე-ელლე“.<sup>4</sup>

ცნობილია ჭექა-ქუხილის ღმერთის სადიდებელი ერთ-ერ-  
თი საგალობელი, რომელიც სარიტუალო ფერხულის, შიბლე  
უჯის თანხლებით სრულდებოდა. მისი ტექსტი რვა სტრიქონის-  
გან შედგება და რვავე სტრიქონი იწყება მიმართვით: „ელლე,  
ელლე“. საგალობელში მლოცველები შიბლეს ევედრებიან, რომ

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь гв. 137

<sup>2</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. гв. 133

<sup>3</sup> Н. Альбов. Ботанико-географическая исследования..., гв. 141

<sup>4</sup> Н. Альбов. Ботанико-географическая исследования..., гв. 141

დაიცვას მათი სიცოცხლე, მათი საცხოვრებელი, მათი წმინდა ტყე. რომ მიიღოს საჩუქარი და თვითონაც გასცეს. მიმართავენ, რომ მის სადიდებლად ყველანი წმინდა ხესთან ცეკვავენ და ა. შ.<sup>1</sup>

შიბლეს სადიდებელი სხვა საგალობელი (კერძოდ, თემირგოული) დაახლოებით შემდეგი შინაარსის იყო:

„შენი ცხენი ცაში დანავარდობს,  
ცის ლაჟვარდზე შენი საპატარძლო დაბრძანდება“.

მისამლერი იყო: „ოი ელე, ოი ელე“.<sup>2</sup>

ჩერქეზული მითოლოგიით შიბლე ცაში დაჰქრის ყორნისფერი ულაცით. სწორედ მისი ფლოქვების დარტყმისგან წარმოიშვება ელვა და ჭექა-ქუხილი.<sup>3</sup>

ჭექა-ქუხილის ღმერთის კულტთან დაკავშირებით მსგავსი ჩვეულება არსებობდა აფხაზეთშიც, რომელსაც „აფუ-ლიფხა“ ეწოდებოდა, ე.ი. ლოცვა აფის პატივსაცემად.<sup>4</sup>

აფხაზის წარმოდგენით ელვის, ჭექა-ქუხილის და ყველა ატმოსფერული მოვლენის ღმერთსა და მბრძანებელს აფი ეწოდებოდა.<sup>5</sup>

როდესაც მეხი ადამიანს მოკლავდა, წესისამებრ ჭირისუფლები მიცვალებულის ირგვლივ ცეკვას იწყებდნენ. ტირილი არ შეიძლებოდა, ვინაიდან, მათი რწმენით აფი მეხის ერთი დაკვრით ყველა იქ მდგომს მოკლავდა. მეხნაკრავის გვამი ბოძებზე ჩამოდებულ კუბოში ესვენა მანამ, სანამ მისგან მხოლოდ ძვლები არ დარჩებოდა. ამის შემდეგ კუბოს ბოძებიდან ჩამოხსნიდნენ და დარჩენილი ძვლებითურთ ჩვეულებრივი წესით მიწას მიაბარებდნენ.

ამ ჩვეულებას ისე მყარად ჰქონდა აფხაზებში ფესვები გადგმული, რომ ცეკვისა და საგალობლის გარეშე ვერვინ ბე-

---

<sup>1</sup> **А. Шортанов.** Адыгская мифология. გვ., 60

<sup>2</sup> **В. Васильков.** Очерк быта Темиргоевцев. გვ. 114

<sup>3</sup> **А. Шортанов.** Адыгская мифология. გვ., 62

<sup>4</sup> **Н. Альбов.** Ботанико-географические исследования..., გვ. 141

<sup>5</sup> **С. Званба.** Абхазская Мифология..., გვ. 31

დავდა მეხით მოკლული ადამიანისა თუ საქონლის ხელის ხლებას.<sup>1</sup>

ერთხელ, როდესაც აფხაზები გლოვითა და ტირილით ასაფლავებდნენ მიცვალებულს, მეხი გავარდა და იქვე მძოვია-რე ორი ხარი მოკლა. ტირილი უცებ ცეკვა-სიმღერით შეიცვალა, მოკლული ხარები ხეზე ჩამოდევს, ხოლო მიცვალებული სამარისებურ სიჩუმეში დაასაფლავეს. აღნიშნული ფაქტი XIX საუკუნის II ნახევარში ერთ-ერთ აფხაზურ სოფელში მოხდა.<sup>2</sup>

მეხნაკრავი ადამიანის „დატირების“ რიტუალი აფხაზეთში გვიანობამდის შემორჩა. XX საუკუნის 20-იან წლებში ოჩამჩირის აფხაზებში, კერძოდ სოფელ კვიტოულში, ეს რიტუალი შემდეგნაირად ტარდებოდა. იმავე დღეს და იმავე ადგილას, სადაც მეხმა კაცი მოკლა, შეკრებილი ხალხი ლოცვას აღავლენდა, აღმართავდა ოთხ ბოძს და მას ტოტებით გადახურავდნენ. გვამსა და ბოძებს შეძახილით: „ეტლარ-ჩოფ-ჰარ“ სამჯერ შემოუფლიდნენ და ცდილობდნენ, ტირილი და მწუხარება არ გამოეხატათ. ნათესაობა კვლავ ლოცვას წარმოთქვამდა და აფის ჯანმრთელობას სთხოვდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა მიცვალებულის სახლში გადასვენება და ჩვეულებრივი წესების შესრულება, მაგრამ ტირილის გარეშე.

როგორც ჩანს, აქ მეხნაკრავის ბოძებზე ჩამოსვენების ჩვეულება უკვე დავიწყებული იყო. გუდაუთის მხარეში კი XX საუკუნის 20-იან წლებში ეს რიტუალი უკეთ იყო შენარჩუნებული. კერძოდ, მეხნაკრავს მაღალ ბოძებზე ჩამოასვენებდნენ და მისი დასაფლავება მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა, როდესაც აფის მსხვერპლად თხას შესწირავდნენ.<sup>3</sup>

აფის სადიდებლად შესაბამისი წესი სრულდებოდა, როდესაც მეხი საქონელს დაეცემოდა.

---

<sup>1</sup> С. Званба. Абхазская Мифология..., გვ. 33

<sup>2</sup> М. Джанашвили. Абхазия и Абхазцы. გვ. 52

<sup>3</sup> Е. Шиллинг. Абхазы. გვ. 58

აფხაზის წარმოდგენით, აფი მის საქონელს მეხს მიტომ ჰკრავდა, რომ მას (ესე იგი პატრონს) ღმრთის წინაშე რაღაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და ამიტომაც სასჯელი დაიმსახურა.<sup>1</sup>

„დამნაშავე“ ოჯახის უფროსი ხალხის წინაშე, მეხნაკრავი პირუტყვის წინ აღთქმას დებდა, რომ შეასრულებდა მამა-პაპათა ჩვეულებას, რათა დანაშაული გამოესყიდა. თანაც თხოვდა ზენას, რომ მის ოჯახს ამიერიდან წყალობა არ მოკლებოდა.

დადებული პირობის შესრულებამდე მეხნაკრავი პირუტყვის „შენახვა-გასვენების“ წესი უნდა ჩატარებულიყო. აფხაზს მეხნაკრავი წმინდად მიაჩნდა და სწამდა, რომ უწესოდ მოპყრობა ხელახლა გამოინვევდა ღმრთის რისხვას.

მოკლულ საქონელს სოფლისგან განშორებით, მაღალ აშვამკიათზე ჩამოდებდნენ, რათა ის რაიმე ცხოველს არ წაეზილნა. აშვამკიათი მაღალ ბოძებზე დაწყობილ ხარიხებს ეწოდებოდა. საქონლის გადასვენებისას აფხაზები „აფი-რაშვა“-ს ასრულებდნენ, რაც მეხთა საგალობელს ნიშნავს. ხალხის წარმოდგენით, აფი-რაშვას გარეშე მეხნაკრავი პირუტყვის განძრევა არავითარ ამქვეყნიურ ძალას არ შეეძლო.

აფი-რაშვა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მეხნაკრავის გადასვენებისას სრულდებოდა, ორპირული გალობა იყო და შემდეგი სიტყვებისგან შედგებოდა:

პირი პირველი: ვაი ეტლარ!

პირი მეორე: აითარ ეტლარ!

პირი პირველი: ეტლარ ჩოფჰარ!

პირი მეორე: ჩოფჰარ ეტლარ!<sup>2</sup>

მეხნაკრავი პირუტყვის აშვამკიათზე ჩამოსვენების შემდეგ, ოჯახი ღმრთისადმი მიცემული პირობის აღსრულებას იწყებდა. კვირის იმ დღეს, რა დღესაც მეხი დაეცა პი-

---

<sup>1</sup> ნ. ჯანაშია. აფხაზები. გვ. 69

<sup>2</sup> ნ. ჯანაშია. აფხაზები. გვ. 70

რუტყვს და იქვე, სადაც შემთხვევა მოხდა, მთელი სოფელი იკრიბებოდა. დამნაშავე ოჯახის ყოველი წევრი თეთრად იყო მორთული, ყელეზე კი ღმრთის მონობის ნიშნად ჯაჭვ-კავე-ბი ჰქონდათ ჩამოკიდებული. ისინი თეთრი ფერის საზვარაკო ცხოველის უკან იჩოქებდნენ, ხოლო მლოცველად ამორჩეული უხუცესი „დამნაშავეებს“ ღმერთს ავედრებდა.

ლოცვის დასრულების შემდეგ იგივე უხუცესი საზვარაკო ცხოველს იმდაგვარად აწვენდა, რომ თავი აღმოსავლეთით ჰქონოდა, ზურგი ჩრდილოეთით და მას მსხვერპლად სწირავდა.

„დამნაშავენი“ ადგებოდნენ, სამჯერ მარჯვნივ შემოტრიალდებოდნენ, თუ ქრისტიანები იყვნენ პირჯვარს გადაინერდნენ და სანამ საჭმელი მზადდებოდა, თეთრ სამოსსა და ჯაჭვ-კავებში მორთულნი რჩებოდნენ.

ხალხი კი მღეროდა და თამაშობდა. ამ დღეს მხიარულების გარდა მწუხარება არ შეიძლებოდა, რადგან ღმერთმა მათ თანამოძმეს დიდებული ლოცვის შემდეგ დანაშაული აპატია და სასჯელახდილი მათვე დაუბრუნა.<sup>1</sup>

მომზადებული საჭმლის საუკეთესო ნაწილს: თავს, ბეჭს და ა.შ. მლოცველი აშვამკიათზე დააწყოდა. აქვე დებდა იმდენ მოხარშულ კვერს, რამდენი წევრიც იყო ოჯახში და ერთსაც მთელი ოჯახისთვის. ხორცის დანარჩენ ნაწილებს კალათაში აწყობდნენ და აქვე, აშვამკიათის წინ დებდნენ. კალათის გვერდით აფენდნენ შეწირული ცხოველის ტყავსაც, ხოლო რქებს მახლობელ ხეზე ჩამოჰკიდებდნენ, სადაც სამუდამოდ რჩებოდა. ღმრთის შიშით ამ რქებს ხელს ვერვინ ახლებდა.

ამის შემდეგ ყველანი აშვამკიათის წინ დაეწყოდნენ, ჯერ უხუცესი მლოცველი, პირით აღმოსავლეთისკენ, რომელსაც ცალ ხელში წკირზე წამოცმული ზვარაკის გულ-ღვიძლი ეკავა, მეორეში – ჭიქა ღვინო. მის უკან დამნაშავე ოჯახი იდგა,

---

<sup>1</sup> ნ. ჯანაშია. აფხაზები. გვ. 71

მერე – მგალობელნი, ბოლოს – დანარჩენები. ლოცვის დასრულებისთანავე ხალხი ერთხმად იგრიალებდა „ამინ“-ს, რის შემდეგაც აფირაშვას ხანგრძლივი გალობა ისმოდა.<sup>1</sup>

გალობის დასრულების შემდეგ ხალხი წრეს შეკრავდა, „დამნაშავე“ ოჯახი შიგ ჩადგებოდა და კვლავ იწყებდნენ აფირაშვას გალობას.

ბოლოს ლხინი და ცეკვა-თამაში იწყებოდა, რომელიც საღამომდის გრძელდებოდა. იმავე ღამეს „დამნაშავე“ ოჯახი თეთრ სამოსს და ჯაჭვ-კავებს იშორებდა. ზვარაკის ხორცი და კვერები აქვე უნდა შეეჭამათ. შინ წაღება არავის შეეძლო – მას ღმერთი დასჯიდა.

კვირის იმ დღეს, რა დღესაც მეხი მოხვდა საქონელს, ოჯახისთვის მუშაობა არ შეიძლებოდა. არც გასცემდნენ რაიმეს. ამ დღეს არ შეიძლებოდა მკვდრის სახლიდან გასვენება, არც ტირილი. გარდა ამისა, ყოველი წლის ამ დღეს ოჯახი ღმერთს ლოცვითა და ზვარაკით თავს აგონებდა. საზვარაკო ცხოველი ვაცი იყო. პირველი ლოცვის შემდეგ თეთრი სამოსი და ჯაჭვ-კავები არ გამოიყენებოდა და არც აფი-რაშვას გალობდნენ.<sup>2</sup>

ჭექა-ქუხილის ღმერთთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება XIX საუკუნის დასასრულისთვის არანაკლებ ცოცხალი ყოფილა ქრისტიანულ სამურზაყანოში და რიტუალს, რომელიც ამ დროს სრულდებოდა „ჟინიშ ხვამა“ ეწოდებოდა.<sup>3</sup>

ჟინიშ ხვამა მეგრულად ზენასადმი ლოცვას ნიშნავს (ჟინი – ზენა, ხვამა – ლოცვა).

ჭექა-ქუხილის ღმერთის კულტთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ს. ზვანბას შენიშვნა – „ვახუშტი ბატონიშვილი წერს, რომ აფხაზეთში მიცვალებულებს კი არ ასაფლავებდნენ, არამედ ხეებზე ჩამოღებდნენ. უეჭველია, მას ამგვარი

---

<sup>1</sup> ნ. ჯანაშია. აფხაზები. გვ. 72

<sup>2</sup> ნ. ჯანაშია. აფხაზები. გვ. 73

<sup>3</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования..., გვ. 141

მოსაზრებისთვის საფუძველი მეხნაკრავის გასვენების რიტუალმა მისცა“.<sup>1</sup>

ს. ზვანბას მხედველობაში ჰქონდა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომ „აფხაზები არა დაჰფლვენ მკუდართა თვისთა, არამედ, მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოსა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსუენებულად მერმესა მას“.<sup>2</sup>

არა მარტო ვახუშტი ბატონიშვილი, არამედ გვიანი შუა საუკუნეების სხვა ავტორებიც ასევე შეცდომით აღწერდნენ, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მცხოვრებნი მკვდარს ხეზე ჩამოსავენებდნენ. მათ ამგვარი ცნობებისთვის საფუძველი სწორედ მეხნაკრავთან დაკავშირებულმა რიტუალმა მისცა. მაგ., ლამბერტის სიტყვებით – „აფხაზებს აქვთ ერთი შესანიშნავი ჩვეულება, რომელიც სხვაგან არ მოიპოვება. სახელდობრ ის, რომ მიცვალებულს როდი მარხავენ, არამედ ჰკიდებენ ხოლმე ხეზე, შემდეგი წესით: გამოლარავენ ხეს კუბოს მსგავსად, შიგ ჩასდებენ მიცვალებულს და ვაზის მაგარი ლერწებით ხის ნვეროზე ჩამოჰკიდებენ. ამავე ხეზე ჩამოჰკიდებენ ყველა იარაღს, რომელსაც მიცვალებული სიცოცხლეში საომრად ხმარობდა.“<sup>3</sup>

ჯოვანი და ლუკამ XVII საუკუნის 20-იან წლებში იგივე ჩვეულება იხილა აფხაზეთში, მდინარე ბზიფის ხეობაში. „მიცვალებულები ოთხ მაღალ ბოძზე ჩამოდებულ ხის ფულუროში იყვნენ მოთავსებულნი. ფულუროს შესასვლელი იხურება, მაგრამ არა მაგრად, რათა ჰაერი შევიდეს და შეხედვა შეიძლებოდეს. ამის გამოა, რომ თურქი ვაჭრები ამ

---

<sup>1</sup> С. Званба. Абхазская Мифология..., გვ. 33

<sup>2</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 786

<sup>3</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 169



ქვეყნის თაფლს უხალისოდ ყიდულობენ. მათ მიაჩნიათ, რომ ფუტკრები მიცვალებულთა სხეულით იკვებებიან“.<sup>1</sup>

იგივე ჩაინერა ევლია ჩელებიმ XVII საუკუნის 40-იან წლებში მდინარე შახეს შესართავთან მცხოვრებ ერთ-ერთ აბაზურ თემში, კერძოდ უსუფიშში (სუბაშში) რომელიც XIX საუკუნეში უკვე არა აბაზური, არამედ ჩერქეზული (შაფსულური) იყო – „ეს აბაზას ტომი ხშირად თავიანთი ბეგის გვამს ზანდუკის მსგავსად გაკეთებულ ხეში დებს. ამას დიდი ხის ნვერზე ორკაპა ტოტზე მიაჭედებენ, თავთან ნახვრეტს უკეთებენ და ისე ტოვებენ. მათი ცრუ რწმენით, იმ ხვრელიდან სამოთხეს უცქერის თურმე მიცვალებული. შემდეგ იმ ნახვრეტში ფუტკარი შედის და აბაზას გვამის ილღიებსა და ლაჯებში თაფლს აკეთებს. თაფლის ამოღების დროს ამ ყუთს სახურავს ახდიან, ბენვიან თაფლს ტიკებში ასხამენ და ჰყიდიან. ხალხი ამბობს აბაზური თაფლიაო, დაესევინ და იტაცებენ, მისი სისაძაგლე კი არ იციან“.<sup>2</sup>

ჩერქეზები და აბაზები ყველა მიცვალებულს რომ ხეზე არ ჩამოასვენებდნენ, კარგად ჩანს თუნდაც ინტერიანოს აღწერიდან, რომლის თანახმად, ზიხებს დასაფლავების უცნაური წესი ჰქონიათ. როდესაც აზნაური მოკვდებოდა, ჭირისუფლები მინდორში აკეთებდნენ ფიცარნაგს, რომელზედაც ცხედარს მჯდომიარე მდგომარეობაში ჩამოდებდნენ. მას რვა დღის განმავლობაში გლოვობდნენ მისი ახლობლები, ვასალები და მეგობრები. აქვე მოჰქონდათ ვერცხლის თასები, ისრები და სხვა ნივთები. მომტირალთა გვერდით უხუცესები იდგნენ. ცხედრის მარცხენა მხარეს მდგარი გოგონა, რომელსაც აბრეშუმის ნაჭერი ეკავა, მიცვალებულს ბუზებისგან იცავდა. მიცვალებულის პირდაპირ, სკამზე მისი მეუღლე იჯდა, ის არ ტიროდა, ვინაიდან ეს მისთვის დიდი სირცხვილი იყო.<sup>3</sup>

<sup>1</sup> ი. ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და..., ნ. III, გვ. 157

<sup>2</sup> ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. ნ. I, გვ. 104

<sup>3</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 28

რვა დღის გასვლის შემდეგ, ხის მორს ორად გაჭრიდნენ და ისე გამოლარავდნენ, რომ მასში შესაძლებელი ყოფილიყო მიცვალებულისა და საჩუქრების მოთავსება. რაც უფრო ცნობილი და მდიდარი იყო მიცვალებული, მის საფლავს მით უფრო მეტ მიწას მიაყრიდნენ და მით უფრო მაღალი ბორცვი აღიმართებოდა.

დასაფლავების შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში, სადილობის წინ, მოკაზმავდნენ გარდაცვლილის ცხენს და მსახურს მის საფლავთან მიყვანას უბრძანებდნენ. მსახურს ახლობლებისა და მეგობრების სახელით სამჯერ უნდა დაეძახა მიცვალებულისთვის და უნდა დაეპატიჟებინა სადილზე. შეასრულებდა რა ამ დავალებას, ის ცხენიანად ბრუნდებოდა და განაცხადებდა, რომ მიცვალებული არ გამოპასუხებია. ჭირისუფლები ფიქრობდნენ, რომ თავიანთი ვალი აღასრულეს და მაგიდას მიუსხდებოდნენ.<sup>1</sup>

ინტერიანოს თანახმად, ზიხები თავიანთ თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, თუმცა დასაფლავების ეს წესი მოწმობს, რომ აქ ქრისტიანული არაფერია. ქრისტიანობის სამოსელში წარმართული ჩვეულებაა გახვეული, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის მთავარია ის ფაქტი, რომ ზიხები თავიანთ მიცვალებულს ხეზე კი არ ჩამოდედნენ, არამედ, გარკვეული წესის შესრულების შემდეგ მიწაში მარხავდნენ.<sup>2</sup>

ხეზე რომ გარკვეული დროით მეხნაკრავი უნდა ჩამოევენებინათ, კარგად ჩანს შილტბერგერის ცნობაშიც (XV ს. დამდეგი) კერძოდ, შავი ზღვის პირას მცხოვრები ჩერქეზები, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, ჩვეულებისამებრ თავყვანს სცემდნენ მეხით მოკლულს. მას კუბოში ჩაასვენებდნენ, მაღალ ხეზე ჩამოჰკიდებდნენ და მის გარშემო სამი დღის განმავლობაში რიტუალს ასრულებდნენ: მსხვერპლს სწირავდნენ, ცეკვავდნენ და

---

<sup>1</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 29

<sup>2</sup> კ. ოკუჯავა. შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. გვ. 35

ერთობოდნენ. ამ წესს ყოველ წელს იმეორებდნენ, სანამ გვამი სრულიად არ გაიხრწნებოდა. მათი წარმოდგენით მეხით მოკლული წმინდა იყო.<sup>1</sup>

შაფსუღეთში ჭექა-ქუხილის ღმერთთან დაკავშირებული რიტუალები გვალვის დროსაც იმართებოდა. როგორც ბესი<sup>2</sup> და ტებუ დე მარინი<sup>3</sup> გადმოგვცემენ, ჩერქეზები ზაფხულში წვიმას და სიგრილეს სწორედ ჭექა-ქუხილის ღმერთის წყალობად მიიჩნევდნენ.

XX საუკუნის 20-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსუღებში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, გვალვისას მთელი თემის მამაკაცები მეხნაკრავის საფლავთან იკრიბებოდნენ, მათ აუცილებლად თან მიჰყავდათ იმ გვარის წარმომადგენელი, რომელსაც მეხნაკრავი ეკუთვნოდა. ისინი საფლავის ირგვლივ ხელიხელჩაკიდებულნი, ფეხშიშველნი ცეკვავდნენ და ასრულებდნენ საგალობელს, რომლითაც ელეს წვიმას ევედრებოდნენ. ცეკვის შემდეგ მეხნაკრავის ნათესავი იღებდა პურს და მეხით დაღუპულს სთხოვდა დახმარებას, წვიმის წამოსვლას. შემდეგ იგივე პირი საფლავიდან ქვას იღებდა და ყველას თანხლებით მდინარესთან მიდიოდა. ქვას თოკით ხეს მიაბამდა და წყალში ჩაუშვებდა. გარდა ამისა, ყველანი, ვინც რიტუალს ესწრებოდნენ, ტანთგაუხდელად წყალში ხტებოდნენ.

შაფსუღების წარმოდგენით, ამ წესის შესრულებას წვიმა უნდა მოჰყოლოდა. წყალში ჩაშვებული ქვა მიტომ იყო ხეზე მიბმული, რომ თუ მას მდინარე წაიღებდა, გადაუღებელი წვიმა და წყალდიდობა იქნებოდა.

ქვის მცველად მდინარის ნაპირას რამდენიმე კაცს გოვებდნენ. სამი დღის შემდეგ, მიუხედავად იმისა იწვიმა თუ არა, ქვას მისსავე ადგილას, საფლავზე დებდნენ. ის უკან

---

<sup>1</sup> И. Шильтбергер. Путешествия по Европе, Азии и..., გვ. 40

<sup>2</sup> Ж.-Ш. Де Бесс. Путешествие в Крым, на Кавказ..., გვ. 341

<sup>3</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. გვ. 305

კვლავ მეხნაკრავის ნათესავს მიჰქონდა, ამხედრებულს, ხოლო დანარჩენები ქვეითად მიჰყვებოდნენ.

აღნიშნულ ჩვეულებაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ არის შერწყმული მიცვალებულთა კულტი ჭეჭა-ქუხილის თაყვანისცემასთან.<sup>1</sup>

XX საუკუნის 20-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსულებში გვალვისას წვიმის წამოსვლის მიზნით შიბლეს პატივსაცემად შესასრულებელი სიმღერა (უფრო ზუსტად საგალობელი) შედგებოდა შემდეგი სიტყვებისგან:

„ეუ იალე იალერე იალე, ეუ იალე უე იალერ იალე იალ“.

საგალობელი ცეკვითურთ მეხნაკრავის „ქვის საფლავთან“, მიჟუყთან უნდა შესრულებულიყო. რიტუალი დილაადრიან იწყებოდა და შუადღემდე გრძელდებოდა.<sup>2</sup>

სხვა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, შავიზღვისპირა შაფსულეთში გვალვისას წვიმის წამოსვლის მიზნით შესრულებულ სარიტუალო ფერხულში ქუდმოხდილ და ფეხშიშველ მამაკაცებთან ერთად ქალებიც ლებულობდნენ მონანილეობას. ცეკვისას, წრეში შეკრულნი, მხოლოდ საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ მოძრაობდნენ. ფერხული საგალობლის თანხლებით სრულდებოდა.<sup>3</sup>

შავიზღვისპირა შაფსულეთში ზაფხულში წვიმის მოსავლენად მეხნაკრავის საფლავთან შიბლესადმი მიძღვნილი რიტუალი XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშიც იყო ცნობილი. მეხნაკრავი კაცი ღმრთის რჩეულად და ღმერთსა და ადამიანს შორის საუკეთესო მოციქულად მიიჩნეოდა. შემორჩენილი ჩვეულების მიხედვით, მეხნაკრავს იქვე ასაფლავებდნენ, სადაც დაიღუპა, მაგრამ მას მარხავდნენ არა მიწაში, არამედ, დაასვენებდნენ დაბალ ფიცარნაგზე, მიაყრიდ-

---

<sup>1</sup> **Е. Шиллинг.** Черкесы. გვ. 47

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 218

<sup>3</sup> **С. Мафедзев.** Обряды и обрядовые игры Адыгов..., გვ. 60

ნენ ქვებს და ორფერდად გადახურავდნენ. აქედან მომდინარეობს სახელწოდება „მიჟუაყი“, ე.ი. ქვის საფლავი.<sup>1</sup>

რელიგიურ რიტუალს წინა დროისგან განსხვავებით, მხოლოდ მოსახლეობის მცირე ჯგუფი, ძირითადად მოხუცები, უმთავრესად ქალები ატარებდნენ. წეს-ჩვეულებას მეხნაკრავის ერთ-ერთი შთამომავალი (ან მოგვარე) ხელმძღვანელობდა. საფლავთან შეკრებილნი იჩოქებდნენ და მლოცველი ქალი თავის მეხნაკრავ წინაპარს (ან მოგვარეს) წვიმას სთხოვდა. შემდეგ საფლავიდან იღებდნენ ერთ ქვას და თოკით მდინარეში უშვებდნენ. ის აქ იღო მანამ, სანამ წვიმა არ წამოვიდოდა, რის შემდეგაც იქიდან ამოიღებდნენ და კვლავ საფლავზე აბრუნებდნენ.

ამ დღისთვის სპეციალურად აცხობდნენ კოკორს და ხაჭაპურს, რომელსაც მიჟუაყიდან დაბრუნების შემდეგ წვრილ-წვრილად ტეხდნენ და ცდილობდნენ, ის რაც შეიძლება ბევრისთვის დაერიგებინათ.<sup>2</sup>

შაფსულეთში “ქვის საფლავი” ბევრგან იყო და ყოველი ამგვარი ადგილი წმინდად ითვლებოდა. განსაკუთრებით იყო ცნობილი სოფელ თჰალაფშის მიჟუაყი, სადაც შიბლეს პატივსაცემად დიდი რიტუალები სრულდებოდა. მამაკაცები ფერხულს ფეხშიშველნი და ქუდმოხდილნი ასრულებდნენ, ხოლო ქალები სიმღერის თანხლებით ცეკვავდნენ. დაჩოქილები წარმოთქვამდნენ ლოცვას, რომლის დასრულების შემდეგ მსხვერპლს სწირავდნენ. საფლავიდან იღებდნენ კვერცხისებური ფორმის ქვას და მდინარეში დებდნენ. გარკვეული დროის შემდეგ ქვას უკანვე, საფლავზე აბრუნებდნენ. მათი წარმოდგენით ამ რიტუალის შესრულებას წვიმა უნდა მოჰყოლოდა.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках..., გვ. 42

<sup>2</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках..., გვ. 42

<sup>3</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 218

აღსანიშნავია, რომ მიჟუაყთან რელიგიური რიტუალი ავადმყოფის განკურნვის მიზნითაც სრულდებოდა. ექიმთან მკურნალობის თანადროულად, მითუფრო, თუ შედეგი მალევე ვერ დადგებოდა, მეხნაკრავის ახლობლის თანხლებით საფლავთან მიდიოდნენ და ავადმყოფის გამოჯანმრთელებას მეხნაკრავს თხოვდნენ.<sup>1</sup> როგორც ჩანს, ეს წესი აქვს ნახული ტებუ დე მარინის, როდესაც აღნიშნავს, რომ ჩერქეზები ციებ-ცხელებისგან განკურნვის მიზნით ძველ საფლავთან მიდიოდნენ და რამდენიმე ღამით მანდ რჩებოდნენ.<sup>2</sup>

შავიზღვისპირა შავსულეთში გვალვისას, წვიმის სათხოვნელად მიჟუაყის გარდა, რიტუალი მეხნაკრავ ხესთანაც ტარდებოდა. ამგვარ ხეს წმინდად მიიჩნევდნენ და მას იმდენად სცემდნენ თაყვანს, რომ არათუ ტოტის მოჭრა, არამედ მისგან ძირს დაცვენილი ხმელი ტოტების ხელის ხლებაც არ შეიძლებოდა.

წარსულში მეხნაკრავ ხესთან წვიმის სათხოვნელად მთელი სოფელი და მეზობელი სოფლებიდანაც კი იკრიბებოდნენ. XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგისთვის ამ რიტუალს ძირითადად ასაკოვანი ქალები ასრულებდნენ. ისინი დაივლიდნენ სოფელს და ტკბილეულს აგროვებდნენ, რაც მეხნაკრავ ხესთან მიჰქონდათ. აქ მლოცველები მუხლებზე ეცემოდნენ და მეხნაკრავ ხეს წვიმას ევედრებოდნენ. ლოცვის დასასრულს ტკბილეულს აქ მყოფ ბავშვებს აძლევდნენ, ხოლო კოკორები სოფელში მიჰქონდათ, წვრილად ტეხდნენ და არიგებდნენ.<sup>3</sup>

მიჟუაყთან და წმინდა ხესთან წვიმის წამოსვლის მიზნით შესრულებული რელიგიური რიტუალების აუცილებელი ელემენტები იყო ჭეჭა-ქუხილის ღმერთის პატივსაცემად

<sup>1</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках..., გვ. 43

<sup>2</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. გვ. 313

<sup>3</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках..., გვ. 42

მსხვერპლის შეწირვა და საკულტო ცეკვის, შიბლე უჯის შესრულება.

მიჟუაყის ქვის წყალში ჩაშვების მსგავსად, წმინდა ხესთან შესრულებული რიტუალის შემდეგ, ამ წმინდა ხის ქერქის ნატეხსაც მდინარეში დებდნენ.<sup>1</sup>

შავიზღვისპირა შაფსულები მიჟუაყისა და მეხნაკრავი ხის გარდა, წვიმის მოსაგვლენად დაახლოებით მსგავს რიტუალს ასრულებდნენ იმ წმინდა ტბასთან, რომელიც მათი რწმენით მეხის დაცემის შედეგად წარმოიშვა.

შაფსულეთში ამგვარი წესი სოფელ პირველ კრასნოალექსანდროვსკთან (ჰაჯეხუსთან) ახლოს, კუშხას უღელტეხილზე მდებარე ხიკოს ტბასთან სრულდებოდა. გვალვისას აქ ხშირად ამოდიოდნენ მლოცველები. წვიმის წამოსვლის მიზნით ერთ-ერთი მამაკაცი, რომლის გვარშიც მეხმა კაცი მოკლა, რიტუალის დროს ხიკოს ტბიდან ჭურჭლით წყალს ამოიღებდა და მას მდინარეში ან ზღვაში ასხამდა.<sup>2</sup> იმ შემთხვევაში, თუ წმინდა ტბიდან ამოღებულ წყალს მდინარეში ჩაასხამდნენ, წვიმა მას შემდეგ უნდა წამოსულიყო, როდესაც ის ზღვამდის ჩააღწევდა.<sup>3</sup>

ზემოთ აღნიშნული მასალები ნათლად მიუთითებენ, რომ შაფსულებს შიბლე მინათმოქმედების მფარველადაც მიაჩნდათ.

გვალვისას ჭეჭა-ქუხილის ღმერთის სადიდებელი რიტუალი ცნობილი იყო ჩერქეზების მეზობელ მთიელ აბაზებშიც. დღესასწაული სრულდებოდა მდინარე აგურას სათავეებში, შიბლეს კლდესთან მდებარე ილია წინასწარმეტყველის ეკლესიის ნანგრევებთან, სადაც აბაზები შიბლეს მსხვერპლს სწირავდნენ და მას წვიმას ევედრებოდნენ.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках..., გვ., 42-43

<sup>2</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках..., გვ. 43

<sup>3</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 218

<sup>4</sup> Н. Дубровин. История войны..., Т. I, кн. 2, გვ. 28

ჩერქეზები შიბლეს პატივსაცემად წელიწადში რამდენჯერმე დღესასწაულობდნენ. რიტუალი სრულდებოდა შემდეგ შემთხვევებში:

1. როდესაც მეხი კაცს მოკლავდა. წესს იქვე აღასრულებდნენ, სადაც შემთხვევა მოხდა. გარდა ამისა, ამავე ადგილას ეს რიტუალი რამდენიმე წლის განმავლობაში ტარდებოდა იმავე დღეს, რა დღესაც მეხის კვრით ადამიანი დაიღუპა.

2. როდესაც მეხი მოკლავდა შინაურ ცხოველს. წესს აღასრულებდნენ იქვე, სადაც საქონელს მეხი დაეცა.

3. როდესაც მეხი დაეცემოდა ხეს. წესს აღასრულებდნენ ამავე ხესთან.

4. ზაფხულში, გვალვის დროს. წესს აღასრულებდნენ იმ ადგილას, სადაც მეხმა მოკლა ადამიანი ან საქონელი, სადაც მეხი დაეცა ხეს, ან ტბას და ყოველი ამგვარი ადგილი წმინდად მიიჩნეოდა.

შიბლეს კულტთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩერქეზულ მითოლოგიაში ჭექა-ქუხილის ღმერთი წარმოდგენილია როგორც ბოროტებასთან მეზობელი კეთილი ძალა. სწორედ ამ გარემოებით იყო უპირველეს ყოვლისა გამოწვეული შიბლეს მიმართ ამგვარი უდიდესი თაყვანისცემა.

ბელს აღწერილი აქვს, ფშადის ველზე, ერთ-ერთ წარმართულ დღესასწაულზე, თუ როგორ ევედრებოდნენ ჯვრის წინ მლოცველი ჩერქეზები ჭექა-ქუხილის სულს მეხისგან და სხვა უბედურებებისგან დაცვას.<sup>1</sup>

შაფსულური გადმოცემების თანახმად, მიწისქვეშეთში უშველებელი ურჩხულები ცხოვრობენ, რომლებიც ზოგჯერ ზევით ამოდიან, რათა კაცობრიობას რაც შეიძლება მეტი ზიანი და ბოროტება მიაყენონ. მაგ., დაჯდებიან მდინარის სათავესთან, გადაკეტავენ წყალს და მის ნაპირებზე მდებარე სოფლებს უწყლოდ ტოვებენ. ან კიდევ, ჩანვებიან რომელიმე

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 508



ხეობაში და გზას ჩახერგავენ. ადამიანის შემწედ ამ დროს შიბლე გამოჩნდება. ის ურჩხულს მეხს ურტყამს და აიძულებს დატოვოს იქაურობა.<sup>1</sup>

საინტერესოა ის გარემოება, რომ ჭექა-ქუხილის ღმერთის სახელი ადიღურ ტოპონიმიკაშიც ფიგურირებს. კერძოდ, ჩერქეზები ბელორეჩენსკის უღელტეხილს ამჟამადაც შიბლეს უღელტეხილს უწოდებენ,<sup>2</sup> ხოლო მდინარე აშეს მონაკვეთს სოფელ ლილოთხთან – ელერუანს. ელერ/იალერ, საიდანაც მომდინარეობს ჰიდრონიმი ელერუან, შაფსულებში ჭექა-ქუხილის ღმერთის მეორე სახელი იყო.<sup>3</sup>

ჭექა-ქუხილის ღმერთის უდიდესი პატივისცემისა და თაყვანისცემის მკაფიო გამოვლინებაა სწორედ ის ფაქტიც, რომ XX საუკუნის 20-იან წლებში, როგორც ამას სიმონ ჯანაშიას მიერ ადიღებში ჩანერილი ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, ტუაფსის მთიანეთში მცხოვრები შაფსულები „ღმერთმანი“-ს ნაცვლად შიბლეს სახელს ფიცულობდნენ.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ შავიზღვისპირა შაფსულეთის ზოგ სოფელში შიბლესადმი პატივისცემა XX საუკუნის 90-იან წლებშიც იყო შემორჩენილი. კერძოდ, სოფელ კიჩმაის მცხოვრებლები ლოცვისას ერთდროულად ადიღებდნენ ალაჰს (მითუფრო თჰას) და შიბლეს.<sup>5</sup>

ჩერქეზულ წარმართულ პანთეონსა და მითოლოგიაში მესაქონლეობის ღმერთს ახინი ეწოდებოდა.

ხან-გირეის „ჩანანერების“ თანახმად, მთიელ ჩერქეზებს ეს ღმერთი ძლიერ არსებად ჰყავდათ წარმოდგენილი. დანიშნულ დღეს ერთ-ერთი შაფსულური ოჯახი საზვარაკო საქონელს თავზე პურსა და ყველს მიუბამდა და მას წმინდა ტყეში მიერეკებოდა. ამ საქონელს ახინის ძროხას უწოდებ-

<sup>1</sup> **А. Шортанов.** Адыгская мифология. გვ., 66

<sup>2</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 252

<sup>3</sup> **К. Меретуков.** Адыгейский Топонимический словарь. გვ. 70

<sup>4</sup> **ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 72

<sup>5</sup> **А. Сивер.** Шапсуги. გვ. 115

დნენ. მას და მის პატრონს წმინდა ტყეში ახლო-მახლოს მცხოვრებნი მიაცილებდნენ.

წმინდა ტყეში საქონელს ახინს შესწირავდნენ. წესის მიხედვით, იმ ადგილას, სადაც ახინის ძროხას დაკლავდნენ, მისი გატყავება არ შეიძლებოდა, სხვაგან უნდა გადაეტანათ. სადაც გაატყავებდნენ, იქ არ ხარშავდნენ. იმ ადგილას, სადაც ხორცს მოხარშავდნენ, მისი ქამა არ შეიძლებოდა. მოხარშული ხორცი კი იქ გადაჰქონდათ, სადაც ძროხა ზვარაკად შეიწირა. მას სახლიდან მოტანილ სანოვაგესაც უმატებდნენ და ლოცვის დასრულების შემდეგ ცეკვა-სიმღერა და ლხინი იწყებოდა.

მსგავსი წესი, რომლის არსი დაუდგენელია, ცნობილი იყო აფხაზებშიც. რიტუალის მონაწილეებს გვარის მფარველი სულის პატივსაცემად მსხვერპლად შეწირული თიკნის ხორცი გასატყავებლად, დასაჭრელად, მოსახარშად და საჭმელად სხვადასხვა ადგილას გადაჰქონდათ.<sup>1</sup>

ხალხში დაცული გადმოცემით, ახინის ძროხა თვით ამცნობდა პატრონს, რომ შესაწირი იყო და წმინდა ტყეში თავად მიდიოდა.

შაფსულეთში ახინის დღესასწაული, რომელსაც ხალხი დიდი პატივისცემით აწყობდა, შემოდგომაში იმართებოდა.<sup>2</sup>

ახინის კულტთან დაკავშირებით ზუსტად იგივე ეთნოგრაფიულ მასალას გვანჯდის ლიულეც, თუმცა მის ნაშრომში კიდევ უფრო საინტერესო ცნობებიც არის დაცული. კერძოდ, ხალხის წარმოდგენით ახინს ჩლიქიანი ფეხები ჰქონდა, ხოლო ოჯახი, რომელსაც ახინის ძროხა წმინდა ტყეში მიჰყავდა, თჰახუახოს გვარით იყო ცნობილი. თვით სიტყვა თჰახუახო ავტორს განმარტებული აქვს როგორც ღმრთისთვის განკუთვნილი საქონლის მწყემსი.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Г. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии. გვ. 26

<sup>2</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 97

<sup>3</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 124

თჰახუახოს საგვარეულო შაფსულეთში მართლაც ცნობილი იყო და XIX საუკუნეში ქობლეს დიდი თემის შემადგენლობაში შედიოდა.<sup>1</sup>

შაფსულებს მსხვერპლად შეწირული საქონელი გასატყავებლად, მოსახარმად და საჭმელად, სხვადასხვა ადგილას ქუდმოხდილებსა და ხელიხელჩაკიდებულებს სარიტუალო ფერხულით და გალობით გადაჰქონდათ.

ლიულეს ჩერქეზეთში ყოფნის ჟამს ახინის დღესასწაული ზღვისპირა თემებში ძველი ჩვეულებისამებრ სრულდებოდა.<sup>2</sup>

გადმოცემები ახინის შესახებ XX საუკუნის I ნახევარშიც კარგად იყო შემორჩენილი ყუბანისპირა ჩერქეზებშიც. ერთ-ერთი თქმულებით, ახინი ყოველწლიურად უგზავნიდა ხალხს თეთრი ფერის ძროხას. ის აფხაზეთიდან მიემართებოდა აბაზეხეთსა და სხვა ადიღურ ტომებში. წმინდა ტყეში მისული ძროხა იქვე წვებოდა და ხალხს ბლავილით ამცნობდა სამსხვერპლოდ მოსვლას. მას მსხვერპლად დილით სწირავდნენ.<sup>3</sup>

ახინს თაყვანს სცემდნენ არა მარტო ჩერქეზები, არამედ მათი მეზობელი უბიხებიც.

უბიხურ წარმართულ პანთეონში ახინს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მესაქონლეობის მფარველი ღმერთი უბიხებს თავიანთ ეთნარქად და ადამიანის შემწედ ჰყავდათ წარმოდგენილი. ადგილი, სადაც ახინის პატივსაცემად მთავარი რიტუალი იმართებოდა, მდინარე შახეს სათავეებში მდებარე წმინდა ტყე იყო.

ახინის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები საკმაოდ საინტერესოდ არის აღწერილი ხან-გირეის ნაშრომში „ჩერქეზული გადმოცემები“.

„ჩერქეზული გადმოცემების“ მიხედვით, რიტუალი ინ-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 232

<sup>2</sup> Л. Люлье. Вѣрованія... у черкесь. გვ. 124

<sup>3</sup> Е. Зевакин. Культура и быт Адыгов..., გვ. 269

ყებოდა ადღერში, სადაც ცხოვრობდა ოჯახი ცსბეს საგვარეულოდან. სწორედ მისი ჯოგიდან ირჩევდა ახინი საქონელს მსხვერპლად შესანიშნავად. ეს ოჯახი ახინის განსაკუთრებული კეთილგანწყობით იყო ცნობილი. ოქტომბრის თვეში, როდესაც უნდა დაწყებულიყო ახინის დღესასწაული, საქონელი სხვადასხვა ქმედებით თვით ამცნობდა პატრონს, რომ მას წილად ხვდა პატივი, ყოფილიყო ახინისათვის მსხვერპლად შესანიშნავი.

მთელი ოჯახი ახინის ძროხასთან იკრიბებოდა. საქონელს რძით დაბანდნენ და ლოცვის წარმოთქმის შემდეგ ეზოდან გამოაბრძანებდნენ. მას ჯოგის პატრონი მიაცილებდა, მხოლოდ არ მიერეკებოდა, ის თვით მიემართებოდა საკმაოდ შორს მდებარე წმინდა ტყისკენ, სადაც მსხვერპლად უნდა შეენიშნათ.

ადღერიდან ახინის ძროხა უბიხეთში გადადიოდა და სოჩის, ვორდანესა და სხვა თემების გავლით მდინარე შახეს სათავეებისკენ მიემართებოდა. გზადაგზა მას უხუცესების ხელმძღვანელობით მლოცველები უერთდებოდნენ.

მსვლელობა უბიხეთში სრულდებოდა, მდინარე შახეს სათავეებში მდებარე წმინდა ტყეში.

მიმდებარე მხარის მცხოვრებნი ამ წმინდა ადგილს იმდენად ეთაყვანებოდნენ, რომ მკვლელს, რომელიც ახინის ტყეში შეაღწევდა, ხელს ვერავინ ახლებდა.

წმინდა ტყესთან რელიგიური რიტუალის მონაწილეთა მოახლოება კიდევ უფრო საინტერესო სანახავი იყო. სადღესასწაულო სამოსელში გამოწყობილი მლოცველები ქუდმოხდილნი მიემართებოდნენ და თან უამრავ შავ თხას მოერეკებოდნენ. წმინდა ტყეში მისული ახინის საქონელი ჩრდილში წვებოდა და დაღამებამდის იქვე რჩებოდა. იქვე რჩებოდნენ რიტუალის მონაწილენიც, თან ერთგვარად მარხულობდნენ – გათენებამდის თავს არიდებდნენ ჭამას და სმას. გამთენიისას უდიდესი მოკრძალებით ლოცვას წარმოთქვამდნენ და საქონელს ახინს მსხვერპლად შესანიშნავად.

ლოცვა შემდეგი სიტყვებისაგან შედგებოდა:

ო ობზე! ო ახინ!

ატჩენ-ბე იასპი!

სტჩენ-ბე იასპი!

ეს ლოცვა უბიხურიდან შემდეგნაირად ითარგმნება:

ო ობზე! ო ახინ!

თუ წავალ – მაჩუქე მე!

თუ მოვლენ – მაჩუქე მე!<sup>1</sup>

ამგვარად მიმართავდნენ უბიხები ახინს და ობზეს და მათ სალაშქროდ წასვლისას, ან მტრის შემოსევისას ნადავლს და საერთოდ შეწევნას თხოვდნენ.

ობზე, თუ გავითვალისწინებთ ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ კავშირს აფხაზურ „აფ“-თან, და მეგრულ „ვობ“-თან, არის ჭეჭა-ქუხილის უბიხური ღმერთი.<sup>2</sup>

უბიხეთშიც ახინის პატივსაცემად მსხვერპლად შეწირული საქონელი გასატყავებლად სხვაგან უნდა გადაეტანათ, ხორცი სხვაგან უნდა დაეჭრათ და შემდეგ სულ სხვა ადგილას უნდა მოეხარშათ.

წმინდა ტყეში თეთრი ღვინით სავსე დიდი ჭურჭელი იდგა. მსხვერპლშენირვის დღეს, რომელიც ყოველ მესამე წელს იმართებოდა, უხუცესები საქონლის დაკვლამდის ამ ღვინით ილოცებოდნენ. აქვე იდგა საუკუნოვანი უზარმაზარი ქვაბი, რომელშიც ახინის ძროხის ხორცს ხარშავდნენ. აქვე დაკლავდნენ თან წამოყვანილ შავ თხებს. თხის ხორცის მოხარშვის შემდეგ ღვინი იწყებოდა. ჭამდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ და ქუდმოხდილნი ცეკვავდნენ.

ახინის პატივსაცემად დაკლული საქონლის ტყავს, თავს და ფეხებს მსხვერპლშენირვის ადგილას დაფლავდნენ, ხოლო ხორცს ინანილებდნენ, სახლში მიჰქონდათ და ოჯახის

---

<sup>1</sup> Хан – Гирей. Черкесские предания.. გვ. 112

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 140

ყოველ წევრს უყოფდნენ. თვით ჩვილებსაც კი მოხარშული ხორცის ნაკუნს პირში ჩაუდებდნენ.<sup>1</sup>

ხან-გირეის მიხედვით ეს ჩვეულება სათავეს შემდეგი შემთხვევიდან იღებს. ერთხელ ახინის წმინდა ტყის მიმდებარე სოფლებს ურიცხვი მტერი შემოესია. მომხდურმა მრავალი ტყვე წაიყვანა და დასასვენებლად მახლობელ მთაზე დაბანაკდა. ნადავლით გახარებულებმა ცეკვა-სიმღერა დაიწყეს, თან ტყვეებსაც იძულებით აცეკვებდნენ. ერთ-ერთმა ტყვემ, ფეხმძიმე ქალმა ახინს სთხოვა დახმარება. ახინმა მტერი გაანადგურა. შეიწყალა მხოლოდ ერთი, ცსბეს გვარიდან, რომელიც ახინს ყოველ მესამე წელს მსხვერპლის შეწირვას შეჰპირდა. ამიერიდან უბიხებში ახინისადმი პატივისცემა კიდევ უფრო გაიზარდა.<sup>2</sup>

ახინის შესახებ ხან გირეისეულ გადმოცემას კიდევ უფრო ავსებს თემირგოული ვარიანტი. მაგ., კორომი შახეს ხეობაში, სადაც მტერმა ნადავლითურთ დაიბანაკა, ახინის წმინდა ტყე იყო. აქ ღრეობა არ შეიძლებოდა, მკრეხელობად ითვლებოდა და მტერი, რომელიც ტყვეებს ძალით აცეკვებდა, დაისაჯა კიდევც. სწორედ ამის შემდეგ, გათავისუფლებული ტყვე ქალი, ძიბეს გვარიდან, დაპირებისამებრ ახინს ყოველწლიურად მსხვერპლად სწირავს საქონელს, თანაც იმას, რომელსაც თვით ახინი ირჩევს.<sup>3</sup>

ხან გირეისეულ და თემირგოულ ვარიანტებს შორის აქ ის განსხვავებაა, რომ პირველში მსხვერპლად შეწირვის ვალდებულებას იღებს შეწყალებული მომხდური ცსბეს გვარიდან, ყოველ მესამე წელს, ხოლო მეორეში – გათავისუფლებული ტყვე ქალი, ყოველწლიურად.

ხან გირეის გადმოცემით, ახინის პატივისცემად მსხვერპლად შეწირული საქონლის ხორცი საუკუნოვან ქვაბში იხარ-

---

<sup>1</sup> Хан – Гирей. Черкесские предания. გვ. 114

<sup>2</sup> Хан – Гирей. Черкесские предания. გვ. 115

<sup>3</sup> В. Васильков. Очерк быта Темиргоевцев. გვ. 117

შებოდა, რომელიც ამ წმინდა ტყეში ინახებოდა. თემირგოული ვარიანტით, ეს დიდი სპილენძის ქვაბი, რომელიც უზარმაზარი წმინდა კაკლის ხის ქვეშ დგას, მაღლიერების ნიშნად ახინს შესწირა ტყვეობიდან გათავისუფლებულმა ძიბეს ქალმა.<sup>1</sup>

გადმოცემები ახინის შესახებ ცნობილი იყო მუჰაჯირობას გადარჩენილ შაფსულთა შთამომავლებშიც. 1930 წელს ლ. ლავროვმა შავიზღვისპირა შაფსულებში ეს ლეგენდა შემდეგი სახით ჩაინერა – „ყოველ გაზაფხულზე მდინარე შახეს ხეობაში მდებარე სოფელ კიჩმაიში მსხვერპლად შესაწირად ძროხა მოდიოდა. მას ახინის საქონელს უწოდებდნენ. ის თვით ამცნობდა ხალხს, რომ საზვარაკო იყო. საქონელმა თვითონ იცოდა, თუ სად უნდა წასულიყო და ვერავინ შეაჩერებდა, ხალხი მას უკან მიჰყვებოდა. შახეს ხეობაში, ახინის წმინდა ტყეში ასულ საქონელს დაკლავდნენ და მოშორებით გაატყავებდნენ. დასაჭრელად და მოსახარშად ხორცი სხვადასხვა ადგილებზე გადაჰქონდათ და ბოლოს, მოხარშულ ხორცს ასევე სხვა ადგილას მიირთმევდნენ.“<sup>2</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 20-30-იან წლებში და შემდგომში ახინის შესახებ არსებული გადმოცემების ნაწილი რამდენადმე განსხვავებული შინაარსისაა. მათში ახინი უკვე არა უძლეველი ღმერთი, არამედ გმირია, ჩვეულებრივი მოკვდავი.

1929 წელს ს. ჯანაშიამ პირიქითა შაფსულეთის სოფელ აფიფსიფში შემდეგი ცნობა ჩაინერა - „ახინ, ასეთი კაცი ცხოვრობდა ვარდანას (უბიხები) ქვეყანაში. ყოველ წელს ის ნიშნავდა მსხვერპლს (უმეტესად ძროხას) რომელიც დანიშნულ დროს და ადგილას თავისით მოდიოდა. სამსხვერპლო პირუტყვი იქ დახვდებოდა ხალხს და დაკლავდნენ მას. დღესაც ამბობენ ახინიჩამ ისეთ ძროხაზე, რომელიც თავისით სადმე მივა“.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> В. Васильков. Очерк быта Темиргоевцев. გვ. 118

<sup>2</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев... გვ. 212

<sup>3</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 72.

1930 წელს ლავროვის მიერ მთიელ შაფსულებში ჩანერილი გადმოცემის თანახმად – „ძველად შავიზღვისპირეთში, სადაც ერთმანეთს ერთვიან მდინარეები ტუაფსე და წეფსე, ცხოვრობდა კაცი, რომელსაც ყავდა ულამაზესი ქალიშვილი. მას ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა, მაგრამ მამას დათქმული ჰქონდა, ქალიშვილს მას მიათხოვებდა, ვინც ტუაფსეს ხეობაში მთიდან მთაზე გადახტებოდა. მრავალმა ვაჟკაცმა ამაოდ სცადა დავალების შესრულება. ბოლოს ერთი ბუმბერაზი გამოჩნდა, საშინელი შესახედაობის, სახელად ახინ. მან თავისი ასსაყენიანი, რკინის თავიანი კომბლის მეშვეობით შეძლო ხეობის მეორე მხარეს გადახტომა. მამას შეეშინდა ბუმბერაზის, მაგრამ ქალიშვილს ის მოეწონა და ცოლად გაჰყვა. გავიდა ხანი. ახინმა გადაწყვიტა სტუმრებოდა სიმამრს. ქალის შეშინებულმა მამამ თავისი ავლა-დიდებით მდინარე შახეს შესართავს შეაფარა თავი. ახინიც მთელი თავისი ჯოგით მის კვალს გაუყვა და შახეს ხეობაში გადავიდა. მისმა ჯოგმა არემარე დაფარა. სიმამრმა ქალიშვილისგან შეიტყო, თუ როდის დაიძინებდა ახინი და მდინარეს კომბალი რამდენიმე ადგილას გადაუხერხა. გამოღვიძებულმა ახინმა კვლავ სცადა ხეობას გადავლებოდა, მაგრამ კომბალი გადატყდა. ახინი მდინარე შახეში ჩავარდა და დაიხრჩო. არავინ იცის ახინის დაღუპვის შემდეგ სად გაქრა მისი ურიცხვი საქონელი.“<sup>1</sup>

ამ ლეგენდებშიც, ისევე როგორც ხან-გირეის „გადმოცემებში“ მოქმედება ვითარდება ძირითადად უბიხეთში, კერძოდ მდინარე შახეს ხეობაში.

აღსანიშნავია, რომ ისტორიული უბიხეთის მინა-წყალზე ახინთან დაკავშირებული მრავალი ტოპონიმი არის ცნობილი. მაგ., სოჩიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ახინის მთა. ერთ-ერთ ბილიკს მდინარე შახეს ხეობაში, რომელიც ზღვის სანაპიროდან კავკასიონის ქედამდის აღწევს, ეწოდება ახინის ბილიკი. ჩემ უჩუფ – ადგილია ამავე ხეობა-

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев გვ. 211



ში, სადაც ახინის საქონელი შეისვენებდა. გარდა ამისა, შახეს ხეობაში მრავალ კორომს ახინის წმინდა ტყე, ანუ ახინე თამ ეწოდება. ყველაზე მეტად ცნობილი ახინე თამ მდებარეობდა მდინარე შახეს სათავეებში, სადაც ახინის პატივსაცემად მთავარი რელიგიური რიტუალი იმართებოდა.<sup>1</sup>

ახინე თამ სოფელსაც ეწოდება მდინარე შახეს ხეობაში, კიჩმაის მახლობლად. უნინ აქ ახინის პატივსაცემად შაფსუ-ღებისა და უბიხების დიდი სალოცავი მდებარეობდა,<sup>2</sup> რომელთანაც დაკავშირებულია შემდეგი ლეგენდა. „შორეულ წარსულში ამ სოფლის ქაობში ბინადრობდა ურჩხული, რომელიც დროდადრო მეზობელ სოფლებს ანიოკებდა. მასთან ბრძოლაში მრავალი ვაჟკაცი დაიღუპა. ყოველივე ეს შეიტყო მამაცმა მეომარმა ახინმა. ის მთებში ცხოვრობდა. მან თავისი ჯგოგიდან ერთი ძროხა წამოიყვანა და ქაობთან ახლოს ხესთან დააბა, თვითონ კი ურჩხულს ჩაუსაფრდა. მალე ურჩხულიც მოფრინდა და როგორც კი ძროხა დაინახა, მისი მოხრჩობა დაიწყო. ამ დროს ახინიც გამოვიდა საფრიდან და ურჩხული აკუნა, თუმცა სასიკვდილოდ დაჭრილი თვითონაც დაიღუპა. მადლიერმა მოსახლეობამ მათთვის განწირული ვაჟკაცის პატივსაცემად, ამ ადგილს, სადაც შემდეგში სოფელი გაშენდა, ახინის სახელი უწოდა.“<sup>3</sup>

ნიშანდობლივია, რომ ამ ლეგენდას ძლიერ ჩამოჰგავს შაფსულურ-უბიხური გადმოცემები მაგუს შესახებ. ბელის მიერ უბიხებში ჩაწერილი ლეგენდის თანახმად, მაგუმ ურჩხულის მისატყუებლად ერთ-ერთი მუხის ქვეშ ხარი დააბა. სანამ ზღვიდან ამოსული ურჩხული ხარს ეჩხუბებოდა, მაგუმ ის ხმლით აჩეხა. ამიერიდან ადგილი მუხასთან სუბაშში, სადაც მაგუმ ურჩხული გაანადგურა, წმინდად ითვლებოდა.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 30, 242

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 171

<sup>3</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 32

<sup>4</sup> **Л. Лавров.** Убыхи. გვ. 85, 87.

ამგვარი გადმოცემა ცნობილი იყო ზღვისპირა შაფსულეზშიც, რომლის თანახმად, უხსოვარ დროს მდინარე შახეს შესართავთან კაციჭამია გველეშაპი გამოჩნდა. მოსახლეობამ ვერაფერი გააჩყო მის წინააღმდეგ. ბოლოს ერთმა უბიძმა, მაგუს გვარიდან, გადაწყვიტა მისი მოკვლა. იმ დროს, როდესაც გველეშაპი ზღვაში დაცურავდა, მაგუ მიეპარა ბუნაგს, სადაც ურჩხულის შვილს ეძინა და ცეცხლი წაუკიდა. გველეშაპი მაგუს გამოენთო. მიხვდა რა, რომ გველეშაპს ველარ გაექცეოდა, მაგუმ ხერხი იხმარა, ხის ირგვლივ დაიწყო ცხენის ჭენება. მღვეარი გველეშაპი ხეს შემოეხვია, რითაც ისარგებლა მაგუმ და ის ხმლით აკუნა. ასე გაანადგურა მაგუმ გველეშაპი და მისი შვილი, თუმცა თვითონაც ცხენიანად გველეშაპისვე სისხლში ჩაიხრჩო. შაფსულეზი ირწმუნებოდნენ, რომ მდინარე შახეს შესართავთან გვიანობამდის იყო ცნობილი მაგუს საფლავი.<sup>1</sup>

ამავე შაფსულეზში არსებული მეორე ვერსიის თანახმად, მაგუმ ურჩხულის მისატყუებლად მისსავე ბუნაგთან მუხის ხესთან ხარი დააბა. ხარის დაჭერით გართული ურჩხული მაგუმ აკუნა, მაგრამ თვითონაც ურჩხულის სისხლში ჩაიხრჩო. შახეს ხეობაში, სოფელ კიჩმაისტან გვიანობამდის იდგა გამხმარი მუხა, სადაც ხალხის წარმოდგენით, მაგუმ ურჩხული გაანადგურა. აქვე იდგა რცხილაც, რომელშიც მაგუს ხმალი იყო ჩარჭობილი, თუმცა ის არ ჩანდა, დროთა განმავლობაში ხეს შეეზარდა.<sup>2</sup>

მდინარე შახეს ხეობაში, დიდი კიჩმაიდან 2,5 კ/მ-ის დაშორებით, არის ადგილი მაგუხაბლ. უნინ აქ მთელი სოფელი ყოფილა, რომელშიც გადმოცემით მაგუ ცხოვრობდა, ურჩხულის გამანადგურებელი.<sup>3</sup>

გადმოცემებში ახინის და მაგუს შესახებ გმირი ურჩხუ-

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Из поездки в Черноморскую Шапсутию , გვ. 134

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 171

<sup>3</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 170

ლისგან ხალხის მხსნელად გვევლინება. ორივეგან გმირს ურჩხულის მისატყუებლად ხარი//ძროხა მიჰყავს, ორივეგან მდინარე შახე, ან იქვე მდებარე სოფლები ფიგურირებს. განსხვავება მხოლოდ გმირის სახელშია. როგორც ჩანს, ამ გადმოცემებს საერთო ფესვები გააჩნიათ და წმიდა გიორგის მიერ გველეშაპის განგმირვის შესახებ ქართველებში არსებული გადმოცემის მსგავსია.

გასარკვევია, საიდან იღებს სათავეს ჩერქეზული მითი ავ ძალებთან მებრძოლი ახინის შესახებ. ხოლო ქართული გადმოცემა წმიდა გიორგის მიერ გველეშაპის განგმირვის თაობაზე აშკარად ამირანის ეპოსიდან მომდინარეობს. გმირი განუწყვეტლივ ებრძვის ბოროტ არსებებს: დევებს, ზოგიერთ სვანურ ვარიანტში – გველეშაპებს,<sup>1</sup> ვინაიდან ისინი ადამიანის მჭამელები არიან. ბრძოლიდან ამირანი მუდამ ძლევამოსილი ბრუნდება. ამით აიხსნება, რომ ქართველი ხალხი ამირანის დიდი პატივისმცემელია.<sup>2</sup>

კეთილ და ბოროტ ძალებს შორის ბრძოლა მრავალ რელიგიაშია წარმოდგენილი. კლასიკური ფორმით ის გადმოცემულია მაზდეანობაში, თუმცა ამგვარი სიუჟეტის ფესვები უფრო შორეულ ხანაშია საძიებელი. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ უძველესი ცივილიზაციების სათავეებთან მდგომი შუმერები დიდ თაყვანს სცემდნენ ბოროტებასთან მებრძოლ გილგამეშს, რომლის მშობელი, ისევე როგორც ამირანის, ქალღმერთია.<sup>3</sup>

დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში შემორჩენილ ზოგიერთ გადმოცემაში ამირანის ორეულს ბერსკუა ეწოდება.<sup>4</sup>

ამ სახელში სკუა მეგრულად შვილს, ძეს ნიშნავს, ხოლო

---

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე. სვანური ლეგენდები..., გვ. 155

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 154

<sup>3</sup> ჯ. შარაშენიძე. შუმერები ..., გვ., 124

<sup>4</sup> ნ. ანთელავა. კავკასიის ხალხთა მითები..., გვ. 175

სიტყვას „ბერ“ ძველ ქართულში მრავალი მნიშვნელობა გააჩნდა.

საგულისხმოა, რომ წმიდა გიორგის პატივსაცემად შესრულებულ ძველ რიტუალებში, რომლებიც არსებითად მთვარე ღმერთის თაყვანისცემის გამოხატულება იყო, ყველა ვისაც წმიდა გიორგის, შესაბამისად წარმართობის დროინდელი მთვარე ღმერთის სამსახურის და მონობის აღთქმა ჰქონდა დადებული, ბერად იწოდებოდა.<sup>1</sup>

სრულიად შესაძლებელია სახელწოდება ბერსკუა ამგვარი „ბერ“-იდან მომდინარეობდეს, რაც ამირანის ეპოსის მთვარის კულტთან კავშირზე მიუთითებს, რომ ამირანი გაპიროვნებული მთვარე ღმერთი უნდა იყოს.

ძველად საქართველოში გავრცელებული იყო გადმოცემა წმინდა გიორგის, იესო ქრისტეს, ელია წინასწარმეტყველის და მეცხვარის შესახებ, რომელშიც მწყემსი ქრისტე ღმერთს და ელიას ავად ეპყრობა, ემუქრება მათ, ხოლო წმინდა გიორგის, როგორც მის მფარველ ღმერთს, დიდ პატივს მიაგებს.<sup>2</sup>

თქმულება ძველისძველია, ქრისტიანობის ხანაში სახე-შეცვლილი და იმ დროს შექმნილი, როდესაც წარმართული პანთეონის მთავარი ღმერთი მთვარე, რომლის ადგილსაც მერმინდელ წარმოდგენებში წმინდა გიორგი იკავებს, ადამიანის და ამავედროულად მესაქონლეობის მფარველი იყო.

ქართულის მსგავსად ჩერქეზულ მითოლოგიაშიც ახინი წარმოდგენილია ადამიანის და ამასთან ერთად მესაქონლეობის მფარველად, რაც მისი კულტის მთვარის უძველეს თაყვანისცემასთან კავშირზე მიუთითებს.

ქართული მთვარე ღმერთის და უბიხური ახინის ანალოგიურობა კიდევ უფრო იკვეთება თუ ერთმანეთს შევადარებთ ახინობას და ლამბერტის მიერ ოდიშში აღწერილ გი-

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 55

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 42

ორგობას, ანუ იმ დღესასწაულს, რომლის ძველ ნეს-ჩვეულებებში მთვარე ღმერთის კულტის მრავალი ელემენტი შემორჩენილი.<sup>1</sup> ორივეგან ღმერთისთვის შესანიშნავად განკუთვნილია საქონელი (ხარი, ან ძროხა). ოდიშში, სანამ ხარს მსხვერპლად შესწირავდნენ, მას წმიდა გიორგი სამჯერ აიყვანდა ზღვიდან მთამდის და ამ გზით ნაკურთხს ტოვებდა ეკლესიაში.<sup>2</sup> ამის მსგავსად, ახინის დღესასწაული ზღვისპირა სოფელში, ადღერში იწყებოდა და მთებში სრულდებოდა, მდინარე შახეს სათავეებში. უბიხები მსხვერპლად შეწირული საქონლის მოხარშულ ხორცს ინაწილებდნენ და მას ჩვილებსაც კი აჭმევდნენ. ოდიშშიც, მსხვერპლად შეწირული ხარის ხორცს წვრილ-წვრილად დაჭრიდნენ, კვამლზე ახმობდნენ და დიდი სასოებით ინახავდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ის ყოველგვარი ავადმყოფობის წინააღმდეგ საუკეთესო წამალი იყო.<sup>3</sup>

ამას გარდა, სამეგრელოში XX საუკუნის 30-იან წლებშიც იყო ცნობილი გადმოცემა, რომლის თანახმად, ჯვარის ჯგეგეს (წმიდა გიორგის) და ქირსეს (მაცხოვრის) სალოცავში წელიწადში ერთხელ, გიორგობა დღეს თავისი ფეხით ხარი მოდიოდა და საყდრის კართან დადგებოდა. მას მნათე დაკლავდა და მის ხორცს ხალხს აჭმევდა.<sup>4</sup>

მსგავსი გადმოცემები ცნობილი იყო იმერეთშიც, აფხაზეთშიც, სამურზაყანოშიც და ყველგან ეს მითები წმიდა გიორგის სახელს უკავშირდება. მაგალითად, ოქუშში წმინდანს ყოველწლიურად 23 აპრილის ღამით მოჰყავდა ირემი მსხვერპლად შესანიშნავად. თუმცა, მას მერე, რაც ერთ-ერთმა გამვლელმა საღმრთო ირემი შეურაცხყო, წმიდა გიორგიმ შეწყვიტა მისი სამსხვერპლოდ მოყვანა.<sup>5</sup>

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 50

<sup>2</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 142

<sup>3</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 143

<sup>4</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 367

<sup>5</sup> Г. Чурсин. Материалы по этнографии Абхазии. გვ. 31

თავისი ახსნა მოეპოვება ხარის ზვარაკად მოყვანის შეწყვეტას ჩერქეზეთშიც. მსხვერპლად შეწირული საქონლის მოხარშული ხორციდან ახინს თავისი წილი ეკუთვნოდა, რომელსაც წესისამებრ წმინდა ხის ქვეშ ინახავდნენ. ერთხელ ერთმა გლახაკმა ახინის კუთვნილი ხორცის ნაჭერი მოიპარა. განრისხებულმა ღმერთმა საქონლის მონიშვნა შეწყვიტა და მას მერე წმინდა ტყეში ახინის საქონელი არ მიემართება.<sup>1</sup>

ხარის წმინდა ადგილას გამოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვინაიდან ეს იყო, როგორც ამას სამურზაყანოში მიიჩნევდნენ, სამომავლოდ მშვიდობის, უხვმოსავლიანობის და ბედნიერების ნიშანი. საღმრთო პირუტყვის არ გამოჩენა კი ავის მომასწავებელი იყო.<sup>2</sup>

უბიხებში მესაქონლეობის მფარველი ღმერთის განსაკუთრებული პატივისცემა იმ გარემოებითაც იყო განპირობებული, რომ ის თავიანთ წინაპრად, ეთნარქად მიაჩნდათ, რაც კარგად ჩანს მუჰაჯირ უბიხთა შთამომავლებში არსებულ ერთ-ერთ გადმოცემაში. ამ გადმოცემის თანახმად, მტერმა ეშმაკობით მოახერხა ახინის განადგურება და მისი ულამაზესი ფეხმძიმე მეუღლის გატაცება. ახინის ერთგულმა მსახურებმა შეძლეს ახალშობილი ჩვილის გადარჩენა. ბავშვი გაიზარდა, ნამდვილი ვაჟკაცი გახდა და დედა ტყვეობიდან გაათავისუფლა. სწორედ მისი შთამომავლები არიან უბიხები.<sup>3</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში „ახინ“-ის ეტიმოლოგიის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მკვლევართა ნაწილი მას შავი ზღვის ძველბერძნულ სახელწოდება „პონტაქსინ“-თან აკავშირებს. სხვათა აზრით, „ახინ“ ძველადილუ-

---

<sup>1</sup> В. Васильков. Очерк быта Темиргоевцев. გვ. 118

<sup>2</sup> Н. Дубровин. История войны..., Т. I, кн. 2, გვ. 17

<sup>3</sup> Л. Лавров. Убыхи. გვ. 89.

რი სიტყვაა, როგორც შავი ზღვის, ასევე ერთ-ერთი წარმართული ღმერთის აღმნიშვნელი.<sup>1</sup>

ახინი ანთროპომორფული ღმერთი იყო, ზოომორფული ნიშნით, მას ჩლიქიანი ფეხები ჰქონდა. ეს გარემოება მიუთითებს, რომ უბიხებს ის თავდაპირველად საქონლის, უფრო ზუსტად ხარის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. შესაძლოა, მისი სახელწოდებაც „ახინ“ საერთო იბერიულ-კავკასიური (პალეოკავკასიური) ძირია ხარის მნიშვნელობით, რომელიც დასტურდება როგორც ქართველურ (მაგ., სვანური „ხან“ – ხარი) ასევე მთის კავკასიურ ენებში.<sup>2</sup>

ამ მოსაზრებას ხელს ვერ შეუშლის უბიხურ-შაფსულურ მითოლოგიაში მსხვერპლად შესანიშნავად ძროხის ფიქსაცია, ვინაიდან ახინის შესახებ არსებული უძველესი გადმოცემით, რომელიც 1778-1781 წლებში კავკასიაში მყოფ რაინეგსს ეკუთვნის, აბაზები შუა შემოდგომაზე ოგინის გამოქვაბულთან მდებარე წმინდა ადგილას მსხვერპლად სწირავდნენ ამავე გამოქვაბულიდან გამოსულ თეთრ ხარს, რომელსაც ოგინის ხარს უწოდებდნენ.<sup>3</sup>

ოგინი იგივე ახინია, რაც კარგად ჩანს თუნდაც იმ გარემოებიდან, რომ რაინეგსის ცნობით ოგინის დღესასწაული შუა შემოდგომაზე იმართებოდა და ხან-გირეის მიხედვითაც ახინის პატივსაცემად რელიგიური რიტუალი ოქტომბრის თვეში სრულდებოდა. გარდა ამისა, ინტერესს იწვევს რაინეგსის მიერ ოგინის გამოქვაბულის მოხსენიება, ვინაიდან მდინარე შახეს ხეობაში, სოფელ კიჩმაისთან დღესაც ცნობილია ახინის გამოქვაბული.<sup>4</sup> თვით კიჩმაი, შაფსულური გადმოცემების თანახმად, ახინის პატივსაცემად ჩატარებული

---

<sup>1</sup> **М. Кумахов.** Древнеадыгское название „Чёрного моря„ გვ. 118

<sup>2</sup> **ც. ბარამიძე.** უბიხური ახინა. გვ. 53

<sup>3</sup> **იაკობ რაინეგსი.** მოგზაურობა საქართველოში. გვ. 112

<sup>4</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 33

რელიგიური რიტუალის მსვლელობისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოფელს წარმოადგენდა.<sup>1</sup>

ხან-გირეის „გადმოცემების“ მიხედვით ახინი ჩერქეზული პანთეონის ღმერთი არ არის, ის უფრო აფხაზურია.<sup>2</sup>

აფხაზურ წარმართულ პანთეონში ახინის სახელი არ ფიგურირებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ხან-გირეი უბიხებს აფხაზებში აერთიანებს<sup>3</sup> და რომ ახინის დღესასწაული განსაკუთრებულად სწორედ უბიხეთში იმართებოდა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ახინის კულტი ჩერქეზულ წარმართულ პანთეონში უბიხურიდან გადავიდა.

ამრიგად, უბიხეთში მესაქონლეობის დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა მესაქონლეობის მფარველი ღმერთის, ახინის კულტის განვითარება. იგივე ახინი უბიხებში მიჩნეული იყო ადამიანის მფარველად. გარდა ამისა, ის უბიხებს თავიანთ წინაპრად მიაჩნდათ. ყოველივე ამის გამო, უბიხურ წარმართულ პანთეონში ახინს განსაკუთრებული ადგილი ეკავა.

უბიხეთში თუ ახინის პატივსაცემად მთავარი რელიგიური რიტუალი შახეს ხეობაში სრულდებოდა, შაფსუღეთში ამგვარი ადგილი აშეს ხეობაში უნდა ყოფილიყო, სადაც ამაჟამადაც ცნობილია ახინის საქონლის ბილიკი.<sup>4</sup>

ახინს განსაკუთრებულად სცემდნენ პატივს შაფსუღეთის და უბიხების მეზობელი აბაზეხებიც, რომლებიც მათივე გადმოცემების თანახმად თავდაპირველად შახეს ხეობაში ცხოვრობდნენ. ისინი წმინდა მუხნარში იკრიბებოდნენ, მსხვერპლად სწირავდნენ საქონელს და ახინს, როგორც უზენაეს ღმერთს ყოველგვარი უბედურებისგან დაცვას ევედრებოდნენ.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> Л.Лавров. Доисламские верования Адигейцев, гв. 212

<sup>2</sup> Хан-Гирей. Черкесские предания. гв. 112

<sup>3</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. гв. 82

<sup>4</sup> К.Меретуков. Адигейский топонимический словарь. гв 35

<sup>5</sup> А. Дьячков – Тарасов. Абазехи. гв. 112



ახინის საზვარაკო საქონელთან დაკავშირებულ ჩერქეზულ და მსგავს ქართულ გადმოცემებში აშკარად შეინიშნება ანტიკურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული მითრაიზმის კვალი. მაგალითად, მსხვერპლის შეწირვა გამოქვაბულთან, ან კიდევე, რიტუალზე დაკლული საქონლის ხორცის დარიგება მლოცველთა შორის.<sup>1</sup>

ამ რელიგიის მიმდევრებს სწამდათ, რომ მითრა, მეომართა, მესაქონლეთა და საერთოდ ადამიანის მფარველი კეთილი სანყისი, კლდიდან შობილი ღვთაება იყო და მისი სამლოცველოები ხშირად გამოქვაბულებში იყო გამართული, ამიტომაც გამოქვაბულებს, სადაც რელიგიური რიტუალები იმართებოდა, თაყვანს სცემდნენ. აქვე ხდებოდა ხარის მსხვერპლად შეწირვაც, ხოლო ხორცს, ცოდვებისგან განწმენდის მიზნით იქვე მიირთმევდნენ.

მითრაიზმში ხარის მსხვერპლად შეწირვა აუცილებელი იყო. თვით მითრა კლავს ხარს, რომლის სისხლის და ხორცისგან წარმოიშობა სასარგებლო ცხოველები და მცენარეები (ხორბლეული, ყურძენი...) ხოლო დაკლული ხარის სული ზეცად ამაღლდება და საქონლის ჯოგის მფარველია.<sup>2</sup>

საღმრთოდ განკუთვნილ საქონელთან დაკავშირებულ ჩერქეზულ-ქართულ გადმოცემებსა და რიტუალებში ისეთი ელემენტების ნახვაც შეიძლება, რომლებიც არა მითრაიზმთან, არამედ მთვარის უძველეს თაყვანისცემასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, საზვარაკო საქონელი დანიშნულ ადგილას მიემართება: ჩერქეზულ ვარიანტებში ახინის წმინდა ტყეში, ხოლო ქართულში – წმიდა გიორგის ეკლესიაში. ორივე მთვარე ღმერთის ძველი საკულტო ადგილია.

სამეგრელოში, კერძოდ სოფელ ჯვარში ჩანერილი გადმოცემით, ხარი სამსხვერპლოდ გიორგობას მიემართება. ილორშიც წმიდა გიორგის სწორედ ამ დღეს მოჰყავს ხარი.

---

<sup>1</sup> ს. მაკალათია. ჯეგე-მისარონის კულტი..., გვ. 31

<sup>2</sup> ს. მაკალათია. ჯეგე-მისარონის კულტი..., გვ. 23

ესე იგი იმ დღეს, როდესაც თავდაპირველად მთვარის დღესასწაული იყო.

ახინისთვის მსხვერპლად შესანიერი ხარი, ასევე ძროხა, ფერად არის თეთრი, ანუ მთვარის ფერი და საქართველოშიც, მთვარე ღმერთის ერთ-ერთ დიდ ხატობას თეთრი გიორგი ეწოდებოდა.<sup>1</sup> გარდა ამისა, წმიდა გიორგის დღესასწაულზე, ვისაც აღთქმული ჰქონდა, თეთრები ეცვა.<sup>2</sup>

ანტიკურ ხანაში იბერთა მეზობელ ალბანელებში მთვარე ღმერთისთვის მსხვერპლის შესანიერად წმინდა შუბი გამოიყენებოდა.<sup>3</sup>

ოდიში ილორის წმიდა გიორგის დღესასწაულზე ხარის დაკვლა ერთ-ერთ იქაურ მკვიდრს ევალებოდა. მის ოჯახს ოდითგანვე ეკუთვნოდა ეს ხელობა და ამ ოჯახშივე ინახებოდა ძველი ნაჯახი, რომლითაც ხარს დაკლავდნენ. მას ინახავდნენ როგორც საღმრთო ნივთს და სხვაზე არაფერზე ხმარობდნენ.<sup>4</sup>

ჩერქეზეთში და საქართველოში რელიგიურ წარმოდგენას, რომლის მიხედვით საღმრთო საქონელი ზღვისპირეთიდან მთებში თვით მიემართებოდა, ფესვები უძველეს, ადგილობრივ სამეურნეო ყოფაში უნდა მოეძებნოს. მითოლოგიაში ამ სახით უნდა იყოს ასახული მწყემსების მიერ საქონლის გაზაფხულზე მთაში არეკვის და შემოდგომით ბარში ჩამორეკვის აუცილებლობა, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მთვარის კულტთან.

მითრამის, რომელშიც ერთობ ძლიერ იყო განვითარებული მნათობთა თაყვანისცემა, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ-ჩერქეზულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებზე დიდი გავლენა მოეხდინა და უფრო გაემდიდრებინა ის, მაგ-

---

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 53

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 55

<sup>3</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრატონის გეოგრაფია. გვ. 135

<sup>4</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 143

რამ მთვარის კულტთან დაკავშირებული ლეგენდების ფესვები მაინც უფრო ადგილობრივ, კავკასიურ-პონტოურ კულტურაშია საძიებელი. სტრაბონის გეოგრაფიაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ალბანელები „ღმერთებად აღიარებენ მზეს, ზევსს და მთვარეს. გამორჩევით მთვარეს. მისი სალოცავი არის იბერიის მახლობლად.“<sup>1</sup> ხოლო პონტოში, ქალაქ ფარნაკიაში იდგა მთვარის სახელგანთქმული ტაძარი, მენის სალოცავი. მას მეფეები იმდენად ეთაყვანებოდნენ, რომ სამეფოდ წარმოთქმულ ფიცს შემდეგნაირად წარმოთქვამდნენ: „ვფიცავ ფარნაკის მენს.“<sup>2</sup>

თვით მითრაც, რომლის ბარელიეფებზე მუდამ მზე და მთვარეა გამოსახული, მცირე აზიის იმ ქვეყნებში, სადაც მთვარის კულტი ძლიერი იყო, მაგალითად პონტოში, წარმოდგენილი ყავდათ მთვარის სახით.<sup>3</sup>

გარდა ამისა, მესაქონლეობის მფარველი მთვარე ღმერთის კულტის გენეზისი არა ანტიკურ, არამედ გაცილებით შორეულ საუკუნეებშია საძიებელი. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ უძველესი ცივილიზაციების ხანაში, კერძოდ შუმერულ რელიგიაში მთვარე ღმერთი მწყემსების მფარველად ითვლებოდა.<sup>4</sup>

მთვარის კულტი კავკასიის სხვადასხვა კუთხეში შუა საუკუნეებშიც მნიშვნელოვნად იყო შემორჩენილი. XVII საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში მოღვაწე იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავდა, რომ „მეგრელებს არც ეშმაკის, არც წმინდანების, არც ანგელოზების და არც თვით ღმერთის ისე არ ეშინათ, როგორც მთვარის.., სწამთ, რომ მთვარისგან არის დამოკიდებული ყოველივე მათი ბედი და უბედობა.., დიდი გულმოდგინებით პატივს სცე-

---

<sup>1</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 134

<sup>2</sup> თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 215

<sup>3</sup> ს. მაკალათია. ჯეგე-მისარონის კულტი... გვ. 22

<sup>4</sup> ჯ. შარაშენიძე. შუმერები ..., გვ., 108

მენ ორშაბათ დღეს, რომელსაც მათებურად ჰქვია თუთაშხა, ესე იგი მთვარის დღე., პირველად რომ ახალი მთვარე გამოჩნდება, ერთი მეორეზე უნინ ჩქარობენ მის დანახვას. ზოგი ხელებს გააშვერს მთვარისკენ, ზოგი – ქარქაშიდან ამოღებულ ხმალს, ზოგი – დანას, ზოგი ქუდს მოუხდის და თაყვანს სცემს.., ორშაბათს ისე უქმობენ, როგორც ებრაელები შაბათს.”<sup>1</sup>

XX საუკუნის 30-იან წლებშიც კი სამეგრელოში ცნობილი იყო რიტუალი ოთუთაშხურე, რომელიც ოჯახის გამრავლების და საერთოდ მფარველობის მიზნით სრულდებოდა დიდმარხვაში, ახალი მთვარის ორშაბათ საღამოს, ახალი მთვარის გამოჩენისას. დღე აუცილებლად ორშაბათი უნდა ყოფილიყო, ესე იგი თუთაშხა, ანუ მთვარის დღე.<sup>2</sup>

შაფსულურ წარმართულ პანთეონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ომის ღმერთს, რომელსაც ზეიკუთჰა ეწოდებოდა. მას, როგორც მხედართა მფარველს, დახმარებისთვის ლაშქრობისას და შორეული მგზავრობის დროს მიმართავდნენ.<sup>3</sup>

ყოველი წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, ჩერქეზებს იარაღი და საერთოდ ნადავლის საუკეთესო ნაწილი ტყეში მიჰქონდათ და მათ ზეიკუთჰასადმი შეწირვის ნიშნად წმინდა ხეებზე ჰკიდებდნენ.<sup>4</sup>

აფხაზურ მითოლოგიაშიც ომის ღმერთის, აირგის პატივსაცემად მსხვერპლს წმინდა ხესთან სწირავდნენ, იმ ხესთან, სადაც თვით ამ ღმერთის საუფლო იყო.<sup>5</sup>

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხეთა მსახურება ასტრალური კულტისთვის არის დამახასიათებელი, ცხადი ხდება,

---

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 147

<sup>2</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და... გვ. 313

<sup>3</sup> Л. Люлье. Верования... у черкесь. гв. 125

<sup>4</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. гв. 170

<sup>5</sup> М. Джанашвили. Абхазия и Абхазцы. гв. 21.

თავისი ფესვებით ზეიკუთჰას სადიდებელი რიტუალები მთვარის თაყვანისცემას უკავშირდება.

ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარე ღმერთს უპირველესი ადგილი ეკავა<sup>1</sup> და ზოგი გადმოცემით, როგორც ამას ხან გირეი მოწმობს, ჩერქეზულ პანთეონსაც სათავეში ომის ღმერთი ზეიკუთჰა ედგა.<sup>2</sup>

ჩერქეზები რომ მთვარეს აღმერთებდნენ როგორც მეომართა მფარველს, დასტურდება მოტრეს ცნობით, სადაც გადმოცემულია, თუ როგორ შეენია მთვარე ჩერქეზებს ერთ-ერთი ლაშქრობისას.<sup>3</sup>

იმის გამო, რომ ყოველი წარმატებული ლაშქრობის შემდეგ იარაღი კორომში მიჰქონდათ და მათ ზეიკუთჰასადმი შეწირვის ნიშნად წმინდა ხეებზე ჰკიდებდნენ, ჩერქეზეთის ტყეებში ხშირად პოულობდნენ ხეებზე დაკიდულ ძველებურ იარაღებს.<sup>4</sup>

აღსანიშნავია, რომ მდინარე შახეს სათავეებში მდებარე ახინის წმინდა ტყეშიც, უზარმაზარ საუკუნოვან ხეებზე ჟანგმოკიდებული ნაირ-ნაირი იარაღი იყო დაკიდული.<sup>5</sup> ეს იარაღები ახინის პატივსაცემად იყო შეწირული, ვინაიდან მას ლაშქრობის დროს მფარველობას თხოვდნენ.<sup>6</sup>

იარაღის მეომართა მფარველისადმი შეწირვის წესი ასევე ცნობილი იყო საქართველოშიც. რაჭაში სორის<sup>7</sup> და სამეგრელოში ილორის<sup>8</sup> წმიდა გიორგის ეკლესიებში საგანგებოდ იყო დაცული მფარველობის ნიშნად შეწირული მშვილ-

---

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 60

<sup>2</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. გვ. 170

<sup>3</sup> Абри де ла Мотре. Путешествие..., გვ. 125

<sup>4</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. გვ. 170

<sup>5</sup> Хан-Гирей. Черкесские предания. გვ. 113

<sup>6</sup> Хан-Гирей. Черкесские предания. გვ. 114

<sup>7</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 55

<sup>8</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 348

დები.<sup>1</sup> ყოველივე ეს კარგად მიუთითებს ახინის და ზეიკუთ-  
ჰას კავშირს მთვარის უძველეს კულტთან.

შავიზღვისპირა შაფსულებს XX საუკუნის 20-იან წლებ-  
შიც კი ზეიკუთჰას რიდი და თაყვანისცემა იმდენად ჰქონი-  
ათ, რომ მის სახელზე ფიცულობდნენ კიდევ.<sup>2</sup>

დასავლურ-ჩერქეზულ ფოლკლორში ფართოდ იყო  
გავრცელებული გადმოცემები მთაზე მიჯაჭვული მოხუცის  
თუ ბუმბერაზის შესახებ. მათი სხვადასხვა ვარიანტები XIX  
საუკუნეში ჩანერილი აქვთ ტებუ დე მარინის, ხან-გირეის და  
ლაპინსკის.

ტებუ დე მარინის მიერ ჩანერილი გადმოცემის თანახ-  
მად – „ერთ-ერთი მთის (შესაძლოა იალბუზის) მწვერვალზე  
დიდი ხრამია, საიდანაც ხშირად ისმის ჯაჭვების ჩხარუნი და  
კვნესა. ერთმა აბაზებმა მოახერხა ამ ხრამში ჩასვლა და იქ  
კლდეზე მიჯაჭვული ბუმბერაზი ნახა. ბუმბერაზმა მას მი-  
მართა: – „ო, შენ, მიწის მკვიდრო, ჩემს სანახავად მოსულო,  
რა ხდება ზევით? ბალახი კიდევ მწვანეა? სუფევს მშვიდობა  
ოჯახებში? არიან ცოლები ქმრების ერთგულნი? ემორჩილე-  
ბიან თუ არა ქალიშვილები დედებს? ვაჟები მამებს?“ აბაზე-  
ხის დადებით პასუხზე ბუმბერაზმა თქვა: „კარგი, მე კიდევ  
დიდხანს მომიწევს აქ ყოფნა“.<sup>3</sup>

ხან-გირეის მიერ ჩანერილი თქმულება შემდეგი შინარ-  
სისაა: „იალბუზის თოვლიან მწვერვალზე რაღაც დანაშაუ-  
ლისთვის ბუმბერაზია მიჯაჭვული. როდესაც ის იღვიძებს,  
გაკვირვებული ეკითხება თავის დარაჯებს: „დედამინაზე  
კვლავ იზრდება ლელქაში? კიდევ იბადებიან ბატკნები? „და-  
უნდობელი დარაჯები პასუხობენ: „ლელქაშიც იზრდება და

<sup>1</sup> ს. მაკალათია. სამეგრელოს ისტორია და..., გვ. 351

<sup>2</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 224

<sup>3</sup> Тэву де Мариньи. Путешствия в Черкесию. გვ. 318

ბატკნებიც იბადებიან“. ამგვარ პასუხზე ბუმბერაზი ცოფდება და ბორკილებს გლეჯს. მისი ბორგვის გამო მინა ზანზარებს, ჯაჭვების გლეჯვა მეხის გავარდნაა, მისი მძიმე სუნთქვა ქარიშხალია, იალბუზიდან ჩამომავალი მდინარე კი მისი ცრემლებია“.<sup>1</sup>

შედარებით უფრო შინაარსიანია ლაპინსკის მიერ ჩანერილი გადმოცემა: – „მუდმივად თოვლით დაფარული მაღალი მთის (იგულისხმება იალბუზი) მწვერვალზე ბრინჯაოს მძიმე ჯაჭვით მოხუცია მიჯაჭვული. მას თავი და ტანი თეთრი თმით აქვს დაფარული, წვერები თითქმის ფეხებამდის წვდება, გრძელი ფრჩხილები არწივის კლანჭებს მიუგავს, თვალები ალივით უბრწყინავს. მრავალი ათასი წელია რაც მოხუცი ასე იტანჯება. ადრე ის დიდი თჰას ერთგული იყო, მაგრამ შემდეგ მისი დამხოზა მოინდომა, რისთვისაც თჰამ ის მაღალ მთას მიაჯაჭვა. დასჯილის ნახვა მხოლოდ რამდენიმე შეძლო, ვინაიდან მასთან ასვლა უამრავ ხიფათთან არის დაკავშირებული. მთებში ახლაც ცხოვრობენ მოხუცები, რომლებმაც მოახერხეს მიჯაჭვულის ნახვა, თუმცა მათ არ ძალუძთ გადმოსცენ ყოველივე, რაც ნახეს და მოისმინეს“.<sup>2</sup>

ასეთია მოკლე შინაარსი გადმოცემების, რომლებიც, ძნელი მისახვედრი არაა, ამირანის ეპოსის დასავლურ-ჩერქეზულ ვარიანტებს წარმოადგენენ, მხოლოდ ძლიერ შეკუმშული სახით.

მიჯაჭვული მოხუცი, თუ ბუმბერაზი იგივე ამირანია, სხვაგვარ სიტუაციაში წარმოჩენილი და მხატვრული თვალსაზრისითაც განსხვავებულად გაფორმებული. ამირანის მსგავსად, მოხუცის დასჯის მიზეზი ღმრთის ურჩობაა, მან განიზრახა და-

---

<sup>1</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. გვ.172

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ. 100

ემხო თჰას ბატონობა. მიჯაჭვის ადგილი, როგორც ქართულში, ისე დასავლურ-ჩერქეზულ ვერსიებში, იალბუზის მთაა.

ამირანის თავგადასავალთან შედარებით, ამ გადმოცემებში გმირის (რომლის სახელიც უცნობია) მებრძოლი სახე შერბილებული ჩანს. მასში არ არის გამოკვეთილი ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლა, დამპყრობელთა ალაგმვა, რაც ამირანის ეპოსში წინა მხარეს არის წარმოჩენილი.<sup>1</sup>

ჩერქეზულ ფოლკლორში დიდხანს იყო შემორჩენილი გადმოცემები რკინისა და იარაღის ღმერთზე, მჭედელთა მფარველზე, რომელსაც თლეფშე ეწოდებოდა. გადმოცემების მიხედვით, თლეფშეს შეეძლო დაემზადებინა ნებისმიერი იარაღი, რომელიც აუცდენლად ხვდებოდა მიზანში. მისი განუყრელი ატრიბუტი მარწუხები იყო.<sup>2</sup>

სხვა გადმოცემების მიხედვით, თლეფშეს ისეთი ხმლის გამოჭედვა შეეძლო, რკინის მთელ მთას რომ გადაჭრიდა.<sup>3</sup> შაფსულთა წარმოდგენით თლეფშე გამონრთობილი მჭედელი იყო, რომელსაც შეეძლო გავარვარებული რკინა შიშველი ხელით დაეკავა.<sup>4</sup>

ჩერქეზებს თლეფშეს პატივისცემა იმდენად ჰქონდათ, რომ მის სახელზე ფიცულობდნენ კიდეც. მისი დღესასწაული გაზაფხულობით იმართებოდა და მსხვერპლს გუთანთან, ან ნაჯახთან სწირავდნენ. რიტუალის დასრულების შემდეგ გართობა იწყებოდა. ძირითადად მიზანში სროლით იქცევდნენ თავს. სამიზნედ უპირატესად კვერცხი გამოიყენებოდა.<sup>5</sup>

ტებუ დე მარინის მიხედვით, შავიზღვისპირა ჩერქეზებს დაჭრილის განკურვნის შემდეგი წესი ჰქონიათ: სახლის ზღურბლზე დგამდნენ გობით წყალს, რომელშიც კვერცხი

---

<sup>1</sup> მ. ჩიქოვანი. ქართული ეპოსი. II. გვ. 182

<sup>2</sup> Е. Зевакин. Культура и быт Адыгов..., გვ. 271

<sup>3</sup> Хан-Гирей. Мифология Черкесских народов. გვ. 172

<sup>4</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 222

<sup>5</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 125



იდვა. გობის გვერდით სახნისს დებდნენ. ყოველი, ვინც დაჭრილთან შედიოდა, სამჯერ თითებით აკაკუნებდა და ოთახში წყალს ასხურებდა. ახალგაზრდა გოგო-ბიჭები დაჭრილის პატივსაცემად მღეროდნენ, თამაშობდნენ და ცდილობდნენ ქერზე თოკით ჩამოკიდებული ნამცხვარი მოეკბინათ. ამგვარი ხერხით, რომელიც დაჭრილის ოთახში მუდმივ ხმაურს იწვევდა, ადიღები ავ სულებს აფრთხობდნენ.<sup>1</sup>

მსგავსი სურათი აქვს აღწერილი ბელსაც. „ახლახან ჩემი მასპინძელი დაიჭრა. 15-20 კაცი ყოველთვის უთევს მას ღამეს, რომლის დიდი ნაწილი ცეკვა-სიმღერასა და სხვა სახის გართობაში გადის. როგორც ისინი ამბობენ, ყოველივე ეს დაჭრილის გასართობად კეთდება. ამდენივე დგას გარეთაც, ისინი დროდადრო მღერიან. შიგნით და გარეთ მყოფნი ერთმანეთს ცეკვა-სიმღერაში ენაცვლებიან. დაჭრილის საწოლთან ახლოს სახნისი დევს და მას დროდადრო ჩაქურჩს ისეთი ძალით ურტყამენ, რომ დაძინებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. იქაურობა შუაწყვეცხლით არის განათებული. მათი რწმენით, ჩაქურჩის ცემა, ცეკვა-სიმღერა და გართობა მიტომ ეწყობა, რომ დაჭრილმა არ დაიძინოს, თორემ ეშმაკი მას ბევრ ზიანს მიაყენებს. სახლში შემოსულის მიერ ჩაქურჩით სამჯერ სახნისზე დაკვრა, კვერცხჩადებული გობიდან წყლის დაჭრილის საწოლზე მიჰკურება, ყოველივე ეს ავადმყოფის ავი თვალისგან დაცვის საშუალებაა“.<sup>2</sup>

შაფსულეთ-აბაზეხეთში დაჭრილის ქოხში რომ რკინის ნაჭერს ჰკიდებდნენ, რათა ყოველ მნახველს მისთვის ჩაქურჩი დაერტყა და ამით ავადმყოფისგან ავი სულები დაეფრთხო, სტალსაც აქვს ფიქსირებული.<sup>3</sup>

დაჭრილთან შესრულებული სიმღერის შინაარსი და მიზანი ის იყო, რომ ამ სიმღერით წარმართი ადიღები თლეფ-

---

<sup>1</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. გვ. 314

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 505

<sup>3</sup> К. Сталь. Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 111

შეს სთხოვდნენ ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, რაც კარგად ჩანს ლიულესა<sup>1</sup> და ხან-გირეის<sup>2</sup> ნაშრომებში.

აღნიშნული წეს-ჩვეულება შავიზღვისპირა შაფსულებში XX საუკუნის 20-იან წლებშიც კარგად იყო შემორჩენილი. რელიგიურ რიტუალს და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის თამაშობებს, რომლებიც დაჭრილის განსაკუთრნავად იმართებოდა, ჩერქეზულად „ჭაფშ“-ი ეწოდებოდა.

ჭაფშის დროს, ისევე როგორც დანარჩენ ჩერქეზებში, ზღვისპირა შაფსულებშიც სხვადასხვა სახის ნიღბებს იყენებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ნიღაბი, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში ხელში ჩაუვარდათ ეთნოგრაფებს სოფელ ლილოთხში, დამზადებული იყო კვახის ქერქის და ცხვრის ბენვისგან.<sup>3</sup>

ჭაფში შაფსულებში XX საუკუნის 60-იან წლებშიც სრულდებოდა, მაგრამ ამ დროისთვის მაგიის ელემენტები მას უკვე თითქმის სრულებით დაკარგული ჰქონდა და დაჭრილის სასათუმალთან დღისით ხალხმრავალი შეკრების ჩვეულებად იყო გადაქცეული.<sup>4</sup>

შავიზღვისპირა შაფსულეთში არა მარტო დაჭრილს, არამედ პატარა ბავშვსაც ავედრებდნენ თლეფშეს. შაფსულ ქალს, რომელსაც ბავშვი სამჭედლოში ჰყავდა მიყვანილი, მჭედელი რკინის გამოსანრობად განკუთვნილი წყლით უვსებდა ჭურჭელს. აქვე მჭედელი თლეფშეს ბავშვის გამოჯანმრთელებას სთხოვდა.<sup>5</sup>

ლიულეს თანახმად, ჩერქეზებს სწამდათ, რომ ერთ-ერთ ტყეში ცნობილი იყო საფლავი, სადაც თლეფშე განისვენებდა.<sup>6</sup>

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Веравания.... у черкесь. გვ. 125

<sup>2</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 99

<sup>3</sup> Е. Шиллинг. Черкесы. გვ. 50

<sup>4</sup> Я. Смирнова. О некоторых религиозных пережитках ..., გვ. 44

<sup>5</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 223

<sup>6</sup> Л. Люлье. Веравания.... у черкесь. გვ. 125

მსგავსი ცნობა გააჩნია ხაზროვსაც - „ჩერქეზთა წმინდა ტყეებში მრავალი წმინდანისა და ღმრთის რჩეულის საფლავია. ერთ-ერთ ტყეში, რომელსაც „ლუჩიფცე-გავაშხ“ ეწოდება, თლეფშეს სამარეა. მის ირგვლივ რკინის უამრავი ნაჭერი ყრია. აქ განსვენებულმა მჭედელმა სიცოცხლე წმინდანობით დაასრულა“.<sup>1</sup>

ჩერქეზ მინათმოქმედებს თლეფშე საკუთარ მფარველადაც მიაჩნდათ, ვინაიდან ის მათ კავსა და გუთანს აძლევდა. თლეფშე ცეცხლის ღმერთადაც ითვლებოდა.<sup>2</sup>

ყოველივე ამ ფუნქციების გამო, ჩერქეზეთში მჭედელი ხშირად რელიგიურ დღესასწაულზე რიტუალს ხელმძღვანელობდა, უმაღლესი ღმრთისმსახურის როლს ასრულებდა. ხალხის რწმენით მას ზებუნებრივ სამყაროსთან შეეძლო ურთიერთობა.

1930 წელს ლ. ლავროვმა ზღვისპირა შაფსულეთის სოფელ კელეჟში გაიკნო მჭედელი, ხალხური გადმოცემების და ჩვეულებითი სამართლის ბრწყინვალე მცოდნე, რომელიც დიდ რელიგიურ დღესასწაულებზე რიტუალს ხელმძღვანელობდა.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ მჭედლობის ღმერთის სახელი ამავე შაფსულეთში საკუთარ სახელებშიც ფიგურირებს. საერთოდ ზღვისპირა შაფსულეთში არც თუ იშვიათი იყო მაჰმადიანობამდელი სახელები, ისეთი როგორიცაა: ბაჯე (მელა), დიშენიკუ (ოქროპირი), ნემით (თვალეზდაჭყეტილი), ხაკერ (შავი ძაღლი), მერემიყუ (მარიამის შვილი) და ა.შ. ერთ-ერთი ამგვარი სახელი იყო ლეფშხაკ – ღვთაება თლეფშეს სტუმარი.<sup>4</sup>

ჩერქეზეთის მეურნეობაში წყლის მნიშვნელობამ ზღვისა და მდინარეთა ღმერთებისა და მფარველი სულების კულტის წარმოშობა განაპირობა. შაფსულთა მითოლოგიაში

---

<sup>1</sup> **И. Хазровь.** Остатки христианства..., - Кавказь, 1846, №42

<sup>2</sup> **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 628

<sup>3</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 21

<sup>4</sup> **Л. Лавров.** Этнография Кавказа. გვ. 30

ცნობილი იყო ზღვის მფარველი ქალწული. ლიულეს თანახმად, მას „ხეფეგუაშ“ ეწოდებოდა და მის პატივსაცემად ზაფხულობით ზღვის სანაპიროზე დღესასწაულობდნენ. რიტუალის დასასრულს წრეს შეკრავდნენ და ხეფეგუაშეს პატივსაცემად ცეკვას ასრულებდნენ.<sup>1</sup>

ზღვისპირეთში მცხოვრებ შაფსულებს XX საუკუნის 20-იან წლებშიც სწამდათ ზღვის ქალბატონის (ხიგუაშეს) ან ზღვის სანაპიროს ქალბატონის (ხიფეგუაშეს) არსებობის. მათი რწმენით, მას სხეულის ქვედა ნაწილი თევზისა ჰქონდა, ხოლო ზედა – ქალის. დაჭერის შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა მისთვის ლაპარაკის შესწავლა.<sup>2</sup>

ხიფეგუაშეს გარდა, ცნობილი იყო ზღვის ღმერთი კოდესი. შაფსულებს ის თევზის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი, რომელსაც ზღვის მისსავე ნაპირებში გაჩერება ძალუძდა.<sup>3</sup> მას სათევზაოდ ნასვლის წინ ევედრებოდნენ და ხელის მომართვას სთხოვდნენ. ამ ღმერთის პატივსაცემად ერთ-ერთი სალოცავი ადგილი ქალაქ ტუაფსესთან ახლოს, კოდოსის კონცხზე მდებარეობდა.<sup>4</sup>

მდინარეთა მფარველ ქალღმერთს ფსეგუაშე ეწოდებოდა. მას წვიმას სთხოვდნენ და დღესასწაული მის პატივსაცემად გაზაფხულობით იმართებოდა. ახალგაზრდები ერთმანეთს წყალს ასხამდნენ და მანამ ჭყუმპალაობდნენ, სანამ არ მობეზრდებოდათ.

ჩერქეზულ მითოლოგიაში თავისი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული მებაღეობის მფარველ ქალწულს, ხიატეგუაშეს.<sup>5</sup>

ლიულეს სიტყვებით, ჩერქეზული ტომები: „შაფსულები და ნათუხაები განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ ღმერთს,

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 125

<sup>2</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 201

<sup>3</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 126

<sup>4</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 209

<sup>5</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 125

რომელსაც „ხაკუსტამ“ ეწოდება, ვინაიდან ის თავიანთ მფარველად მიაჩნიათ. მათი რწმენით ხაკუსტაში ხარების მფარველიც არის. ყოველი ოჯახი ისეთ ხარს, რომელიც უკვე აღარაფერში გამოადგებათ, ამ ღმერთს სწირავს მსხვერპლად. მას ხაკუსტაშის ხარი ეწოდება“.<sup>1</sup>

ლ. ლავროვის განმარტებით ლიუღესეული სახელწოდება „ხაკუსტამ“ დამახინჯებულია. სინამდვილეში უნდა იყოს „ჰაკუჩ-თჰა-შ“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ჰაკუჩების ღმერთის ადგილი“, ან სხვანაირად „ჰაკუჩების წმინდა ადგილი“. ამდენად, ლიუღე ცდება, როდესაც ხაკუსტაშს ღმერთად მოიხსენიებს. აქ შესრულებული რიტუალი გვარის, ან ტომის კულტს წარმოადგენდა.<sup>2</sup>

ჰაკუჩთჰაშის შესახებ 1930 წელს ლ. ლავროვმა შემდეგი ეთნოგრაფიული მასალა ჩაიწერა: „ის მდებარეობდა მდინარე ფსიშვის ზედა ნელზე. საყოველთაო ლოცვა აქ ზაფხულობით რამდენჯერმე იმართებოდა, განსაკუთრებით მოსავლის აღების წინ. მსხვერპლად ხარს სწირავდნენ. ეს იყო ჰაკუჩების წმინდა ადგილი“.<sup>3</sup>

ლიუღე ჩერქეზულ წარმართულ პანთეონში იხსენიებს კერიის მფარველ ღმერთს სახელწოდებით ფშიშანე,<sup>4</sup> თუმცა XX საუკუნის 20-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსულეთში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ფშიშანე საქონლის მფარველად ითვლებოდა.<sup>5</sup>

შაფსულურ წარმართულ პანთეონში მეცხვარეობის მფარველ ღმერთს ემიში ეწოდებოდა. მის პატივსაცემად დღესასწაული ცხვრების დანერბვისას სრულდებოდა.<sup>6</sup>

XX საუკუნის 20-იან წლებში, შავიზღვისპირა შაფსულე-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 126

<sup>2</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 207

<sup>3</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 208

<sup>4</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 126

<sup>5</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 214

<sup>6</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 98

ში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ემიში ცხვრის ფარის და აგრეთვე თხის არვეს მფარველად ითვლებოდა და ის პატარა ჩიტის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი.<sup>1</sup>

ჩერქეზები წარმართული ღმერთების შემდეგ განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ნართების მითების მთავარ გმირს სასრუყვას, რომელიც, ისევე, როგორც ზეიკუთჰა, მგზავრთა მფარველად ითვლებოდა.<sup>2</sup>

ლიულეს ცნობით, სასრუყვას პატივსაცემად დღესასწაულს ზამთარში ატარებდნენ. ამ დღეს ოჯახი მომზადებული საჭმლის ნაწილს სასრუყვასთვის ცალკე ოთახში ათავსებდა. მართალია, ის არ გამოჩნდებოდა, მაგრამ მის მაგივრად ოჯახს სხვა ვინმე ესტუმრებოდა. სტუმრის გამოჩენა ბედნიერების მომასწავებელი იყო, რაც დღესასწაულს უფრო მეტ ხალისს ანიჭებდა.

თუ სტუმრად არავინ ეწვეოდათ, მეგობრებთან და მეზობლებთან ერთად ოჯახი მაინც აღნიშნავდა სასრუყვას დღესასწაულს.<sup>3</sup>

ხან-გირეის ნაშრომშიც „ჩანაწერები ჩერქეზეთის შესახებ“ – აღნიშნულია, რომ ჩერქეზებს წარმართული ღმერთების გარდა, ჰყავდათ წმინდანები ნართებიდან, რომელთაგან ყველაზე მეტად თაყვანს სცემდნენ სასრუყვას.

ზამთრის ერთ-ერთ ღამეს მის პატივსაცემად დღესასწაულს აწყობდნენ. სასტუმრო ოთახში სასრუყვასთვის საუკეთესო საჭმელ-სასმელი მიჰქონდათ, ხოლო მისი ცხენისთვის თავლაში – თივა. რა თქმა უნდა, სასრუყვა არ გამოივლიდა, მაგრამ მას ვინმე შემთხვევით მოსული სტუმარი ცვლიდა, რაც ოჯახისთვის კარგის მომასწავებელი იყო და

---

<sup>1</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 214

<sup>2</sup> **Е. Зевакин.** Культура и быт Адыгов..., გვ. 272

<sup>3</sup> **Л. Люлье.** Верования.... у черкесь. гв. 127

მას დიდი სიხარულით მასპინძლობდნენ. „თუ სტუმარი არ გამოივლიდა, დღესასწაულს უხალისოდ ატარებდნენ“.<sup>1</sup>

ზუსტად ასევე აქვს აღწერილი სასრუყვას დღესასწაული ხან-გირეის თავის მეორე ნაშრომში – „ჩერქეზ ხალხთა მითოლოგია“, თანაც დასძენს, რომ მაჰმადიანი ჩერქეზები სასრუყვას ღამეს სტუმრად მიდიოდნენ წარმართებთან და ამგვარად ინარჩუნებდნენ სტუმარ-მასპინძლობის წეს-ჩვეულებებს.<sup>2</sup>

სასრუყვა, რომლის შესახებაც თავიანთ ნაშრომებში წერენ ლიულე და ხან-გირეი, ნართების მითების მთავარი გმირია. ეს ეპოსი მრავალი საუკუნის მანძილზე იქმნებოდა. ის არ მიეკუთვნება ისტორიულ ნაწარმოებს, ე.ი. ისეთ ეპოსს, რომელიც სათავეს ისტორიული მოვლენიდან იღებს. მასში ჭარბობს მითების ელემენტი, ზღაპრული გმრობა და თავისუფალი ჩანაფიქრი. ნართების მითები ძირითადად გვაროვნული წყობის ეპოსს წარმოადგენს. თავისი სულითა და შინაარსით ის წარმართულია.<sup>3</sup>

შაფსულურ მითოლოგიაში ყოველ ადგილს, იქნებოდა ეს მთა, ველი თუ გამოქვაბული, საკუთარი მფარველი ჰყავდა. ერთ-ერთი ჩერქეზული გადმოცემის თანახმად, რომელიც ლაპინსკის აქვს ჩანწერილი, მეზიბსა და ფშადს შორის მდებარე მიუვალ მთებში მეფის საფლავია თავისივე განძეულით. საფლავს მეფის სული იცავს და ამ ადგილებს მტერს არ აკარებს. შაფსულთა რწმენით, თუ მტერი ამ ადგილებში დაბანაკებას მოახერხებდა, ქვეყანა თავისუფლებას დაკარგავდა.<sup>4</sup>

ჩერქეზებს სჯეროდათ, რომ კეთილი ზებუნებრივი ძალების გარდა, არსებობდნენ მოჩვენებები, ჯადოქრები და ავი სულები. როგორც ხან-გირეი გადმოგვცემს, მათი წარმოდგენით ზოგიერთი ადამიანი დაკავშირებული იყო კიდევ

---

<sup>1</sup> **Хан-Гирей.** Записки о Черкесии. გვ. 98

<sup>2</sup> **Хан-Гирей.** Мифология Черкесских народов. გვ. 172

<sup>3</sup> **Е. Зевакин.** Культура и быт Адыгов..., გვ. 274

<sup>4</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа, გვ. 101

ავ სულთან და მისი დახმარებით შეეძლო გადაქცეულიყო მგლად, ძალღად, ან კატად. ამ ჯადოქრებს ჩერქეზები „უდე“-ს უწოდებდნენ. მათ სხვადასხვა სიავეს მიაწერდნენ. კერძოდ, დადიოდნენ რა უჩინრად, ავად ხდიდნენ ბავშვებს, ხბობს და ა.შ. თითქოს უდები საკუთარ შვილებსაც კლავდნენ.

ხან-გირეის „ჩანაწერების“ თანახმად, ჩერქეზებს სწამდათ, რომ შაფსულეთში, სბროაშხის მთის თავზე, გაზაფხულის ერთ-ერთ ღამეს, სხვადასხვა შინაურ თუ გარეულ ცხოველებზე ამხედრებული უდები მოფრინავდნენ და მთელი ღამე ერთობოდნენ. გათენებისას ისინი იშლებოდნენ, მოიკიდებდნენ ზურგზე მოსავლით, ან სხვადასხვა ავადმყოფობით სავსე ტომრებს და შინ ბრუნდებოდნენ. თუ ტომარა არ შეხვდებოდათ, ერთმანეთს ართმევდნენ.

ჩერქეზები ჯადოქრობაში ეჭვიმტანილს საშინლად აწამებდნენ. მიაბამდნენ ბოძზე ორ ცეცხლს შუა და ეკლიანი როზგით სცემდნენ. უდად მიჩნეული იძულებული ხდებოდა გამომტყდარიყო დანაშაულში, თუმცა არც იცოდა, რაში მდგომარეობდა ის. ამის შემდეგ მას აიძულებდნენ დაეფიცა, რომ აწი არავის გათვალავდა.<sup>1</sup>

ლიულეს ცნობით, ბევრი ჩერქეზი ირწმუნებოდა, რომ მათ საკუთარი თვალთ ჰყავდათ ნანახი ავი სულები და ჯადოქრები, რომ ძლივს მოახერხეს მათ დამალვოდათ და ა.შ.

ამავე ავტორის მიერ ჩანწერილი გადმოცემის მიხედვითაც, ჯადოქრების ანუ უდების შესაკრები ადგილი შაფსულეთშია, მდინარე უბინის სათავეებში, სებერკუასხას მთის წვერზე, სადაც ცხოველებზე ამხედრებულნი ადიოდნენ. ღამეს ისინი ცეკვასა და ლხინში ატარებდნენ, ალიონზე კი დაავლებდნენ ხელს ტომრებს, რომელთა ნაწილში სიკეთე იდვა, ნაწილში – ბოროტება და შინ ბრუნდებოდნენ, უტომროდ დარჩენილი ტომრიანს დასდევდა წასართმევად.

---

<sup>1</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 101



ჩერქეზებს მიაჩნდათ, რომ უდები ღმრთის მყუდროებას არღვევდნენ, ხელს უშლიდნენ ადამიანს წარმატებებში, ინვევდნენ ბავშვებისა და საქონლის ავადმყოფობას და საერთოდ, გაზაფხულის ყოველგვარი სიავე, რითაც ადამიანი იტანჯებოდა, უდებს მიენერებოდა.<sup>1</sup>

ლიულეს თანახმად, ზოგიერთ ოჯახს თითქოს ხელენიფებოდა ექიმბაშობა და შეეძლო უდების ამოცნობა. ის თავადაც იცნობდა შავიზღვისპირა შაფსულეთში, მდინარე ბზიდის ველზე მცხოვრები ერთ-ერთი ექიმბაშის ოჯახს. „ექიმი“ ყურადღებით შეამომხებდა ჯადოქრობაში ეჭვიმტანილს და ასკვნიდა, იყო თუ არა ის უდე. თუ მას ჯადოქრობა დაუმტკიცდებოდა, სასტიკად ანამებდნენ: ძელზე მიბმულს ცეცხლს შეუნთებდნენ და აიძულებდნენ ამ დღისთვის საგანგებოდ დაკლული ძაღლის შემწვარი ღვიძლი ეჭამა. ცეცხლშემომთებული ბრალდებული იძულებული ხდებოდა თითქოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული ეღიარებინა. ამასობაში ძაღლის შემწვარი ღვიძლი მას ხველებასა და ცემინებას აწყებინებდა, რაც ხალხს მასში არწმუნებდა, რომ ის ყოველგვარ სიავეს ანთხევდა. ანადგურებდნენ რა ამ საშუალებით ბრალდებულში ჯადოს, მისგან ფიცს იღებდნენ, რომ ის ავსულებთან ყოველგვარ ურთიერთობებს განწყვეტდა, რის შემდეგაც მას ათავისუფლებდნენ.<sup>2</sup>

ხან-გირეის და ლიულეს ნაშრომებში მოხსენიებული სბროაშხი//სებერკუასხა არის იგივე სობაი უაშხის მთა, მდინარე უბინის სათავეებში. ჩერქეზული გადმოცემებით, აქ იკრიბებოდნენ უდები ხალხის ბედ-იღბლის გადასაწყვეტად და თუ კრებაზე ბოროტ ჯადოქართა ხმა ქარბობდა კეთილი ჯადოქრებისას, ქვეყანას ათასგვარი უბედურება ატყდებოდა თავს.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 135

<sup>2</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 136

<sup>3</sup> К. Меретуков. Адыгейский топонимический словарь. გვ.179

ზოგი ცნობით, სობაი უაშხის მთა ჩერქეზებში წმინდად ითვლებოდა. უცნაურია, მაგრამ რატომღაც ეს მთა წმინდად ითვლებოდა მუჰაჯირობის შემდეგ მიმდებარე სოფლებში ჩასახლებულ რუსებშიც. სულთმოფენობის დღესასწაულზე მათთან ერთად მღვდელიც კი ამოდიოდა და მთის წვერზე ლოცვას აღავლენდა.<sup>1</sup>

1893 წელს ნ. ალბოვმა მუჰაჯირობას გადარჩენილ ჰაკურებში რამდენიმე წარმართული გადმოცემა ჩაინერა. როგორც თავად მკვლევარი აღნიშნავს – „მინდოდა მომეთხრო ჩერქეზთა ცრურწმენისა და მათი ღმერთების შესახებ, მაგრამ ლიულეს ყოველივე ეს ისე დანვრილებით აქვს აღწერილი, რომ ახალს ვერაფერს დავუმატებ. ისინი თავიანთ ღმერთებს ზუსტად ისე მიხასიათებდნენ, როგორც თავის დროზე ლიულეს, რაც გვიჩვენებს, მაჰმადიანობის გავლენის მიუხედავად თუ რა მყარად იცავენ შავიზღვისპირა ჩერქეზები ძველ რწმენას“.<sup>2</sup>

ამის შემდეგ ნ. ალბოვი გადმოგვცემს ჩერქეზთა რამდენიმე წარმართულ წარმოდგენას, რომელსაც ლიულე არ შეხებია, კერძოდ: ჩერქეზებს სწამდათ განსაკუთრებულად კეთილი სულის არსებობის, რომელიც ლამაზი ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მას უწოდებდნენ „ჯინეფ“-ს (სიტყვიდან „ჯინე“ – სული). ჯინეფი ყოვლისმხილველობის უნარით იყო დაჯილდოვებული და შეეძლო ყოველივე ემცნო ადამიანისთვის, რომელსაც ხშირად უკავშირდებოდა. შეეყვარებდა რა ვაჟს, მის ნებისმიერ სურვილს ასრულებდა. შეეყვარებულის გარდა, სხვისთვის ის უხილავი იყო. თუ შეყვარებული ჯინეფთან კავშირის საიდუმლოს სხვას გაუმჟღავნებდა, მას სამუდამოდ დაკარგავდა.

ჰაკურების რწმენით, მათ ტყეებში ველური, ტყის კაცები ცხოვრობდნენ. ერთს მეზციფ ერქვა, მეორეს – მეზლა-

<sup>1</sup> В. Сысоев. Археологическая экскурсия по Закубанью..., გვ. 109

<sup>2</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования..., გვ. 140

ნუყვა. მეზციფი (ე.ი. ტყის კაცი) შიშველი და ბანჯგვლიანი იყო, ადამიანს არ ერჩოდა, ხოლო მეზლანუყვა ადამიანს თავს ესხმოდა და კლავდა. მას მკერდზე ნაჯახი ეკიდა. ნ. ალბოვის დაკვირვებით მეზლანუყვა იგივეა, რაც აფხაზური აბნაოე და სამურზაყანული ოჩოკოჩი, რომელთაც გადმოცემები ასევე მკერდზე ნაჯახჩამოკიდებულს გვიხატავენ.<sup>1</sup>

შაფსულური გადმოცემით, მეზლანუყვა „ტყის ნახევრადკაცია“, რომელსაც გულზე ნაჯახისნაირი რქიანი გამონაზარდი აქვს.<sup>2</sup>

ყუბანისპირა ადიღების მითებში მეზლანუყვას მკერდზე არა ნაჯახი, არამედ ძვლის დიდი მჭრელი ხმალი ჰკიდა.

XX საუკუნის 20-იან წლებში შავიზღვისპირა შაფსულებს მეზლანუყვა წარმოდგენილი ჰყავდათ ბანჯგვლიანი, ცალფეხა და ცალთვალა. მკერდზე ნაჯახი ეკიდა. ის საშიში იყო არა მისი ბოროტების, არამედ კაცთმოყვარეობის გამო. როდესაც ადამიანს შეხვდებოდა, უნდოდა მას გადახვეოდა და მკერდში ჩაეკრა, მაგრამ უნებურად ამ კაცს მეზლანუყვას მკერდზე ჩამოკიდებული ნაჯახი ხვდებოდა.<sup>3</sup>

შაფსულები, ისევე როგორც კავკასიის სხვა ხალხები, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ წმინდა ხეს, ან საერთოდ წმინდა ტყეს.

ფრანგი მოგზაური და დიპლომატი აბრი დე ლა მოტრე, რომელიც 1711 წელს ჩრდილოეთ კავკასიაში იმყოფებოდა აღნიშნავდა – „მთიელი ჩერქეზები დრუიდების მაგვარნი არიან, ეთაყვანებიან ძველ მუხებს და სხვა ხეებს, რადგან სჯერათ, რომ ამ ტყეებში უხილავი ღმერთები ცხოვრობენ, რომელთაც მათი სურვილების აღსრულება შეუძლიათ“.<sup>4</sup>

ქსავერიო გლავანის ცნობით, ჩერქეზებს ყოველ კუთხეში

---

<sup>1</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования..., გვ. 140

<sup>2</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 57

<sup>3</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 211

<sup>4</sup> Абри де ла Мотре. Путешествие..., გვ. 141

ჰქონდათ წმინდა ადგილი ტყეში, სადაც ლოცვებს ალავლენდნენ. აქ, ხეებზე, შეწირვის ნიშნად ხმალს, თოფს და სხვადასხვაგვარ ნივთს ჰკიდებდნენ, რომლებითაც წმინდა ტყე დროთა განმავლობაში ივსებოდა, მაგრამ მათ ხელის ხლებას ვერავინ ბედავდა. აქვე მარხავდნენ მიცვალებულებს. თუ ამ ტყეში დამნაშავე დაიმალებოდა და აქ შეწირულ რაიმე ნივთს ჩამოიკიდებდა, სანამ წმინდა ტყიდან აღებული ნივთი ეკიდა, ის, როგორც ღმრთისგან დაცული, ხელშეუხებელი იყო.<sup>1</sup>

ქსავერიო გლავანის მსგავსად ლიულესაც აქვს აღნიშნული, რომ ჩერქეზეთის ყოველ ველზე რამდენიმე წმინდა ადგილი და წმინდა ტყე მდებარეობდა, რომლებსაც ეკლესიის ფუნქცია გააჩნდათ.<sup>2</sup>

წმინდა ტყეებს ეთაყვანებოდნენ არა მარტო შავიზღვისპირა, არამედ ყუბანისპირა შაფსულებიც, რომლებიც ოფიციალურად მაჰმადიანებად ითვლებოდნენ. მაგალითად, პირიქითა ნათუხაიში განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ მდინარე ადაგუმის შენაკადის, ბაკანის ხეობაში არსებულ წმინდა ტყეს, რომელშიც საუკუნოვან ხეებზე შეწირულობის ნიშნად უამრავი იარაღი ეკიდა,<sup>3</sup> ხოლო ჩრდილო შაფსულეთში უდიდესი მნიშვნელობისა იყო მდინარე აფიფსის მარჯვენა შენაკადის, შებუის ველზე მდებარე ადიხეკოს წმინდა ტყე, სადაც მეზობელი კუთხეებიდანაც მოდიოდნენ სალოცავად. აქ ჩრდილო შაფსულები, მიუხედავად იმისა, რომ მეჩეთში დადიოდნენ და ნამაზს ასრულებდნენ, ლოცვებს ალავლენდნენ მეზითჰას და თლეფუმეს სადიდებლად. მსხვერპლად სწირავდნენ ცხვრებს და ასწლოვან ხეებზე ჰკიდებდნენ ხმლებს, ფარებსა და ჯაჭვის პერანგებს. შეწირვისას ღმერთს თხოვდნენ ხელის მომართვას ლაშქრობისას, ან კიდევ მადლობას მოახსენებდნენ მას სურვილის აღ-

---

<sup>1</sup> Ксаверио Главани. Описание Черкесии 1724 г. გვ. 157-158

<sup>2</sup> Л. Люлье. Ворования.... у черкесь. გვ. 129

<sup>3</sup> Е. Вейденбаум. Священные рощи и деревья ..., გვ. 76

სრულებისთვის. მხოლოდ კავკასიის ომის ბოლო წლებში, როდესაც დამპყრობელი რუსეთის საპირისპიროდ გაძლიერდა პროოსმალური ორიენტაცია, წმინდა ტყის თაყვანისცემა დასუსტდა.

ადიხეკოს წმინდა ტყე, რომელიც ჭადრისგან და ცაცხვისგან შედგებოდა, 1863 წელს რუსეთის ჯარებმა რედუტის აგებისას გაჩეხეს.<sup>1</sup>

ხაზროვის მიხედვით, ჩერქეზეთში მრავალი ტყე ითვლებოდა წმინდად. იქ საქონელს არ უშვებდნენ, იქიდან წკნელსაც კი ვერ აიღებდა ვერავინ და მას ვერც ვერავინ შეეხებოდა. ხალხის რწმენით, ვინც ძველ სარწმუნოებას დასცილებდა და ამ წმინდა ტყეს შეურაცხყოფდა, ის აუცილებლად დაბრმავდებოდა, ან დაკოჭლდებოდა, რაიმე ავადმყოფობა ან უბედურება შეეყრებოდა.<sup>2</sup>

დიუბუა დე მონპერეს თანახმად, ზღვისპირეთში მცხოვრები ჩერქეზები ეთაყვანებოდნენ მრავალ წმინდა ტყეს, რომელთაც ნაჯახი არასოდეს მიჰკარებიათ და ყველას მიერ იყო დაცული.<sup>3</sup> მისივე სიტყვებით – „კავკასიის ხალხები მუდამ იხრებოდნენ დრუიდიზმისკენ, ესე იგი ისინი ყოველთვის მონივნებით ეთაყვანებოდნენ ძველ ხეებს, რადგან სჯეროდათ, რომ იქ უხილავი ღმერთების საუფლო იყო“.<sup>4</sup>

წმინდა ხის თაყვანისცემასთან დაკავშირებით საინტერესოა ლიულეს ცნობა, რომ ჩერქეზულ ჩვეულებით სასამართლოში დაფიცება იმ კვერთხზე ხდებოდა, რომელიც წმინდა ხისგან იყო გამოთლილი. ფიცი იწყებოდა სიტყვებით – „ვფიცავ ამ ძელის შემოქმედს...“.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მაჰმადიანობის მომძლავრების შედეგად კვერთხი ყურანით შეიცვალა, თუმცა

---

<sup>1</sup> **Е. Вейденбаум.** Священные рощи и деревья ..., გვ. 78

<sup>2</sup> **И. Хазровь.** Остатки христианства..., - Кавказь, 1846, №42

<sup>3</sup> **Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. გვ. 53

<sup>4</sup> **Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. გვ. 54

შემორჩენილი ჩვეულებისამებრ დაფიცებისას ყურანს მიწაში ჩარჭობილ ძელზე ჰკიდებდნენ.<sup>1</sup>

სასამართლოსთვის კვერთხს წმინდა ტყეში მოჭრილი ძელისგან თლიდნენ. თავის მხრივ წმინდა ტყე ასტრალურ ღვთაებებთან არის დაკავშირებული.

ქართულ წარმართულ პანთეონში ასტრალურ ღვთაებათაგან ერთ-ერთს, მზე ქალღმერთს აგრეთვე ეკითხებოდა სამართალი, რომელიც მის საგანგებო კუთვნილებას შეადგენდა.<sup>2</sup>

ამგვარი ფუნქცია მზეს მრავალი ხალხის სარწმუნოებაში უძველესი ცივილიზაციების ხანიდან გააჩნდა. მაგალითად, შუმერებში მზის ღვთაება უთუ სამართლიანობის და კანონმდებლობის მფარველი იყო.<sup>3</sup>

ამრიგად, ჩერქეზთა სინკრეტულ სარწმუნოებაში წმინდა ხისგან გამოთლილი კვერთხი სასამართლოს მზე ქალღმერთთან კავშირზე მიუთითებდა. რომ მის წარმოებაში სამართლიანობის დამცველი ღვთაების ხელი ერია.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ბელს ზღვისპირეთში მცხოვრებ ჩერქეზებში აღწერილი აქვს მრავალი წარმართული დღესასწაული, რომლებიც წმინდა მუხნარში ტარდებოდა.<sup>4</sup>

წმინდა ხის თაყვანისცემა შავიზღვისპირა შაფსულებში XX საუკუნის 20-იან წლებშიც კარგად იყო შემორჩენილი. მაგალითად, ერთ-ერთი შაფსულური სოფლის ლილოთხის (რუს. კრასნოალექსანდროვსკი) მახლობლად ორი წმინდა მუხა იდგა, სადაც ლოცვებს აღავლედნენ და მსხვერპლს სწირავდნენ. ზვარაკს თხა, ან ცხვარი წარმოადგენდა. აქ შესრულებული რიტუალის დროს ღმერთს ავადმყოფის გა-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 10

<sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 63

<sup>3</sup> ჯ. შარაშენიძე. შუმერები ..., გვ., 108

<sup>4</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 508, 509

მოჯანმრთელებას სთხოვდნენ, ან კიდევ ავადმყოფის გამო-  
ჯანმრთელების გამო მადლობას მოახსენებდნენ. ამ წმინდა  
მუხებთან განსაკუთრებით ქრონიკული მალარიით დაავადე-  
ბისას აღავლენდნენ ლოცვებს. აქ ლოცულობდნენ როგორც  
მარტონი, ასევე მთელი ოჯახი და მთელი თემიც კი. ეს მუხე-  
ბი ხელშეუხებლად ითვლებოდნენ და აქედან ტოტსაც ვერა-  
ვინ აიღებდა.

წმინდა მუხის მახლობლად ჩვეულებისამებრ ხის ჯვარს  
აღმართავდნენ და დაჩოქილნი, ქუდმოხდილნი ევედრებოდ-  
ნენ დიდ ღმერთს, შიბლესა და ღმრთისმშობელს ავადმყო-  
ფობისა და სხვა უბედურების აცილებას. ლოცვის დასას-  
რულს ყველანი ერთხმად წარმოთქვამდნენ – ამინ! შემდეგ  
სწირავდნენ მსხვერპლს, ხორცს კი ხარშავდნენ და იქვე მი-  
ერთმევედნენ.<sup>1</sup>

1930 წელს ლავროვის მიერ ზღვისპირა შაფსულურ  
სოფლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედ-  
ვით, უნაყოფო ქალების, ავადმყოფი ბავშვების და საერთოდ  
სხვადასვა სახის სნეულთა განკურნვის მიზნით რიტუალი  
ყოველწლიურად ტარდებოდა აგრეთვე კაკლის წმინდა ხეს-  
თან. კაკლის ხის ფესვების ქვეშ მინას ამოთხრიდნენ და მას-  
ში მთელი თვის განმავლობაში ოთხშაბათობით, უზმოზე  
სნეულებს აძვრენდნენ. თვის ბოლო ოთხშაბათს წმინდა ხეს-  
თან მსხვერპლს სწირავდნენ. მსხვერპლად შეწირული საქონ-  
ლის ხორცს იქვე მიერთმევედნენ, მხოლოდ უმარილოს. რი-  
ტუალის დასასრულს ფესვებს კვლავ მინით ამოავსებდნენ  
და მომდევნო წლის ლოცვამდის ამგვარად ტოვებდნენ.<sup>2</sup>

ერთ-ერთი ასეთი დიდი წმინდა ხე, კაკლის, სოფელ  
აგუის განაპირას იდგა. მას იქვე ჩამავალი მდინარისგან ისე  
ჰქონდა ფესვები ჩარეცხილი, რომ ალაგ-ალაგ მინას და ფეს-  
ვებს შორის საკმაოდ დიდი ხვრელები იყო გაჩენილი. ადგი-

---

<sup>1</sup> **Е. Шиллинг.** Черкесы. გვ. 45

<sup>2</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 204

ლობრივებს სწამდათ, რომ წმინდა ხეს სამკურნალო თვისებები გააჩნდა. მასთან ავადმყოფი ბავშვები მიჰყავდათ და განკურნვის მიზნით ამ ხვრელებში აძვრენდნენ.<sup>1</sup>

განკურნვის მიზნით ავადმყოფის წმინდა ხის ფესვებს შორის გაძვრენის რელიგიურ რიტუალს შაფსულეთში „დაეხლეფსეჩელა“ ეწოდებოდა. წარსულში ამ რიტუალში მთელი სოფელი მონაწილეობდა. XX საუკუნის 60-იან წლებში კი მას მხოლოდ ბავშვების განკურნვის მიზნით ასრულებდნენ.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ წმინდა ხეების უმეტესი ნაწილი მეხნაკრავი იყო.

შიბლეს კულტთან დაკავშირებით უკვე გვქონდა საუბარი, თუ როგორ იცავდნენ თავს მთიელი ჩერქეზები მკერდზე დაკიდული მეხნაკრავი ხის ნაფოტით ავი თვალისა და ავადმყოფობისგან,<sup>3</sup> თუ როგორ ასრულებდნენ შავიზღვისპირეთში მცხოვრები შაფსულები გვალვისას წვიმის მოსავლენად რიტუალს მეხნაკრავ ხესთან XX საუკუნის 60-იან წლების დამდეგს.<sup>4</sup>

ტუაფსის რაიონში, სოფელ აგუის განაპირას XX საუკუნის 80-იან წლებამდის იყო შემორჩენილი უზარმაზარი მუხა, მრავალგზის მეხნაკრავი, რის გამოც ის წმინდად ითვლებოდა. წარსულში აქ ჩვეულებისამებრ მსხვერპლს სწირავდნენ და ლოცვებს აღავლენდნენ.<sup>5</sup>

ნიშანდობლივია, რომ შავიზღვისპირა შაფსულურ სოფლებში მეხნაკრავი მუხის თაყვანისცემა XXI საუკუნის დამდეგსაც იყო შემორჩენილი.<sup>6</sup>

ზემოთ აღნიშნულ ეთნოგრაფიულ მასალებში ნათლად ჩანს, რომ შაფსულებში წმინდა ხისა და წმინდა ტყის კულტი

---

<sup>1</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 68

<sup>2</sup> **Я. Смирнова.** О некоторых религиозных пережитках..., გვ. 43

<sup>3</sup> **Л. Люлье.** Верования.... у черкесь. გვ. 133, 137

<sup>4</sup> **Я. Смирнова.** О некоторых религиозных пережитках..., გვ. 42

<sup>5</sup> **К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. გვ. 62, 79

<sup>6</sup> **Б. Бгажноков.** Черкесы (Адыги). გვ. 75



დაკავშირებული იყო თჰაშხუოს, შიბლეს, ზეიკუთჰას, მე-  
ზითჰას და სხვა წარმართული ღმერთების თაყვანისცემას-  
თან.

წმინდა ხე და საერთოდ წმინდა ტყე ხშირად ოჯახის, ან  
გვარის სალოცავ ადგილს წარმოადგენდა და შესაბამისად  
დაკავშირებული იყო გვაროვნულ კულტთან.

წმინდა ხესთან ჩატარებული ლოცვის და მსხვერპლშე-  
წირვის მიზანი იყო: ავადმყოფობის და სხვადასხვა უბედუ-  
რების თავიდან აცილება, ლაშქრობაში წარმატება, ნადირო-  
ბისას ხელის მომართვა, სიუხვე მეურნეობაში, წვიმა გვალ-  
ვისას, საქონლის გამრავლება და ა.შ.

ხის თაყვანისცემისას გამოიყენებოდა სხვადასხვა მა-  
გიური საშუალება, მაგ., განკურნვის მიზნით ავგაროზად  
წმინდა ხის ქერქის, ნაფოტის ან მცირე ტოტის ტარება. გარ-  
და ამისა, ავადმყოფობის ადამიანიდან ხეზე გადატანის მიზ-  
ნით ამ ხეზე ჰკიდებდნენ ავადმყოფის ტანსაცმელს, ან მის  
ნაჭერს.

წმინდა ხე შეიძლებოდა ყოფილიყო სოჭი, ალვა, კაკა-  
ლი და სხვაც, მაგრამ განსაკუთრებულ პატივს მანიც მუხას  
მიაგებდნენ.<sup>1</sup>

\* \* \* \* \*

ამრიგად, ჩერქეზთა შორის ძველი წარმართული წეს-  
ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები ყველაზე უკეთ გვიან-  
ნობამდის შემორჩა შავიზღვისპირა შაფსულებში. მათი სარ-  
წმუნოება ჩამოყალიბებული იყო ძირითადად წარმართული  
და ნაწილობრივ ქრისტიანული, ასევე მაჰმადიანური რელი-  
გიების შერწყმის შედეგად.

შაფსულურ წარმართულ პანთეონს სათავეში ედგა დი-  
დი, შემოქმედი ღმერთი თჰაშხო.

განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ელვისა და ჭეჩა-  
ქუხილის ღმერთს, მეხისა და წვიმის მბრძანებელს, მიწათ-

---

<sup>1</sup> **Е. Шиллинг.** Черкесы. გვ. 46

მოქმედების ერთ-ერთ მფარველს და ადამიანის შემწეს – შიბლეს.

შაფსულური წარმართული პანთეონი უამრავი დიდი და პატარა ღმერთისგან შედგებოდა. თჰაშხოსა და შიბლეს შემდეგ დიდ თაყვანს სცემდნენ ზეიკუთჰას – ლაშქრობის ღმერთსა და მეომართა მფარველს, სოზერიშს – ოჯახური ბედნიერების, მინათმოქმედებისა და უხვმოსავლიანობის ღმერთს, ახინს – მესაქონლეობის ღმერთს, მეზითჰას – ტყეთა, ტყის ნადირთა და ნადირობის ღმერთს, მონადირეთა მფარველს, თლეფშეს – მჭედლობის ღმერთს, მჭედელთა და დაჭრილთა შემწეს, მინათმოქმედთა ერთ-ერთ მფარველს, ფსეგუაშეს – მდინარეთა მფარველ ქალღმერთს, კოდესს – ზღვის ღმერთს და ა. შ.

სწამდათ კერიის მფარველის და სხვა კეთილი სულების, რომ არსებობდნენ ჯადოქრები და ტყის მითიური არსებანი.

შაფსულეების სინკრეტულ რელიგიაში აშკარად იყო შემორჩენილი უძველესი ასტრალური ღმერთების – მთვარის და განსაკუთრებით მზის კულტი, რომლის პატივისცემად რიტუალები ჯვრის, ან ჯვრის მსგავსი კერპების წინ სრულდებოდა.

კავკასიის სხვა ხალხების მსგავსად შაფსულეებს სწამდათ, რომ ზოგი ხე, ან საერთოდ ტყე, სხვადასხვა ღმერთის საუფლო იყო და მას წმინდად მიიჩნევდნენ. განსაკუთრებულ თაყვანს სცემდნენ წმინდა მუხას, მით უფრო თუ ის მეხნაკრავი იყო.

შაფსულეებს სალოცავად განკუთვნილი ნაგებობა არ გააჩნდათ. ყოველი დიდი რელიგიური დღესასწაული ძირითადად წმინდა ტყეში, უმეტესწილად მუხნარში, წმინდა ხის ქვეშ სრულდებოდა.

დიდ წარმართულ დღესასწაულებზე რელიგიურ რიტუალს თჰამადა, ანუ თემის უხუცესი ხელმძღვანელობდა. დანარჩენ შემთხვევებში ღმერთისმსახურებას ცნობილი მჭედელი, ან ოჯახის უფროსი ეწეოდა.

## 2. ქრისტიანობის კვალი შაფსულთა სარწმუნოებაში

XV საუკუნის დასასრულიდან ჩერქეზული კულტურის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. თუ ინტერიანოს მოგზაურობისას (1551 წ.) აქ, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია ქრისტიანობა, მომდევნო, XVII საუკუნეში, როგორც ეს ჩანს ჯოვანი და ლუკას, ლამბერტის, ევლია ჩელეზის და სხვათა ნაშრომებში, ჩერქეზეთში აშკარად წარმართობა დომინირებს, ნაწილობრივ გავრცელებულია მაჰმადიანობაც, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო ძლიერდება. საბოლოოდ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წარმართობის, ქრისტიანობის და ნაწილობრივ ისლამის შერწყმის შედეგად ერთგვარი სინკრეტული სარწმუნოება ჩამოყალიბდა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი წარმართულ წეს-ჩვეულებებს ეკავა.

ერთი მხრივ წარმართობის გამოცოცხლების, მეორე მხრივ ისლამის გავრცელების მიუხედავად შაფსულების სარწმუნოებაში ქრისტიანობის კვალი აშკარად შეინიშნებოდა, რაც კარგად აისახა XIX საუკუნის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებში.

ლიულე აღწერს რა ზღვისპირა და მთიელი ჩერქეზების, კერძოდ შაფსულების და აგრეთვე აბაზეხების წარმართობას, აღნიშნავს, რომ მათში კიდევ არის შემორჩენილი მრწამსი ერთი ღმერთის, შემოქმედის, რომლისგან ყოველი შეიქმნა და რწმენა სულის უკვდავებისა და საიქიო ცხოვრების შესახებ, სადაც თითოეულს მიეზღვება ამქვეყნიური ცხოვრების შესაბამისად.<sup>1</sup>

შემდეგ ლიულეს და ასევე სხვა ავტორებს აღწერილი აქვთ შაფსულთა დღესასწაულები, რომლებიც აშკარად

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Верования... у черкесь. გვ. 122, 128

ქრისტიანულ კვალს ატარებდნენ. მაგ., ზამთრის თვეებში ისინი ითლესის, ანუ ახალი წლის შემობრძანებას აღნიშნავდნენ,<sup>1</sup> ხოლო ახალ წლამდე რვა დღით ადრე – შობას.<sup>2</sup>

თავისებურად ასრულებდნენ ნათლისღებას. ამ დღეს მლოცველები ზღვის სანაპიროზე მიდიოდნენ, ამოჰქონდათ წყალი და ერთმანეთს ასხურებდნენ.<sup>3</sup>

ადრე გაზაფხულზე შაფსულები ქრისტიანული ხორციელის და ყველიერის მსგავს წეს-ჩვეულებებს იცავდნენ, რადროსაც ყველის კვერი უნდა მოეხარშათ.<sup>4</sup>

XVII საუკუნის I ნახევარში ჩერქეზები, როგორც ამას იტალიელი მისიონერი ემიდიო დორტელი დასკოლი გადმოგვცემს, მიუხედავად იმისა, რომ მათში უკვე ეკლესიები აღარ ფუნქციონირებდნენ, მარხულობდნენ შობის, აღდგომის, პეტრე-პავლობის და ღმრთისმშობლის მიძინების წინა დღეებში.<sup>5</sup> XIX საუკუნეში კი შაფსულებში მხოლოდ დიდმარხვა იყო შემორჩენილი.

ნოვიცკის ცნობით, ზოგიერთ ადიღურ ტომში ყოველწლიურად ასრულებდნენ დიდმარხვას, რის შემდეგაც ქრისტიანთა წმინდა კვირის მგსავსად დღესასწაულობდნენ. ერთად იკრიბებოდნენ, ასაჩუქრებდნენ ერთმანეთს, ჭამდნენ მხოლოდ შეღებილ კვერცხს. ქალებს ამ დღეს უფლება ჰქონდათ მამაკაცებთან ერთად ელოცათ ღმრთის სახელზე. ამ დღესასწაულს ისინი ღმრთის გამოცხადების დღეს უწოდებდნენ.<sup>6</sup>

ტებუ დე მარინის მიხედვით, ჩერქეზეთში მარტის დამდეგიდან კვერცხის ჭამას ერიდებოდნენ. სხვას არაფერს ათხოვებდნენ და არც თვითონ ითხოვდნენ რამეს. მარტის ბო-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 126

<sup>2</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235

<sup>3</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235

<sup>4</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 127

<sup>5</sup> Эмидио Дортелли Д' Асколи. Описание Чёрного моря и Татарии. გვ. 67

<sup>6</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., №23

ლოს უხუცესის თოფის გრიალი აღდგომის დღესასწაულის დაწყების ნიშანი იყო. მოსახლეობა წმინდა ტყეში იკრიბებოდა, სადაც რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ.<sup>1</sup>

ლიულეს ცნობით ჩერქეზები აღდგომას ადრე გაზაფხულზე აღნიშნავდნენ. დღესასწაულამდე ორი კვირით ადრე ისინი კვერცხის საკვებად გამოყენებისგან თავს იკავებდნენ. აღდგომაზე კი კვერცხი მაგიდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.<sup>2</sup>

ქრისტიანთა მსგავსად შაფსულებიც ბრწყინვალე აღდგომას მთვარის მიხედვით ანგარიშობდნენ.<sup>3</sup>

აღდგომიდან რვა დღის შემდეგ – „ფმიტაგო“ ქრისტიანულ კვირაცხოვლობას შეესაბამებოდა.<sup>4</sup> ყველანი სასაფლაოზე მიდიოდნენ, მიჰქონდათ ხორაგი და თავიანთ წინაპრებს მოიხსენიებდნენ.<sup>5</sup>

მორიგი დღესასწაული, რომელიც შაფსულებში ქრისტიანობის ხანიდან სრულდებოდა, იყო ამალღება. ჩვეულები-სამებრ ამ დღეს აუცილებლად ბატკანი უნდა დაკლულიყო.<sup>6</sup>

სერებრიაკოვის თანახმად, აღდგომიდან ორმოცი დღის თავზე ჟეგას აღნიშნავდნენ. მართალია, დროით ის ამალღებას ემთხვეოდა, მაგრამ ისევე როგორც სულთმოფენობისას, სახლს ხის ტოტებით და ყვავილებით მორთავდნენ.<sup>7</sup>

ერთ-ერთი დიდი დღესასწაული შაფსულეთში იყო გიორგობა.<sup>8</sup> აქ და აგრეთვე ყაბარდოში წმიდა გიორგის აუში გერ ეწოდებოდა.<sup>9</sup>

---

<sup>1</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. гв. 305

<sup>2</sup> Л. Люлье. Верования... у черкесь. гв. 127

<sup>3</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, гв. 235

<sup>4</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, гв. 235

<sup>5</sup> И. Хазровъ. Остатки Христианства..., - Кавказъ, 1846, №40

<sup>6</sup> И. Хазровъ. Остатки Христианства..., - Кавказъ, 1846, №40

<sup>7</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, гв. 235

<sup>8</sup> И. Хазровъ. Остатки Христианства..., - Кавказъ, 1846, №40

<sup>9</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., гв. 233

შაფსულეთში, მდინარე მესკაგეს შესართავიდან ხუთი, თუ ექვსი ვერსით სამხრეთით დიდი ლოდი იდგა, დაახლოებით ერთი არშინის სიმაღლის, რომელიც ზემოდან გახეთქილი იყო. აქაურ მოსახლეობას სწამდა, რომ ლოდი ამ მხარეში სტუმრობისას თავისი ხმლით წმიდა გიორგიმ გახეთქა.<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ეს თქმულება 1888 წელს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერძოდ ჩერქეზეთში სამეცნიერო კვლევა-ძიების მიზნით მყოფ ვ. სიზოვს ადგილობრივმა, გაქრისტიანებულმა შაფსულმა უამბო.<sup>2</sup>

შაფსულეთში ჭექა-ქუხილის ღმერთის სადიდებელ საგალობლებში შიბლეს სახელი არც თუ იშვიათად ქრისტიანული ფორმით – „ილია“ მოიხსენიებოდა.<sup>3</sup> თუმცა XIX საუკუნეში ამ სიტყვის მნიშვნელობა მათ არ იცოდნენ. საგალობლებში ის მხოლოდ რეფრენის ფუნქციას ასრულებდა და სხვა მნიშვნელობა არ გააჩნდა.<sup>4</sup>

ჭექა-ქუხილის ღმერთის – შიბლეს სახელის გვერდით ილიას (ან მისი დამახინჯებული ფორმების) მოხსენიება გამონვეული იყო ჩერქეზული ტომების ქრისტიანიზაციით, რის შედეგადაც შიბლესადმი თაყვანისცემა ილია წინასწარმეტყველის კულტს შეერწყა.<sup>5</sup>

ასევე იყო კავკასიის სხვა ხალხებშიც. მთიელი აბაზები ივლისის მეორე ნახევარში ილია წინასწარმეტყველის დღეს აღნიშნავდნენ და თანადროულად შიბლეს სწირავდნენ მსხვერპლს,<sup>6</sup> ხოლო ოდიშში, ლამბერტის მიხედვით ჭოროფისას წმიდა ელიას მზის თვალს ევედრებოდნენ. იტალიელი მისიონერის თანახმად ამგვარ წეს-ჩვეულებას სათავე ბიბლიურ წყარო-

---

<sup>1</sup> В. Сизов. Восточное побережье Чёрного моря. გვ. 91

<sup>2</sup> В. Сизов. Восточное побережье Чёрного моря. გვ. 111

<sup>3</sup> Л. Люлье. Верования.... у черкесь. გვ. 128

<sup>4</sup> Н. Альбов. Ботанико-географические исследования..., გვ. 141

<sup>5</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 219

<sup>6</sup> Н. Дубровин. История войны..., Т. I, кн. 2, გვ. 28

ში გააჩნია.<sup>1</sup> მას მხედველობაში ჰქონდა წმიდა იაკობის წერილი – „ელია ჩვენი მსგავსი კაცი იყო და ლოცვით ილოცა, რომ არ მოსულიყო წვიმა და არ მოსულა ქვეყნად წვიმა სამ წელსა და ექვს თვეს. კვლავ ილოცა და ცამ მისცა წვიმა და მიწამ აღმოაცენა თავისი ნაყოფი.“ (იაკობ, 5)

განსაკუთრებულად მაინც შაფსულები მარიამობას დღესასწაულობდნენ. ლიულეს თანახმად, ჩერქეზები პატივს მიაგებდნენ დიდი ღმერთის დედას, მეფუტკრეობის მფარველს, რომელსაც მერიემ ეწოდებოდა. უეჭველია, ეს არის იგივე მარიამი, ვინაიდან მას ადიდებდნენ როგორც ღმერთისმშობელს. მის პატივსაცემად აგვისტოში, დაახლოებით ღმერთისმშობლის მიძინების დღეს მართავდნენ დღესასწაულს.<sup>2</sup>

ტებუ დე მარინის მიერ ჩანწერილი ერთ-ერთი ხალხური გადმოცემის თანახმად, ოდესღაც მეხმა ფუტკრების სკა გაანადგურა. გადარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც ღმერთისმშობელმა მერისამ, ანუ მერიემმა შეიფარა. გადარჩენილმა კი კვლავ გაამრავლა ფუტკარი. სწორედ ამიტომ ჩერქეზებს მარიამ ღმერთისმშობელი მეფუტკრეობის მფარველადაც მიაჩნდათ. სექტემბრის ერთ-ერთ დღეს, როდესაც მერიემის პატივსაცემად დღესასწაულს აწყობდნენ, ერთმანეთს მხოლოდ თაფლისგან დამზადებულ საჭმელსა და სასმელს თავაზობდნენ. „არაფერია გასაკვირი, რომ ჩერქეზებმა, რომელთა ქვეყანაშიც თაფლი ძირითადი საკვები იყო, ფუტკარს საკუთარი მფარველი მიუჩინეს“.<sup>3</sup>

ჩერქეზეთში ქრისტიანობის დაკნინების შედეგად მათ სარწმუნოებაში წმიდა მარიამმა სხვა ფუნქციები შეიძინა. ის წარმოდგენილი ჰყავდათ როგორც დიდი ღმერთის დედა და ამასთან მეფუტკრეობის მფარველი. ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ღმერთისმშობლის სახელის, მა-

---

<sup>1</sup> **არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა. გვ. 154

<sup>2</sup> **Л. Люльс.** Ворования... у черкесь. გვ. 126

<sup>3</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 304

რიამის და ადიღური წარმართული პანთეონის მეფუტკრეობის ღმერთის სახელის, მერისას//მელისას მსგავსებამ, რომელმაც მათში ბერძნული მითოლოგიიდან შეაღწია.<sup>1</sup>

ჩერქეზებს ჰქონიათ აგრეთვე ჩვეულება, რომ ზაფხულის ერთ-ერთ დღეს კოცონს ახტებოდნენ. გადახტომისას მერიემს ცოდვების მიტევებას სთხოვდნენ და ამის შემდეგ თავს ცოდვებისგან განწმენდილად მიიჩნევდნენ.<sup>2</sup>

ლაპინსკის ცნობით, ივლისის დამდეგს ჩერქეზები განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ მეტად მნიშვნელოვან დღესასწაულს, ღმერთისმშობელ მერიემის ზეცად ამაღლებას. მთელ ქვეყანაში სიმღერისა და იარაღის სროლის ხმა ისმოდა. გადმოცემის თანახმად, ამ დღეს ღმერთისმშობელი მინაზე ეშვება, უხილავად მონანილეობს დღესასწაულში, ლოცავს მათ ვინც მას მოიხსენიებს და ყოველგვარი უბედურებისგან იცავს.<sup>3</sup>

ბელს შაფსულეთში ღმერთისმშობელ მარიამთან დაკავშირებული სხვა დღესასწაულიც აქვს აღწერილი, რომელიც ოქტომბერში ორი კვირის განმავლობაში სრულდებოდა. ახალგაზრდები სახლიდან სახლში გადადიოდნენ და დროს ცეკვა-სიმღერასა და შუათის სმაში ატარებდნენ. ლოცვისას ისინი მარიამს ბედნიერებას, ჯანმრთელობას და სიუხვს სთხოვდნენ. ეს დღესასწაული მათი რწმენით იმ დროიდან იმართებოდა, როდესაც ჩერქეზები ქრისტიანები იყვნენ.<sup>4</sup>

იგივე დღესასწაული ბელმა მაყუფსეში ნოემბრის დამდეგსაც აღწერა. „2 ნოემბრის ღამეს დღესასწაულისთვის შუათი და ნამცხვრები მოამზადეს. ყოველივე ეს მას შემდეგ დაგვირიგეს, რაც უხუცესმა მათზე ლოცვა აღავლინა. ოთხი ღამის განმავლობაში იწირებოდა მსხვერპლი. მამაკაცები და ბავშვები მარიამს უგალობდნენ. აი, რამდენიმე სიტყვა ამ

<sup>1</sup> **А. Шортанов.** Адыгская мифология. გვ., 172-173

<sup>2</sup> **Л. Люлье.** Верования... у черкесь. გვ. 131

<sup>3</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа...., გვ. 83, 137

<sup>4</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 489



ჰიმნიდან: „შენი ფრიალა სამოსი ვერცხლივით ბრწყინავს, შენ – ცის მეუფეო და ქალწულთა მფარველო, გვინყალობე უხვი მოსავალი, გვაჩუქე მშვიდობა და ბედნიერება“.<sup>1</sup>

ცნობილი იყო სხვა სიმღერაც, რომელშიც ღმრთისმშობელი მოხსენიებულია როგორც „დიდი ღმერთის დედა, დიდი მარიამი, ბრწყინვალე მარიამი, ოქროთი მოსილი, სპეტაკი, მზითა და მთვარით დამშვენებული“.<sup>2</sup>

XIX საუკუნეში შეფსულებს, რომ მარიამი დიდი ღმერთის დედად ჰყავდათ წარმოდგენილი, სერებრიაკოვის ჩანაწერებიდანაც მტკიცდება – „მათი რწმენით თჰაშხო, ე.ი. დიდი ღმერთი მარიამის შვილია“.<sup>3</sup>

წინაპრების რწმენით, რომ დიდი მარიამი დიდი ღმერთის დედა იყო, კარგად ახსოვდათ XX საუკუნის 20-იან წლებშიც, ყუბანისპირა<sup>4</sup> და მითუფრო შავიზღვისპირა შეფსულებს.<sup>5</sup>

ლავროვის მიერ 1930 წელს მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, შეფსულებში საკუთარი სახელიც იყო გავრცელებული – მერემიყუ, რაც მარიამის შვილს ნიშნავს.<sup>6</sup>

სოფელ ლილოთხში წმინდა მუხასთან აღმართული ჯვრის წინ შეფსულები ღმრთისმშობელს, თჰაშხოს და შიბლეს აგადმყოფობისგან და საერთოდ ყოველგვარი უბედურებისგან დაცვას ევედრებოდნენ.<sup>7</sup>

მარიამ ღმრთისმშობლის შესახებ არსებულ გადმოცემებში ბრწინვალედ არის წარმოდგენილი ჩერქეზული რელი-

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 512, 529

<sup>2</sup> И. Хазровъ. Остатки христианства..., - Кавказъ, 1846, №40

<sup>3</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235

<sup>4</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 71

<sup>5</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 219

<sup>6</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 219

<sup>7</sup> Е. Шиллинг. Черкесы. გვ. 45

გიური სინკრეტიზმი – უდიდესი ქრისტიანული წმინდანის თაყვანისცემის შერწყმა უმნიშვნელოვანეს წარმართულ, ნაყოფიერების მფარველ მზე ქალღმერთის კულტთან.

მარიამს ევედრებიან ყოველივე იმას, რასაც წარმართები მზეს. თუმცა ამჟამად ქრისტიანობიდან არის შემორჩენილი რწმენა, რომ მარიამი ღმრთისმშობელია, მისი მიძინების დღე აგვისტოს ბოლოს უნდა აღინიშნოს, ის ზეცად ამაღლდა და რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, „ყოველივე ეს იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ჩერქეზები ქრისტიანები იყვნენ.“

შაფსულებში ასევე იყო შემორჩენილი, თუმცა დამახინჯებით, რწმენა წმიდა სამების შესახებ. მათი წარმოდგენით ყოვლის შემძლე ღმერთი სამსახოვანია და ერთიან ღმერთში ისინი პატივს მიაგებდნენ მარიამ-თჰაფშის (ღმრთისმშობელს) თჰაშხოს (დიდ ღმერთს) და შერგუფსის სახელით ცნობილ რომელიღაც ღმერთს, წმინდანს, თუ სულს, რომლის მნიშვნელობაც მათში დავიწყებული იყო<sup>1</sup> და სავარაუდოდ სულიწმინდას უნდა ნიშნავდეს.<sup>2</sup>

ჩერქეზების ყოველ ოჯახში, სადაც ჯერ კიდევ სრულად არ იყო დამკვიდრებული მაჰმადიანობა, ერთ-ერთ კედელზე საგანგებოდ პირსახოცი და ცვილი იყო ჩამოკიდებული. ცვილისგან სანთელს ამზადებდნენ და სხვადასხვა დღესასწაულზე ანთებული სანთლის წინ დაჩოქილი და ქუდმოხდილი ლოცულობდნენ.<sup>3</sup>

შაფსულეთში წარსულში რომ ქრისტიანობა იყო გავრცელებული ამჟამად მიუთითებს მათში შემორჩენილი კვირის ზოგიერთი დღის სახელწოდება. მაგ., ოთხშაბათს ისინი უწოდებდნენ „ბრასკაჟი“-ს, რაც ადიღურად პატარა მარხვას ნიშნავს, პარასკევი ანუ „ბრასკაშხუ“ ითარგმნება როგორც

---

<sup>1</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235

<sup>2</sup> В. Васильков. Очерк быта Темиргоевцев. გვ. 112

<sup>3</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., №23

დიდი მარხვა. ასე ჩაიწერეს ეს სიტყვები ჩერქეზეთში (შაფსულეთში) XIX საუკუნის 20-იან წლებში ლიულემ<sup>1</sup> და ზუსტად საუკუნის შემდეგ სიმონ ჯანაშიამ,<sup>2</sup> ამ უკანასკნელმა ჩრდილო კავკასიელ შაფსულებში, რომლებიც შავიზღვისპირა შაფსულებისგან განსხვავებით მაჰმადიანები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ემიდიო დორტელი დასკოლის ცნობით, XVII საუკუნის I ნახევარში ჩერქეზები ჯერ კიდევ იცავდნენ ოთხშაბათობით და პარასკევობით მარხვის დაცვის წესს.<sup>3</sup>

ქრისტიანული რელიგიისგან შაფსულებში განსაკუთრებით ჯვრის თაყვანისცემა შემორჩა, თუმცა XIX საუკუნის ავტორთა ცნობებში კარგად ჩანს, რომ მათ ჯვრის მნიშვნელობა დავიწყებული ჰქონდათ და მას ისე ეთაყვანებოდნენ, როგორც წარმართნი კერპს.

ქრისტიანობის ხანაში ჩერქეზის სახლის შიგნით კუთხეებში ხის ჯვრები ეკიდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში ეს წესი მხოლოდ მთიელებში, ალაგ-ალაგ იყო შემორჩენილი.<sup>4</sup>

ყოველი ის ადგილი, სადაც ჯვარი იყო გამოსახული, ჩერქეზებში წმინდად ითვლებოდა. ეს იყო უპირველეს ყოვლისა ეკლესიათა ნანგრევები.<sup>5</sup>

კოხის ცნობით, ჩერქეზებს შემორჩენილი ჩვეულებისამებრ, ძველი ეკლესიის ნანგრევებიდან გამოჰქონდათ ჯვარი, ჩამოჰკიდებდნენ წმინდა ტყეში, რომელიმე დიდ ხეზე და ლოცულობდნენ. მას ეთაყვანებოდნენ: მეომრები – ომში წასვლის წინ, უხუცესები – სანამ სახალხო კრების ჩატარებას დაიწყებდნენ. შეყვარებულები აქ აძლევდნენ ფიცს ერთმანეთს. აქ აფარებდა თავს დამნაშავე და მას ხელს ვერავინ

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Верования... у черкесь. გვ., 128

<sup>2</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 71

<sup>3</sup> Эмидио Дортелли Д' Асколи. Описание Чёрного моря и Татарии. გვ. 67

<sup>4</sup> Хан-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 224

<sup>5</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 626

ახლებდა. ამავე ჯვრის წინ აღავლენდნენ ლოცვებს წარმართი ჩერქეზები ავადმყოფობისგან განკურნვის მიზნით.<sup>1</sup>

კოხის ცნობაში ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეკლესიის ნანგრევები წმინდა ტყეში მდებარეობს. ესე იგი, ისევე როგორც ძველად საქართველოში, თავდაპირველად ჩერქეზეთშიც ეკლესიას ძველი სალოცავის მახლობლად აგებდნენ. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს შაფსუღეთში, სოფელ ნიგეფსუხოს მახლობლად ერთ-ერთ სამარხთან აღმოჩენილი ქვის ფილა, რომელზეც ამოკვეთილია ხეები ჯვრებით და იქვე შენობა თავზე ჯვრით,<sup>2</sup> რაც წმინდა ტყეში მდებარე ეკლესიას უნდა გამოსახავდეს.

კოხის „მოგზაურობაში“ აღნიშნულია, რომ „წელიწადში ექვსჯერ: თებერვლის, აპრილის, ივნისის, აგვისტოს, ოქტომბრის და დეკემბრის პირველ კვირას ჩერქეზები წმინდა ტყეში იკრიბებოდნენ და ჯვარს ეთაყვანებოდნენ. მათ არ იცოდნენ ჯვრის მნიშვნელობა, მაგრამ მას პატივს მიაგებდნენ, რადგან ამგვარად იქცეოდნენ მათი წინაპრები.“<sup>3</sup>

ტებუ დე მარინის თანახმად, გელენჯიკის მიდამოებში, ზღვის სანაპიროდან ოდნავ მოშორებით, წმინდა ტყეში უხეშად გამოთლილი ჯვარი იდგა. აქ ვერავინ ბედავდა არა თუ ხის მოჭრას, არამედ ხეზე დაკიდული ნივთების ხელის ხლებასაც. „ჯვარი მათში წინაპრებისგან იყო შემორჩენილი, თავად კი მისი მნიშვნელობა არ იცოდნენ“.<sup>4</sup>

ამავე ავტორის სიტყვებით – „წარმატებული ლაშქრობიდან დაბრუნებული ჩერქეზი ჩვეულებისამებრ სხვადასხვა ნივთს ჯვარს სწირავდა და მათ ამავე ჯვარზე, ან იმ ხეზე ჩამოჰკიდებდა, რომელზედაც ეს ჯვარი იყო მიმაგრებული“.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 626

<sup>2</sup> **А. Миллер.** Разведки на Чёрноморском побережье Кавказа... გვ. 100

<sup>3</sup> **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 626

<sup>4</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 303

<sup>5</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 316

ბელის ცნობით, ერთ-ერთ ზღვისპირა ჩერქეზულ თემში ყოველ მეორე თვეს, კვირაობით ჯვარს ეთაყვანებოდნენ. რიტუალი ასეთი იყო: ისინი გროვდებოდნენ ზღვის სანაპიროსთან მდგარ ჯვართან, მოშორებით მუხლს იყრიდნენ და ლოცვებს აღავლენდნენ. შემდეგ ორი უხუცესი, რომელთაც ხელში პური და შუათით სავსე ჯამი ეკავათ, უახლოვდებოდნენ ჯვარს და ევედრებოდნენ, რომ მათი საქმელ-სასმელი კურთხეული ყოფილიყო. დასასრულს პური და სასმელი დანარჩენ მლოცველებს ურიგდებოდათ.<sup>1</sup>

ზღვისპირეთში, ყვაფის მახლობლად მცხოვრებ შაფსულებს ყოველი ჯვრის პატივსაცემად ცალკე, საკუთარი დღე ჰქონდათ მიჩენილი. ერთ-ერთ რიტუალს თვით ბელიც შეესწრო. დღესასწაულში ორმოცდაათამდე კაცი მონაწილეობდა. ესენი ყველანი ოჯახის თავები იყვნენ. ყოველმა მათგანმა საქმლის გასაწყობად ერთი, ან რამდენიმე მაგიდა მოიტანა. სახლიდან წამოღებულ ხორაგს მსხვერპლად შეწირული ორი, თუ სამი თხის ხორციც ემატებოდა. მაგიდები ჯვართან ახლოს იყო დადგმული. აქ ყველა ქუდს იხდიდა, მაგრამ ჯვართან სამი, თუ ოთხი მლოცველის გარდა, არავინ მიდიოდა. ისინი ღმერთს სთხოვდნენ, აეცილებინა მათთვის ომი, წირი და სხვა უბედურებანი, ეწყალობებინა უხვი მოსავალი და ბედნიერება. ერთ-ერთი მათგანი ჯვართან ხორცსა და შუათს აკურთხებდა და დამსწრეებს ურიგებდა.<sup>2</sup>

ბელს მორიგი წარმართული რიტუალი ასევე ზღვისპირეთში, ფშადთან ახლოს აქვს აღწერილი. დღესასწაული მუხნარში ტარდებოდა. ყველაზე დიდი ხის მახლობლად აღმართული იყო ჯვარი, რომლის ძელზეც უნინ ამგვარსავე რიტუალებში გამოყენებული ჯვრები იყო მიმაგრებული. მლოცველები ქუდმოხდილნი ევედრებოდნენ ქეკა-ქუხილის

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 469-470

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 506

ღმერთს, რომ დაეცვა ისინი, აერიდებინა მათთვის და მათი ოჯახებისთვის მეხი და სხვა უბედურებანი.<sup>1</sup>

ჩერქეზთა წარმოდგენით ყოველი ვაჟი, როდესაც გარკვეულ ასაკს მიაღწევდა, ღმერთს ეკუთვნოდა. ამის გამო ღმერთისთვის ზვარაკად საქონელი უნდა შეენირათ. ქრისტიანული ნათლისღების მსგავსი ეს დიდი რიტუალიც, რომელშიაც მაჰმადიანი ჩერქეზებიც ღებულობდნენ მონანიღეობას, ფშადის წმინდა მუხნარში აღმართული ჯვრის წინ სრულდებოდა.<sup>2</sup>

დღესასწაული დიდი ღმერთისადმი აღვლენილი ლოცვით იწყებოდა. მას ყოველგვარ ბედნიერებას სთხოვდნენ, ევედრებოდნენ უბედურების აცილებას. მთავარი მლოცველი, უხუცესი, მარჯვენა ხელში შუათით სავსე ჯამს იკავებდა, მარცხენათი პურს და ლოცვას წარმოთქვამდა. შემდეგ პურსა და ჯამს სხვებს გადასცემდა, მათგან მორიგს იღებდა და კვლავ ლოცულობდა, რასაც სხვებიც ხმამაღლა იმეორებდნენ. ისინი, უხუცესის ზურგს უკან მყოფნი, ყოველი ლოცვის დასასრულს ქუდმოხდილნი და დაჩოქილნი თავით მიწას ეხებოდნენ.

აქვე, ჯვართან, მსხვერპლად სწირავდნენ ხბოს, ცხვარს და ორ თხას. თითო საქონელი ორ-ორ კაცს მოჰყავდა. უხუცესი მორიგ ლოცვას წარმოსთქვამდა, მსხვერპლს თავზე კათხიდან რამდენიმე წვეთ შუათს დააპკურებდა, ცვილის სანთლით თავზე თმას მოუწვავდა და დაკლავდა.

იგივე უხუცესი, ნაბადმოსხმული და კვერთხით ხელში, ჯვრის წინ განყობილ მაგიდებს აკურთხებდა, რის შემდეგაც ლხინი იწყებოდა. დღესასწაული სხვადასხვა სახის გართობით (ცეკვა, მიზანში სროლა, მარულა...) სრულდებოდა.<sup>3</sup>

ბელის დღიურში ასევე აღწერილია შემთხვევა, თუ რო-

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 508

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 509

<sup>3</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 510

გორ ეთაყვანებოდნენ ქუდმოხდილი მექორწილენი ფშადსა და გელენჯიკს შორის მდებარე ერთ-ერთ სოფელში აღმართულ ძველ ჯვარს.<sup>1</sup>

ბელის ცნობასთან დაკავშირებით, რომ ფშადის ხეობაში ერთ-ერთ წარმართულ დღესასწაულზე მაჰმადიანი ჩერქეზებიც ლებულობდნენ მონანილეობას, ინტერესს იწვევს ლაპინსკის ცნობაც, თუ როგორ ეთაყვანებოდნენ გამაჰმადიანებული ჩერქეზები სანამაზოში დაკიდულ ჯვარს, რომლის მნიშვნელობა არც იცოდნენ, მაგრამ „ის წმინდა ნივთად მიაჩნდათ, ვინაიდან მას ატარებდა იესჰა, დიდი თჰას შვილი“.<sup>2</sup>

ბელთან ერთად ჩერქეზთა შორის მოღვაწე ლონგვორთი წერს: – „ფშადთან ახლოს, ზღვის სანაპიროდან ოდნავ მოშორებით, ბორცვზე ხის ძველი ჯვარი იყო აღმართული. როდესაც მას მივუახლოვდით, ჩერქეზმა მეგზურებმა ქუდები მოიხადეს. როცა ვკითხეთ, თუ რატომ მოიქცნენ ასე, მხრები აიჩეჩეს და მოგვიგეს, რომ ამგვარად იქცეოდნენ მათი წინაპრები. ჯვარზე ტანსაცმლის ნაჭრები იყო ჩამოკიდებული, რაც ავადმყოფთა განკურნვის მიზნით აღთქმის დადებისას იყო შეწირული“.<sup>3</sup>

ჩერქეზებს ჯვრისადმი რიდი და თაყვანისცემა იმდენად ჰქონდათ, რომ თუ მგზავრს ურემი გაუფუჭდებოდა და იძულებული იყო ის დროებით დაეტოვებინა, მასზე ჯვარსა და პატარა ზარს ჩამოჰკიდებდა, რის შემდეგაც ურემსა და მასზე მოთავსებულ ტვირთს ხელს ვერავინ ახლებდა.<sup>4</sup>

1837-1839 წლებში ჩერქეზეთში მყოფ ბელს უამრავი ჯვარი უხილავს უბიხეთშიც. ერთ დღეს ის კრებასაც კი დასწრებია სოჩში, სადაც ძველი ჯვრების მოხსნის, თუ მათი ახ-

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 487

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ.82

<sup>3</sup> Дж. Лонгворт. Год среди Черкесов. გვ. 542

<sup>4</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., №23

ლით შეცვლის თაობაზე ყოფილა ბჭობა. „ამ ჯვრებიდან – აღნიშნავს ავტორი – სამს განსაკუთრებით სცემენ თაყვანს. მათგან ერთი ხეზე ჰკიდია, ხოლო ორი აღმართულია. მათ გარდა არის კიდევ რამდენიმე ჯვარი, ზოგი რკინის, ზოგიც მოოქროვილი“.<sup>1</sup>

ჩერქეზთა წმინდა ტყეებში, სადაც წარმართული რიტუალები სრულდებოდა, წმინდა ხეებზე სწორედ ჯვრები იყო გამოსახული.<sup>2</sup>

XIX საუკუნის 40-იან წლებში ჩეჩნეთში და ლეკეთში მიურიდიზმის გაძლიერების შემდეგ ისლამი უფრო ფართოდ ვრცელდება დასავლეთ კავკასიაშიც. 1850 წელს, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თავისი ხელისუფლების განმტკიცებისა და მიურიდიზმის გავრცელების მიზნით, შამილის ნაიბმა მუჰამედ ემინმა მასიურად გაანადგურა წმინდა ტყეებში არსებული ჯვრები და მეჩეთების აგება დაიწყო, რასაც მთიელთა აჯანყება მოჰყვა. აჯანყებულმა შაფსულებმა და უბიხებმა დაანგრიეს მეჩეთები და ძველი სალოცავები აღადგინეს.<sup>3</sup>

ამრიგად, XIX საუკუნის შუახანებშიც ჯვარი შაფსულების სარწმუნოებაში კვლავ უდიდეს როლს ასრულებდა.

სწორედ ჯვრის წინ სრულდებოდა რელიგიური რიტუალი ჩერქეზული პანთეონის მთავარი ღმერთის, თჰაშხოს პატივსაცემად.

თჰაშხოსადმი მიძღვნილ ერთ-ერთ რიტუალს ტებუ დე მარინი ამგვარად აღწერს: – დღესასწაული მსხვერპლის შეწირვით იწყებოდა. ჩვეულებისამებრ მსხვერპლად სწირავდნენ თხას, ან ცხვარს, ხოლო დიდი დღესასწაულისას – ხარს. უხუცესი, რომელიც რიტუალს ხელმძღვანელობდა, ჩამოხსნიდა ჯვარზე მიმაგრებულ ანთებულ სანთელს და საზვარაკო საქონელს თავზე, იმ

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии... გვ. 503

<sup>2</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 53

<sup>3</sup> Л. Сербряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 235



ადგილას, სადაც უნდა დაერტყა, ჯერ თმას მოუნვაავდა, შემდეგ ბუზას გადაასხამდა.

მსხვერპლის შეწირვის შემდეგ უხუცესი იღებდა პურს, სასმელს და შემოქმედს ადიდებდა. ამასვე იმეორებდა მომდევნო უხუცესი. ლოცვის დასრულების შემდეგ ლხინი, ცეკვა-თამაში და შეჯიბრი იწყებოდა. შეწირული საქონლის ხორცს (რომელსაც სახლიდან მოტანილი ხორაგიც ემატებოდა), აქვე მიირთმევდნენ. ტყავი ღმრთისმსახური უხუცესის იყო, ხოლო თავს დიდი ღმერთის პატივსაცემად ჯვართან ახლოს ხეზე ან ბოძზე ჩამოჰკიდებდნენ.<sup>1</sup>

ლოულეს თანახმად შაფსულები თჰაშხოსადმი ლოცვას წმინდა ტყეში, საუკუნოვანი ხეების ჩრდილში ალაველენდნენ. რიტუალს ქურუმის მსგავსი ერთ-ერთი უხუცესი ხელმძღვანელობდა. ის, უბრალოდ ნაკეთი და მოურთველი მუხის ჯვრის წინ, ნაბადმოსხმული, ქუდმოხდილი და დაჩოქილი, ხმამაღლა წარმოთქვამდა ლოცვას. უხუცესი თჰაშხოს სთხოვდა ამქვეყნიურ სიკეთეს, მოსავალს, წვიმას, მტრის თავდასხმის არიდებას, ავადმყოფობისგან და საერთოდ, ყოველგვარი უბედურებისგან დაცვას.

ლოცვის დასასრულს მსხვერპლის შეწირვა იწყებოდა. მსხვერპლად სწირავდნენ ცხვარს, თხას, ძროხას, ან ხარს. უხუცესი იღებდა ჯვარზე მიკრულ ანთებულ ცვილის სანთელს, საზვარაკო ცხოველს ცვილითვე უზელდა შუბლს და თავზე სპეციალურად ამ დღისთვის ფეტვისა და თაფლისგან დამზადებულ სასმელს – ბუზას ასხამდა. საქონლის დაკვლის შემდეგ უხუცესი ერთ ხელში ღვეზელს იკავებდა, მეორეში – ბუზათი სავსე ჯამს, აღმართავდა მათ ცისკენ და კვლავ ლოცულობდა. შემდეგ ის ამ ღვეზელსა და ჯამს მომდევნო უხუცესს გადასცემდა, ხოლო დანარჩენ ღვეზელსა და ჯამებს – სხვა მლოცველებს, რომლებიც ყოველივე ამას ერთმანეთს აწოდებდნენ.

---

<sup>1</sup> Тэбу де Мариньи. Путешествия в Черкесию. гв. 306.

ლიულეს მიხედვით ამ დღესასწაულს თჳახა ეწოდებოდა.<sup>1</sup>

შენიშნული ცხოველის თავს, ლიულეს ცნობითაც, ჯვართან ახლოს ჩარჭობილ მაღალ ბოძზე ჰკიდებდნენ. ტყავი „ქურუმს“ ეკუთვნოდა, ხორცს კი აქვე ხარშავდნენ. ყოველი ოჯახი ვალდებული იყო სახლიდანაც მოეტანა ხორავი. სანამ ხორცი იხარშებოდა, ხელიხელჩაკიდებული მოხუცები წრეს შეკრავდნენ და ფერხულთან ერთად საგალობელს ასრულებდნენ. მალე მათ ახალგაზრდებიც უერთდებოდნენ. დღესასწაული ღვინით სრულდებოდა.<sup>2</sup>

სერებრიაკოვის მიხედვით – „ზღვისპირა ჩერქეზეთის წმინდა ტყეებში მრავალი ჯვარი იყო აღმართული. ჯვარი ძირითადად ხის, იშვიათად კი ქვის იყო. როდესაც ხის ჯვარი გაცვეთებოდა, ახლით შეცვლიდნენ. ძველს იქვე ტოვებდნენ, სანამ სრულიად არ დაიფშენებოდა. აქაური მოსახლეობა ჯვარს სასწაულმოქმედ ძალას მიანერდა, რომელსაც ადამიანის ავადმყოფობისგან განკურნვა შეეძლო და მადლიერების ნიშნად მას მსხვერპლს სწირავდნენ.

რელიგიურ დღესასწაულზე ყველანი იკრიბებიან; მამაკაცები, მოხუცები, ქალიშვილები, მაგრამ ახალ დაქორწინებული ქალები არა, ვინაიდან მათ აღმოსავლური წესის თანახმად საერთო შეკრებებზე დასწრება ეკრძალებათ.

ღმრთისმსახურებას ხელმძღვანელობს ზნეობით და პატიოსნებით განთქმული ერთ-ერთი უხუცესი, რომელსაც თემი ირჩევს ორი, ან სამი წლის ვადით. მეტი ხნით ამ თანამდებობაზე არავინ რჩება, რადგან ის სხვადასხვა სახის ხარჯთან არის დაკავშირებული.<sup>3</sup>

თვით რიტუალი შემდეგი სახით მიმდინარეობს: უხუცესი დაიბანს ხელ-პირს, მოისხამს ნაბადს, იღებს პურს და ღვინით, ან ბუზათი სავსე ქრისტიანული ბარძიმის მსგავს ჯამს

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 129

<sup>2</sup> Л. Люлье. Ворования... у черкесь. გვ. 130

<sup>3</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 234

და ქუდმოხდილი, მუხლმოდრეკით, ჯვრის წინ, რომელზეც ცვილის სანთლებია მიმაგრებული, მჭექარე ხმით წარმოთქვამს ლოცვას, რომლითაც მარიამ-თჰაფმის (ღმრთისმშობელს) თჰაშხოს და წმინდანებს ევედრება წყალობას, მოსავლის სიუხვეს, საქონლის სიმრავლეს და ყოველგვარი უბედურებისგან დაცვას.

ზოგჯერ უხუცესის თანაშემწედ ირჩევენ ერთ, ან ორ პირს, რომელთაც ლოცვისას პური და ღვინით სავსე ჯამი უკავიათ.

ლოცვის დასრულების შემდეგ უხუცესი მოსვამს ჯამიდან და მას იქვე მდგომს აწვდის, რასაც ყოველი მლოცველი იმეორებს, რის შემდეგაც რიტუალის მონაწილენი ქუდმოხდილნი სამჯერ შემოუვლიან ჯვარს, ზოგჯერ ცეკვითაც.

ღმრთისმსახურება, ისევე როგორც ადრეული ქრისტიანობის ხანაში, საერთო ტრაპეზით სრულდება. რიტუალის ყოველ მონაწილეს თან მოაქვს ხორაგი და ჯვართან ალაგებს. აქვე კლავენ ხარებს, ცხვრებს და ლხინს იწყებენ. დღესასწაული ცეკვებით და სამხედრო თამაშობებით სრულდება.<sup>1</sup>

ჯვართან შესრულებული ერთ-ერთი თჰახა კიდევ უფრო ვრცლად აქვს აღწერილი ლაპინსკის 1858 წლის ზაფხულში, ფშადის ხეობაში.

რიტუალი წმინდა მუხნარში სრულდებოდა, სადაც უხეშად გამოთლილი ხის ძველი ჯვარი იყო აღმართული. ახალგაზრდა მამაკაცებს რქებით ეკავათ ოთხი ხარი, რვა ცხვარი და რვა თხა. ჯვართან ახლოს, ქვის ფილაზე დიდი ჯამებით ელაგა პური და ნამცხვრები, ქოთნებით თაფლი, კარაქი, რძე და შუათი. საკურთხევლის პირდაპირ, მსხვერპლად შესანიერი საქონლების შუაში იდგა მაღალი, ქუდმოხდილი ჭარმაგი უხუცესი. გვერდით ორი ყმანვილი ედგა. მარცხნივ მდგომს

---

<sup>1</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X , გვ. 235

ერთმანეთში ჩალაგებული სამი ჯამი ეკავა, ხოლო მარჯვნივ მდგომს – მრგვალ დაფაზე დალაგებული სამი სხვადასხვა ზომის დანა. საკურთხეველისგან ოდნავ მოშორებით ქუდმოხდილი მამაკაცები იდგნენ, მათგან უკან კი — ქალები. ჯვრისგან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით ოცდაათამდე კოცონი ენთო და დიდი ქვაბებით წყალი დულდა.

უხუცესმა ჯვრის წინ ლოცვა დაიწყო. ხელებს ხან მალა აღმართავდა, ხან მკერდზე ჯვრისებურად მიიდებდა. მის მოქმედებას ყოველი მამაკაცი იმეორებდა. ლოცვას, რომლის დროსაც ხშირად ისმოდა თჰას, მარას (მარიამის) და იესჰას (იესოს) სახელები, მამაკაცებთან ერთად ქალებიც წარმოთქვამდნენ.<sup>1</sup>

დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ლოცვა შეწყდა და სიჩუმე ჩამოვარდა. ჯერ უხუცესმა, შემდეგ სხვა მამაკაცებმაც ქუდები დაიხურეს. უხუცესი მარჯვნივ მდგომ ყმანვილს მიუბრუნდა, დაფიდან დანა აიღო და ახლო მდგომს გადაანოდა, მან მომდევნოს და ა.შ. დანა ხელიდან ხელში გადადიოდა, ვიდრე ის ყოველმა მლოცველმა მამაკაცმა არ დაიკავა და უკანვე უხუცესს დაუბრუნდა. შემდეგ უხუცესი მარცხნივ მდგომ ყმანვილს მიუბრუნდა და ჯამი გამოართვა. მისსავე ნიშანზე ექვსმა ძლიერმა ახალგაზრდამ საკურთხეველთან მსხვერპლად შესაწირი პირველი ხარი მოიყვანა, წააქცია და ასე ეკავათ მანამ, სანამ უხუცესმა მორიგი ლოცვა წარმოთქვა. ხარი მსხვერპლად შესწირეს, ხოლო მისი სისხლი ჯამში ჩააქციეს. ასეთივე წესის შესრულებით დანარჩენი სამი ხარიც დაკლეს, რის შემდეგაც დაკლული საქონლები კოცონთან გადაიტანეს.

უხუცესმა ჯვრის წინ კვლავ ლოცვა დაიწყო, რასაც სხვებიც იმეორებდნენ. იმავე წესის შესრულების შემდეგ, მეორე დანით ცხვრები შესწირეს მსხვერპლად, ხოლო მათი

---

<sup>1</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ. 84-85

სისხლით მორიგი ჯამი გაავსეს. დაკლული ცხვრებიც ასევე კოცონთან გადაიტანეს.

უხუცესმა მორიგი ლოცვა დაიწყო, რის შემდეგაც მესამე დანით თხები შესწირეს მსხვერპლად.

მსხვერპლშენირვის რიტუალი მოკლე ლოცვით დასრულდა.

მსხვერპლად შეწირული საქონლების სისხლით გავსებული ხის სამი ჯამი ჯვართან ახლოს, ქვის ფილაზე დადეს. რელიგიური რიტუალის მონაწილენი, მოხუცებიც და ახალგაზრდებიც ჯამების ირგვლივ შეგროვდნენ და სისხლს ან ტანსაცმელს უსვამდნენ, ან თითზე იცხებდნენ, რაც ავადმყოფობისგან და ავი თვალისგან დაცვის საშუალებად მიაჩნდათ.<sup>1</sup>

რელიგიური რიტუალის პირველი ნაწილი დასრულდა. ახალგაზრდობამ კოცონებთან გადაინაცვლა, დაკლული საქონლები გაატყავეს, ხორცი დაჭრეს და ვახშმის მომზადებას შეუდგნენ.

რიტუალის მომდევნო ნაწილში მხოლოდ დაოჯახებულები მონაწილეობდნენ. მამაკაცებიც და ქალებიც რიგ-რიგობით ეახლებოდნენ ჯვართან ახლოს მდგომ უხუცესს და თავიანთ თხოვნას თუ საჩივარს მოახსენებდნენ. უხუცესს ყოველივე ეს თჰასთვის უნდა გადაეცა.

რელიგიური რიტუალის მესამე ნაწილში ასევე დაოჯახებულები მონაწილეობდნენ. უხუცესი საკურთხეველს მიუახლოვდა, ხელში პური აიღო, ხალხს მიუბრუნდა და შთამბეჭდავი ხმით მიმართა: „პური, რომელიც მოართვით დიდ თჰას, მის მაგიდაზე იდო და წმინდად იქცა. მიირთვით პური და ეს თქვენ ბედნიერებას მოგიტანთ“. მან პური წვრილ-წვრილად დატეხა და იქვე მდგომთ დაურიგა. შემდეგ აიღო

---

<sup>1</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ. 86

შუათით სავსე ჯამი და თითოეულს შეასვა. დასასრულს უხუცესმა კიდევ ერთხელ წარმოთქვა ლოცვა, რომელიც სხვებმაც გაიმეორეს. ამით ღმრთისმსახურება დასრულდა და ვახშამი დაიწყო<sup>1</sup>

ვახშამის ნაწილი, თჰას პატივსაცემად ჯვართან ახლოს განყობილი, ხელუხლებელი რჩებოდა. სწამდათ, რომ ღამით თჰა მისი წილის ნასაღებად მსახურებს გამოაგზავნიდა, რაც ქვეყნისთვის სიკეთის მომასწავებელი იყო.<sup>2</sup>

ამრიგად, ტებუ დე მარინის, ლიულეს, სერებრიაკოვის და ლაპინსკის მიერ აღწერილ დღესასწაულზე თჰაშხუოს ადიდებენ როგორც შემოქმედს, ლოცვისას ხშირად ისმის თჰას და მასთან ერთად მარიამის სახელები, ღმერთი წმინდად აქცევს რიტუალზე მოტანილ პურს და სასმელს, დღესასწაული აუცილებლად წმინდა ტყეში აღმართული ჯვრის წინ სრულდება. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს თჰაჰას ქრისტიანულ წარმომავლობაზე.

XIX საუკუნის საისტორიო წყაროებში ხშირად იხსენიება იმ სოფელთა სახელები, სადაც სხვადასხვა წარმართული რიტუალი სრულდებოდა, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც ქრისტიანობის კვალს ატარებდნენ: მაყოფსე, დუაბი, გელენჯიკი, ყვაფი, ფშადი და სხვა. ამათგან ყველაზე უფრო ხშირად ფშადი ფიგურირებს. ასე მაგალითად, ბელს ფშადთან, წმინდა მუხნარში ჯვრის წინ შიბლასხა და ნათლობის მსგავსი დღესასწაულები აქვს აღწერილი, ხოლო ლაპინსკის აქვე – დიდი ღმერთის პატივსაცემად ჩატარებული თჰახა. ლონგვორთს კი თვით ფშადში აქვს ნახული წმინდა ადგილი, სადაც ჯვრის წინ სხვადასხვა რელიგიური რიტუალი სრულდებოდა. როგორც ჩანს, ეს სოფელი და მისი მიმდებარე მხარე

---

<sup>1</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ. 87

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ. 88

რელიგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ ამავე ფშადის ხეობაში დღესაც ცნობილია თჰაჭედ ქილუს მთა, რაც თჰას, ანუ ღმრთის კუთვნილს, ე.ი. წმინდა ადგილს, წმინდა მთას ნიშნავს.<sup>1</sup>

ზღვისპირა შაფსულეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ტუაფსეს და შახეს ხეობებს შორის ამგვარი წმინდა ადგილი ჰაკუცების (ჰაკუჩების) მთებში, მდინარე ფსიშვის ზემო წელზე მდებარეობდა. მას ჰაკუცთჰაში ეწოდებოდა, რაც ჰაკუცების საღმრთო ადგილს, ანუ ჰაკუცების წმინდა ადგილს ნიშნავს.<sup>2</sup>

XIX საუკუნის 60-იანი წლების საისტორიო წყაროების თანახმად, ჰაკუცთჰაში რელიგიური რიტუალი მეხნაკრავის საფლავთან სრულდებოდა. მას ხელმძღვანელობდა მღვდლის მსგავსად შემოსილი ერთ-ერთი უხუცესი, რომელსაც ხელთ ჯვარი ეპყრა. აქ ყოველწლიურად იმართებოდა დიდი დღესასწაულები, რომლებიც შეესაბამებოდნენ ქრისტიანულ შობას, აღდგომას, ამაღლებას და სულთმოფენობას. განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ მარიამობას. გარდა ამისა, აქ რელიგიურ რიტუალს ასრულებდნენ შიმშილობისას, გვალვისას, ან სხვა რაიმე უბედურების დროს. მსხვერპლად შეწირული საქონლის სისხლს მეხნაკრავის საფლავს დაანვეთებდნენ და რიტუალის შესრულების ნიშნად საფლავთან მდგარ ხეზე რკინის, ან ხის ჯვარს მიამაგრებდნენ. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ლოცვებს აღავლენდნენ და მეხნაკრავის საფლავთან სურვილებს ჩაუთქვამდნენ, რაც მათი რწმენით მუდამ წარმატებით სრულდებოდა. მსხვერპლად შეწირული საქონლის ხორცს მლოცველები ინაწილებდნენ, ხოლო დღესასწაული ღვინით მთავრდებოდა.

---

<sup>1</sup> К. Меретуков. Адыгейский топонимический словарь. გვ.191

<sup>2</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 207

ეს წესი საუკუნეთა მანძილზე სრულდებოდა, რის გამოც მეხნაკრავის საფლავთან მდგარ ხეზე უამრავი ჯვარი იყო მიმაგრებული.<sup>1</sup>

წევსკის ცნობით, ჰაკუცებში არსებული მრავალი წესი ამჟამად ქრისტიანობის გადმონაშთი იყო. მაგ., გაზაფხულზე კვერცხის ნითლად შეღებვა, მარიამობის დღესასწაული, პურის და შუათის კურთხევა რელიგიურ რიტუალზე, ღმრთისმსახურების აღსრულება წმინდა ტყეში, მუხის ქვეშ აღმართულ ჯვართან, რომელსაც მღვდლის მსგავსად შემოსილი უხუცესი ხელმძღვანელობდა.<sup>2</sup>

ჯვრის თაყვანისცემა შავიზღვისპირეთში მცხოვრებ შაფსულებში XX საუკუნის 20-30-იან წლებშიც იყო შემორჩენილი. მაგ., ლილოთხელი შაფსულები რიტუალის შესასრულებლად წმინდა მუხის მახლობლად ხის ჯვარს აღმართავდნენ და აქ აღავლენდნენ ლოცვებს დიდი ღმერთის, შიბლესა და მარიამ ღმრთისმშობლის პატივსაცემად.<sup>3</sup>

შაფსულები წესისამებრ სახნავ-სათესად გამზადებულ მიწის ნაკვეთზე ჯვარს დასვამდნენ, რის შემდეგაც ამ სავარგულის ხელყოფას ვერავინ ბედავდა. სხვადასხვა სახის ავადმყოფობისგან თავდაცვის მიზნითაც, ის სოფელში რომ არ გავრცელებულიყო, საზღვარზე ჯვარს აღმართავდნენ.<sup>4</sup>

ავადმყოფობისგან დაცვის მიზნით ჯვრის წინ ლოცვა (არა ეკლესიის შიგნით, არამედ ღია ცის ქვეშ, წმინდა ადგილას) ცნობილი იყო საქართველოშიც. მაგ., XX საუკუნის 20-იან წლებში ქვემო ქართლის სოფელ დიდ გომარეთში (ბოლნისთან) აღმართული ქვაჯვარები ისეთ ძლიერმოქმედ ჯვრებად იყვნენ მიჩნეულნი, რომ მათთან სალოცავად შორეული

---

<sup>1</sup> **А. Ржондковский.** Экспедиция в Хакучи..., - Кавказь, 1867, № 97

<sup>2</sup> **П. Невский.** Закубанский край в 1864 г. -Кавказь, 1868, № 98

<sup>3</sup> **Е. Шиллинг.** Черкесы. გვ. 45

<sup>4</sup> **Л. Лавров.** Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 198



სოფლებიდანაც დადიოდნენ ავი თვალისგან დაცვის და ავადმყოფობისგან განკურნვის მიზნით.<sup>1</sup>

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგია ადრეულ შუა საუკუნეებში ბიზანტიიდან იწყებს გავრცელებას. მის განმტკიცებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კიევის სახელმწიფომ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებულმა გენუურმა კოლონიებმა, მაგრამ კავკასიის ამ კუთხეში ქრისტიანობა უმთავრესად მაინც საქართველოდან ვრცელდებოდა, რაზედაც აშკარად მიუთითებს ის ფაქტი, რომ საუკუნეთა მანძილზე ჩერქეზები და კავკასიის სხვა მთიელები მთავარ ქრისტიანულ სიმბოლოს ქართული სიტყვით – „ჯორ“ აღნიშნავდნენ.

ლიულეს ცნობით, XIX საუკუნის 20-30-იან წლებში „ჩერქეზებში ჯვარი „ჯურ“-ის სახელით იყო ცნობილი, რაც ნათლად მიუთითებდა მის ქართულ წარმომავლობაზე და მასზე, რომ მათში ქრისტიანობა ქართველმა მეფეებმა გაავრცელეს“.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ჯვარი“ (და ქრისტიანობასთან დაკავშირებული სხვა ტერმინები: ბირასკეშუო, თჰაუ-მაფ, ითლეს და ა.შ.) ლიულეს შეტანილი აქვს თავის რუსულ-ჩერქეზულ ლექსიკონშიც,<sup>3</sup> რომელიც შაფსულური დიალექტის საფუძველზე არის შექმნილი.<sup>4</sup>

მთავარ ქრისტიანულ სიმბოლოს ქართული სიტყვით კავკასიის მრავალი ხალხი აღნიშნავდა, მაგრამ ამჯერად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა „ჯურ“ ფორმით ლიულემ სწორედ შაფსულეთში ჩაინერა.

1865 წელს ზღვისპირა შაფსულეთში, კერძოდ ჰაკუცე-

---

<sup>1</sup> ვ. თოფურია. ქვაჯვარანი საქართველოში. გვ. 51

<sup>2</sup> Л. Люлье. Веравания... у черкесь. გვ.122, 128

<sup>3</sup> Л. Люлье. Словарь Русско-Черкесский..., გვ. 93, 28, 44, 174

<sup>4</sup> З. Керашева. Особенности Шапсугского диалекта..., გვ. 14

ბის ხეობებში მყოფი რჟონდკოვსკი ასევე მიუთითებდა, რომ აქ ჯვარს „ჯვარი“ ეწოდებოდა.<sup>1</sup>

1929 წელს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოგზაურობისას ს. ჯანაშიამ კითხვაზე, თუ რა სიტყვით აღნიშნავდნენ ჯვარს, ყუბანისპირა შაფსულისგან პასუხად მიიღო – „ხაშ. სხვა სიტყვა არ გამიგონიაო“. მაშინ მკვლევარმა მას ადიღურ ტომებში გავრცელებული სიტყვა „ჯვარი“ („ჯორ“) გაახსენა. პასუხი ასეთი იყო: „ეს კერპს ნიშნავს, სადაც მიდიოდნენ და ლოცულობდნენ. სადმე დადგმული იყო კერპთაყვანისმცემლობის დროსო“.<sup>2</sup>

მსგავსი პასუხი მიიღო ს. ჯანაშიამ ტუაფსელ შაფსულებშიც. „ჯუარ“ აქ ნიშნავდა ხის ჯვარს, წარმართულ სალოცავს, ხოლო ქრისტიანულ ჯვარს აღნიშნავდნენ სიტყვით „ხრესტ“.<sup>3</sup>

შაფსულებში გავრცელებული ჯვარი ხშირ შემთხვევაში არსებითად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი, ქრისტიანული ჯვრისგან. ის არა ოთხმკლავიანი, არამედ სამმკლავიანი იყო.

ერთ-ერთი ძველი ცნობა ამგვარი ჯვრის შესახებ მოეპოვება ტავერნიეს (XVII ს.) – „ჩერქეზთა ყოველ ოჯახში, წელიწადში ერთხელ, მკლავის სიმსხო ორი ჯოხისგან ჩაქუჩის ფორმის ხუთი ფუტი სიმაღლის ჯვარს აკეთებენ. სახლში, კარის გვერდით დგამენ და მასზე ანთებულ სანთლებს ამაგრებენ...“<sup>4</sup>

ლიულეს მიხედვით, ჯვარი, რომელსაც ჩერქეზები აგრე ეთაყვანებოდნენ, ხისგან იყო გამოთლილი და მას ბერძნული ასო-ნიშნის – τ-ს ფორმა ჰქონდა.<sup>5</sup>

ლავროვის მიერ 1930 წელს შაფსულებში ჩანერილი მასალების მიხედვით, ჯვარი რუსულ ასო-ნიშანს Т-ს ჩამოჰგავდა.<sup>6</sup>

კავკასიელების წინაპრებში უძველესი ხანიდან ცნობი-

<sup>1</sup> А. Ржондковский. Экспедиция в Хакучи...- Кавказь, 1867, № 97

<sup>2</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 70

<sup>3</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 132

<sup>4</sup> Ж.Б. Тавернье. Шест путешествий ..., გვ. 78

<sup>5</sup> Л. Люлье. Веравания... у черкесь. გვ.121-122

<sup>6</sup> Л. Лавров. Доисламские верования Адыгейцев..., გვ. 198

ლი ჯვარი, როგორც ქვეყნიერების ოთხი კუთხის მანათობელი მზე ქალღმერთის სიმბოლო, ოთხმკლავიანი იყო. მას სხვადასხვა საგანზე გამოსახავდნენ, იქნებოდა ეს სამლოცველო, დედაბოძი, ჭიშკარი, ტანსაცმელი, ჭურჭელი და ა.შ.

საქართველოში ერთ-ერთი ასეთი უძველესი გამოსახულება ძველი წელთა აღრიცხვით II ათასწლეულის შუახანებით თარიღდება.<sup>1</sup>

მზის ღვთაებასთან დაკავშირებული ნიშნები: ჯვარი, ჯვარი წრეში და ა.შ. ფართოდ იყო გავრცელებული მთიან დაღესტანშიც და აქაც ეს გამოსახულებები ქვეყნის ოთხივე მხარეს მზის ნათებას გამოხატავს.<sup>2</sup>

ინტერესს იწვევს ლეკეთის სოფელ ქუფასთან ახლოს, ტალკუს მთაზე, „ქართული ციხის“ ნანგრევებთან აღმოჩენილი ქვა, რომელზეც გამოსახულია ჯვრის ფორმის ქალის ფიგურა სოლარული ნიშნის ფონზე, რაც ნაყოფიერების ღმერთის თაყვანისცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული.<sup>3</sup>

საქართველოს, დაღესტნის და კავკასიის სხვა მხარეების მსგავსად ჩერქეზეთშიც, სადაც ასევე იყო განვითარებული მზის, როგორც ნაყოფიერების და სიუხვის მფარველი ღმერთის კულტი, უძველესი, წარმართული ჯვარი, როგორც სოლარული ნიშანი, ასევე ოთხმკლავიანი იყო. კავკასიის ამ ნაწილში რომ მზის კულტი უძველესი ხანიდან არსებობდა, მიუთითებს დოღმენებზე გამოსახული სოლარული ნიშნები, მათ შორის ჯვარი წრეში.<sup>4</sup>

1907 წელს შაფსუღეთის სოფელ ნიგეფსუხოსთან აღმოჩენილ იქნა სამი ტოლმკლავა ჯვარი, რომლებიც დაახლოებით გვიან ანტიკურ ხანას განეკუთვნებიან. ამ ჯვრებიდან ერთი სპილენძის მრგვალ ფირფიტაზე არის გამოსახული,

---

<sup>1</sup> В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования..., გვ. 171

<sup>2</sup> Р. Сефербеков. Пантеон языческих божеств..., გვ. 79

<sup>3</sup> Р. Сефербеков. Пантеон языческих божеств..., გვ. 80

<sup>4</sup> В. Марковин. Дольмены западного Кавказа. გვ. 217

მეორე ჯვარი ვერცხლისაა, ხოლო მესამე – ასევე სპილენძის, მოოქროვილ ოთხკუთხა ფირფიტაშია ჩასმული.<sup>1</sup>

ჩერქეზული ჯვრის ფორმასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია XIX საუკუნის საისტორიო წყაროებში არსებული მასალები. მაგ., ტებუ დე მარინის ცნობით, როდესაც შაფსულემა მისი ერთ-ერთი თანამგზავრის მკერდზე ჯვარი იხილეს, სიხარულით მიუგეს, რომ მათაც აქვთ ამგვარი ჯვრები.<sup>2</sup>

ბელს თავის დღიურში პირდაპირ აქვს მითითებული, რომ მის მიერ ზღვისპირა ჩერქეზეთში ნახული ჯვრები, რომლებსაც შაფსულეები ეთაყვანებოდნენ, ზოგი სამმკლავიანი იყო, ზოგიც – ოთხმკლავიანი, თანაც მოჩუქურთმებულები.<sup>3</sup>

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ხან-გირეის ჩანაწერებში არსებული ცნობა, რომ ჩერქეზები აღზრდილის გარდაცვალებისას მის საფლავზე ზოგ შემთხვევაში შავ, ან წითელ ნაჭერ ჩამოკიდებულ რკინის სამკაპს დასვამდნენ, ხოლო წარსულში სამკაპის ნაცვლად საფლავზე რკინის ჯვარი იყო აღმართული.<sup>4</sup>

ამრიგად, ყველა ის რიტუალი, რომელიც გვიანდელ ჩერქეზეთში სამმკლავიანი ჯვრის წინ სრულდებოდა, ბუნებრივია, წინა საუკუნეებში აუცილებლად ჩვეულებრივი, ოთხმკლავიანი ჯვრის წინ უნდა ჩატარებულიყო.

ჩერქეზეთში ქრისტიანობის დასუსტების შედეგად ჯვარმა ჯერ ქრისტიანული მნიშვნელობა დაკარგა, შემდეგ ფორმაც (როგორც ქრისტიანული, ასევე წარმართული) და სინკრეტული რელიგიის უძლიერეს კერპად გადაიქცა, რომელსაც კვლავ ქართულიდან მომდინარე სიტყვით (ჯუ-არ//ჯორ) აღნიშნავდნენ.<sup>5</sup>

---

<sup>1</sup> **А. Миллер.** Разведки на Чёрноморском побережье Кавказа... გვ. 97

<sup>2</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 303-304

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии... გვ. 469

<sup>4</sup> **Хан-Гирей.** Записки о Черкесии. გვ. 318-319

<sup>5</sup> **კ. ოკუჯავა.** შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. გვ. 84

ჩერქეზეთში ჯორ ენოდებოდა აგრეთვე მთვარის სიმბოლოს, ხარის რქების მსგავს ორკაპს. ძელის ჯორს ლოცვისას წმინდა ხესთან აღმართავდნენ, ხოლო თუ რკინის იყო, მას ხეზე ამაგრებდნენ.<sup>1</sup>

ესე იგი ჩერქეზეთში „ჯორ“-ი ქრისტიანული ჯვრის გარდა ენოდებოდა ასტრალური ღვთაებების, მზის და მთვარის სიმბოლოებს.

ასევე იყო საქართველოშიც. გარდა იმისა, რომ გაქრისტიანების შემდეგ მთავარ ქრისტიანულ სიმბოლოს აღნიშნავდა, „ჯვარი“ მზე ქალ-ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტიც იყო.<sup>2</sup> ჯვარი ენოდებოდა აგრეთვე ხევსურულ დროშას, რომელიც ერთი მხრივ სალოცავში მდგარ წმინდა ხეს განასახიერებდა, მეორე მხრივ – ამ სალოცავის მფლობელ ღვთაებას. თვით ამ დროშის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო ძელის თავზე მიმაგრებული ჯვარი, მზე ქალ-ღმერთის გამოხატულება.<sup>3</sup> გარდა ამისა, საქართველოში ჯვარი ენოდებოდა წმიდა გიორგის უამრავ სალოცავს, სადაც უწინ მთვარე ღმერთის საკულტო ადგილი იყო.<sup>4</sup>

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში, სანამ ეკლესიათა მშენებლობა დაიწყებოდა, სალოცავის ფუნქციას ქვაჯვარა ასრულებდა. ქვაჯვარა, ანუ ქვისგან გამოჭრილი ჯვარი ღია ცის ქვეშ იდგა, კვარცხლბეკზე, ან მაღალ სვეტზე.<sup>5</sup> ქვაჯვარა ენოდებოდა აგრეთვე მაღალ სვეტსაც, ან სვეტის მსგავს დიდ ქვასაც, რომლებსაც ჯვარი კი არ აგვირგვინებდათ, არამედ მათ ერთ-ერთ გვერდზე იყო გამოსახული.<sup>6</sup>

ქვაჯვარათა აღმართვის ქრისტიანული ტრადიცია ძვე-

---

<sup>1</sup> **В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования..., გვ. 201

<sup>2</sup> **В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования..., გვ. 103

<sup>3</sup> **В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования..., გვ. 105

<sup>4</sup> **ივანე ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 48

<sup>5</sup> **ვ. თოფურია.** ქვაჯვარანი საქართველოში. გვ. 37, 62

<sup>6</sup> **ვ. თოფურია.** ქვაჯვარანი საქართველოში. გვ. 42, 51

ლი წარმართული სალოცავების ადგილებზე წმიდა ნინოს მიერ აღმართული პირველი ხის ჯვრებიდან მომდინარეობს. დროთა განმავლობაში ხის ჯვრებს ქვის ჯვრები შეენაცვლა.<sup>1</sup>

საქართველოში ღია ცის ქვეშ აღმართული ქვაჯვარების წინ რელიგიური რიტუალი ეკლესიების აგების შემდეგაც სრულდებოდა. სწორედ მათი დიდი მნიშვნელობის გამო ზოგი ქრისტიანული სალოცავი ზედ ქვის ჯვარზეა დაშენებული, ქვაჯვარა შიგ ეკლესიაშია მოთავსებული,<sup>2</sup> ხოლო არც თუ იშვიათად ქვაჯვარა, ან მისი ნაწილი ეკლესიის კედლებშია ჩატანიებული, საჩინო ადგილას.<sup>3</sup>

ქვაჯვარები ცნობილი იყო ჩერქეზეთშიც. მათ შესახებ XIX საუკუნის შუახანებში, კერძოდ 1852 წელს ცნობა მოეპოვება სერებრიაკოვს, რომლის მიხედვით „ზღვისპირა ჩერქეზეთის წმინდა ტყეებში მრავალი ჯვარი იყო აღმართული. ჯვარი ძირითადად ხის, იშვიათად კი ქვის იყო.“<sup>4</sup>

კავკასიის ომის დასრულებისთანავე, 1865 წელს ამ მხარეში იმოგზაურა ფ. ბაიერნმა, რომელმაც ქვის ჯვარი აღმოაჩინა ფშადის ხეობაში, ხოლო შებშის ხეობაში – აღმართული დიდი ქვა ჯვრის გამოსახულებით და ბიზანტიური წარწერით. გარდა ამისა, წემეზთან ახლოს მან კიდევ ერთი აღმართული ძველი ჯვარი ნახა, თუმცა არ უთითებს, თუ რისგან იყო ის ნაკეთი.<sup>5</sup>

1892 წელს ვ. სისოვემა ყუბანისპირეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიზნით ჩატარებული მოგზაურობისას ქვაჯვარები აღმოაჩინა მდინარე ადეგოის ხეობაში, სოფლებს, შაფსუგსკაიას და კაბარდინკას შორის. ამათგან ერთი ჩვეულებრივი ქვაჯვარა იყო, სიმალლით მინიდან არშინზე

<sup>1</sup> კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული..., გვ. 5

<sup>2</sup> ვ. თოფურია. ქვაჯვარანი საქართველოში. გვ. 31

<sup>3</sup> კ. მაჩაბელი. ადრეული შუა საუკუნეების ქართული..., გვ. 24

<sup>4</sup> Л. Серебряковъ. Записка..., Акты..., т. X, გვ. 234

<sup>5</sup> Ф. Байернъ. О древних сооружениях на Кавказе. გვ. 303

მეტი, ხოლო მეორე – ამავე სიმაღლის ქვა, ზედ ამოჭრილი ოთხმკლავიანი ჯვრით.<sup>1</sup> გარდა ამისა, მდინარე ადაგუმის ნაპირას მდებარე ამავე სოფელ შაფსუგსკაიასთან ახლოს, მის მიერვე აღმოჩენილ იქნა ორი ქვა, დაახლოებით ორი არშინის სიმაღლის, ტოლმკლავა ჯვრების გამოსახულებით.<sup>2</sup>

1886 წელს, ამავე მხარეში მოგზაურობისას კიდევ ერთი ქვის ჯვარი აღწერა და ჩაიხატა ვ. სიზოვმა. ის იდგა მდინარე სუკოს ნაპირას, ზღვის სანაპიროდან ორი ვერსის დაშორებით. იქვე, ამავე მდინარის გაღმა მხარეს აღმართული იყო მეორე, მსგავსი ქვის ჯვარი და რაც ყველაზე მთავარია, მათ შაფსუღები გვიანობამდის ეთაყვანებოდნენ.<sup>3</sup>

XIX საუკუნის ავტორთა თანახმად, უხუცესი, ანუ თჰამადა, რომელიც ჯვართან რელიგიურ რიტუალს ხელმძღვანელობს, ქურუმის მსგავსია (მაგ., ლიულეს ცნობით) ან კიდევ მღვდლის მსგავსად არის შემოსილი (მაგ., ნევსკის ცნობით). ის არ არის ჩვეულებრივი სასულიერო პირი. თუმცა, წარსულში რომ შაფსუღებს მღვდელი ჰყავდათ, კარგად ჩანს XX საუკუნის 20-იან წლებშიც მათში შემორჩენილი სიტყვიდან – შოუგენ, რომელიც ერთბაშად აღნიშნავდა როგორც ერთ-ერთი გვარის სახელს, ასევე წიგნიერსაც და რაც მთავარია ქრისტიან მღვდელსაც.<sup>4</sup>

XVII საუკუნის I ნახევარში ჩერქეზებს, მაშინ როდესაც ეკლესიები უკვე აღარ გააჩნდათ, სასულიერო პირები ჯერ კიდევ ყავდათ. შოუგენებმა მცირედი ბერძნული კითხვაც იცოდნენ, თუმცა მათი ფუნქცია ძირითადად მსხვერ-

---

<sup>1</sup> В. Сысоев. Археологическая экскурсия по Закубанью..., გვ. 91

<sup>2</sup> В. Сысоев. Археологическая экскурсия по Закубанью..., გვ. 97

<sup>3</sup> В. Сизов. Восточное побережье Чёрного моря. გვ. 172

<sup>4</sup> ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 64

პლის შეწირვისას ლოცვა-კურთხევით და მიცვალებულთა ზიარებით იყო შემოფარგლული.<sup>1</sup>

\* \* \* \* \*

ამრიგად, შაფსულების სარწმუნოებაში ქრისტიანობიდან მომდინარე რელიგიურ რიტუალებს და წარმოდგენებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ისინი თავისებურად აღნიშნავდნენ არსებითად ყველა დიდ ქრისტიანულ დღესასწაულს: ქრისტეშობას, ახალ წელს, ნათლისღებას, აღდგომას, კვირაცხოვლობას, ამალღებას, სულთმოფენობას, გიორგობას და მითუფრო მარიამობას.

შაფსულებმა იცოდნენ, რომ ეს დღესასწაულები მათში ქრისტიანობის დროიდან მომდინარეობდნენ, რომ მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ.

განსაკუთრებით იყო შემორჩენილი ჯვრის თაყვანისცემა. ყოველი დიდი რელიგიური რიტუალი, იქნებოდა ეს წმინდა წარმართული, თუ ყოფილი ქრისტიანული, ეკლესიის ნანგრევებთან, ან წმინდა ტყეში, სწორედ ჯვრის წინ სრულდებოდა, რომელსაც მღვდლის მსგავსად შემოსილი ერთ-ერთი უხუცესი ხელმძღვანელობდა.

შაფსულები მთავარ ქრისტიანულ სიმბოლოს ქართული სიტყვით – „ჯორ“//„ჯუარ“-ით აღნიშნავდნენ, რაც მასზე მიუთითებს, რომ ჩერქეზეთში ქრისტიანობა ძირითადად საქართველოდან ვრცელდებოდა.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობის დასუსტების შედეგად ჯვარმა ჯერ ძველი, ქრისტიანული მნიშვნელობა დაკარგა, შემდეგ ფორმაც და უძლიერეს წარმართულ კერპად გადაიქცა.

---

<sup>1</sup> Эмиддио Дортелли Д' Асколи. Описание Чёрного моря и Татарии. გვ. 67



## თავი IV . შაფსულური სამართალი

**შაფსულური სასამართლო.** ჩერქეზეთში ისლამის გავრცელების შედეგად თანდათანობით ფეხს იკიდებდა მაჰმადიანთა სასულიერო სამართალი – შარიათი, მაგრამ შაფსულეთის მთიან და ზღვისპირა ნაწილში, სადაც წარმართული სარწმუნოება დომინირებდა, კვლავ ძველი, ჩვეულებითი სამართალი მოქმედებდა.

1822 წელს შაფსულეთში სახალხო კრება ჩატარდა, რომლის გადაწყვეტილებით შემოღებულ იქნა შარიათი, თუმცა ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მოსახლეობის მაჰმადიანურმა ნაწილმა მიიღო. წარმართი შაფსულეები სადავო საკითხს კვლავ ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე განიხილავდნენ.<sup>1</sup>

XIX საუკუნის 40-იანი წლების დასასრულიდან, დასავლეთ კავკასიაში შამილის ნაიბის, მუჰამედ ემინის მოღვაწეობის შედეგად ისლამი კიდევ უფრო განმტკიცდა, თუმცა დანარჩენი ჩერქეზებისგან განსხვავებით ზღვისპირა და მთიელი შაფსულეები კვლავ ძველი რელიგიის ერთგულნი დარჩნენ. შესაბამისად, იმავე საუკუნის 60-იან წლებამდის, უფრო ზუსტად მუჰაჯირობამდის, შაფსულეების ძირითადი ნაწილი სამართალს კვლავ ადათების საფუძველზე აწარმოებდა.<sup>2</sup>

შაფსულეთში უმაღლესი სასამართლო ორგანო სრულიად შაფსულეთის მმართველი სახალხო კრება იყო. იგივე კრება აწარმოებდა სისხლის სამართლის ყოველგვარ საქმეს და ადგენდა სასჯელებს.<sup>3</sup>

ბუნებრივია, სასამართლო საკითხს განიხილავდა არა მთელი სახალხო კრება, არამედ მის მიერ არჩეული საბჭო,

<sup>1</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абдзехахъ. გვ. 235

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ..., გვ. 94

<sup>3</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 585

რომელიც უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა. თუმცა სახალხო კრებასთან შეთანხმების გარეშე ამ საბჭოს გადანიშნულებას ძალა არ გააჩნდა.

ეს საბჭო ლაპინსკის ცნობით თვრამეტი წევრისგან შედგებოდა, (თექვსმეტი უხუცესი რვა თემიდან და ორი ყადი) და ავტორი მას დიდი საბჭოს სახელით მოიხსენიებს,<sup>1</sup> ხოლო ბელის „დღიურში“, რვა თემის თექვსმეტი უხუცესისგან შემდგარ ამ დიდ საბჭოს სასამართლო კონგრესი ეწოდება.<sup>2</sup>

შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი სადავო საკითხის განსახილველად დიდ საბჭოში რვა შაფსულური თემიდან ორ-ორის ნაცვლად თითო-თითო უხუცესი იგზავნებოდა.<sup>3</sup>

მომდევნო სასამართლო ინსტანცია შაფსულეთში თემის საბჭო იყო. თემი რამდენიმე გვარისგან შედგებოდა და ყოველ მათგანს საბჭოში თითო-თითო უხუცესი წარმოადგენდა.<sup>4</sup>

უხუცესები, რომლებიც სამართალს აწარმოებდნენ, ცნობილნი იყვნენ თავიანთი სიბრძნით, პატიოსნებითა და უანგარობით.<sup>5</sup>

ნოვიცკის ცნობით, შაფსულეთი და მისი მეზობელი აბაზეხეთი მხარეებად იყოფოდნენ და ყოველ მათგანში მოქმედებდა უხუცესებისგან შემდგარი სასამართლო, ანუ, როგორც თავად უწოდებს „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“. ნაფიც მსაჯულებად გამოცდილ, ჭკვიან და პატიოსან უხუცესებს ირჩევდნენ, იქნებოდა ის თავადი, აზნაური, თუ მდაბიო. ღირსეულნი ამ წოდებას მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებდნენ. რომელიმე მათგანის გარდაცვალების შემთხვევაში მის ნაცვლად სხვას, ასევე ღირსეულ უხუცესს

---

<sup>1</sup> **Записка Лапинского. Акты...**, Т. XII, ч. I. გვ. 847

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 519

<sup>3</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа ..., გვ. 94

<sup>4</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа ..., გვ. 79

<sup>5</sup> **Л. Люлье.** О Натухажцах, Шапсугахъ и Абдзехахъ. გვ. 236

აირჩევდნენ. ნაფიცი მსაჯულნი ვალდებულნი იყვნენ, საკითხი განეხილათ ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. მათზე იყო დამოკიდებული ხალხის ავ-კარგი, საშინაო თუ საგარეო უსაფრთხოება, სამართალი და ა.შ. ყოველ თემსა თუ სოფელში წვრილმანი საქმეების განსახილველად ერთი ნაფიცი მსაჯული იმყოფებოდა.<sup>1</sup>

ნაფიც მსაჯულებს თავის პრეტენზიებს თავდაპირველად მოსარჩელე განუცხადებდა, შემდეგ მოპასუხე იწყებდა თავის მართლებას. მათი მოსმენის შემდეგ მსაჯულები დაითხოვდნენ ორივე მხარეს და საქმის განხილვას იწყებდნენ. საკითხი მოსამართლეთა ხმების უმრავლესობით ნყდებოდა. გადანყვეტილების მიღების შემდეგ კვლავ იბარებდნენ მხარეებს და აფიცებდნენ, რომ განაჩენს აღასრულებდნენ. ყოველივე ამის შემდეგ ერთ-ერთი მსაჯული სასამართლოს გადანყვეტილებას გამოაცხადებდა.

თუ საქმე რთული იყო, მაგალითად, მესისხლეობისას და მოდავე მხარეებს არ შეეძლოთ ერთად წარმდგარიყვნენ სასამართლოს წინაშე, მსაჯულებთან მხოლოდ მოსარჩელე გამოცხადდებოდა, ხოლო მოპასუხის მხრიდან – მისი უფლებამოსილი პირი.<sup>2</sup>

შედარებით მარტივი საქმეების განხილვისას, როდესაც არ იყო აუცილებელი მსაჯულების მიერ მხარეთა დაფიცება განაჩენის აღსრულების თაობაზე, მათგან უბრალოდ პატიოსან სიტყვას ითხოვდნენ, ან კიდევ, ითხოვდნენ ისეთი პირების მოყვანას, რომლებიც თავის თავზე იღებდნენ ვალდებულებას, რომ მხარე განაჩენს აღასრულებდა. ეს უკანასკნელი წესი რთული საქმეების განხილვის დროსაც გამოიყენებოდა.<sup>3</sup>

სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას ეჭვმიტანილს უნდა აერჩია პატიოსნებით ცნობილი ორი პირი, რომლებიც

---

<sup>1</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение ..., №24

<sup>2</sup> Хань-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 139

<sup>3</sup> Хань-Гирей. Записки о Черкесии. გვ. 140

მის ფიცს უდანაშაულობის შესახებ ფიცითვე დაადასტურებდნენ, მხოლოდ ისინი მოსარჩელესთან ცუდ ურთიერთობაში არ უნდა ყოფილიყვნენ.

როდესაც ეჭვმიტანილი დაიფიცებდა თავისი უდანაშაულობის შესახებ და მის ფიცს მის მიერვე მოყვანილი ორი მოფიცარი ფიცითვე დაადასტურებდა, ჩვეულებითი სამართლის ძალით ეჭვმიტანილი მართლდებოდა და მის მიმართ ბრალმდებელს მეტი პრეტენზია აღარ უნდა ჰქონოდა.<sup>1</sup>

თუ ბრალდებული ვერ იშოვიდა მოფიცარ მონმეებს, მაშინ ადათი მოსარჩელეს უფლებას აძლევდა თავისი ეჭვი დაფიცების ამგვარივე წესით დაემტკიცებინა.

იმ შემთხვევაში, თუ ვერც მოსარჩელე და ვერც მოპასუხე ვერ იშოვიდნენ წესით საჭირო მოფიცარს, ადათის ძალით, ეჭვმიტანილს მოსარჩელესთვის უნდა გადაეხადა იმ საქონლის, ნივთის, იარაღის და ა.შ. ღირებულების ნახევარი, რის მოპარვასაც მას აბრალებდნენ.

თუ სასამართლოში ეჭვმიტანილი დაიფიცებდა თავისი უდანაშაულობის შესახებ, მაგრამ მოსარჩელე მისგან მაინც ითხოვდა საზღაურს, ეჭვმიტანილის გამართლების შემთხვევაში ამ უკანასკნელს უფლება ჰქონდა, მოსარჩელესგან მოეთხოვა საზღაური ცრუ ბრალდებითა და ფიცის უნდობლობით სახალხოდ შეურაცხყოფისათვის.<sup>2</sup>

შაფსულეთში სასამართლოს სახალხო კრების გარდა შუამავლებიც აწარმოებდნენ.

XIX საუკუნის საისტორიო წყაროებში მრავალი ცნობაა დაცული როგორც ზოგადად ჩერქეზულ, ასევე უშუალოდ შაფსულურ მედიატორთა სასამართლოს შესახებ.

სტალის „ეთნოგრაფიული ნარკვევის“ მიხედვით, მნიშვნელოვანი სადავო საკითხების განხილვისას ჩერქეზები ორივე მხრიდან ირჩევდნენ გვარში უფლებამოსილ ადვოკა-

---

<sup>1</sup> **Хань-Гирей.** Записки о Черкесии. გვ. 141

<sup>2</sup> **Хань-Гирей.** Записки о Черкесии. გვ. 142

ტებს და შუამავლებს. მხარეთა მოსმენის შემდეგ, საქმე გრძელდებოდა მანამ, სანამ შუამავლები არ გამოიტანდნენ განაჩენს, რომლის პირობებზე მოდავენი თანახმანი იყვნენ. გარდა ამისა, შუამავლები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სასამართლოზე მორიგი შეტაკება არ მომხდარიყო. როდესაც მხარეები შუამავალთა გადანყვეტილებაზე დათანხმდებოდნენ, ინიშნებოდა საზღაურის გადახდის დღე. როგორც ადვოკატებს, ისე შუამავლებს მოდავე მხარეები ფულს უხდიდნენ.<sup>1</sup>

ლიულეს ცნობით, შაფსუღეთში შუამავალთა რაოდენობა დამოკიდებული იყო საქმის ვითარებაზე. მათ ასარჩევად მოდავე მხარეთა თანხმობა იყო საჭირო. სასამართლოს დაწყებისთანავე მოსამართლეები ორ ჯგუფად იყოფოდნენ და ერთმანეთს საკმაო მანძილით შორდებოდნენ, რათა ურთიერთისგან არ შეეტყოთ, თუ როგორ განიხილებოდა საკითხი. მსაჯულთაგან ორი, ე. ი. თითო-თითო ორივე მხრიდან, ადვოკატ-ხელმძღვანელის მაგვარ როლს ასრულებდა.<sup>2</sup>

ადვოკატ-ხელმძღვანელები ბრალმდებლისგან მოისმენდნენ საჩივარს, რასაც ბრალდებულს გააცნობდნენ და ამგვარად გადადიოდნენ ერთი ჯგუფიდან მეორეში, სანამ მსაჯულები დანვრილებით არ გაერკვეოდნენ საქმის ვითარებაში. შემდეგ ორივე მხარის მოსამართლეები ერთად იკრიბებოდნენ, რომ მოწმეთა ჩვენებები მოესმინათ დაფიცების შემდეგ, ან ფიცის გარეშე. დაფიცება ან არდაფიცება სადავო საქმის სირთულეზე იყო დამოკიდებული. მოწმეები აუცილებლად პატიოსნებითა და სამართლიანობით უნდა ყოფილიყვნენ განთქმულნი.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ მსაჯულები განმარტოვდებოდნენ და განაჩენს განსაზღვრავდნენ.

განაჩენის გამოტანამდე სასამართლო მხარეებს აფიცებდა. კერძოდ, ბრალმდებელი იფიცებდა, რომ დამნაშავე-

---

<sup>1</sup> **К. Сталь.** Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 158

<sup>2</sup> **Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 3

სადმი ყოველგვარ მტრობას დაივინყებდა, ხოლო დამნაშავე იფიცებდა, რომ უსიტყვოდ დაემორჩილებოდა გამოტანილი განაჩენის მოთხოვნებს.

სასამართლოს გადანყვეტილების უკეთ აღსრულების მიზნით, ორივე მხრიდან ირჩევდნენ პირებს, რომლებიც თავდებნი იყვნენ ბრალდებულისა და ბრალმდებლის მოქმედებისთვის. ძალიან იშვიათად ხდებოდა, რომ განაჩენის გამოტანის შემდეგ რომელიმე მხარეს უკმაყოფილება გამოეთქვა.<sup>1</sup>

ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბრალდებული ყალბ ჩვენებას, მოხერხებულ პასუხს იძლეოდა და თამამად ცრუობდა, რაც მსაჯულებს მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. განსაკუთრებით რთული იყო მოსამართლეთა მდგომარეობა, როდესაც საქმე მიდიოდა ფაქტიურ დადასტურებამდე. აშკარა სამხილის უქონლობის შემთხვევაში ბრალდებულს დასაფიცებლად იხმობდნენ. თავისი უდანაშაულობის შესახებ დაფიცების შემდეგ ბრალდებული ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა.<sup>2</sup>

ეს ხერხი მათთვის, ვისაც არ ეშინოდა ცრუ დაფიცების, შეიძლებოდა ყოფილიყო დაუსჯელობის საშუალება, ამიტომ სასამართლო ითხოვდა, მას, ვინც თავის გასამართლებლად დასაფიცებლად გამოცხადდებოდა, თან უნდა ჰყოლოდა კეთილსინდისიერი მონმეები. ისინი, თავის მხრივ, რომ უფრო მეტი ნონა ჰქონოდა ბრალდებულის ფიცს, თვითონაც იფიცებდნენ, რომ სჯეროდათ ბრალდებულის სიტყვის. მონმეობის ასეთ საშუალებას ეწოდებოდა თავდებობა ფიცის სინმინდისთვის. ამგვარ შემთხვევებში მონმეთა რაოდენობა სარჩელის მნიშვნელობაზე და დანაშაულის ზომაზე იყო დამოკიდებული.

მოპასუხის უდანაშაულობის დასამტკიცებლად აუცილებელი იყო დაფიცება ორი მონმით მაინც. დაფიცებაზე არ დაიშვებოდნენ ბრალდებულისა და ბრალმდებლის ნათესავე-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 4

<sup>2</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 5

ბი, აგრეთვე ისინიც, ვინც მოდავე მხარესთან ერთად ცხოვრობდა, ან მასთან საერთო ქონება ჰქონდა.<sup>1</sup>

ლონგვორთის თანახმად, ყოველი სახის დანაშაულისთვის, იქნებოდა ეს მკვლელობა, ყაჩაღობა, ქურდობა და ა.შ. შესაბამისი სასჯელი არსებობდა. დანაშაულს განიხილავდა სასამართლო, რომელიც 12 კაცისგან შედგებოდა, ე. ი. თითო მოდავე მხარეს ექვს-ექვსი მსაჯული უნდა წარმოედგინა. ამ სასამართლოს განაჩენი ერთხმად უნდა გამოეცანა.<sup>2</sup>

ლონგვორთის ცნობას კიდევ უფრო აზუსტებს ბელი. კერძოდ, სასამართლოზე მსაჯულთა რაოდენობა დამოკიდებული იყო საქმის სირთულეზე, მაგრამ უნდა ყოფილიყო არა უმცირეს ექვსი წარმომადგენელი ორი დაინტერესებული მხარედან, ე. ი. სულ 12 მოსამართლე.

სასამართლო იწვევდა მოწმეებს. მათ თავდაპირველად ჰკითხავდნენ, თუ რომელ რელიგიას აღიარებდნენ. მაჰმადიანს ყურანზე აფიცებდნენ, რომ სიმართლე ეთქვა. ფიცის მიუხედავად, პასუხი იმდენად იყო სანდო, რამდენადაც პატიოსანი იყო თავად მოწმე. ცუდი სახელის მქონე პირის ჩვენებებს ხშირად უსაფუძვლოდ მიიჩნევდნენ და უარყოფდნენ.

სასამართლო პროცესი რამდენიმე დღეს, ან რამდენიმე კვირას გრძელდებოდა. ამ ხნის განმავლობაში მოდავე მხარეები ვალდებულნი იყვნენ მსაჯულები და მოწმეები თავიანთ კმაყოფაზე ჰყოლოდათ.

სასამართლოს მსვლელობისას მსაჯულთა დამხმარედ ინიშნებოდა რამდენიმე პირი, რომელთაც ევალებოდათ მსაჯულთა მითითებისთანავე ძალით მიეყვანათ ყოველი, ვინც დამნაშავედ გამოცხადდებოდა და ვინაც სხვადასხვა მიზეზით თავი აარიდა სასამართლოს.<sup>3</sup>

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 6

<sup>2</sup> Дж. Лонгворт. Год среди Черкесов. გვ. 561

<sup>3</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 518

კარლგოფის ცნობითაც, შავიზღვისპირა ჩერქეზებში ძირითადად შუამავალთა სასამართლო მოქმედებდა. შარიათს მხოლოდ მაშინ იყენებდნენ, თუ საქმე უმნიშვნელო იყო. უხუცესები, რომლებიც ხალხში დიდი პატივით სარგებლობდნენ, ერეოდნენ დავაში და ორივე მხარეს ითანხმებდნენ, რომ საქმე შუამავალთა მეშვეობით გადაეწყვიტათ. ორივე მხარე თავის შუამავალს ირჩევდა, მაგრამ მათ დასამტკიცებლად საჭირო იყო მოწინააღმდეგის თანხმობა, რის შემდეგაც მოდავეები მოწმეებითურთ დანიშნულ ადგილას იკრიბებოდნენ.

სასამართლო ღია ცის ქვეშ, სახალხოდ მიმდინარეობდა. რაც უფრო მნიშვნელოვანი იყო საქმე, მით უფრო მეტი ხალხი იყრიდა თავს. შესაძლო უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, მოდავე მხარეები ერთმანეთისგან მოშორებით სხდებოდნენ. მსაჯულები შუაში ისხდნენ და რიგ-რიგობით ისმენდნენ ყოველი მხარის წარმომადგენლისა და მოწმის ჩვენებას. დასასრულს, ერთმანეთში ბჭობის შემდეგ, მსაჯულები მიღებულ გადანყვეტილებას აცხადებდნენ.<sup>1</sup>

თუ მოდავენი სხვადასხვა კუთხის, მაგალითად შაფსულეთის და აბაზეხეთის წარმომადგენლები იყვნენ, ორივე მხარის მოსამართლენი საზღვართან იკრიბებოდნენ და საქმეს განიხილავდნენ ჯერ ცალ-ცალკე, ხოლო შემდეგ ერთობლივად. იშვიათად, რომ ამგვარ სასამართლოს შეთანხმებამდის არ მიეღწია. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისღვრა იყო მოსალოდნელი, რაც არც ერთი მხარის ინტერესებში არ შედიოდა.<sup>2</sup>

აღსანიშნავია, რომ შაფსულურ სამართალში მრავალი ისეთი წესი შეიძლება დაფიქსირდეს, რომელიც ცნობილი იყო საქართველოს მთიანეთშიც. მაგალითად, შაფსულეთში, როგორც ამას ლიულე და კარლგოფი გადმოგვცემენ, არჩეულ შუამავალთა დასამტკიცებლად საჭირო იყო მოწინააღმდეგე მხარის თანხმობა. გარდა ამისა, სანამ მხარეები საქმის მედია-

<sup>1</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень... გვ. 528

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ..., გვ. 95



ტორთა მიერ გარჩევაზე დათანხმდებოდნენ, გარკვეულ მუშაობას ეწეოდნენ უხუცესები, რომლებიც ხალხში დიდი პატივით სარგებლობდნენ. სწორედ უხუცესები ითანხმებდნენ მხარეებს, რომ საქმე მედიატორებს გადაეცემა.<sup>1</sup>

ზემო სვანეთშიც, სანამ მედიატორთა სასამართლო მუშაობას დაიწყებდა, მოციქულები ყოველნაირად ცდილობდნენ, მხარეები შერიგებაზე დაეყოლიებინათ და საქმე მედიატორთა სასამართლოს გადაეცემა. მოციქულები საზოგადოების გავლენიანი პირები უნდა ყოფილიყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ მოციქულთა მცდელობას შედეგი არ მოყვებოდა, საქმეში ერეოდა მახვი, რომელიც მოინვევდა თემის ყრილობას (უზენაეს იურიდიულ ინსტანციას). თემის ყრილობა წინადადებას აძლევდა მოდავე მხარეებს საქმე მედიატორთა მეშვეობით განეხილათ, თუ არადა, მათ საზოგადოებიდან გარიყვით ემოქრებოდნენ.<sup>2</sup> გარიგებაზე დათანხმების შემდეგ მხარეებს თავიანთი რჩეული მოსამართლეები უნდა დაესახელებინათ. ორივე მხარე დარწმუნებული უნდა ყოფილიყო ერთმანეთის მიერ არჩეული მედიატორების მიუკერძოებლობაში. თუ მოპირდაპირე მხარის არჩეულ მედიატორთაგან რომელიმე ამა თუ იმ მხარის მტერი აღმოჩნდებოდა, მას აცილებას მისცემდნენ. ამ შემთხვევაში აცილებულის ნაცვლად სხვას ასახელებდნენ მედიატორად და მოციქულები მის კანდიდატურასაც შეუთანხმებდნენ მეორე მხარეს.<sup>3</sup>

ლიულეს მიხედვით, შუამავალთა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს „საბოლოო გადაწყვეტილების ძალა ჰქონდა და აპელაციას არ ექვემდებარებოდა“.<sup>4</sup>

კარლგოფის თანახმადაც, მედიატორთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების უსიტყვოდ აღსრულება მოდავე მხა-

---

<sup>1</sup> კ. ოკუჯავა. შავსულური ჩვეულებითი სამართალი. გვ., 36

<sup>2</sup> გ. დავითაშვილი. სამედიატორო სასამართლო სვანეთში. გვ. 18

<sup>3</sup> გ. დავითაშვილი. სამედიატორო სასამართლო სვანეთში. გვ. 24

<sup>4</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шاپсугов и..., გვ. 4

რეთათვის სავალდებულო იყო.<sup>1</sup>

საპირისპიროს აღნიშნავს ბელი, რომლის ცნობითაც, სადავო საკითხს დაზარალებულის და დამნაშავის თემებისგან არჩეული მოსამართლენი, უხუცესები განიხილავდნენ, მაგრამ თუ შეიკრიბებოდა შაფსულეთის დიდი საბჭო (ავტორის სიტყვებით სასამართლო კონგრესი) დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა საქმე განსახილველად მისთვის გადაეცა.<sup>2</sup>

ლაპინსკის მკაფიოდ აქვს მითითებული რომ, თუ თემის სასამართლო სადავო საკითხს ვერ გადაწყვეტდა, ან რომელიმე მხარე განაჩენის თაობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამდა, პროცესი გადაიდებოდა სრულიად შაფსულეთის უახლოეს სახალხო კრებამდე, სადაც საკითხს რვავე თემის ყველაზე უფრო გამოცდილი და პატივსაცემი უხუცესები განიხილავდნენ.<sup>3</sup>

ასევე სარწმუნოა კოხის ცნობა, რომელიც ზოგადად ჩერქეზულ ჩვეულებით სამართალს ეხება: „აპელაციის განხილვა შეეძლო იმ კრებას, რომელიც შედგებოდა კუთხის ყოველი თემის წარმომადგენლებისგან, თანაც მასში ყოველი თემის უხუცესს უნდა მიეღო მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრება განიხილებოდა როგორც არაუფლებამოსილი ამ საკითხის გადასაწყვეტად“.<sup>4</sup>

შაფსულეთში სამართლის ძირითად წყაროს ადათი და მასლაგათი წარმოადგენდა. ადათი ეწოდებოდა სახალხო დადგენილებების კრებულს, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. შუამავალთა სასამართლოს, თუ მორიგი შემთხვევისას ადათში ვერ ჰპოვებდა შესაბამის დადგენილებას, უნდა მიეღო მანამდე არარსებული გადაწყვეტილება, რომელიც ადათის საერთო სულს ეგუებოდა. ასეთ შემთხვევებში მოიხმობდნენ ჩვეულებების კარგად მცოდნე

<sup>1</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень... გვ. 528

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 519

<sup>3</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ..., გვ. 94

<sup>4</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 586-587.

პირთ და უხუცესებს, რომლებსაც შესაძლოა ახსოვდათ მსგავსი დადგენილება. მედიატორების, უხუცესებისა და ჩვეულებების კარგად მცოდნე პირთა მიერ ერთობლივად მიღებულ გადაწყვეტილებას ჩერქეზულად ეწოდებოდა მასლაგათი. შემდეგში, მსგავს შემთხვევებში განმეორებული მასლაგათი უერთდებოდა სახალხო ჩვეულებების საერთო კრებულს და საბოლოოდ ადათად გადაიქცეოდა.<sup>1</sup>

ამრიგად, შაფსულეთში სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილნი იყვნენ მოდავე მხარეთა მიერ არჩეული შუამავლები და თემის სახალხო კრების მიერ არჩეული მოსამართლეები, ძირითადად თჰამადები, რომლებიც პასუხისმგებლნი იყვნენ სახალხო კრების წინაშე. სახალხო კრების სასამართლოს შეეძლო განეხილა შაფსულურ თემთან დაკავშირებული ყოველი საკითხი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც შუამავალთა სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდნენ. უმაღლეს სასამართლო ინსტანციას სრულიად შაფსულეთის სახალხო კრების სასამართლო წარმოადგენდა, რომლის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულო იყო. სადავო საკითხები ძირითადად განიხილებოდა შუამავალთა სასამართლოს მიერ, რომელიც სამართალს ჩვეულებისამებრ ადათის და მასლაგათის საფუძველზე აწარმოებდა. წვრილმან საქმეებს, რა დროსაც არ იყო საჭირო შუამავალთა, ან მით უფრო სახალხო კრების სასამართლოს მოწვევა, ნაფიცი მსაჯული, ან თემის უხუცესი ანუ თჰამადა განიხილავდა.

**სასჯელები.** შაფსულური ჩვეულებითი სამართალი ციხეებს და გვემით სასჯელებს არ იცნობდა. ისევე როგორც კავკასიის სხვა მთიელებში, სასჯელთა ფორმები ძირითადად ქონებრივი საზღაურებით შემოიფარგლებოდა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень..., გვ. 529

<sup>2</sup> Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. გვ. 236

ამგვარი ვითარება იყო საქართველოს მთიანეთშიც. მაგ., ზემო სვანეთში სასჯელთა სახეები უკიდურესად მწირი იყო და ის მხოლოდ ნატურალური გადასახადებით შემოიფარგლებოდა, თუმცა თემის ღალატისთვის, ან ეკლესიის შეურაცხყოფისთვის გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა.<sup>1</sup>

სიკვდილით დასჯა შაფსულურ ჩვეულებით სამართალშიც იყო ცნობილი. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რისთვისაც სასამართლოს შეეძლო სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, იყო მტერთან ღია, ან ფარული კავშირი.<sup>2</sup>

სხვა მიზეზი, რისთვისაც სასამართლოს შეეძლო დამნაშავე სიკვდილით დაესაჯა, პიროვნების სიცოცხლის ხელყოფა იყო. ბელს აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც ჩერქეზმა თითქოსდა შეურაცხყოფის ნიადაგზე მეზობელი ოჯახის ერთი წევრი მოკლა, ორი დაჭრა. სასამართლომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. ის დაბორკეს და ზღვაში ჩააგდეს.<sup>3</sup>

სიკვდილით დასჯის სხვა საშუალებაც გამოიყენებოდა, კერძოდ, სიკვდილმისჯილს ხეზე მიაბამდნენ და ცეცხლსასროლი იარაღით კლავდნენ. წესისამებრ, მას კლავდა არა თვისტომი, არამედ რომელიმე მონა.

სასამართლოს მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო არა მარტო თემის ღალატი და მკვლელობა, არამედ სხვა მძიმე დანაშაულიც. მაგალითად, თუ პიროვნება რამდენჯერმე დაარღვევდა ადათ-წესს და გატეხდა დადებულ ფიცს, მას, როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს, სიკვდილით სჯიდნენ.<sup>4</sup>

სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდა თემის კრებას, თუ დანაშაული თემის შიგნით მოხდებოდა, ან თუ თემი თავისი წევრის დანაშაულებრივი ქმედებების გამო

---

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე. ჩვეულებრივი უფლება სვანეთში..., გვ. 85

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа ..., გვ. 95

<sup>3</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 514

<sup>4</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и и., გვ. 5

იძულებული გახდებოდა, მიეღო მისი თავიდან მოცილების, სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება.

ლონგვორტს აღწერილი აქვს შემთხვევა თემის მიერ მისივე დამნაშავე წევრის (მკვლელის) გასამართლების შესახებ. უხუცესთა სასამართლომ მკვლელს, იმისათვის, რომ თავისი ავი ქმედებით საძმოსთვის მომავალშიც არ გაეტეხა სახელი, სიკვდილი მიუსაჯა. სიკვდილმისჯილს მძიმე ქვები მოაბეს და კლდიდან ზღვაში გადააგდეს.<sup>1</sup>

შაფსულური თემის ყოველი წევრის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება იყო ურთიერთდაცვა და წილის დაღება იმ გადასახადის შეგროვებაში, რომელიც მიესჯებოდა თემის წევრს, მის მიერ სხვა თემში ჩადენილი მკვლელობისას, ან სხვა მძიმე დანაშაულისას. მაგრამ თემი ამგვარად იქცეოდა პირველი, ან ორი დანაშაულის დროს. თუ დანაშაული რამდენჯერმე განმეორდებოდა, თემის სასამართლო მას სიკვდილით, ან სხვა მძიმე სასჯელით სჯიდა.<sup>2</sup>

თუ პიროვნება სხვის თემში ჩაიდენდა მძიმე დანაშაულს, მისი გასამართლება და სასიკვდილო განაჩენის გამოტანა შეეძლო ამ ორი თემის წარმომადგენლებისგან შემდგარ სასამართლოს, თანაც საქმის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ორივე თემის უხუცესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავის სიკვდილით დასჯა, მითუმეტეს თუ ამ განაჩენს დაზარალებული თემი აღასრულებდა, მხარეთა შორის მტრობას კიდევ უფრო გაამწვავებდა.<sup>3</sup>

თუ საქმე ეხებოდა მოურჯულებელ დამნაშავეს, მას განაჩენს გამოუტანდა ან საკუთარი თემი (რაც ხშირად ხდებოდა) და სიკვდილით სჯიდა მას, ან ამ განაჩენს გამოუტანდა

---

<sup>1</sup> **Дж. Лонгворт.** Год среди Черкесов. гв. 569

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., гв. 469

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., гв. 482

შაფსულთა რვავე თემის წარმომადგენლებისგან შემდგარი სასამართლო.<sup>1</sup>

შაფსულური სამართლით, საძმოს უფლება ჰქონდა, თუ რვა თემის წარმომადგენლებისგან შემდგარი სასამართლო (ანუ შაფსულთა უმაღლესი სასამართლო ინსტანცია) მის ბრალდებულ წევრს სიკვდილს მიუსჯიდა, ის 200 ხარის ფასად გამოეხსნა, თუ რასაკვირველია სწამდა, რომ მისი წევრი სიკვდილით დასჯას არ იმსახურებდა.<sup>2</sup>

ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს თვით ოჯახი გარჩევდა და ამის გამო თემის, ან მედიატორთა სასამართლო არ მოიწვეოდა.

დიუბუა დე მონპერეს ცნობით, სასჯელი მრუში ცოლისთვის დამოკიდებული იყო ქმარზე, რომელსაც შეეძლო ის მოეკლა, ან დაემახინჯებინა, ან შეერცხვინა კაბის სახელურების, ან თმების მოჭრით და ამგვარად დაებრუნებინა მშობლებისთვის, თუმცა მათ, შვილის მოკვლის, ან დამახინჯების გამო შურისძიება შეეძლოთ.<sup>3</sup>

სიკვდილით დასჯა გამოიყენებოდა მაშინაც, როდესაც მოიტაცებდნენ სხვის დანიშნულს, ან შეურაცხყოფდნენ სხვის ცოლს. დასჯის უფლება თვით შეურაცხყოფილის ოჯახის წევრს ჰქონდა.<sup>4</sup>

სასჯელის ერთ-ერთი ფორმა იყო მონად გაყიდვა. ბელის დღიურში აღნიშნულია, რომ თავისი წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თემი მას საზღაურის გადახდაში ეხმარებოდა, მაგრამ თუ დანაშაული რამდენჯერმე განმეორდებოდა, თემი მას სიკვდილით სჯიდა (დაბორკილს ზღვაში, ან მდინარეში აგდებდა) ან კიდევ მონად გაყიდდა. საერთოდ, ამგვარად სჯიდნენ მკვლელს, ან გამოუსწორე-

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 519

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 520

<sup>3</sup> Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 52

<sup>4</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение ..., №25

ბელ დამნაშავეს.<sup>1</sup>

ბელის ცნობაში კარგად ჩანს, რომ დამნაშავეს გარკვეული დანაშაულისთვის მონად ჰყიდდა საკუთარი თემი, რომელიც თავისი წევრის დანაშაულებრივი ქმედების გამო შეწუხებულია, ვინაიდან მატერიალურად ზარალდება, დამნაშავესთან ერთად ისიც იხდის საზღაურს, რადგანაც ადათის ძალით ამგვარ შემთხვევაში მას საზღაურის გადახდაში უნდა დაეხმაროს.

დამნაშავის მონად გაყიდვა შეეძლო სხვა თემსაც, რომელსაც წევრი მოუკლეს, ან მას, რომელსაც უცხო პიროვნების დანაშაულებრივი ქმედების გამო დიდი ზიანი მიადგა. კერძოდ, როდესაც დამნაშავეს გადასახდელი ჰქონდა დიდი ოდენობის საზღაური, მშობლიური თემის კრება მსჯელობდა, დახმარებოდა თუ არა მას. თუ მშობლიური თემი დაასკვნოდა, რომ არ დაეხმარებოდა მას, ხოლო დამნაშავეს არ ჰქონდა საზღაურის გადახდის საშუალება, მას ან ზღვაში ახრჩობდნენ, ან დაზარალებულის ოჯახს გადასცემდნენ. იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე საკუთარი თემის მიერ გადაეცემოდა დაზარალებულ თემს, ამ უკანასკნელს სრული უფლება ჰქონდა, გაეკეთებინა ის, რაც მას სურდა. მას ან ზღვაში ახრჩობდნენ, ან მონად გაყიდდნენ.<sup>2</sup>

ტყვედ ჰყიდდნენ არა მარტო მკვლელს და გამოუსწორებელ დამნაშავეს, არამედ ქალსაც მრუშობისთვის, როდესაც შერცხვენილი მშობლებს უბრუნდებოდა. მრუშობისთვის ასევე ისჯებოდა გაუთხოვარი გოგოც.<sup>3</sup> ხშირად მრუშ ქალს უკანონო ჩვილთან ერთად მიჰყიდდნენ თურქებს.<sup>4</sup>

შაფსულურ ჩვეულებით სამართალში სასჯელის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო მოკვეთა.

ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად, დამნაშავე საზღა-

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 484

<sup>2</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 586

<sup>3</sup> ო. სპენსერი. მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და..., გვ. 128

<sup>4</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 13

ურს იხდიდა შესაძლებლობის მიხედვით, დანარჩენს – მისი გვარი. თუ დამნაშავე თავისი ქმედებით რამდენჯერმე აიძულებდა მშობლიურ გვარს, ყოფილიყო ვალდებული საზღაურით სხვა გვარის წინაშე, მაშინ მის წინააღმდეგ იყენებდნენ სახალხო ჩვევას, წესს – გვარიდან მოკვეთას. ხალხში, სადაც პირადი უსაფრთხოება და ქონების ხელშეუხებლობა დამოკიდებული იყო გვარის (ან თემის) მფარველობაზე, მოკვეთა იმავე მნიშვნელობისა იყო, რაც ევროპაში დამნაშავეს გამოცხადება კანონის მფარველობას მოკლებულად. მოკვეთილს ნებისმიერი შეურაცხყოფა, მოკლავდა, გაქურდავდა, მონად გაიხდიდა და ამგვარი ქმედებისთვის არავინ აგებდა პასუხს. მოკვეთილის მოკვლის, ან შეურაცხყოფისთვის შურს არავინ იძიებდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მოკვეთილი სხვა გვარში არ იშოვიდა თავშესაფარს.<sup>1</sup>

გვარიდან (ან თემიდან) მოიკვეთდნენ არა მარტო გამოუსწორებელ დამნაშავეს, არამედ მასაც, ვისაც სისხლის აღება მართებდა და ნათესავის, ან ახლობლის მოკვლის გამო შურს არ იძიებდა.<sup>2</sup>

შაფსულურ სამართალში სასჯელის ერთ-ერთი სახეობა იყო თემიდან გაძევება, რაზედაც მიუთითებს სპენსერის სიტყვები: „ჩერქეზები დამნაშავეს დანაშაულის მიხედვით გარკვეულ ფულად ჯარიმას ახდევინებენ, ან სამუდამოდ განდევნიან“.<sup>3</sup>

**მესისხლეობა-შურისძიება.** XIX საუკუნეში შაფსულეთში, ისევე როგორც დანარჩენ ჩერქეზეთში, ჯერ კიდევ მძლავრად იყო შემორჩენილი სისხლის აღების წესი. კავკასიის მთიანეთში მოკლულის ნათესავებს მიაჩნდათ, რომ სანამ შურს არ იძიებდნენ, მიცვალებულის სული ვერ მოისვენებდა. მოკლულის სუ-

---

<sup>1</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень..., გვ. 527

<sup>2</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 587

<sup>3</sup> თ. სპენსერი. მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და..., გვ. 128



ლის საცხოვრებლად შენიღული მსხვერპლი განიხილებოდა როგორც მისი სულისადმი ერთგულების ფიცის შესრულება.<sup>1</sup>

აღნიშნული ხანის უცხოელ ავტორთა დაკვირვებით, შურისძიება ჩერქეზთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო. ხშირად შურისძიებისას უშუალოდ მკვლელს, ან ღირსების შემლახველს კი არ ეძებდნენ, არამედ იარაღს მასზე აღმართავდნენ, ვინც პირველად ჩაუვარდებოდათ ხელში დამნაშავეს გვარიდან, ან საერთოდ ნათესავეებიდან.<sup>2</sup>

დიუბუა დე მონპერეს მიხედვით, არსად შურისძიება ისეთი სიმკაცრით არ სრულდებოდა, როგორც ჩერქეზებში და კავკასიის სხვა ხალხებში. ყოველი დაღვრილი სისხლი ადებული უნდა ყოფილიყო. უახლოეს ნათესავს მემკვიდრეობით ედო ვალად, ადრე თუ გვიან, დამნაშავეს მოკვლა და სისხლი თაობიდან თაობაზე გადადიოდა.<sup>3</sup>

მკვლელობის შემთხვევაში მკვლელს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა თავისი სახლ-კარი და სხვა თემში ეძებნა თავშესაფარი. თუ არა ასე, მკვლელობის პასუხისმგებლობა გავრცელდებოდა მის ახლო ნათესავეებზე, გვარის სხვა წევრებზეც და საერთოდ მეთემეებზედაც კი. თუ მკვლელი მაინც გამოჩნდებოდა მოკლულის თემში, მხოლოდ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, ამალითურთ. ამასთან, მისი ნათესავეები და მეგობრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ჭირისუფლებში შურისძიების გრძნობა დამცხრალიყო და შერიგებაზე დათანხმებულიყვნენ. შერიგება შესაძლებელი იყო შუამავალთა მეშვეობით, რომლებიც ჭირისუფლებს სისხლის გამოსასყიდ საზღაურზე დაითანხმებდნენ.<sup>4</sup>

სხვა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მკვლელი იმ შემთხვევაში ტოვებდა თავის საცხოვრებელს, თუ საზღაურის

---

<sup>1</sup> **ო. სპენსერი.** მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და..., გვ. 157

<sup>2</sup> **Н. Карлгофь.** О политическом устройстве Черкесских племень...გვ. 529

<sup>3</sup> **Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. გვ. 51

<sup>4</sup> **Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 8

გადახდა არ შეეძლო, რაც განანყენებულ მხარეს საშუალებას აძლევდა მასზე შური ეძია. დამნაშავეს სხვა გზა არ დარჩენოდა, თუ არა თემიდან გაქცევა და უსახლკაროდ ხეტიალი მანამ, სანამ არ მოკლავდნენ, ან არ გადაიხდიდა საზღაურს.<sup>1</sup>

კოხის ცნობით, საზღაურის გადახდის შემდეგ ყოველგვარი მტრობა წყდება, მაგრამ ჩერქეზები ნათესავის მკვლელობისას არც თუ ისე იშვიათად საზღაურის მიღებაზე არ თანხმდებოდნენ, ვინაიდან მათში ნათესავის პატივისცემა უფრო მაღლა იდგა, ვიდრე საზღაური და მიაჩნდათ, რომ სისხლი სისხლითვე უნდა ჩამორეცხილიყო.<sup>2</sup>

ბელის დღიურის მიხედვითაც, შაფსულეთში მოკლულის ნათესავებს უფლება ჰქონდათ, არ მიეღოთ საზღაური და მოეთხოვათ სისხლი სისხლის წილ.<sup>3</sup>

ამრიგად, XIX საუკუნის ავტორთა ცნობების თანახმად, ჩერქეზეთში მესისხლეობა-შურისძიების წესები მნიშვნელოვნად იყო შემორჩენილი, თუმცა ამავე ცნობებში კარგად ჩანს, რომ შაფსულური ჩვეულებითი სამართალი ამა თუ იმ დანაშაულისას სისხლის აღებას (შურისძიებას) უკვე სხვა საშუალებებს უპირისპირებს. კერძოდ, თემი, ან მკვლელის ნათესაობა ყოველნაირად ცდილობს დამნაშავე დაისაჯოს სასამართლოს გადანყვეტილების საფუძველზე. ე. ი. ჩერქეზული ადათი თანდათანობით პრინციპს – „სისხლი სისხლის წილ“ უპირისპირებს ქონებრივ საზღაურს, სისხლის გამოსასყიდს.<sup>4</sup>

**კომპოზიციის სისტემა.** XIX საუკუნის I ნახევრისთვის შაფსულეთში სისხლის აღების წესი მნიშვნელოვანწილად შეზღუდული იყო და სასჯელთა შორის უმთავრესი ადგილი ეკავა კომპოზიციის სისტემას, ანუ ქონებრივ საზღაურებს.

სპენსერის ცნობა, რომ „დამნაშავეს დანაშაულის შესა-

---

<sup>1</sup> **К. Сталь.** Этнографический очеркъ Черкесского народа. გვ. 120

<sup>2</sup> **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 587

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 521

<sup>4</sup> **კ. ოკუჯავა.** შაფსულური ჩვეულებითი სამართალი. გვ. 41

ბამისად ფულად ჯარიმას ახდევინებენ, ან სამუდამოდ განდეგნიან“; <sup>1</sup> მიუთითებს, რომ საზღაურის გადახდა ფულის სახითაც შეიძლებოდა. ძირითადად კი საზღაური უნდა გადახდილიყო საქონლის, ან კიდევ მისი შესაბამისი ნივთის სახით.

„ჩერქეზებში შურისძიება მანამ არ შეწყდება, სანამ დამნაშავე შუამავლების მიერ განსაზღვრულ საზღაურს არ გაიღებს“<sup>2</sup> – წერდა დიუბუა დე მონპერე.

შაფსულური სამართალი რომ თანდათანობით კომპოზიციის სისტემას ანიჭებდა უპირატესობას ვიდრე მესისხლეობას, კარგად ჩანს XIX საუკუნის სხვა ავტორთა ნაშრომებშიც. მაგ., ბელი, რომელიც თვითმხილველია შემთხვევის, როცა ერთ-ერთმა თავადმა საზღაური მიიღო მისი მოკლული პაპის გამო, ასკვნის: „უკანასკნელ ხანებში საძმო ყოველნაირად ცდილობს წესის „სისხლი სისხლის წილ“ ნაცვლად შემოიღოს გადასახადთა სისტემა“.<sup>3</sup>

ამასვე ადასტურებს ლონგვორთის მიერ ნემეზში აღწერილი შემთხვევა, კერძოდ, ერთხელ ყაჩაღმა გზაზე ახალგაზრდა ბიჭი მოკლა. შემდეგში იმავე გზაზე იგივე ყაჩაღი ლონგვორთს და მის თანამგზავრს დაესხა თავს. ამ უკანასკნელმა, რომელსაც შეეძლო ყაჩაღის მოკვლა, ის უვნებლად გაუშვა, რაზედაც ინგლისელ სტუმარს ასეთი პასუხი გასცა: „მისი მოკვლით ჩემს თავს და ჩემს ახლობლებს მის საძმოსთან მტრობაში ჩავითრევდი. მოკლული ბიჭი ჩემი საძმოდან არ იყო. რომც ყოფილიყო ჩემი საძმოდან, ჩვენ ვარჩევდით საზღაურს 200 ხარის ოდენობით, ვიდრე მის სიცოცხლეს, რომელიც არავის არაფრად არ სჭირდება. მას მშობლიური საძმო ისედაც მოუსწრაფებს სიცოცხლეს, რადგან მათთვის ის ზედმეტი ტვირთია“.<sup>4</sup>

<sup>1</sup> **ო. სპენსერი.** მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და..., გვ. 128

<sup>2</sup> **Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. გვ. 51

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 475

<sup>4</sup> **Дж. Лонгворт.** Год среди Черкесов. გვ. 569

მართლაც, რამდენიმე დღეში მკვლელის საძმომ დამნაშავე დაიჭირა და ის უხუცესთა სასამართლოს წარუდგინა. უხუცესთა სასამართლომ, იმისათვის, რომ მკვლელს თავისი ავი ქმედებით მომავალშიც არ გაეტეხა სახელი, მას სიკვდილი მიუსაჯა. სიკვდილმისჯილს მძიმე ქვები მოაბეს და კლდიდან ზღვაში გადააგდეს.

იმ შემთხვევაში, თუ მკვლელი დამალვას მოახერხებდა და ნათესავ-მეგობრების დახმარებით ჭირისუფლებს საზღაურის მიღებაზე დაიყოლიებდა, მისი გადახდის შემდეგ შურისძიება არ ემუქრებოდა.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლებისთვის შაფსულურ ჩვეულებით სამართალში კომპოზიციის სისტემა საკმაოდ განვითარებული იყო, რაზედაც მეტყველებს 1836 წელს ზღვისპირა ჩერქეზეთში მყოფი სპენსერის ცნობა: „შამილმა ყველა ღონე იხმარა, რათა ბოლო მოეღო მესისხლეობისთვის. სამწუხაროდ ეს ცდა წარუმატებელი დარჩა. მას დიდი შრომა დასჭირდა, რომ ზოგიერთ მხარეში მაინც დაენერგა ჩერქეზული კანონი, რომლის მიხედვით, მკვლელს შეეძლო ფულით გამოესყიდა დანაშაული.“<sup>1</sup>

შაფსულური ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, ქონებრივი საზღაურის ძირითადი საზომი ერთეული იყო „სხა“, რაც თავს ნიშნავს.

XIX საუკუნის 20-იან წლებში 30 სხა 200 სულ საქონელს შეესაბამებოდა.<sup>2</sup>

დამნაშავეს საზღაური ხარების სახით უნდა გადაეხადა, მაგრამ მას უფლება ჰქონდა, ამ ხარების საფასური გაეღო შესაბამისი სხვა საქონლით, ან ნივთით.

მსაჯულთა ყველაზე მძიმე მოვალეობას იმ ცხენის, იარაღის, თუ სხვადასხვა სახის ნივთის და საქონლის შეფასება

---

<sup>1</sup> ო. სპენსერი. მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და..., გვ. 158

<sup>2</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., гв. 11

ნარმოადგენდა, რომელსაც დამნაშავე სასამართლოს მიერ განსაზღვრული რაოდენობის ხარების ნაცვლად იხდიდა.<sup>1</sup>

შავიზღვისპირა შაფსულების ჩვეულებით სამართალში ყველაზე დიდი საზღაური ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისთვის იყო დადგენილი. ბელის თანახმად, თუ მკვლელი განზრახ იყო ჩადენილი, საზღაური 200 ხარს შეადგენდა, შემთხვევითი მკვლელობისას – სრული სისხლის ნახევარს, ე. ი. 100 ხარს.<sup>2</sup>

ზოგიერთ ხეობაში, თუ მკვლელი საძმოს შიგნით მოხდებოდა და ისიც შემთხვევით, მკვლელს არავითარი გადასახადი არ ეკისრებოდა.<sup>3</sup>

მსგავს ცნობას იძლევა კოხიც. როგორც კი ნაფიცი მსაჯულები გაარკვევდნენ, მკვლელი განზრახ იყო ჩადენილი თუ შემთხვევით, ამის მიხედვით გამოიტანდნენ განაჩენს. კერძოდ, განზრახ მკვლელობისთვის საზღაური 200 ხარს შეადგენდა, ხოლო თუ მკვლელი მოხდებოდა ისე, რომ მკვლელს ბრალი არ ჰქონდა, მას მხოლოდ ნახევარი სისხლი უნდა ეზღო.<sup>4</sup>

დაახლოებით იგივე ცნობას გადმოგვცემს ლაპინსკიც – განზრახ მკვლელობისას საზღაური შეადგენდა 2000 ვერცხლის მანეთს, ხოლო შემთხვევით მკვლელობისას – მის ნახევარს, ან კიდევ უფრო ნაკლებს.<sup>5</sup>

ბელის, კოხის და ლაპინსკის ცნობებში კარგად ჩანს, რომ შაფსუღური ჩვეულებითი სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა განზრახ მკვლელობას შემთხვევით ჩადენილი მკვლელობისგან, რაც მის საკმაოდ მაღალ დონეზე მიუთითებს, ვინაიდან კავკასიის მრავალ კუთხეში, სახელდობრ

---

<sup>1</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 519

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 525

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 490

<sup>4</sup> **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 586

<sup>5</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа..., გვ. 95

ზემო სვანეთშიც, უცაბედად მოკვლა განზრახ მოკვლასავით სჭრიდა და წესისამებრ ითხოვდა მაგიერის გადახდას: მოკვლას, ან სრულ სისხლს.<sup>1</sup>

შაფსულეთში თავად-აზნაურისა და მეთემისგან განსხვავებით, მონის მკვლელობას შურისძიება არ მოყვებოდა,<sup>2</sup> თუმცა დადგენილი იყო გადასახადი 15 თავი (სხა)<sup>3</sup> რაც დაახლოებით 100 ხარს შეესაბამებოდა. პირუკუ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობა მონის მიერ იყო ჩადენილი, საზღაურს სრული სისხლი – 200 ხარი შეადგენდა, რომელსაც მისი პატრონი იხდიდა.<sup>4</sup>

იმ შემთხვევაში, თუ ქმარი მოკლავდა მისივე ცოლის საყვარელს, საზღაურად ეკისრებოდა არა 200 ხარი, როგორც იყო ეს დადგენილი განზრახ მკვლელობისას, არამედ 40-დან 60 ხარამდე.<sup>5</sup>

ლიულეს მიხედვით, ყოველი ჩერქეზული თემი არსებითად დიდ ოჯახს წარმოადგენდა. მისი წევრები ერთმანეთის ისეთ ახლო ნათესავებად ითვლებოდნენ, რომ თემს შიგნით ქორწინება დაუშვებელი იყო. ამას სისხლის აღრევად მიიჩნევდნენ. ეს დიდი ოჯახი საქმეს ერთიანად აწარმოებდა, ყოველგვარი გაჭირვებისას ურთიერთს დახმარებას უწევდა. თითოეული მათგანის შეურაცხყოფა მთელი თემის კეთილდღეობის ხელყოფად ითვლებოდა და თავის მხრივ, ყოველი წევრი მთელი თემის წინაშე იყო პასუხისმგებელი. თემის მფარველობას მოკლებულ მთიელს საკუთარი უსაფრთხოების არავითარი საშუალება არ გააჩნდა. ის, ვისაც საზღაური უნდა გადაეხადა, მშობლიური თემისგან ღებულობდა დახმარებას. ვინაიდან თემთა დიდი ნაწილი მცირერიცხოვანი იყო

---

<sup>1</sup> ბ. ნიჟარაძე. ჩვეულებრივი უფლება სვანეთში..., გვ. 115

<sup>2</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 12

<sup>3</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 520

<sup>4</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 479

<sup>5</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 588

და საზღაურის გადახდა არ შეეძლო, მას მისივე კუთხის დანარჩენი თემები, ან ზოგჯერ მეზობელი კუთხიდან მეგობრები და ნაცნობები ეხმარებოდნენ. სწორედ ამგვარად იხდიდნენ ისინი სისხლის საზღაურს, რომელიც ერთობ დიდი ოდენობის იყო.<sup>1</sup>

ბელის ცნობით, სასამართლო არა მარტო უშუალოდ დამნაშავეს, არამედ მთელ მის თემს აკისრებდა განაჩენის აღსრულების ვალდებულებას, ამიტომაც თემი თავის ყოველ წევრს ეხმარებოდა საზღაურის გადახდაში.<sup>2</sup>

კარლგოფის თანახმად, შაფსულებში მკვლევლობის საზღაური იმდენად დიდი იყო, რომ მისი გადახდა დამნაშავეს საკუთარი შესაძლებლობებით არ შეეძლო და ამდენად, საურავი მთელ გვარს ეკისრებოდა. ეს წესი, ეხებოდა რა მთელი გვარის ეკონომიკურ ინტერესებს, აიძულებდა მას, თვალყური ედევნებინა მისი თითოეული წევრის მოქმედებისათვის, რათა იმთავითვე აღეკვეთა დანაშაულებრივი ქმედება. საზღაურს დამნაშავე შესაძლებლობისდაგვარად იხდიდა, დანარჩენს კი – მთელი გვარი. თუ პირის დანაშაულებრივი ქმედების გამო გვარი იძულებული იყო რამდენჯერმე გადაეხადა საზღაური, ადათის ძალით მას თემიდან მოიკვეთდნენ.<sup>3</sup>

ეს წესი ლაპინსკის შემდეგნაირად აქვს გადმოცემული – „თუ დამნაშავეს საკუთარი საშუალებით არ შეეძლო საზღაურის გადახდა, მშობლიური გვარი იყო ვალდებული მისთვის დახმარება გაეწია. თუ ესეც არ იქნებოდა საკმარისი, მას მთელი თემი უნდა დახმარებოდა. დახმარების მიღებისთვის საჭირო იყო თემის უხუცესის თანხმობა, რომელიც დამნაშავეს გადასცემდა ფურცელს, სადაც თემის რაიმე ნიშანი იყო გამოსახული. თუ დამნაშავეს ამგვარი ფურცელი არ გადაეცე-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 18

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 483

<sup>3</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень..., გვ. 527

მოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ თემისგან მოკვეთილი იყო და საზღაურის არ გადახდის შემთხვევაში მას მონინალმდეგე მხრიდან სიკვდილი, ან ტყვედ გაყიდვა ელოდა.<sup>1</sup>

ასევე იყო ზემო სვანეთშიც. თუ დამნაშავე ხელმოკლედ ცხოვრობდა და არ შეეძლო საზღაურის გადახდა, მას მთელი თემი უნდა დახმარებოდა.<sup>2</sup>

სტალის მიხედვით, მრავალი ჩერქეზული ოჯახი, ან გვარი ფიცით იყო ერთმანეთთან შეკრული. პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას ისინი ერთიანდებოდნენ და საზღაურს ერთბაშად, ან ნაწილ-ნაწილ იხდიდნენ. თუმცა ფიცით შეკვრა სრულებით არ ნიშნავდა, რომ დაფიცებულს ეზლო სისხლი სისხლის წილ. სისხლით პასუხს აგებდა მხოლოდ მკვლელის ოჯახი, ან გვარი. ზოგჯერ ხდებოდა ისე, რომ მკვლელის გვარი უარს ამბობდა საზღაურზე, რაც განაწყენებულ მხარეს საშუალებას აძლევდა, შური ეძია მკვლელზე. მას თემიდან გაქცევის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა და მანამ ხეტილობდა, სანამ მესისხლე არ მოკლავდა, ან არ მოძებნიდა შერიგების საშუალებას და არ გადაიხდიდა სისხლის საზღაურს.<sup>3</sup>

საზღაურის გადახდა დანიშნულ დღეს „ადვოკატ-ხელმძღვანელების“ თანდასწრებით ხდებოდა. თუ საქმე რთული იყო, გადახდას კიდევ ორი მოსამართლე ესწრებოდა. ისინი, როგორც შუამავლები, გადასახდელი ნივთის ღირებულებას განსაზღვრავდნენ.<sup>4</sup>

თუ დამნაშავე თავს არიდებდა გადასახადს, მომჩივანი ყველანაირად ცდილობდა შეენუხებინა ის, რათა დროულად მიეღო საზღაური. მას უფლება ჰქონდა, თვითნებურად მიეტაცა დამნაშავის ქონება, ძირითადად საქონელი. მითვისების ნიშნად ეზოში, სახლთან ახლოს მიწაში ჩარჭობილ ჯოხს

---

<sup>1</sup> **Т. Лапинский.** Горцы Кавказа..., გვ. 94-95

<sup>2</sup> **ბ. ნიქარაძე.** ჩვეულებრივი უფლება სვანეთში..., გვ. 107

<sup>3</sup> **К. Сталь.** Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 120

<sup>4</sup> **Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 4



ტოვებდა. მიმართავდა სხვა ზომებსაც, კერძოდ, დამნაშავეს ხშირად უწვავდა თივას, პურს და სახლსაც კი. ამგვარ ხერხს მიმართავდნენ მისი ნათესავების მიმართაც, რათა მათ აეძულეზინათ დამნაშავე და დროზე დაესრულებინათ დაკისრებული საზღაურის გადახდა.<sup>1</sup>

შაფსულებში გავრცელებულ იძულების ამ ჩვეულებას ლონგვორთი შემდეგნაირად გადმოგვცემს. „სანამ საზღაური გადახდილი არ არის და დავა მონესრიგებული, დაზარალებულს ან მის ნათესავს, თუ მათ სადმე მეტოქე საძმოს წევრი შეხვდება, შეუძლია შური იძიოს, მოკლას ის, მაგრამ ამგვარი საქციელი მაინცდამაინც არ შედის დაზარალებულის საძმოს ინტერესებში, რადგან შურისძიების შემთხვევაში ისინი საზღაურის მოთხოვნის უფლებას კარგავენ. ზოგჯერ ხდება ისე, რომ საზღაური დროზე არ გადაეცემა დაზარალებულ საძმოს. მაშინ ეს უკანასკნელი საზღაურის დროულად მიღების მიზნით შემდეგ ზომებს ღებულობს: დამნაშავე საძმოს ემუქრებიან ღობის მოშლით, საქონლის მოპარვით, მონის წართმევით და ა.შ. თუ ეს ხერხიც არ გაჭრის, უფრო მკაცრ ზომებს მიმართავენ: დამნაშავეს სცემენ ან დაჭრიან, მაგრამ ყველაფერს ამას ისე აკეთებენ, რომ საბოლოო ჯამში საზღაურთა ბალანსი მათივე სასარგებლოდ დარჩეს“.<sup>2</sup>

შავიზღვისპირა შაფსულების ერთ-ერთ დღესასწაულზე, რომელსაც ბელი და ლონგვორთიც ესწრებოდნენ, ერთმა კაცმა მეორეს თავში ჯოხი ჩაარტყა და ძირს დააგდო. ცეკვა-სიმღერა შეწყდა. ნახულით აღშფოთებულმა ინგლისელებმა განაცხადეს, რომ თუ დამნაშავე არ დაისჯებოდა, იქაურობას დატოვებდნენ. ამის თაობაზე იქვე მყოფმა უხუცესებმა მათ განუმარტეს, რომ რაც მოხდა, სრულებით შეესაბამებოდა მათი მართლმსაჯულების ნორმებს. საქმე მასში ყოფილა, რომ იმ დღეს გალახულმა რამდენიმე დღით ადრე თავად გაძარცვა

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 7

<sup>2</sup> Дж. Лонгворт. Год среди Черкесов. გვ. 562

ერთ-ერთი ოჯახი. ვინაიდან დამნაშავეს ჯერ კიდევ არ ჰყავდა დაკმაყოფილებული დაზარალებული, მას მართებდა, საზღაურის გადახდამდე თავი აერიდებინა ამ გვარისთვის. თავისი გაუფრთხილებლობით ის დაისაჯა კიდევ. ამ მოქმედებით დამნაშავეს შეახსენეს, რომ მის გვარს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო საზღაური ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადახდილი.<sup>1</sup>

ზემო სვანეთში საზღაურის დადგენისას ჩვეულებისამებრ გამოიყენებოდა გამორიცხვის წესი. კერძოდ, თუ ერთი კაცი მეორეს დაჭრიდა და ამის შედეგად ის ხეიბარი დარჩებოდა, დამჭრელს მისთვის სრული სისხლის ნახევარი უნდა გადაეხადა. მაგრამ თუ დახეიბრებულს მანამდის მეტოქისთვის სახელი ჰქონდა გატეხილი, რისთვისაც შესაბამისი გადასახადი იყო დადგენილი, ამ უკანასკნელს საზღაურის ეს ნაწილი გამოერიცხებოდა.<sup>2</sup>

შავიზღვისპირა შაფსულებშიც არსებული სწორედ ამგვარი წესი აქვს ფიქსირებული ლონგვორთს, როდესაც ის საზღაურთა ბალანსირებაზე საუბრობს.

დამნაშავეს საზღაურის გადასახდელად საკმაოდ დიდი დრო ეძლეოდა, მაგრამ თუ მკვლევლობისას სისხლის საზღაური ძალიან ჭიანურდებოდა, ან არ იქნებოდა ის გადახდილი განსაზღვრულ დროში, დამნაშავეს სიკვდილით, ან სხვა მძიმე სასჯელით სჯიდნენ.<sup>3</sup>

ცალკე საზღაური იყო დადგენილი დაჭრისთვის. ჭრილობა, თუ საქმე მშვიდობით დასრულდებოდა, იზომებოდა შუამავლების მიერ და საზღაური შეადგენდა არა უმეტეს ნახევარს და არა უმცირეს მეოთხედს იმ საზღაურისა, რომელიც მკვლევლობისთვის იყო განსაზღვრული.<sup>4</sup>

ბელის ცნობით, შაფსუღეთში განსაზღვრული იყო საზ-

---

<sup>1</sup> **Дж. Лонгворт.** Год среди Черкесов. გვ. 581

<sup>2</sup> **ბ. ნიქარაძე.** ჩვეულებრივი უფლება სვანეთში..., გვ. 98

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 483

<sup>4</sup> **Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 12

ლაურები: სხეულის განზრახ დაზიანებისათვის – 100 ხარი, სხეულის შემთხვევით დაზიანებისათვის – 50 ხარი.<sup>1</sup>

ლაპინსკის თანახმად, საზღაური შეგნებულად მიყენებული ქრილობისას ათას ვერცხლის მანეთამდე შეიძლება ასულიყო, ხოლო შემთხვევითი ქრილობისას – 500 ვერცხლის მანეთამდე.<sup>2</sup>

ამრიგად, შაფსულური ჩვეულებითი სამართალი განზრახ მიყენებულ ქრილობას განასხვავებდა შემთხვევით მიყენებული ქრილობისგან, ისევე როგორც განზრახ მკვლელობას შემთხვევითი მკვლელობისგან, რაც მისი განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

დადგენილი იყო საზღაური მარჯვენა ხელის დაჭრისთვის, თუ მას შედეგად დახეობრება მოყვებოდა – 50 ხარი, ვინაიდან დაზარალებულს ამიერიდან თავის რჩენა არ შეეძლო.<sup>3</sup>

მსგავსი სამართლებრივი ნორმა არსებობდა სვანეთშიც. მძიმე ქრილობა, რასაც შედეგად რომელიმე ასოს გაფუჭება, გახმობა მოჰყვებოდა, სჭრიდა ნახევარ სისხლს.<sup>4</sup>

საქონლის მიერ დაშავებული, თუ დასახიჩრებული ადამიანის ჭირისუფლებს უფლება ჰქონდათ პატრონისგან საზღაური მოეთხოვათ და ამ გადასახადისგან, რომელიც საქმის შესაბამისად დადგინდებოდა, თავის დაღწევა იშვიათად ხდებოდა.<sup>5</sup>

ბელს აღწერილი აქვს შემთხვევა, რომ ჩერქეზს, რომელიც მეზობელს კამეჩის დაკვლაში ეხმარებოდა, კამეჩმა თვალი ამოუგდო, რის გამოც მან მეზობელს (ე. ი. პატრონს) მოსამართლესთან უჩივლა და 100 ხარი მოსთხოვა. მოსამართლემ მეზობელს განუმარტა, რომ ამგვარი საზღაური მხოლოდ სხე-

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 525

<sup>2</sup> Т. Лапинский. Горцы Кавказа..., გვ. 95-96

<sup>3</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли. გვ. 588

<sup>4</sup> ბ. ნიჟარაძე. ჩვეულებრივი უფლება სვანეთში..., გვ. 119

<sup>5</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 8

ულის განზრახ დაზიანებისთვის იყო დაწესებული და პატრონს მხოლოდ ერთი სული საქონელი გადაახდევინა, რითაც დაზარალებული მეზობელი სრულიად უკმაყოფილო დარჩა.<sup>1</sup>

შავიზღვისპირა შაფსულებს ადათის მიხედვით, თუ პირი სხვას ეხმარებოდა და ამ დროს დაიღუპებოდა, მის ქირისუფლებს უფლება ჰქონდათ იმ კაცისგან, ვინაც დახმარება ითხოვა, მოეთხოვათ შესაბამისი საზღაური.<sup>2</sup>

ტებუ დე მარინი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მან გემზე ჩერქეზი იახლა და ის კი კინალამ ზღვაში ჩაიხრჩო. უკან მიბრუნებულ ფრანგ მეცნიერს მეგობრებმა ჩერქეზის გადარჩენა მიულოცეს, რადგან ის რომ წყალში დამხრჩვალყო, ქირისუფლები ტებუ დე მარინის მოსთხოვდნენ საზღაურს, ვინაიდან ჩერქეზი მას ახლდა.<sup>3</sup>

შაფსულური ადათის მიხედვით, დანაშაულის ერთ-ერთი სახე იყო სტუმარ-მასპინძლობის წესების დარღვევა.<sup>4</sup>

სტუმარი, მიუხედავად იმისა, ნაცნობი იყო ის თუ არა, მთიელის სახლში ყოფნის განმავლობაში უზრუნველყოფილი იყო მასპინძლის მხრიდან უსაფრთხოებითა და საკვებით. უცნობს, თუ მისთვის შეკითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი, ან უხერხული იყო, არ ეკითხებოდნენ საიდან იყო, სად მიდიოდა და რა მიზნით, ვინაიდან ეს მასპინძლის მხრიდან ადათის დარღვევად ითვლებოდა.

მგზავრი იქ ჩერდებოდა, სადაც ღამე მოუსწრებდა. მას უსიტყვოდ ღებულობდა პირველივე სახლი. სასურველი იყო გაჩერება ნაცნობთან, ან შეძლებულთან. თუ სტუმარი ბევრი იყო, მათ მეზობლებში ანაწილებდნენ. თუ სტუმარს ცხენი, ან რაიმე ნივთი დაეკარგებოდა, მასპინძელი ვალდებული იყო მისთვის სამაგიერო მიეცა.

---

<sup>1</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 524

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 525

<sup>3</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 299

<sup>4</sup> **Н. Карлгофь.** О политическом устройстве Черкесских племень..., გვ. 530

რაც უფრო შორეული იყო სტუმარი, მასპინძელი მის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა. მას მასპინძელი ამაღლითურთ რამდენიმე ვერსს აცილებდა და მხოლოდ სტუმრის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ბრუნდებოდა შინ.<sup>1</sup>

ადილური ჩვეულებითი სამართლით, უცხო სტუმარი მასპინძლის მფარველობის ქვეშ მხოლოდ იმ დრომდის იყო, სანამ მის სახლში იმყოფებოდა. ე. ი. სტუმარ-მასპინძლობის წესები უცხო სტუმარს იფარავდა დროებით და არა მუდმივად.<sup>2</sup>

სტუმარ-მასპინძლობის წესებთან იყო დაკავშირებული ყონალობა, მაგრამ ისინი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ყონალობა ვრცელდებოდა არა ყოველი სახის სტუმარზე, არამედ მხოლოდ მეგობარზე, მოყვარეზე. ყონალებად შეიძლება ყოფილიყვნენ ორი გვარის, თემის, კუთხის, ან საერთოდ ორი ხალხის წარმომადგენლები.<sup>3</sup>

ჩერქეზული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, მასპინძელი ყონალის მიმართ ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სახლის შიგნით მის უსაფრთხოებაზე ზრუნვით. ის ვალდებული იყო, ყონალი გაეცილებინა, ან ჩაებარებინა პირისთვის, რომელიც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას და ნიშნულ ადგილამდე.<sup>4</sup>

იგივე სტუმარი ხელშეუხებელი იყო მაშინაც, როდესაც ის ამა თუ იმ თემში ჩასული, ყონალის ნახვამდე მის გავლენიან სახელს ახსენებდა.

საინტერესო ფაქტი მოჰყავს ტებუ დე მარინის. როდესაც ის და მისი თანმხლები პირები გემით გელენჯიკში შევიდნენ და ნაპირზე გადავიდნენ, მათ გარს შემოეხვივნენ ჩერქეზები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ჩამოსულთა ყონალის სახელის გაგონებას. ტებუ დე მარინიმ მათ განუც-

---

<sup>1</sup> Л. Люлье. О гостеприимстве у Черкесь. -Кавказь, 1859, №7

<sup>2</sup> В. Гарданов. Общественный строй Адыгских народов..., გვ. 305

<sup>3</sup> В. Гарданов. Общественный строй Адыгских народов..., გვ. 308

<sup>4</sup> В. Гарданов. Общественный строй Адыгских народов..., გვ. 310

ხადა, რომ ერთ-ერთი იქაური თავადის ხალხი იყვნენ და მასთან მიემგზავრებოდნენ. მასპინძლის სახელის გაგონების შემდეგ ჩერქეზებმა სტუმრებს ხელი გაუწოდეს და ბედნიერი მობრძანება მიულოცეს. რომ არა გავლენიანი მასპინძლის რიდი, სრულიად შესაძლებელი იყო, ჩერქეზებს ტებუ დე მარინი და მისი თანმხლებნი იქვე დაეტყვევებინათ.<sup>1</sup>

ყონალი და მისი საძმო, თუ ისინი მეზობელი, ან შორეული თემიდან გამოქცეულ მკვლელს შეიფარებდნენ, ვალდებული იყვნენ, დაეცვათ ის, ან გადაეხადათ საზღაური მისი დანაშაულისთვის.

პირი, რომელიც მთაში ყონალს გაიჩენდა, უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა მისგან დაცვა და სტუმარ-მასპინძლობის წესების განევა. მასპინძელი ყონალის მთელი საძმო არა მარტო უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას, არამედ ვალდებულად თვლიდა თავს, მისი მკვლელობისთვის, ან შეურაცხყოფისთვის შური ეძია.<sup>2</sup>

შურისძიება მოყვებოდა შედეგად არა მხოლოდ ყონალის, არამედ საერთოდ სტუმრის სიცოცხლის ხელყოფას. ჩერქეზი სტუმრის მოკვლისთვის ისეთივე მძვინვარებით იძიებდა შურს, როგორც ახლობლის მკვლელობისთვის.<sup>3</sup>

სტუმარ-მასპინძლობის წესები დამნაშავეზეც ვრცელდებოდა. გვარი, რომელიც უცხო პირს, დამნაშავეს შეიფარებდა, სტუმარ-მასპინძლობის წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო, უზრუნველყო მისი უსაფრთხოება, სანამ დამნაშავე მასთან იმყოფებოდა.<sup>4</sup>

მასპინძელს შეეძლო მასთან დამალული მკვლელი მანამდის შეეფარებინა, სანამ თემი მხარეებს არ გაარიგებდა, მაგრამ ქალის შეურაცხმყოფელზე სტუმარ-მასპინძლობის

---

<sup>1</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 294

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 484

<sup>3</sup> **Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. გვ. 50

<sup>4</sup> **Н. Карлгофь.** О политическом устройстве Черкесских племень..., გვ. 528

ნესები არ ვრცელდებოდა.<sup>1</sup> ამგვარი შემთხვევა თითქმის არასდროს სრულდებოდა შერიგებით, სანამ სირცხვილი დამნაშავის, ან მისი რომელიმე ნათესავის სისხლით არ ჩამორეცხებოდა.<sup>2</sup>

ქალის შეურაცხყოფისთვის, თუ საქმე მშვიდობით დასრულდებოდა, საზღაური 24 ხარს შეადგენდა.<sup>3</sup>

სტუმარ-მასპინძლობის წესებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა აქვს დაცული სტალს: „ჩერქეზის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თუ მესისხლეები სხვის სახლში შეხვდებიან ერთმანეთს, ისე იქცევიან, თითქოს არც შეემჩნიოთ ურთიერთი და თავს ერთმანეთისგან შორს იკავებენ“.<sup>4</sup>

სტალის ცნობა იმაზე მიუთითებს, რომ არა მარტო მასპინძელი იყო ვალდებული სტუმრის წინაშე, არამედ სტუმარიც მოვალე იყო პატივი ეცა მასპინძლისთვის.

შაფსულური ჩვეულებითი სამართლით გათვალისწინებული იყო საზღაური სხვისი სტუმრის წყენინებისთვის, რადროსაც დამნაშავე მასპინძელს ერთ სხას უხდიდა.

განსაზღვრული იყო ცალკე გადასახადი (დაახლოებით სრული სისხლის მესამედი) სხვისი სტუმრის სიცოცხლის ხელყოფისას, მასპინძლის სასარგებლოდ, მისი ღირსების შელახვისთვის, იმ სისხლის საზღაურის დამოუკიდებლად, რომელიც მკვლელს ჭირისუფლებისთვის უნდა გადაეხადა.<sup>5</sup>

XIX საუკუნის ავტორთა ნაშრომებში მრავალი ცნობაა დაცული ქურდობასთან დაკავშირებული საზღაურების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისგან, საკითხთან დაკავშირებით ეს ცნობები ერთიან სურათს ქმნიან.

---

<sup>1</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., №25

<sup>2</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи..., გვ. 7

<sup>3</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи..., გვ. 13

<sup>4</sup> К. Сталь. Этнографический очерк Черкесского народа. გვ. 121

<sup>5</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 14

ლიულეს თანახმად, შაფსულეთში სხვისი ქონების მიტაცება ქურდობად ითვლებოდა, თუ დანაშაული მშობლიურ კუთხეში იყო ჩადენილი. სხვისი ქონების მიტაცება ქურდობად ითვლებოდა მაშინაც, როდესაც დანაშაული მოხდებოდა ერთმანეთთან კეთილმეზობლობის ფიციტ დაკავშირებული კუთხეების წარმომადგენლებს შორის. ამგვარი ფიციტ იყვნენ ერთმანეთთან შეკრულები შაფსულეები და აბაზეხები. თუ პირი იქურდებდა სხვა, ან იმ კუთხეში, რომელთანაც მისი კუთხე ფიციტ არ იყო დაკავშირებული, მაშინ ამ საქმეს უყურებდნენ, როგორც საკუთარი შეძლებისა და სიმარჯვის გამორჩენის საუკეთესო საშუალებას.

ქურდობას იმის მიხედვით ასხვავებდნენ, თუ სად იყო ჩადენილი: 1. სახლში, კარის გატეხვით და 2. ეზოში, ან მინდვრად. პირველი უფრო მძიმე დანაშაულად ითვლებოდა და სასჯელიც შესაბამისად უფრო მკაცრი იყო.<sup>1</sup>

ქურდი ვალდებული იყო, დაებრუნებინა ზუსტად ის, რაც მოიპარა. თუ ამას ვერ შეძლებდა, შვიდმაგად უნდა ეზლო. გარდა ამისა, დანაშაულის ჩადენის გამო ვალდებული იყო გადაეხადა ცხრა ხარი.<sup>2</sup>

განმეორებითი ქურდობისას ამგვარი საზღაური 24 ხარამდე იზრდებოდა და თუ ქურდი მაინც არ გამოსწორდებოდა, მას მოიკვეთდნენ.<sup>3</sup>

ნოვიცკის მიხედვით, თუ შაფსული სხვა კუთხის წევრს გაქურდავდა, მას უნდა დაებრუნებინა მოპარული და ზედ ერთი იმდენიც უნდა დაემატებინა, მაგრამ თუ ქურდობა - მშობლიურ კუთხეში მოხდებოდა, დამნაშავეს უნდა დაებრუნებინა მოპარული და გარდა ამისა, შვიდმაგად უნდა ეზლო.<sup>4</sup>

ტებუ დე მარინის მიერ შავიზღვისპირა შაფსულეების

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 9

<sup>2</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 13

<sup>3</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 14

<sup>4</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение ..., №25



ერთ-ერთ თემში ჩანერილი ცნობით, ქურდი ვალდებული იყო, დაებრუნებინა ნაქურდალი და ეზლო შვიდმაგად, ხოლო დაზარალებულის შელახული ღირსების დასაკმაყოფილებლად, მოპარული ჰყოლოდა თუნდაც ქათამი, უნდა გადაეხადა ცხრა მსხვილი რქოსანი პირუტყვი.<sup>1</sup>

დიუბუა დე მონპერეს ცნობით, ჩერქეზული ჩვეულება მოითხოვდა, ქურდი დაჯარიმებულიყო გაცილებით მეტი ოდენობით, ვიდრე მას მოპარული ჰქონდა. გაუმჟღავნებელი ქურდობა ქებას იმსახურებდა. საკუთრება ხელშეუხებლად მათ შორის იყო მიჩნეული, ვინც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო ნათესაობით, მეგობრობით და სტუმარ-მასპინძლობის წესებით.<sup>2</sup>

ბელის დლიურის მიხედვით, ქურდი ვალდებული იყო, გადაეხადა მოპარული ნივთის ღირებულება, ხოლო ჩადენილი დანაშაულის გამო უნდა ეზლო 7 ხარი.

დანაშაულის განმეორების შემთხვევაში ამგვარი საზღაური 42 ხარამდე იზრდებოდა,<sup>3</sup> თუმცა სასამართლოს დამნაშავის ხელმოკლედ ცხოვრების გათვალისწინებით საზღაურის შემცირება შეეძლო.<sup>4</sup>

თუ პირი მესამედაც იქურდებდა, საზღაური 200 ხარამდე იზრდებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ქურდი სასამართლოს მიერ აღიარებული იქნებოდა გამოუსწორებელ დამნაშავედ, მას სიკვდილით სჯიდნენ.

ამგვარი დამნაშავის საკითხს ადათის მიხედვით განიხილავდა ორი დაინტერესებული თემის წარმომადგენლებისგან შემდგარი სასამართლო, რომელსაც აუცილებლად უნდა დასწრებოდნენ ამ თემების თჰამადები და სხვა უზუცესები და გამოტანილი განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანა მშობ-

---

<sup>1</sup> **Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. გვ. 300

<sup>2</sup> **Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. გვ. 52

<sup>3</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 519

<sup>4</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 483

ლიურ თემს. თუ ქურდს მესამედ ჩადენილი დანაშაულის-თვის გაასამართლებდა მხოლოდ დაზარალებული თემისგან შემდგარი სასამართლო და სიკვდილით დასჯიდა, ამ თემს ქურდის მშობლიური თემისთვის 200 ხარი უნდა გადაეხადა, ვინაიდან მან სასამართლო წარმოების წესი არ დაიცვა.<sup>1</sup>

შაფსულეთში ქურდობასთან დაკავშირებული საზღაურების შესახებ არსებულ წყაროებში ერთი და იმავე საკითხის თაობაზე მეტნაკლებად განსხვავებული ცნობები მათი სხვადასხვა დროს სხვადასხვა თემში დაფიქსირებით არის გამოწვეული.

აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ:

გაცილებით მკაცრად ისჯებოდა ქურდობა, თუ ის მოხდებოდა მშობლიურ კუთხეში, ვიდრე მეზობელ მხარეში ჩადენილი ქურდობა.

ერთმანეთისგან განსხვავდებოდა ქურდობა სახლს გარეთ და სახლს შიგნით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გადასახადი გაცილებით დიდი იყო.

ქურდს ცალკე უნდა გადაეხადა საზღაური მოპარული ნივთის შესაბამისად და ცალკე პატრონის ღირსების შელახვის გამო.

განმეორებითი ქურდობისას საზღაური რამდენჯერმე იზრდებოდა.

თუ ერთი და იგივე პირი რამდენჯერმე იქურდებდა, მას კიდევ უფრო მკაცრად ეპყრობოდნენ – მოიკვეთდნენ, ან საერთოდ სიკვდილით სჯიდნენ.

თუ დამნაშავე ხელმოკლედ ცხოვრობდა, მსაჯულებს შეეძლოთ საზღაურის შემცირება, მაგრამ თუ ხელყოფდნენ ადამიანის სიცოცხლეს, ან ჯანმრთელობას, დადგენილი საზღაური მთლიანად უნდა ყოფილიყო გადახდილი.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 482

<sup>2</sup> **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 484

გადახდილი საზღაური, ლიულეს ცნობით, სამ ნაწილად იყოფოდა: მცირეს ლებულობდნენ მსაჯულები, ძირითადი ნაწილი გადაეცემოდა დაზარალებულის ნათესავებს, ხოლო დანარჩენი, დაახლოებით მესამედი, დაზარალებულის ოჯახს რჩებოდა<sup>1</sup>.

ბელის თანახმად, გამარჯვებული მხარე მსაჯულებს მიღებული საზღაურიდან გარკვეულ წილს აძლევდა, დაახლოებით ორიდან ოთხ პროცენტამდე,<sup>2</sup> ხოლო დანარჩენი – დაზარალებულის ოჯახსა და გვარს შორის ნაწილდებოდა. ავტორი ანაფასა და წემეზს შორის მდებარე ოზერეკის ველზე თავად შეესწრო სასამართლო პროცესს შემდეგი საქმისთვის. მეზობელმა შეურაცხყოფის ნიადაგზე ერთი ოჯახიდან ბიჭი მოკლა, მეორე – დაჭრა, დაჭრა აგრეთვე ქალიც. თემმა მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა: დაბორკილი ზღვაში ჩააგდო. გარდა ამისა, მკვლელის ოჯახს დაეკისრა: 200 ხარი ბიჭის მოკვლისთვის, 30 ხარი – მეორეს დაჭრისთვის, 2 ხარი – ქალის მსუბუქად დაჭრისთვის.

საზღაური ნაწილ-ნაწილ იქნა გადახდილი. 200-დან 60 ხარი დაღუპული ბიჭის მშობლებმა მიიღეს, დანარჩენი – მისმა ნათესავებმა. დარჩენილი 32 ხარი, რომელსაც მკვლელის ოჯახი მომდევნო წელს გადაიხდიდა, მოკლულის მშობლებსა და ნათესავებს შორის შუაზე გაიყოფოდა.<sup>3</sup>

ლიულესა და ბელის ნაშრომებიდან კარგად ჩანს, რომ მიღებული საზღაურის დაახლოებით მესამედი რჩებოდა დაზარალებულის ოჯახს. ხოლო ძირითადი ნაწილი დაზარალებულის ნათესავებს შორის იყოფოდა.

მსგავს ცნობას გვანვდის კოხიცი: „მიღებული საზღაურის ორი მესამედი, ან სამი მეოთხედი მოკლულის საძმოს ეკუთვნის, დანარჩენი კი მოკლულის ოჯახს“.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 18

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 518

<sup>3</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 514

<sup>4</sup> К. Кох. Путешествие по России и в Кавказские земли..., გვ. 586

\* \* \* \* \*

შაფსულური ჩვეულებითი სამართალი (აგრეთვე აბაზე-ხური) საკმაოდ განსხვავდებოდა მეზობელ ჩერქეზულ მხარეებში მოქმედი ადათებისგან. მან XVIII საუკუნის დასასრულიდან თანდათანობით მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და უფრო განვითარდა.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში შაფსულეთში მიმდინარე აჯანყებების შემდეგ, თავად-აზნაურობა იძულებული გახდა მეთემეებთან მოლაპარაკებები ეწარმოებინა. მთავარი შეთანხმება შედგა ფეჩეთნიყოს კრებაზე,<sup>1</sup> სადაც მკაფიოდ განისაზღვრა თავად-აზნაურთა და მეთემეთა უფლებები. კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები შემდეგში ყოველგვარი დავის განსახილველად გამოიყენებოდა. მეთემეებმა და თავად-აზნაურებმა დაიფიცეს, რომ არ უღალატებდნენ ამ გადაწყვეტილებებს, რომლის ძირითადი პუნქტები იყო:

აზნაურის სიცოცხლის ხელყოფისთვის დადგინდა 30, ხოლო მეთემის მოკვლისთვის – 28 თავი.

დაჭრის დროს, თუ ძვალი დაზიანდებოდა, საზღაური იყო სრული სისხლის ნახევარი, ე. ი. 15 თავი. თუ ძვალი არ დაზიანდებოდა, საზღაური სრული სისხლის მეოთხედს შეადგენდა.

თუ აზნაურს მოჰპარავდნენ საქონელს, ქურდი ვალდებული იყო დაებრუნებინა ზუსტად იგივე და დაემატებინა ორი იმდენი აზნაურის ღირსების შელახვისათვის. თუ ქურდი ზუსტად იგივე საქონელს ვერ დააბრუნებდა, უნდა ეზლო ცხრამაგად.

თუ მეთემეს საქონელს მოჰპარავდნენ, იმავე საქონლის დაბრუნებისას ქურდს კიდევ ერთი უნდა დაემატებინა, მაგრამ თუ ნაქურდალს ვერ დაუბრუნებდა პატრონს, უნდა ეზლო არა ცხრა, არამედ შვიდი საქონელი.

---

<sup>1</sup> ფეჩეთნიყოს კრება დაახლოებით XVIII საუკუნის მინურულს უნდა გამართულიყო – კ.ო.

ამავე კრებაზე მიღებულ იქნა გადანყვეტილებები სტუმარ-მასპინძლობის წესებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.<sup>1</sup>

XIX საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს შაფსულებმა, აბაზეხებმა და უბიხებმა სახალხო კრება მოიწვიეს, სადაც დადგინდა, რომ აზნაურის მოკვლისთვის საზღაური იქნებოდა 22 თავი, ხოლო მეთემის მოკვლისათვის – 20.<sup>2</sup>

ბლარამბერგის ცნობით, იმავე საუკუნის 30-იან წლებში შაფსულებში, აბაზეხებსა და უბიხებში მეთემის მოკვლისთვის იხდიდნენ 20 თავს, ხოლო აზნაურისთვის – 22 თავს, მაშინ როდესაც დანარჩენ ჩერქეზებში მეთემის მოკვლისთვის საზღაური იყო 25 თავი, მესამე და საშუალო რანგის აზნაურისთვის – 30, პირველი რანგის აზნაურისთვის – 50, ხოლო თავადის სიცოცხლის ხელყოფისთვის – 100 თავი.<sup>3</sup>

ლიულეს თანახმად, თავდაპირველად თავი (სხა) როგორც სისხლის საზღაურის საზომი, ორგვარი იყო: ვუორკესხა და უბრალო სხა. მეთემე აზნაურს უხდიდა ვუორკესხას, ხოლო მისგან ღებულობდა უბრალო სხას, რომელიც პირველზე გაცილებით უფრო ნაკლები იყო. XIX საუკუნის 20-30-იან წლებში შაფსულებში აზნაურთა ეს პრივილეგია უკვე აღარ არსებობდა.<sup>4</sup>

ბელის მიხედვით, შაფსულებმა თავად-აზნაურისა და მეთემის მკვლევლობისთვის ერთნაირი საზღაური – 200 ხარი დაადგინეს.<sup>5</sup> ადრე კი საზღაური თავადის მოკვლისთვის ათჯერ აღემატებოდა მდაბიოს სიცოცხლის ხელყოფისთვის განკუთვნილ გადასახადს, ისევე, როგორც იყო ეს წესი XIX

---

<sup>1</sup> Хан Гирей. Бесльный Абатъ. „Кавказ“, 18.X.1847, №42

<sup>2</sup> Г. Новицкий. Географическо-статистическое обозрение..., 25

<sup>3</sup> И. Бларамберг. Историческое... описание Кавказа. გვ. 394

<sup>4</sup> Л. Люлье. Учреждения и народные обычаи Шапсугов и..., გვ. 10

<sup>5</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 478

საუკუნის I ნახევარში შაფსულეთისგან აღმოსავლეთით მცხოვრებ ადიღებში.<sup>1</sup>

ბელი, ისევე როგორც ლიულე, აფიქსირებს, რომ წარსულში ფშიუორკის, ანუ თავად-აზნაურის სასარგებლოდ განკუთვნილი თავი გაცილებით ძვირი იყო, ვიდრე მდაბიოთათვის გადასახდელი უბრალო სხა (თავი). თავადის მოკვლისთვის საზღაური 100 თავს უდრიდა, აზნაურისთვის – 30-ს, 20 – მეთემისთვის, 15 – მონისთვის. შემდეგში მეთემის მკვლელობისთვის საზღაური 28 თავამდე გაიზარდა და იმავე ხანებში დანესდა, რომ სამი ფენის, ე. ი. თავადის, აზნაურის და მეთემის მოკვლისთვის გადასახადი ერთნაირი იქნებოდა – 200 ხარი, რაც 30 თავს შეესაბამებოდა.<sup>2</sup>

კარლგოფის თანახმად, XVIII საუკუნის 90-იანი წლებიდან დასავლეთ ჩერქეზეთში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების შედეგად შაფსული მეთემეები უფლებრივი მდგომარეობით თავად-აზნაურებს გაუტოლდნენ. მათ გააუქმეს სისხლის საზღაურებში არსებული განსხვავებები და თავადისა თუ აზნაურის მოკვლისთვის იგივე გადასახადი დაანესეს, რაც მეთემის სიცოცხლის ხელყოფისთვის იყო დადგენილი.<sup>3</sup>

\* \* \* \* \*

ამრიგად, XVIII საუკუნის მიწურულიდან შაფსულეებს (აგრეთვე აბაზეხებს და უბიხებს) დანარჩენი ჩერქეზებისგან განსხვავებით, მართავდა არა თავად-აზნაურობა, არამედ სახალხო კრება.

---

<sup>1</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 484

<sup>2</sup> Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 520

<sup>3</sup> Н. Карлгофь. О политическом устройстве Черкесских племень..., გვ. 540

უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებას წარმოადგენდა სახალხო კრების მიერ არჩეული ნაფიც მსაჯულთა საბჭო (ორ-ორი უხუცესი შაფსულთა რვავე თემისგან) რომელიც პასუხისმგებელი იყო ამავე კრების წინაშე.

შაფსულეთში სახალხო კრების გარდა სამართალწარმოების უფლებით სარგებლობდნენ მოდავე მხარეთა მიერ არჩეული შუამავლები (მედიატორები).

მსაჯული შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც აზნაური, ისე მეთემე, გამოცდილი, ჭკვიანი, უანგარო და სამართლიანი. ძირითადად მსაჯულებად მაინც გვარის თავები, თჰამადები აირჩეოდნენ.

შაფსულური ჩვეულებითი სამართალი იცნობდა სასჯელთა ისეთ სახეებს, როგორიც იყო სიკვდილით დასჯა, ტყვედ გაყიდვა, გაძევება, მოკვეთა და ა.შ. თუმცა სასჯელთა ფორმები ძირითადად მაინც კომპოზიციის სისტემით შემოიფარგლებოდა.

XIX საუკუნეში შაფსულეთში მესისხლეობა-შურისძიება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. ჩვეულებითმა სამართალმა მას კომპოზიციის სისტემა დაუპირისპირა.

შაფსულეებში, მიუხედავად იმისა, რომ მათ სახელმწიფო არ გააჩნდათ, ჩვეულებითი სამართალი და სახელდობრ კომპოზიციის სისტემა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, რაზედაც ნათლად მიუთითებენ XIX საუკუნის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებში არსებული ცნობები მკვლევლობასთან, დაჭრასთან და ქურდობასთან დაკავშირებული საზღაურთა ფორმების შესახებ. კერძოდ, შაფსულური ჩვეულებითი სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა განზრახ მკვლევლობას და შემთხვევით ჩადენილ მკვლევლობას, განზრახ მიყენებულ ჭრილობას შემთხვევითი ჭრილობისგან. დიფერენცირებული იყო გადასახადები პირველი და მომდევნო ქურდობისას.

შაფსულეთის სახალხო კრებამ XVIII საუკუნის მიწურულიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ჩვეულებით სამართალში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. კომპოზიციის სისტემაში მოიხპო თავად-აზნაურთა პრივილეგიები და დადგინდა ქონებრივ საზღაურთა ერთიანი მაჩვენებელი, რითაც შაფსული მეთემეების სამართლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად განმტკიცდა.

\* \* \* \* \*

შაფსულებმა ჩვეულებითი სამართალი მუჰაჯირობის შემდეგაც შეინარჩუნეს და როგორც ლეონიდ ლავროვის მიერ ზღვისპირა ჩერქეზულ სოფლებში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ის XX საუკუნის 20-იან წლებშიც მოქმედებდა. მკვლევარი 1930 წელს შაფსულურ სოფელ კელეჟში ყოფნისას თავად გაეცნო 60 წელს გადაცილებულ ხარტუ ნამიტს, რომელიც ჩვეულებითი სამართლის საუკეთესო მცოდნე იყო.<sup>1</sup>

XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კავკასიის მთიელებში და მათ შორის შაფსულებში ჩვეულებითი და შარიათის სასამართლოების მოქმედება აღკვეთილ იქნა.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> Л. Лавров. Этнография Кавказа. გვ. 21, 26

<sup>2</sup> А. Сивер. Шапсуги. გვ.114



**Koba Okujava**  
**The Faith and Law of the Shapsugs**

Summary

The work covers the old religious traditions and mythology which were preserved in Shapsugia, the historical Circassian region. The book also gives the short ethnical history of the Shapsugs 1790s to the end of the 20<sup>th</sup> century and pays attention to their customary law, one of the most significant spheres of their culture.

After the fall of the Byzantine Empire and the break-up of the unified Georgian kingdom the Ottoman Porte became the dominant force in the Black Sea. As a result of the merger of pagan beliefs and Christianity, the new religion, which was syncretic to a certain degree, emerged in the North-Western Caucasus. It was well preserved among the Circassians living at the north-western shore of the Black Sea even in the 1<sup>st</sup> half of the 20<sup>th</sup> century. The main part of this book is dedicated to the religious beliefs of the Shapsugs. Thanks to their religions, the Shapsugs were able to preserve the old true Circassian traditions.

The Sharia law had a great influence on the local laws after the spread of Islam in the North-Western Caucasus. Nevertheless, till the 1930s, the old customary laws were functioning among the Shapsugs, who lived south of the Caucasus and followed their syncretic religion.

The Russian Empire forced the highlander Circassians to migrate to the Ottoman Porte in the 1860s. Only small part of the Shapsugs were able to stay in their homeland. Their descendant still live on the territory between the rivers Sochi and Nigepsukho (Nechepsukho). Thus, studying the historical culture of the Shapsugs is significant from the ethnologic point of view.

## ბ ი ბ ლ ი ო ბ რ ა ჴ ი ა

- ნ. ანთელავა.** კავკასიის ხალხთა მითები და რიტუალები. თბ., 2017
- ბაგრატიონი ვახუშტი.** საქართველოს ატლასი. (XVIII საუკუნე) თბ., 1997
- ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973
- ც. ბარამიძე.** იბერიულ-კავკასიური ეთნოლინგვისტიკის საკითხები. 1. უბიხური ახინა. – კავკასიოლოგიური ძიებანი. თბ., 2011, №3
- ვ. ბარდაველიძე.** ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1941
- მ. გეგეშიძე.** კოჯორი. – კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966
- გიულდენშტედტის** მოგზაურობა საქართველოში. ტ. II. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანიურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1964
- გ. დავითაშვილი.** სამედიატორო სასამართლო სვანეთში. თბ., 2002
- ვ. თოფურია.** ქვაჯვარანი საქართველოში. - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. IV, თბ., 1942
- არქანჯელო ლამბერტი.** სამეგრელოს აღწერა. – თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, მეორე გამოცემა. ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ., 1938
- ს. მაკალათია.** ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1938
- ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბ., 1941
- კ. მაჩაბელი.** ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები. თბ., 2008

- ლ. მელიქსეთ-ბეგი.** მეგალითური კულტურა საქართველოში. თბ., 1938
- ბ. ნიჟარაძე.** ჩვეულებრივი უფლება სვანეთში საზოგადოდ და საკუთრივ თავისუფალ სვანეთში. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I, თბ., 1962
- ბ. ნიჟარაძე.** სვანური ლეგენდები ანუ სვანების ამაოდ - მორწმუნებანი. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები. I, თბ., 1962
- კ. ოკუჯავა.** შავიზღვისპირა ადიღების წარმართობა. თბ., 2005
- კ. ოკუჯავა.** შაფსულური ჩვეულებითი სამართალი. თბ., 2006
- ი. რაინგესი.** მოგზაურობა საქართველოში.- გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2002
- გ. როგავა.** ადიღური თჰა („ღმერთი“) სიტყვის ეტიმოლოგიისათვის. - იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. II, თბ., 1948
- ო. სპენსერი.** მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ. - წგნ.: *კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ.* გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო *ლ. მამაცაშვილმა.* თბ., 1981
- ი. ტაბალუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში. ტ. III, თბ., 1987
- თ. ყაუხჩიშვილი.** სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957
- ჯ. შარაშენიძე.** შუმერები და მათი კულტურა. თბ., 1983
- ევლია ჩელების** „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო *გ. ფუ-თურიძემ,* ნ. I. თბ., 1971
- მ. ჩიქოვანი.** ქართული ეპოსი. წიგნი II, თბ., 1965
- ივანე ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია. წიგნი პირველი. თბ., 1951
- ნ. ჯანაშია.** აფხაზები. მოამბე, ტფილისი, 1897, 2
- ს. ჯანაშია.** ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. -

შრომები, ტ. IV. თბ., 1968

- М. Азаматова.** Материалы к земледельческой культуре Бжедугов. - Материалы по этнографии Грузии. XII-XIII, Тбилиси, 1963
- Н. Альбов.** Ботанико-географические исследования в западном Закавказьи в 1893 году. – Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества. кн. XVI, Тифлиси, 1894
- В. Бардавелидзе.** Древнейшие религиозные верования и обрядовое Графическое искусство Грузинских племён. Тбилиси, 1957
- Б. Бгажноков.** Черкесы (Адыги). Тбилиси, 2010
- Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии в течение 1837, 1838, 1839гг. – *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIXвв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974
- Ф. Байернъ.** О древних сооружениях на Кавказе. – Сборник сведений о Кавказе. I, Тифлиси, 1871
- А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. – Русская старина, 1882 г., т. XXXIII, № 2
- Ж.-Ш. де Бесс.** Путешествие в Крым, на Кавказ, в Грузию, Армению, Малую Азию и в Константинополь в 1829 и 1830 гг. – Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова, Нальчик, 1974
- И. Бларамберг.** Историческое, топографическое, статистическое, этнографическое и военное описание Кавказа. – *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIXвв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974
- В. Васильков.** Очерк быта Темиргоевцев. *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.* вып. XXIX, Тифлиси, 1901

- А. Верещагин.** Путевые заметки по Чёрноморскому округу. Москва, 1874
- Е. Вейденбаум.** Священные рощи и деревья у Кавказских народов. – Кавказские этюды. Тифлиς, 1901
- В. Ворошилов.** История Убыхов. Майкоп, 2006
- В. Гарданов.** Общественный строй Адыгских народов (XVIII–I половина XIXв.). М., 1967
- Ксаверие Главани.** Описание Черкессии 1724 г. – Переводъ и примечания *Е. Г. Вейденбаума. Сборник материаловъ для описания местностей и племень Кавказа.* вып. XVII, Тифлиς, 1893
- М. Джанашвили.** Абхазия и абхазцы. *Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества,* кн. XVI, Тифлиς, 1894
- Г. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982
- Н. Дубровин.** История войны и владычества русских на Кавказе. Т. I, кн. 2, С.П.б., 1871
- А. Дьячковъ-Тарасовъ.** Абадзехи. – *Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества,* кн. XXII, выпускъ 4-ий, Тифлиς, 1902
- Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. Т. I, Сухуми, 1937
- Эмиддио Дортелли Д' Асколи.** Описание Чёрного моря и Татарии. – *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII- XIXвв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974
- С. Званба.** Абхазская мифология и религиозные поверья и обряды между жителями Абхазии. – Абхазские этнографические этюды. Сухуми, 1982
- Е. Зевакин.** Культура и быт адыгов XVIII – I половины XIX в.в. – Очерки истории Адыгеи. Т. I, отв. ред. С. Бушуев, Майкоп, 1957
- Н. Карлгофъ.** О политическом устройстве Черкесских племень, населяющих северо-восточный берег Черного моря. –

- Русский Вестникъ*, т. 28, Август, кн. 2. М., 1860
- З. Керашева.** Особенности Шапсугского диалекта Адыгейского языка. Майкоп, 1957
- К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. – *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII- XIXвв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974
- М. Кумахов.** Древнеадыгское название „Чёрного моря“ Ахена и древнегреческое Понтос Ахеинос. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული. თბ., 1987, № XIV
- Л. Лавров.** Из поездки в Черноморскую Шапсугию летом 1930 г. – Советская этнография. 4 - 5, М. – Л., 1936
- Л. Лавров.** „Обезы“ русских летописей. – Советская этнография. 4, 1946
- Л. Лавров.** Доисламские верования адыгейцев и кабардинцев. – Труды института этнографии им. Н.Н. Миклухо-Маклая, Новая серия, т. LI, Москва, 1959
- Л. Лавров.** Дольмены северо-западного Кавказа. – Труды Абхазского Института языка, литературы и истории им. Д. И. Гулия. Сухуми, 1960
- Л. Лавров.** Этнография Кавказа. Ленинград, 1982
- Л. Лавров.** Убыхи. С.-П.б., 2009
- Записка Лапинского.** *Акты собранные Кавказскою археологическою комиссиею.* Т. XII, ч. I. Тифлисъ, 1904
- Т. Лапинский.** Горцы Кавказа и их освободительная борьба против Русских. Перевод В. К. Гарданова. Нальчик, 1995
- Дж. Лонгворт.** Год среди Черкесов. – *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIXвв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974
- Л. Люлье.** Верования, религиозные обряды и предрасудки у Черкесъ. – *Записки Кавказского отдела императорского русского географического общества*, кн. V. Тифлисъ, 1862

- Л. Люлье.** О гостеприимстве у Черкесь. – „*Кавказ*“, 1859, 22-I, №7
- Л. Люлье.** О Натухажцах, Шапсугах и Абадзехах. – *Записки Кавказского отдела императорского русского географического общества*, кн. IV. Тифлисъ, 1857
- Л. Люлье.** Словарь Русско-Черкесский или Адыгский с краткою грамматикою. Одесса, 1846
- Л. Люлье.** Общий взгляд на страны занимаемые горскими народами, называемыми: Черкесами (Адыге), Абхазцами (Азегга) и другими смежными с ними. – *Записки Кавказского отдела императорского русского географического общества*, кн. IV. Тифлисъ, 1857
- Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи Шапсугов и Натухажцев. – *Записки Кавказского отдела императорского русского географического общества*, кн. VII. Тифлисъ, 1866
- В. Марковин.** Дольмены западного Кавказа. Москва, 1978
- С. Мафедзев.** Обряды и обрядовые игры адыгов в XIX – начале XX в.в. Нальчик, 1979
- К. Меретуков.** Адыгейский топонимический словарь. Москва, 1990
- А. Миллер.** Разведки на Чёрноморском побережье Кавказа 1907 году. - Известия императорской археологической комиссии. 33, Москва, 1909
- Абри де ла Мотре.** Путешествие в Европу, Азию и Африку. – Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова, Нальчик, 1974
- П. Невский.** Закубанский край в 1864 г. – Кавказъ, 1868, № 97, № 98
- Г. Новицкий.** Географическо-статистическое обозрение земли населённой народомъ Адехе. – Газ. „*Тифлисская ведомости*“, 1829 г., №22-25
- М. Пейсонель.** Исследование торговли на Черкесско-Абхазском берегу Чёрного моря в 1750-1762 г., Краснодар, 1927

- К. Подозерский.** По Чёрноморской губернии. - Известия Кавказского отдела Императорского Русского географического общества. 1904, т. XVII, 3
- А. Ржондковский.** Экспедиция в Хакучи 1865 года. -Кавказь, 1867, № 89, №97, № 98, № 99
- Л. Серебряковъ.** Записка отъ 11-го декабря 1852 года, №2133.  
Акты собранные Кавказскою Археографическою коммисиею, т. X, Тифлисъ, 1885, 33. 234-235
- Р. Сефербеков.** Пантеон языческих божеств народов Дагестана. Махачкала, 2009
- А. Сивер.** Шапсуги. Этническая история и идентификация. Нальчик, 2002
- В. Сизов.** Восточное побережье Чёрного моря. – *Материалы по археологии Кавказа*. II, под ред. граф. **Уваровой**. Москва, 1889
- В. Сысоев.** Археологическая экскурсия по Закубанью в 1892 году. – *Материалы по археологии Кавказа*. IX, Москва, 1904
- Я. Смирнова.** О некоторых религиозных пережитках у причерноморских Адыгейцев. Советская этнография, 1963, №6
- К. Сталь.** Этнографический очеркъ Черкесского народа. - *Кавказский сборникъ*, т. XXI. Тифлисъ, 1900
- Ж.-В.-Э. Тэбу де Мариньи.** Путешествия в Черкесию. – *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIXвв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова**. Нальчик, 1974
- Ж. Б. Тавернье.** Шесть путешествий в Турцию, Персию и Индию в течение сорока лет с особыми заметками об особенностях религии, управлении, обычаях, торговле каждой из этих стран вместе с мерами, весами и стоимостью обращающихся денег. – *Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв.*, составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова, Нальчик, 1974



- Ф. Торнау.** Воспоминания кавказского офицера. Ч. I. Москва, 1864
- Е. Шиллинг.** Черкесы. - Религиозные верования народов СССР, т. II, М.-Л., 1931
- Е. Шиллинг.** Абхазы. - Религиозные верования народов СССР, т. II, М.-Л., 1931
- И. Шилтбергер.** Путешествия по Европе, Азии и Африке с 1394 года По 1427 год. – Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв., составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. Гарданова, Нальчик, 1974
- А. Шортанов.** Адыгская мифология. Нальчик, 1982
- Г. Чурсин.** Народные обычаи и верования Кахетии. Тифлиси, 1905
- Г. Чурсин.** Материалы по этнографии Абхазии. Сухуми, 1957
- А. Фадеев.** Убыхи в освободительном движении на западном Кавказе. - Исторический сборник. № 4, Ленинград, 1935
- Е. Фелицын.** Западно-Кавказские дольмены. – *Материалы по археологии Кавказа*. IX, Москва, 1904
- И. Хазровъ.** Остатки Христианства между закубанскими племенами, прошедшее и нынешнее состояние их нравовъ и обычаевъ. Кавказъ, 1846, №40, №42
- Хан-Гирей.** Бесльный Абатъ. – Газ. „Кавказ“, 18.X.1847, №42
- Хан-Гирей.** Мифология Черкесских народов. Сборник газеты Кавказъ, второе полугодие 1846 года. Тифлиси, 1847
- Хан-Гирей.** Черкесские предания. Избранные произведения. Нальчик, 1974
- Хан-Гирей.** Записки о Черкесии. Нальчик, 1978

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	3
თავი I. ისტორიულ-ეთნოგრაფიული წყაროები შაფსულების სარწმუნოების და სამართლის შესახებ .....	5
თავი II. შაფსულები (მოკლე ეთნიური ისტორია).....	20
თავი III. შაფსულების სარწმუნოება.....	53
1. შაფსულური წარმართული წეს-ჩვეულებები და მითოლოგია .....	56
2. ქრისტიანობის კვალი შაფსულთა სარწმუნოებაში .....	146
თავი IV. შაფსულური სამართალი.....	176
Koba Okujava The Faith and Law of the Shapsugs Summary .....	216
ბიბლიოგრაფია.....	217

**კობა ოკუჯავა**

**შაფსულავის სარწმუნოება  
და სამართალი**

**Koba Okujava**

**THE FAITH AND LAW  
OF THE SHAPSUGS**

დამკავადონებელი  
**ნანა დუმბაძე**

ყდის დიზაინერი  
**ირაკლი უშვერიძე**



გამომცემლობა „**უნივერსალი**“

თბილისი, 0186, ა. პოლიტაოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

